

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი


იურიდიული ფაკულტეტი

იოსებ გარძელაშვილი

„სასჯელის მიზნები“

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი მაია ივანიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2016

შინაარსი

შესაგალი	5
თავი I. სასჯელის შესახებ მოკლე ისტორიული ექსპურსი	9
§1. სასჯელი ძველ ქართულ სისხლის სამართალში	9
§2. სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში	13
თავი II. დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთიმიმართების პროცედურა	16
თავი III. სასჯელის ცნება და მისი დამახასიათებელი ნიშნები	19
§1. სასჯელის ცნება	19
§2. სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება	23
§3. სასჯელის ინდივიდუალური, პირადი ხასიათი	25
§4. სასჯელის დანიშვნა სასამართლოს მიერ და მისი საჯარო-სამართლებრივი ხასიათი	27
§5. მსჯავრდებულისათვის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა და ჩამორთმევა	28
§6. ნასამართლობა, როგორც სასჯელის ნიშანი	31
§7. სასჯელის გამიჯვნა სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან	32
თავი IV. სასჯელის თეორიები	37
§1. აბსოლუტური თეორიები სასჯელის შესახებ	37
§2. შეფარდებითი თეორიები სასჯელის შესახებ	41
§3. შემაერთებელი თეორიები სასჯელის შესახებ	44
თავი V. სასჯელის მიზნები	51
§1. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი	55
§2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი	61
2.1. სასჯელის ზოგადი (გენერალური) პრევენცია	62
2.1.1. სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია	66
2.1.2. სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია	71

2.2. სასჯელის სპეციალური (კერძო) პრევენცია	75
2.2.1. სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია	78
2.2.2. სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია	81
 §3. დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი	84
3.1. რესოციალიზაციის ცნება	84
3.2. რესოციალიზაციის გამიჯვნა სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან	89
3.2.1. გამოსწორება	89
3.2.2. აღზრდა	91
3.2.3. სოციალიზაცია	92
3.2.4. მკურნალობა	92
3.2.5. ინტეგრაცია	93
3.2.6. რეაბილიტაცია	94
3.3. რესოციალიზაციის პროცესი სასჯელადსრულების დაწესებულებებში	96
3.4. უვადო თავისუფლების ადგვეთა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია	107
3.5. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის	111
3.6. ამნისტისა და შეწყალების როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის	114
3.7. რესოციალიზაციის პრობლემა თავისუფლების ადგვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ	115
3.8. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის	119
 თავი VI. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა	123
 თავი VII. სასჯელის დანიშვნისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა	136
 §1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები	136
§2. სასჯელის დანიშვნა სასჯელის მიზნებთან კავშირში	140
2.1. სამართლიანობის აღდგენა სასჯელის დანიშვნისას	140
2.1.1. სამართლიანობის აღდგენა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას	150
2.1.2. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნისას	154
2.1.3. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას	158
2.1.4. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას	161

2.2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის დანიშვნისას	168
2.3. სასჯელის დანიშვნა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია	171
§3. სასჯელის ინდივიდუალიზაცია	174
თავი VIII. სასჯელის აღსრულება და ეფექტურობა	182
§1. სასჯელის აღსრულების თავისებურებანი რესოციალიზაციასთან კავშირში	182
§2. სასჯელის ეფექტურობა	186
თავი IX. არასრულწლოვნის სასჯელი	189
§1. არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები	189
1.1. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის უმთავრესი მიზანი	191
1.2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი მიზანი	197
§2. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა სასჯელის მიზნებთან კავშირში	201
§3. არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის აღსრულება რესოციალიზაციასთან მიმართებით	210
დ ა ს პ პ ნ ა	214
ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა	220

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კვლევის აქტუალობა. სასჯელი, ისევე როგორც დანაშაული, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი სისხლის სამართლის მეცნიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს. სასჯელი, როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცნება, ნაკლებადაა დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, ვინაიდან ძირითადი აქცენტი დანაშაულის პროცედურაზეა გადატანილი. სამწუხაროდ, მეცნიერიულისტთა უმრავლესობა უმეტეს შემთხვევაში იკვლევს დანაშაულთან დაკავშირებულ პროცედურებს, თუ მსედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს. მაგალითად, პროფესორმა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა 1960 წელს გამოსცა ნაშრომი: „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“. მან ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგა მეცნიერთა შეხედულებები სასჯელის შესახებ. აღნიშნული ნაშრომი სრულყოფილად ვეღარ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, ვინაიდან მას შემდეგ ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც ახლებურად ჩამოაყალიბა სასჯელის შინაარსი და მიზნები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს შეინიშნება ქართველ მეცნიერთა დაინტერესება სასჯელის პროცედურით. მაგალითად, 2013 წელს პროფ. ი. დვალიძის მიერ გამოცემული იქნა სახელმძღვანელო „სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები.“ ასევე, ო. გამყრელიძის, მ. ლეგავეიშვილისა და თ. ცქიტიშვილის მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე სტატია სასჯელებთან დაკავშირებით, რაც მისასალმებელია.

სასჯელის მიზნები არა მარტო სისხლისსამართლებრივი საკითხია, არამედ ღრმა ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის მიზნები არასდროს ყოფილა ჩვენი კრიმინალისტების ღრმა კვლევის საგანი. სასჯელი არის დანაშაულის იურიდიული შედეგი. შესაბამისად, თუ ვიკვლევთ დანაშაულის პროცედურებს, უნდა გამოვიყვალით სასჯელის ბუნებაც. მიმაჩნია, რომ დანაშაულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასჯელის შესწავლა, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს.

სასჯელის მიზნების შესწავლა ასევე აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. აღნიშნული პროექტი მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკიდან პუმანურ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლის მაჩვენებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის სასჯელის პუმანურობის თვალსაზრისით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელი მხოლოდ დამაშინებელ ეფექტს არ უნდა იძლეოდეს. მასში უნდა ვიპოვოთ პოზიტიური ასპექტები, როგორიცაა სპეციალური პრევენცია, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და ა.შ.

სასჯელის მიზნების კვლევა საინტერესოა სისხლის სამართლის პრინციპებთან მიმართებაშიც. ასე მაგალითად, სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპები, როგორიცაა პირადი პასუხისმგებლობის, სასჯელის ინდივიდუალიზაციის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის პრინციპები და ა.შ.

ბოლო დროს დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა. აღნიშნული ნაკარნახევია სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე. თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის უკიდურესი ზომა ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს თავის მიზანს. ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელებს.

სასჯელის მიზნების კვლევის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემის შესწავლა. თუ ქმედებას მიეცა არასწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება, სასჯელიც არასამართლიანი იქნება. ხოლო უსამართლო სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში კი სასჯელის მიზნები განუხორციელებელი დარჩება.

სასჯელის მიზნები მჭიდროდ უკავშირდება სასჯელის დანიშვნის პრობლემას. სასჯელის ისეთი მიზანი, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის გზით მიიღწევა. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, რათა შემდგომში განხორციელდეს სასჯელის სპეციალური პრეგენცია და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. სასამრთლო პრაქტიკაზე დაყრდნობით დასაბუთებულია სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი საკითხების მნიშვნელობა სასჯელის მიზნების განსახორციელებლად.

საკვლევი თემის მრავალასპექტიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა საკითხის დეტალურად განხილვა. თუმცა, შევეცადე ნაშრომში გადმომეცა ის ძირითადი საკითხები, რაც სასჯელის მიზნებს უკავშირდება.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეებზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

- წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის მიზნები - სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.
- სისხლის სამართლის თეორიაში ძალზედ პრობლემატურია ის, თუ რა არის სასჯელის მიზანი. ხშირად ერთმანეთშია აღრეული სასჯელის ცნება და მისი მიზანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცადე გამემიჯნა ერთმანეთისგან ზემოაღნიშნული ტერმინები.
- სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სამართლიანობის აღდგენისას პირველ რიგში,

ამოსავალი წერტილი არის დამნაშავის პიროვნება და შემდეგ დანაშაულის სიმძიმე და არა პირიქით.

- დისერტაციაში საფუძვლიანად არის განხილული ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი. სასჯელის აღნიშნული მიზნის სრულყოფისათვის გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრება. კერძოდ, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ნაცვლად სასურველია კანონმდებლობაში მითითებული იყოს დანაშაულის თავიდან აცილება, ვინაიდან სასჯელი ზოგადპრევენციულ ამოცანას ასრულებს დანაშაულის ჩადენამდეც. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ახალ დანაშაულზეც ვერ ვისაუბრებთ.
- ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის გენერალური და სპეციალური პრევენცია. ორივე მათგანში გამოკვეთილია პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. ერთმანეთისგან არის გამიჯნული ნეგატიური გენერალური პრევენცია და პოზიტიური გენერალური პრევენცია. კერძოდ, სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას (**ნეგატიური გენერალური პრევენცია**) ახდენს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ (განსხვავებით **პოზიტიური გენერალური პრევენციისგან**, რომელიც საზოგადოების ყველა წევრზე მოქმედებს), არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიღრეკილი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ.
- დისერტაციაში სასჯელის უმთავრესი მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გამიჯნულია ისეთი მომიჯნავე ცნებებისაგან, როგორიცაა: გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, ინტეგრაცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია.
- რესოციალიზაციის პრობლემა განხილულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან კავშირში, როგორიცაა: უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, ამნისტია, შეწყალება, ალტერნატიული სასჯელები.
- პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მიუთითებს მსჯავრდებული პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზე. ვფიქრობ, ამ მიმართებით, პატიმრობის კოდექსი ადგენს მაღალ სტანდარტს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ სასჯელის მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მართალია მსჯავრდებული არღვევს ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის ფაქტები არ ფიქსირდება.
- ნაშრომში საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზს სასჯელის მიზნებთან კავშირში.
- დისერტაციაში გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრება სისხლის სამართლის ზოგიერთი ნორმის დახვეწათან მიმართებით. ასე მაგალითად, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულთა ერთობლიობისას ითვალისწინებს სასჯელთა უპირობო შთანთქმას (თუ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი). მიმაჩნია, რომ კანონმდებლობა სასჯელთა შთანთქმის პრინციპთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების შესაძლებლობასაც.
- წარმოდგენილ დისერტაციაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული ზოგიერთი ნორმის წინააღმდეგობა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. კერძოდ,

სისხლის სამართლის კოდექსში დაგაფიქსირეთ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, რაც უდაოდ შესწორებას მოითხოვს და ა.შ.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, სასჯელის მიზნები განხილული იქნეს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ფილოსოფიური თვალსაზრისითაც. კვლევის მიზანია წარმოჩინდეს სასჯელის მიზნების პრობლემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

კვლევის მეთოდი. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

კვლევის ობიექტი. წინამდებარე დისერტაციის კვლევის ობიექტია სასჯელის პრობლემა. ნაშრომში განხილული იქნება სასჯელის ცნება და მისი დამახასიათებელი ნიშნები. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელის თეორიებს. კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს სასჯელის მიზნები – სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება რესოციალიზაციაზე, როგორც სასჯელის უმთავრეს მიზანზე. სასჯელის მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის დანიშვნასთან. შესაბამისად, ნაშრომში განხილული იქნება სასჯელის დანიშვნა სასჯელის მიზნებთან კავშირში. ყურადღებას გავაძახვილებთ ასევე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემაზე. სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით შევეცდებით მათ შორის ლოგიკური კავშირის დასაბუთებას. სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე სასჯელის აღსრულება და სასჯელის ეფექტურობა, ამიტომ დისერტაციაში განხილული იქნება აღნიშნული საკითხებიც. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ასევე არასრულწლოვანთა სასჯელის ცალკე თავად გამოყოფა, ვინაიდან აღნიშნული განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ პარლამენტის მიერ მიღებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის, მათ შორის სასჯელის ლიბერალიზაციაზე.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სასჯელის მიზნები ძალზედ აქტუალური და სადისეკუსიო საკითხია სისხლის სამართლაში. ვფიქრობ, რომ დისერტაციაში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირთავის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც, ვინაიდან სასჯელის მიზნები და მასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

დისერტაციის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისაგან. კერძოდ: შესავალი ნაწილის, 9 თავის, 23 პარაგრაფის, 29 ქვეპარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თავი I

სასჯელის შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი

§1. სასჯელი ძველ ქართულ სისხლის სამართალში

სასჯელი, ისევე როგორც დანაშაული უძველესი დროდან არსებობს. **იგანე ჯაგახიშვილი** იხილავს სასჯელის პრობლემას ქართული სამართლის ისტორიაში. იგი წერს: „ის, რაც დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისა, თუ გარდამავლობითი მოქმედებისათვის მოსამართლის განაჩენით უნდა გადახდენოდა, „სასჯელი“-ს სახელით იყო ცნობილი. მაგრამ ამ სიტყვის გარდა სხვა ტერმინებიც არსებობდა: „სისხლი“ და „მისაგებელი“¹.“

ძველ ქართულ სისხლის სამართალს დანაშაულის იურიდიული შედეგის აღსანიშნავად პქონია რამდენიმე ტერმინი: „სასჯელი“, „სისხლი“ და „მისაგებელი“. როგორც ჩანს ისტორიული ძეგლებიდან, „სისხლი“ ნამდვილად „სისხლის ფასს“ ნიშნავდა და წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელსაც დამნაშავე დაზარალებულის, ან მისი ოჯახის სასარგებლოდ იხდიდა.

სასჯელის მნიშვნელობით ხმარობდა ძველი ქართული სამართალი სიტყვას „მისაგებელი“. საბუთებში ნათქვამია: გიორგი III-მ დემნას აჯანყების მონაწილეთ „შესაგებელი საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“, რაჭის ერისთავს კახაბერს დალატისათვის „მიეგო მისაგებელი ბოროტი“. ე.ი. მისაგებელს სამაგიეროს მიზდვის მნიშვნელობა პქონდა.

„სასჯელი“ ძველ ქართულში ნიშნავს „სამართალს“, „ბჭობას“².

ძველ ქართულ სისხლის სამართალში სხვადასხვა სახის სასჯელები იყო დაწესებული. მაგალითად, **იგანე ჯაგახიშვილი** ასახელებს სასჯელის შემდეგ სახეებს:

1) ქონებრივი სასჯელები. სისხლის სამართალი საქართველოში ქონებრივ სასჯელს, როგორც ეტყობა მხოლოდ მსუბუქი დანაშაულისათვის იყენებდა, ამასთანავე ჩვეულებრივ სხვა სასჯელთან ერთად. გარკვეული დანაშაულებისათვის კანონი დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავების, აგრეთვე სასამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდას აკისრებდა.

2) გვემითი სასჯელები. გარკვეული მსუბუქი დანაშაულებისათვის სასჯელად ცემა იყო მიღებული. ცემით დასჯა ისეთ ბუნებრივ მისაგებლად იყო მიჩნეული, რომ მონასტრებშიც კი ძალიან გავრცელებული ყოფილა.

3) თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები. თავისუფლების აღსაკვეთად დამნაშავეს, ან ციხეში სვამდნენ, ან საპურობილებში.

4) ექსორია და გაძევება. სახელმწიფოთვან გაძევება გამოუსწორებელ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ყოფილა სასჯელად მიღებული, როდესაც დანაშაული მდიმე არ იყო. გაძევებას ბერძნული სახელი „ექსორია“-ც ეწოდებოდა.

¹ იხ. ი. ჯაგახიშვილი, თხულებანი თორმეზ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ. 358.

² იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 187.

5) ასოთა მიღება, ანუ განპატიჟება. „განპატიჟება“, როგორც ეტყობა, ისეთი დამასახიჩრებელი სასჯელების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო, როგორიც „ასოთა-მიღება“, „მბნელობლობა“, „გამოყვერვა“ და სხვაც იყო. „გამოყვერვა“ გამოსაჭრისებას, ხოლო „ასოთა-მიღება“ ასოთა მოკვეთით დასჯას ნიშნავდა.

6) სიკვდილით დასჯა, რომელიც უმაღლეს სასჯელად იყო გათვალისწინებული.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობითგან ჩანს, რომ მეფის საჯაროდ სიტყვიერად შეურაცხყოფისათვის მაგ. ენის მოკვეთა ყოფილა დაწესებული³.

საქართველოში იცნობდნენ გამაწბილებელ სასჯელებს – ვირზე შესმას, თავზე ლაფის დასხმას, გაპარსვას, გატიტვლებას, ყელზე თოქმობმული დამნაშავის ქუჩა-ქუჩა ტარებას, „თავზე ნაცრის დაყრას“ და ა.შ.⁴

ივანე ჯავახიშვილი ასახელებს სასჯელის ოთხ მიზანს:

1) დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება. საეკლესიო სამართლის მწერლობაში არსებული მიმოხილვითგან მაშინაც ყველასათვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ დამნაშავის დასჯის დროს მიზნად უპირველესად მისი ზნეობრივი გამოსწორება იყო. საერო სასამართლოებში ისე იყო მიღებული, რომ სახელმწიფო და სასამართლოს ორგანოები გარკვეულ სასჯელებს დამნაშავებს პირველად სწორედ გამოსწორების მიზნით უნიშნავდნენ.

2) ი. ჯავახიშვილის აზრით, სასჯელის მეორე მიზანს, როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა ხორციელი და ფიზიკური ვნების მიერნება. აღნიშნული სახის სასჯელები გამოიყენებოდა იმ ბოროტმოქმედთა მიმართ, რომელთა გამოსწორება არ ხერხდებოდა წვრთნით ანუ პუმანური აღზრდის მეთოდებით. ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ასეთი სასჯელების გამოყენება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, როცა არ ხერხდება სხვა მეთოდებით დამნაშავის აღზრდა.

3) სასჯელის მესამე მიზნად მიჩნეულია საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა. დამნაშავის მიმართ სასჯელის სახით გამოიყენებოდა ექსორია და გაძევება. ექსორია ნიშნავდა ქვეყნიდან მოკვეთას, გადასახლებას სხვა ადგილზე, ხოლო გაძევება კი ამა თუ იმ დაწესებულებიდან პირის მოშორებას.

4) გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს სასჯელთა სისტემის ისტორიული განვითარება სხვანაირად პქონია წარმოდგენილი და მისი მოძღვრება კანონიკურ მწერლობაში მიღებული სქემისაგან განსხვავდება. მას სცოდნია, რომ სასჯელის დანიშნულება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ესმოდათ. თავდაპირველად იგი შეურისძიებას წარმოადგენდა, ჩადენილი ბოროტებისათვის სამაგიეროს გადახდა იყო. შემდეგ კი ეფრემ მცირე სასჯელის სისტემის მიზნად კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა-აღსრულებას აღიარებს.⁵

³ ი. ი. ჯავახიშვილი, თხულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ. 370.

⁴ ი. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, გვ. 130.

⁵ ი. ი. ჯავახიშვილი, თხულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ. 381.

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში სასჯელის მიზნად მიიჩნევენ არა სამაგიეროს მიზღვას, არამედ სამართლიანობას, სასჯელის მიერ სარგებლიანობის მოგანას, დანაშაულის წინასწარ აღკვეთას.

სასჯელის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ. **ალ. გაჩეიშვილს**. იგი მსჯელობს: „აზრი სასჯელის პრევენციული ფუნქციების შესახებ საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ მწერლობაში და ეჭვს გარეშეა, რომ ეს შეხედულება აქვთ საეკლესიო მწერლობამაც შეითვისა. ეკლესიამ მისცა მას თეოლოგიური საფუძველი. სასჯელი გამოაცხადა რელიგიურ ინსტიტუტად, რომლის საშუალებითაც ღვთაება კაცობრიობის ისტორიაში თავის მარადიულ მიზნებს ახორციელებდა. მაგრამ იმისათვის, რომ ვიქონიოთ სწორი და სრული წარმოდგენა ეკლესიის მოძღვრებაზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მოძღვრების თვალსაზრისით სასჯელის მიზნები პრევენციით არ ამოიწურება. სასჯელის შინაარსს, მის შინაგან ბუნებას შეადგენს სამაგიეროს მიზღვა, ე.ი. ტკივილის, ტანჯვის მიუენება იმიტომ, რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ღვთაების წინაშე ცოდვას, ე.ი. ღვთაებრივი ნორმის დარღვევას წარმოადგენს და აუცილებლად გამოსყიდვას მოითხოვს.“⁶

„თუ გადავხედავთ საერო კანონმდებლობის განვითარებას, ვნახავთ, რომ აქაც უძველესი დროიდან დაწყებული, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლი თავის დადგენილებებში ისესენიებს სასჯელის მიზანს და როგორც ასეთს ასახელებს დანაშაულის წინასწარ აღკვეთას. მონათმფლობელური სახელმწიფოს ძველი მანუს კანონები ამბობენ: სხეულის რომელი ნაწილითაც ქურდი რაიმე გზით ჩაიდენს დანაშაულს, ადამიანის წინააღმდეგ, სწორედ ის ნაწილი მეფემ უნდა აღუკვეთოს მას, რათა წინასწარ აიცილოს დანაშაულის გამეორება.“⁷

პროფ. **ალ. გაჩეიშვილის** აზრით, შეხედულება, სასჯელზე, როგორც სამაგიეროს მიზღვაზე, აშკარად არის გამოსახული ძველ ქართულ საბუთებში, რომლებიც გარკვეულად ამბობენ: „შემსგავსებულად საქმეთა“, „ღირსი სიკუდილისა“. როგორც ვხედავთ ძველი ტექსტები გამოთქვამენ იმ აზრს, რომ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმბიმეს, მის ხასიათს, უნდა იყოს დანაშაულის თანაბარიო, თანაზომიერი. ე.ი. აღნიშნავენ დანაშაულისა და სასჯელის პროპორციულობის პრინციპს. სწორედ ამ თანაზომიერებას მოითხოვდა და მოითხოვს სამაგიეროს მიზღვის ცნება ყველგან, სადაც კი მას ვხედებით.⁸

ძველმა ქართულმა სამართალმა იცოდა სიკვდილით დასჯის ორი მარტივი სახე: თავის მოკვეთა და ჩამოხრიობა.

XI-XII საუკუნეებში საქართველოსთვის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის შედეგად, თავისთვის წარმოიშვა სასჯელთა სისტემის პუმანიზაციის პრობლემა.

ქართული საისტორიო და სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ XI-XII საუკუნეებში ქართული სამართალი მეტად პუმანური იყო. სასჯელთა პუმანიზაცია ნაყოფი იყო არა რომელიმე მეფისა თუ მთავრის

⁶ იხ. ალ. გაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი 1, თბილისი, 1946, გვ. 84.

⁷ იქვე, გვ. 85.

⁸ იქვე, გვ. 90.

ზნეკეთილობისა, არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის აღმავლობით.⁹

პროფ. გ. ნადარეიშვილი მიუთითებს, რომ ჩვენამდე თამარ მეფის ორი ისტორიოსის თხზულებაა შემორჩენილი. თამარ მეფის ისტორიკოსის – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“-ს ავტორის თქმით, თავისი ზეობის წლებში, თამარ მეფეს არავინ დაუსჯია არც დამასახიჩრებელი სასჯელით და არც მათრახის ცემით, მით უფრო არც სიკვდილით. ისტორიკოსი აქებს და იწონებს მეფის ასეთ საქციელს.¹⁰

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანის“ ავტორის სიტყვით თამარ მეფეს საქართველოში არა თუ სიკვდილით დასჯა მოუსპია, არამედ აგრეთვე სხეულებრივი სასჯელებიც ამოუკვეთია, რომლებიც ადამიანს ასახიჩრებენ. როგორც ჩანს, არ მიმართავდნენ არც ღირსების დამამცირებელ სასჯელებს.

ხსენებულ ისტორიკოსთა ცნობების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ თამარ მეფე არ იძლეოდა ნებართვას, რომ მის ვრცელ სახელმწიფო სიკვდილით დასჯა გამოეყენებინათ. მეფის ნებართვის გარეშე კი საქართველოში სიკვდილით დასჯა აკრძალული იყო.

პროფ. გ. ნადარეიშვილი მიუთითებს, რომ XIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსების აზრით, თამარ მეფის დროს გატარებულმა სახელმწიფო დონისძიებებმა და სასჯელების ჰუმანიზაციამ დადებითი შედეგები მოიტანა.¹¹

როგორც ვხედავთ, თამარის მეფობის დროს აკრძალული იყო სიკვდილით დასჯა და ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი სასჯელების გამოყენება. ეს კი მიგვანიშნებს იმ პერიოდში არსებულ მაღალგანვითარებულ სამართალზე.

პროფ. გ. მეტრეველმა შეისწავლა ილია ჭავჭავაძის შეხედულებები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. იგი წერს, - ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სასჯელი სამაგიეროს გადახდის საშუალებას ანუ ზღვევას არ უნდა წარმოადგენდეს. ილია გმობს სამაგიეროს მიზღვის მოთხოვნას და ქადაგებს, რომ მტერს სისხლით კი არ უნდა აზღვევინო, არამედ სამაგიერო უნდა გადაუხადო სიკეთით.¹² როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე სამაგიეროს მიზღვის წინააღმდეგ გამოდიოდა. ილია, აგრეთვე სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგებ იყო.

პროფ. გ. მეტრეველის აზრით, – უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის გაუქმებას ასაბუთებს მისი უარყოფითი შედეგებით ადამიანის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. სიკვდილით დასჯის გაუქმების დასასაბუთებლად ილია ჭავჭავაძეს მეორე არგუმენტად მოჰყავს ის გარემოება, რომ სიკვდილით დასჯით ირყევა ადამიანთა ზნეობა, რადგან ერთმევა ის, რაც ზნეობით არ შეიძინება – ე.ი. ადამიანის სიცოცხლე. სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ ილია ჭავჭავაძეს მესამე არგუმენტად მოჰყავს იურიდიული არგუმენტი, რომ თუ სიკვდილით დასჯის შეფარდების საკითხში დაშვებულია

⁹ ი. ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, გვ. 253.

¹⁰ ი. ვ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, გვ. 125.

¹¹ იქვე, გვ. 126.

¹² ი. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბილისი, 1983, გვ. 29.

შეცდომა, მისი გამოსწორება შეუძლებელია.¹³ როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე საკმაოდ საფუძვლიანად ილაშქრებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ სამართალში სასჯელის ძირითად მიზნად მიჩნად მიჩნეული იყო სამაგიეროს მიზღვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელს ზოგჯერ პრევენციული მნიშვნელობაც ჰქონდა. რაც უდაოდ მეტყველებს იმ პერიოდში არსებულ მაღალგანვითარებულ სამართალზე.

სასჯელის შესახებ ძალიან ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ქართული სამართლის ისტორიაში, მაგრამ ჩვენ ამჯერად ვიფარგლებით სასჯელის შესახებ მოკლე ისტორიული მიმოხილვით, ვინაიდან აღნიშნულზე მსჯელობა სცილდება სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებს.

§2. სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში

1924 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ძირითად საწყისებში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ „სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ისახავს მიზღვისა და დასჯის ამოცანებს“.

1938 წელს მიღებული საქავშირო კანონი სასამართლო წყობილების შესახებ პირდაპირ მიუთითებდა, რომ „საბჭოთა სასამართლო, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელს, არა მარტო სჯის დამნაშავეს, არამედ აგრეთვე თავის მიზნად აქვს დამნაშავის გამოსწორება და ხელახალი აღზრდა“.¹⁴

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის (1969 წელს მოქმედი რედაქცია) 22-ე მუხლის თანახმად, სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ. სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის დირსების დამცირება.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სასჯელის მიზნად მიიჩნევს მსჯავრდებულთა გამოსწორებას და მათ ხელახლა აღზრდას.

დამნაშავის აღზრდა-გამოსწორება ნიშნავს მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნას, მისი შეგნებიდან წარსულის იმ გადმონაშთების

¹³ იხ. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბილისი, 1983, გვ. 48.

¹⁴ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 42.

აღმოფხვრას, რომლებმაც განაპირობეს დანაშაულის ჩადენა, შრომითი ჩვევების გამოყენავებას, ზეობის ნორმებისა და კანონიერების პატივისცემის ჩანერგვას. დამნაშავის აღზრდა-გამოსწორება გულისხმობს, რომ მსჯავრდებულის ყოვაქცევა მომავალში საზოგადოების მორალური კოდექსის ნორმების შესაბამისად წარიმართება.¹⁵

ამასთან, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის გამოყენებით მიზნათ ისახავს დანაშაულთა თავიდან აცილებას როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა სისხლის სამართლი აღიარებს სასჯელის სპეციალურ (კერძო) და გენერალურ (ზოგად) პრევენციას. სასჯელის სპეციალური, ანუ კერძო პრევენციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული აცილებული იქნეს მსჯავრდებულთა მხრიდან, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ხოლო სასჯელის ზოგადი, ანუ გენერალური პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებას სხვა პირთა მხრიდან.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ხაზს უსვამს იმასაც, რომ სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიუენება ან ადამიანის დირსების დამცირება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის (1969 წელს მოქმედი რედაქცია) 23-ე მუხლით გათვალისწინებულია სასჯელის სახეები. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი მირითადი სასჯელები: 1) თავისუფლების აღკვეთა; 2) გადასახლება; 3) გასახლება; 4) გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად; 5) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; 6) ჯარიმა; 7) თანამდებობიდან დათხოვნა; 8) საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ძირითადი სასჯელების გარდა, მსჯავრდებულების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დამატებითი სასჯელები: 1) ქონების ქონფისკაცია; 2) სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა; 3) მშობლის უფლებების ჩამორთმევა.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა აგრეთვე სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას სიკვდილით დასჯას, რომელიც გათვალისწინებული იყო დამამდიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრას მკვლელობისთვის და ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

თითოეული სასჯელის სახის განხილვა სცილდება სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებს, ამიტომ შევეცდები შევეხო ისეთი სახის სასჯელებს, რომლებსაც აღარ ითვალისწინებს დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. მაგალითად, გადასახლება, გასახლება, საზოგადოებრივი გაკიცხვა და ა.შ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის (1969 წელს მოქმედი რედაქცია) 26-ე მუხლის თანახმად, გადასახლება მდგომარეობს მსჯავრდებულის გაძვებაში თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილზე სავალდებულ დასახლებით. ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის

¹⁵ იხ. საქართველოს სხრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 156-157.

თანახმად, გასახლება მდგომარეობს მსჯავრდებულის გაძევებაში თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით. 32-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი გაკიცხვა მდგომარეობს სასამართლოს მიერ დამნაშავისთვის გაკიცხვის საჯაროდ გამოცხადებაში, რაც საჭირო შემთხვევებში ეცნობება საზოგადოებრიობას პრესის ან სხვა საშუალებით.

საზოგადოებრივი გაკიცხვა ყველაზე მსუბუქი სასჯელია. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი დანაშაული და როცა მსჯავრდებულის გამოსასწორებლად არ არის საჭირო უფრო მძიმე სასჯელის გამოიყენება. საზოგადოებრივი გაკიცხვა დამნაშავეს მხოლოდ მორალურ სფეროს ეხება.¹⁶

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებდა მშობლის უფლებების ჩამორთმევას. მშობლის უფლებების ჩამორთმევას შეიძლება ადგილი ჰქონოდა, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ მსჯავრდებული ბოროტად იყენებდა მშობლის უფლებებს ან ბოროტად არიდებდა თავს მშობლის ვალდებულებების შესრულებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვასთან ერთად, მიიჩნევდა დამნაშავის გამოსწორებას და დანაშაულის თავიდან აცილებას. რაც, ვფიქრობ წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმდროინდელი სისხლის სამართლისათვის. დღეს მოქმედი სისხლის სამართალი სასჯელის ძირითად მიზნად მიიჩნევს დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას. აღნიშნულ საკითხებს დეტალურად შემდგომში შევეხებით.

შევეცადე მოკლედ განმეხილა სასჯელები და მათი მიზნები საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან მათი სრულყოფილი განხილვა სცილდება დისერტაციის ფარგლებს.

¹⁶ ი. საქართველოს სხრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 196.

თავი II

დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების პრობლემა

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების შესახებ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა და გამოიკვლია პროც. ალ. გაჩერიშვილმა. იგი წერს: „სისხლის სამართლს ახასიათებს ორი ძირითადი ცნება – დანაშაული და სასჯელი. იურიდიულ ლიტერატურაში დაყენებული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია მათგან პირველადი. რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ტაგანცევი წერდა, რომ დანაშაულებრივი ქმედება, როგორც იურიდიული ურთიერთობა, შეიცავს ორ ცალკეულ მომენტს: დამნაშავის დამოკიდებულებას კანონით დაცულ იურიდიული ინტერესისადმი – დანაშაულს და სახელმწიფოს დამოკიდებულებას დამნაშავისადმი, რაც გამოწვეულია უკანასკნელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობით – სასჯელს. ამიტომ ამ ავტორის აზრით, შესაძლოა სისხლის სამართლის ორგვარი კონსტრუქცია: ან პირველ პლანზე დაყენებულია დანაშაული, რომლის მიმართ სასჯელი წარმოადგენს ცოტად, თუ ბევრად აუცილებელ შედეგს, ანდა წინ წამოიწევა სასჯელი და დანაშაული განიხილება მხოლოდ როგორც სახელმწიფოს დასჯითი მოქმედების საფუძველი.“¹⁷

დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტაში აზრთა სხვაობის შედეგია ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლას ორგვარი სახელწოდება აქვს. პირველი მათგანი სამართლის ამ დარგს აცხადებს სასჯელის სამართლად, ხოლო მეორე – დანაშაულის სამართლად.¹⁸

დანაშაულისა და სასჯელის ცნებები სისხლის სამართლის ფუნდამენტური ცნებებია. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ევროპულ ენაზე სამართლის ამ დარგს ორგვარი სახელწოდება აქვს იმისდა მიხედვით, თუ რა იდეაა წინა პლანზე წამოწველი. თუ ასეთად დანაშაულის ცნებაა მიჩნეული, მაშინ მისი სახელწოდება წარმოადგება ლათინურიდან „Crimen“-დან. ამის შესაბამისად, მას უწოდებენ „Criminal law“ (ინგლისურ ენაზე), ხოლო თუ აქცენტი კეთდება სასჯელის ცნებაზე, მაშინ მას შესაბამისად ეწოდება „Strafrecht“ (გერმანულ ენაზე).¹⁹

ტაგანცევს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლში პირველადია დანაშაულის ცნება, ხოლო მეორეული სასჯელის ცნება. განსხვავებულ პოზიციაზე დგას რევოლუციამდელი კრიმინალისტი უიულენჯო, რომელიც სისხლის სამართლის პირველად ცნებად მიიჩნევს სასჯელს, ხოლო მეორეულ ცნებად დანაშაულს. საბჭოთა იურიდიულ

¹⁷ იხ. ალ. გაჩერიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 15.

¹⁸ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 36.

¹⁹ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 6.

ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი განიხილა დურმანოვა. დურმანოვი ცდილობს დამტკიცოს იმ დებულების მართებულობა, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს დანაშაულის პრიორიტეტს შედარებით სასჯელთან.²⁰

ა. სახაროვი წერდა: „სისხლის სამართლის პირველად ცნებას დანაშაული წარმოადგენს. სისხლის სამართალი, მისი მიზნები და ამოცანები განუყოფლად უკავშირდება ამ ცნებას“.²¹ ანალოგიურ პოზიციაზე დგას ა. ტრაინინი. იგი წერდა: „ვაქტობრივად და ლოგიკურადაც დანაშაული წინ უსწრებს სასჯელს“.²²

გერმანელი მეცნიერი გილპელმ ზაუერი პირველ ადგილზე აყენებს სასჯელის ცნებას²³. ანალოგიურ პოზიციაზე დგას გერმანელი მეცნიერი ჰელმუტ მაიერი.²⁴

პროფ. ო. გამყრელიძის აზრით, დანაშაულის ცნება მეორე ადგილზეა, წამოწეულია სასჯელის ცნებისგან. რომ არ იყოს სასჯელი, არ იქნებოდა არც დანაშაული.²⁵

სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის პირველადობას ასაბუთებენ იმით, რომ იგი არის ერთადერთი ნიშანი, რომელიც განასხვავებს სისხლის სამართალს სამართლის სხვა დარგებისაგან. თუ ქმედებას არ მოსდევს სასჯელი, იგი ეკუთვნის სამართლის სხვა რომელიმე დარგს.²⁶

რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში ვხვდებით შეხედულებას, რომელსაც დავა დანაშაულისა და სასჯელის პრიორიტეტის შესახებ მიაჩნია ლოგიკურ გაუგებრობად. ამ თვალსაზრისით დანაშაული და სასჯელი თანაფარდობითი ცნებებია.

პროფ. გურამ ნაჭუებია მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნებიდან იწყებს და სასჯელის ცნებით ამთავრებს, ხოლო ფილოსოფია სასჯელის ცნებიდან იწყებს, კრიტიკულად განაზოგადებს ამ მიმართებით სისხლის სამართლის მეცნიერების მონაპოვარს და გააკეთებს დასკვნებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის. ამრიგად, სისხლის სამართლის კერძო მეცნიერების პოზიციებიდან პირველადია დანაშაულის ცნება, სასჯელის ცნება კი მეორეული, ხოლო სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემატიკაში პირველადია სასჯელის ცნება, ხოლო მეორეული დანაშაულის ცნება.²⁷

თუ სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით აიგება, სისხლის სამართლის ფილოსოფია, პირიქით, სასჯელის ცნების პირველადობიდან ამოდის (სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთება-უარყოფით) და დანაშაულის ცნებით ამთავრებს. ეს იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის

²⁰ იბ. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და ხოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 23.

²¹ იბ. . . , , 1978, . 6.

²² იბ. . . , , 1951, . 10.

²³ იბ. W. Sauer, Grundlagen des Strafrechts, 1921, S. 69.

²⁴ იბ. H. Mayer, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1953, S. 16.

²⁵ იბ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013, გვ. 16.

²⁶ იბ. . . , , 1948, . 7.

²⁷ იბ. გ. ნაჭუებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998, გვ. 80.

ფილოსოფია კრიტიკულად განიხილავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულად სახელმწიფო გადამიზნისას იმსახურებს.²⁸

სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა თავისი არსით ფილოსოფიურია, რადგან, სისხლის სამართლის კერძო მეცნიერება ამგვარ საკითხებს არ სვამს და ვერც გადაჭრის.²⁹ ავტორის აზრით, ფილოსოფია სისხლის სამართლის სფეროში ორმაგად სასარგებლოა და, მაშასადამე, ფილოსოფიის უგულებელყოფა ორმაგად საზიანო იქნებოდა.

სისხლის სამართლის ფილოსოფიის მნიშვნელობაზე მსჯელობს ცნობილი ფრანგი კომპარატივისტი **ჟან პრადელიც**. იგი წერს: „სისხლის სამართალს მჭიდროდ უკავშირდება სისხლის სამართლის ფილოსოფია. სასჯელის თეორია დიდწილად ეფუძნება ფილოსოფიურ იდეებს. არსებობს არჩევანი დაშინებას, გამორიცხვასა და გამოსწორებას შორის. რეციდივისტის დახვა დამოკიდებულია ფილოსოფიურ არჩევანზე მორალურ პასუხისმგებლობას შორის. კომპარატივისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს კანონმდებლობის ფილოსოფიურ არჩევანს.“³⁰

პროფ. ალ. გახეიშვილი მიიჩნევს, რომ დანაშაული, შედარებით სასჯელთან, წარმოადგენს პირველად მოვლენას, როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისით. დანაშაულის ისტორიული პირველადობა მტკიცდება იმით, რომ სასჯელი წარმოიშობა, როგორც დანაშაულის საწინააღმდეგო დონისძიება, როგორც ბრძოლის იარაღი, მიმართული მართლწერიგის დარღვევის წინააღმდეგ.³¹

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველადია დანაშაულის ცნება, ხოლო მეორეული – სასჯელის ცნება. დანაშაული ისტორიულად და ლოგიკურად წინ უსწრებს სასჯელს. თუ დანაშაული არ არის ჩადენილი, მაშინ სასჯელის შესახებ მსჯელობა უაზრობა. სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ განხილულია დანაშაული, ხოლო შემდეგ სასჯელი, რაც იმის დადასტურებაა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველადია დანაშაულის ცნება, ხოლო მეორეული სასჯელის ცნება. რაც შეეხება, სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემატიკაში, ანუ სისხლის სამართლის ფილოსოფიაში პირველადია სასჯელის ცნება, ხოლო მეორეული კი დანაშაულის ცნება. აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება გამოიყენოს კონკრეტული პირის მიმართ სასჯელი? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის ფილოსოფიამ. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ფილოსოფიაში პირველადია სასჯელის ცნება, ხოლო მეორეული კი დანაშაულის ცნება, ვინაიდან ფილოსოფია იწყებს იქ, სადაც კერძო მეცნიერება ამთავრებს.

²⁸ იხ. გ. ნაჭეებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო) თბილისი, 2011, გვ. 163-164.

²⁹ იქვე, გვ. 162.

³⁰ იხ. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 28.

³¹ იხ. ალ. გახეიშვილი, სასჯელი და ხოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 26.

თავი III

სასჯელის ცნება და მისი დამახასიათებელი ნიშნები

§1. სასჯელის ცნება

სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. სხვადასხვა პერიოდში სასჯელის შინაარსს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. მე-V-X საუკუნეების მასალების მიხედვით სასჯელი (საშჯელი, სარჯელი, სარჩელი) ნიშნავდა ტანჯვას, სატანჯველს, სამართალს, განაჩენს, დასჯას, მსჯავრს. გამონაკლისის სახით სასჯელი მისი თანამედროვე მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მე-X საუკუნეში სასჯელის ცნების აღსანიშნავდ „სატანჯველი“ გვხვდება, მაგრამ „დასჯა“ და „სასჯელი“ ყოველთვის ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. სასჯელი ზოგჯერ სამართალსაც ნიშნავდა. მე-X-XII საუკუნეებში სასჯელი, საშჯელი ნიშნავდა სამსჯავროს, განკითხვას, გასამართლებას.³²

იმისათვის, რომ ვისაუბროთ სასჯელზე, უნდა ვიცოდეთ თუ რა არის დანაშაული, ვინაიდან სასჯელის გამოყენების საფუძველს დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს. დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ იმისათვის, რომ პირს დაენიშნოს სასჯელი, მის მიერ ჩადენილი უნდა იქნეს დანაშაული. ამიტომ, თუ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, შესაბამისად სასჯელიც არ დაენიშნება. (დანაშაულის ნიშნების განხილვას არ შევუდგებით, ვინაიდან იგი ცალკე კრცხალ მსჯელობას მოითხოვს და ნაშრომის ფარგლებს სცილდება).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს, ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ დონისძიებას.“ როგორც ამ საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, პირს სასჯელი დაენიშნება მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. ამდენად, სასჯელი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსში. ამგვარად, სისხლის სამართალში მოქმედებს კანონიერების პრინციპი: „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა სასჯელის ცნებას. სასჯელი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.

8. გოთუას აზრით, სისხლისსამართლებრივი სასჯელი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების დონისძიება, რომელიც სასამართლოს განაჩენით გამოიყენება

³² იხ. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, გვ. 116.

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ. იგი დასჯაა, რომელიც მსჯავრდებულისათვის კანონით განსაზღვრულ უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევასთან ან შეზღუდვასთან ერთად გარკვეული ტანჯვის მიერნებასაც გულისხმობს.³³

თ. დონჯაშვილის აზრით, სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სამართლებრივი სიკეთის დაცვაში. ამ სიკეთის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა სასჯელი. სისხლის სამართლის სასჯელის არსი გამოიხატება დამნაშავის როგორც დასჯაში, ისე გამოსწორებაში. თუ ორივე მომენტი არ არის სახეზე (ან გვაქვს თუნდაც ერთ-ერთი), სასჯელი არ გვექნება.³⁴ ვერ გავიზიარებ ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის არსი მოიცავს, როგორც დასჯას, ისე გამოსწორებას. მართალია სასჯელის არსი მოიცავს დასჯას, მაგრამ გამოსწორება სასჯელის არსი კი არ არის, არამედ სასჯელის მიზანია. ეს კი სხვა არაფერია თუ არა სასჯელის ცნებისა და მისი მიზნის გაიგივება. ამიტომაცაა, რომ სისხლის სამართლის თეორიაში ერთმანეთშია აღრეული სასჯელის ცნება და მისი მიზანი.

სასჯელი სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებაა, რომლის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. როდესაც სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს, იგი გამოხატავს დანაშაულებრივი ქცევის უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს სახელით.³⁵

სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში განმარტებულია შემდეგნაირად: სასჯელი არის იძულებითი ღონისძიება, რომელსაც ნიშნავს მხოლოდ სასამართლო დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ და გამოხატავს დამნაშავისა და მისი ქმედების უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს მიერ. იგი სრულდება იმ უფლებების შეზღუდვით, რომელიც სასჯელის დადებამდე ჰქონდა მსჯავრდებულს.³⁶ სასჯელის ანალოგიურ ცნებას იძლევა გ. ჯრიგერი. იგი მიუთითებს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელი არის სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიება, რომელსაც ნიშნავს სასამართლო იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული.³⁷

პროფ. გურამ ნაჭეულია ასე განმარტავს სასჯელს: სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული, უკიდურესი ზომა, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით, ართმევს ან უზღუდავს მსჯავრდებულს განსაზღვრულ სიკეთეს და იწვევს მასში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას. როგორც ვხედავთ, ავტორი სასჯელის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევს მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას.³⁸ მართლაც, სასჯელი იწვევს მსჯავრდებულის მორალურ-

³³ იხ. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 5.

³⁴ იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 374.

³⁵ იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 155.

³⁶ იხ. . . , , 1985, . 5.

³⁷ იხ. . . , , 1962, . 6.

³⁸ იხ. გ. ნაჭეულია, მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, სამართალი, 1995, №3-4, გვ. 38.

ფსიქოლოგიურ ტანჯვას და ეს განსაკუთრებით ითქმის გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, ვინაიდან ისინი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე განზრახი დანაშაულის ჩამდენი პირები.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის თეორიაში ძალზედ პრობლემურია სასჯელის ცნების განსაზღვრა, რის გამოც არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები სასჯელის დეფინიციის ჩამოყალიბებისას.

მართალია, ავტორები სისხლის სამართლის თეორიაში იყენებენ ტერმინს „სასჯელს“, მაგრამ უფრო ხშირად ხმარობენ „რეპრესიას.“ იმისათვის, რომ ხალხს უფრო კარგად გაეგოთ, „რეპრესიის“ გვერდით ფრჩხილებში სვამდენებ „სასჯელს.³⁹ ო. ნორ წერს – „სასჯელი“ მიუღებელი იყო სოციალისტურ სისხლის სამართალში. ამ პერიოდის ლიტერატურაში ბატონობდა ისეთი პოზიცია, რომ სასჯელი უცხოა საბჭოთა სისხლის სამართლის იდეებისა.⁴⁰ 1924 წლის მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებიდან საერთოდ იყო ამოღებული „სასჯელი“ და მის ნაცვლად გვხვდება „სოციალური დაცვის დონისძიება.“ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელს. სასჯელი აუცილებლად მოითხოვს ბრალს, ხოლო სოციალური დაცვის დონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომლის მიერ ჩადენილი ქმედება ბრალს გამორიცხავს.

სასჯელის დეფინიცია ჩამოყალიბა 1996 წლის რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში. ამავე კოდექსის 43-ე მუხლში მითითებულია: „სასჯელი არის სახელმწიფო უკეთებელის დონისძიება, რომელსაც ნიშნავს სასამართლო დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც ცნობილია ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და მთავრდება იმით, რომ ამ პირს ეზღუდება უფლებები და თავისუფლებები სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.⁴¹

სასჯელის ცნებას არ იძლევა გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. სასჯელი განმარტებულია გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში.

გროთიუსის (1583-1645) ცნობილი დეფინიციის მიხედვით, სასჯელი არის მისასვლელი უკეთურებასთან, შერისგება უკეთურებისა.⁴²

უამრადელი მიუთითებს, რომ სასჯელი არის განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობის ხელყოფის დამსჯელი ფიზიკური და მორალური ზემოქმედება და წარმოადგენს დანაშაულის შემსრულებლის ქცევის გაკიცხვას.⁴³

სასჯელის ნიშნების განხილვისას გაკიცხვის მნიშვნელობაზე საუბრობს პროფ. ო. გამყრელიძეც. იგი წერს: „სასჯელი არის მოსამართლის მიერ დამნაშავის გაკიცხვა, რომელიც მისი (დამნაშავის) უფლებების მიზანმიმართული შეზღუდვის საფუძველია. გაკიცხვა, საყვედური, ესე იგი დამნაშავის ქცევის უარყოფითი შეფასება სასჯელის

³⁹ ob. . . ,

, 1962, . 10.

⁴⁰ , , . 12.

⁴¹ ob. . . ,

2, , , , 2002, . 1.

⁴² ob. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 1.

⁴³ ob. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეგაზერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 417.

აუცილებელი ნიშანია. დამნაშავის დასჯა მისი ქცევის გაკიცხვაა.⁴⁴ ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება ყურადსალები და გასაზიარებელია, ვინაიდან სასჯელი თავის თავში მოიცავს გაკიცხვის (დასჯა) ელემენტებს. როდესაც მოსამართლე გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს და პირს დაუნიშნავს სასჯელს, ამით იგი ახდენს დანაშაულის ჩამდენი პირის გაკიცხვას.

მაიერის მოსაზრებით, სასჯელი შეიცავს დამნაშავისათვის იძულებით დაკისრებულ ბოროტებას, ასევე იწვევს ნასამართლობას და საჯარო სოციალურ ეთიკურ დაგმობას ჩადენილ ბრალეულ ქმედებაზე.⁴⁵

სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი და მჭრელი იარაღი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. სასჯელი არის ბრალზე დამოკიდებული სანქცია.⁴⁶

სასჯელი ბოროტებაა, შურისძიებაა, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი ნორმის დარღვევით გამოწვეული ზიანის იძულებით ანაზღაურებაში.⁴⁷

სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულზე ბოროტების დაკისრების მეშვეობით.⁴⁸

როგორც ვხედავთ, სასჯელის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს. **ფრანც ლისტის** მოსაზრებით სასჯელი არის ორად გაჭრილი ხმალი: „სამართლებრივი სიკეთის დაცვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მეშვეობით“.⁴⁹

ერთ-ერთი ავტორი ითანხს ბიულეტი მიუთითებს, რომ სასჯელი არის ძალადობა (კარგი ძალადობა), რომელიც უნდა იყოს სწორი, გამართლებული და ლეგიტიმური.⁵⁰

სასჯელის დახასიათებისას სამ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- სამართლიანი დაბალანსება ჩადენილი ქმედებისათვის (სამაგიეროს მზღვა).

- პრევენციული საშუალება პოტენციური დამნაშავის დაშინებით (გენერალური პრევენცია).

საშუალება დამნაშავის გამოსასწორებლად (**სპეციალური პრევენცია**).⁵¹ ადნიშნული საკითხები დეტალურად განხილული იქნება სასჯელის თეორიების დახასიათებისას.

სისხლისსამართლებრივ სასჯელს გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

⁴⁴ იხ. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის უერნალი – www.dgstz.de, გვ. 7.

⁴⁵ იხ. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 15.

⁴⁶ იხ. J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995, S. 704.

⁴⁷ იხ. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012, S. 14.

⁴⁸ იხ. D. Kazushige, Wozu bestrafen wir Straftäter? Staat, Strafe und ich, 2011, S. 21.

⁴⁹ იხ. M. Baurmann, Strafe im Rechtsstaat, München, 1990, S. 112.

⁵⁰ იხ. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 11.

⁵¹ იხ. W. Gropp, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 32.

§2. სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული დონისძიება

სასჯელი – ეს სახელმწიფო იძულების დონისძიება; უფლება – დასაჯო პიროვნება, რომელსაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში – აქვს მხოლოდ სახელმწიფოს. სასჯელის იძულებითობა ნიშნავს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილის ვალდებულებას, რომელიც დანაშაულის ჩადენისთანავე წარმოიშობა, რათა შესრულდეს სასამართლოს განაჩენი. ამ სამართალურთიერთობაში, ხელშეკრულების მიხედვით, მხარედ სამართალდამცავი ორგანოების სახით გამოდის სახელმწიფო, ხოლო მეორე მხარედ – პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ხოლო ვალდებულება ამ პირისა – შეასრულოს, მიიღოს განაჩენი, წარმოიშობა იმის შემდეგ, რაც ის ცნობილი იქნება დამნაშაულ სასამართლოს მიერ და დაენიშნება სასჯელი.⁵² ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დაწყებასთან დაკავშირებით არსებობს პროფ. გ. ნაჭებიას განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იწყება დანაშაულის ჩადენამდე და არა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება ზოგადი პრევენციის დახასიათებისას.

პროფ. გ. ტყეშელიაძე მიუთითებს, რომ სასჯელი წარმოადგენს იძულებით დონისძიებას. სწორედ ამით გამოიხატება ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი სასჯელის სპეციფიკა. ასეთი იძულებითი დონისძიება ნიშნავს მსჯავრდებული დამნაშავის პირადი, შრომითი და ქონებრივი უფლებების ადგენას ან შეზღუდვას. რასაკვირველია, ეს იწვევს მსჯავრდებულის ფიზიკურ და ფსიქიკურ განცდებს. საწინააღმდეგოს მტკიცება მართლაც თვალომაქცობა იქნებოდა და სასჯელს მის სპეციფიკურობას ჩამოაცილებდა.⁵³

სასჯელის დაწესება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს. სასჯელი არის რა იძულებითი დონისძიება, ინიშნება სახელმწიფოს სახელით და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.⁵⁴

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული დონისძიება. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ სახელმწიფო იძულების სხვა დონისძიებებისაგან (ადმინისტრაციული სახდელი, დისციპლინური სახდელი და ა.შ) განსხვავებით სასჯელი ყველაზე მკაცრი იძულებითი დონისძიებაა.

ზ. გოთუა მიუთითებს, რომ „სასჯელი არის სახელმწიფო იძულების დონისძიება, ამასთან, სახელმწიფო იძულების დონისძიებათა

⁵² იხ. ზ. მევანაძე, ო. მინდაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005, გვ. 292-293.

⁵³ იხ. გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბეგაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996, გვ. 408.

⁵⁴ იხ. პ. კვირკველია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2004, გვ. 275.

ნებისმიერ სხვა ფორმას შორის ყველაზე მკაცრი და მძიმე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.⁵⁵

პროფ. ი. დვალიძის მოსაზრებით სასჯელი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი, სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი დონისძიებაა, ამიტომ კონკრეტული ქმედებისთვის სასჯელის დაწესებისას კანონმდებელმა განსაკუთრებული უურადღება უნდა მიაქციოს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას, ეფექტურობას, პროპორციულობასა და ეკონომიკურობას.⁵⁶

პროფ. ბ. უტევხის აზრით დასჯა არის იძულება. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ბ. ნიკიფოროვი. იგი წერს, რომ ყველა იძულება არ შეიძლება მივაკუთვნოთ დასჯას. დასჯა არის ტანჯვის მიყენება. ნოის აზრით ნიკიფოროვი, რომელიც მიიჩნევს, რომ ყველა იძულება არ შეიძლება მივაკუთვნოთ დასჯას, ვთვლი არასწორად, ვინაიდან დასჯა გულისხმობს იძულებას.⁵⁷ მიმართ რომ სასჯელი, რომელიც დასჯის ელემენტებს შეიცავს, ყოველთვის იძულებას გულისხმობს, ვინაიდან სასჯელი არის იძულებითი დონისძიება, მისი შინაარსი მოიცავს იძულებას. ამასთან, სასჯელის მიზანი არ არის ტანჯვის მიყენება.

იმისათვის, რომ დავასაბუთოთ სასჯელის იძულებითი ხასიათი, საჭიროა მოკლედ მიმოვისილოთ პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა.

ამ საკითხზე ფრიად საინტერესოდ მსჯელობს პროფ. გურამ ნაჭევიძია. (უნდა ადინიშნოს, რომ, ავტორს მხედველობაში ჰქონდა საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). იგი წერს, – პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება იძულებას გამორიცხავს, ხოლო სასჯელი კი პირიქით, იძულების გარეშე შეუძლებელია. თუ მართლაც ეს ასეა, მაშინ პირდაპირი განზრახვა და სასჯელი ფსიქოლოგიურად გამორიცხავენ ერთმანეთს. რის გამოც მათ შორის ლოგიკური კავშირის დასაბუთება შეუძლებელია. ავტორი მიიჩნევს, რომ შეგნება პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშანია, ხოლო განა ინტელექტს შეუძლია არასასურველი შედეგი სასურველად აქციოს? სამწუხაროდ, თითქმის გაბატონებულია დებულება, რომლის თანახმად საზოგადოებრივად (დღეს მართლსაწინააღმდეგო) შედეგების დადგომის შეგნება ამავე დროს მათ სასურველობაზეც მეტყველებს.⁵⁸ ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ინტელექტზე ნების დაყვანა, ასევე ჯერარსის არსებ დაყვანა, რასაც ადგილი ჰქონდა ჰეგელის ფილოსოფიაში. ამ საკითხს უფრო დეტალურად შემდგომში შევეხებით.

პროფ. გურამ ნაჭევიძიას აზრით, სასჯელი ფსიქოლოგიურად განიცდება, როგორც იძულება, ამიტომ სასჯელი ფსიქოლოგიურად არ უკავშირდება პირდაპირი განზრახვის ტრადიციულ ცნებას (ავტორს მხედველობაში აქვს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი). იმისათვის, რომ აღნიშნულ ცნებებს შორის ფსიქოლოგიური კავშირი დამყარდეს,

⁵⁵ იბ. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 6.

⁵⁶ იბ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 12-13.

⁵⁷ იბ. . . . , 1962, . 24.

⁵⁸ იბ. გ. ნაჭევიძია, პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა, სახელმწიფო და სამართალი, 1990, №10, გვ. 21.

რჩება ერთი გამოსავალი: პირდაპირი განზრახვის ცნება ისე უნდა აიგოს, რომ ფსიქოლოგიურად იძულებას არ გამორიცხავდეს.

ლოგიკურად მსჯელობს ავტორი, როდესაც მიუთითებს, რომ პირდაპირი განზრახვა ფსიქოლოგიურად იძულებას შეიძლება არ გამორიცხავდეს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ა-მ სადაზღვევო კომპანიისგან თანხის მიღების მიზნით ააფექტა საკუთარი სახლი. მან იცის, რომ სახლის მეორე სართულზე იმყოფება ავადმყოფი მოხუცი. ა-ს არ სურს მოხუცის სიკვდილი, თუმცა გარდუვალად მიიჩნევს, რომ სახლის აფექტების შედეგად მოხუცი დაიღუპება. მიუხედავად იმისა, რომ ა-ს არ სურს ავადმყოფის სიკვდილი, იგი მაინც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს სურს შედეგი, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა არ სურს შედეგი, მაგრამ ითვალისწინებს შედეგის დადგომის გარდაუვალობას. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ადამიანი შეიძლება არ იყოს აბსოლუტურად თავისუფალი. ამ მაგალითიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პირდაპირი განზრახვა არ გამორიცხავს იძულებას. ამდენად, პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ფსიქოლოგიურ-ლოგიკური დასაბუთება სავსებით შესაძლებელია.

დღეის მდგომარეობით ეს პრობლემა მოხსნილია საკანონმდებლო გზით. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილში გამოხატულია ინტელექტისა და ნების თანაფარდობა. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ნების იძულება სავსებით შესაძლებელია.

§3. სასჯელის ინდივიდუალური, პირადი ხასიათი

სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის იურიდიულ შედეგს. არცერთი სხვა სამართლდარღვევისათვის არ ინიშნება სასჯელი, სასჯელი ინიშნება მხოლოდ დანაშაულის ჩადენისათვის.

სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. ე.ი. სასჯელს აქვს მკაცრად განსაზღვრული ინდივიდუალური, პირადი ხასიათი. ყოველმა პირმა, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალული ქმედება, ანუ დანაშაული, პასუხი უნდა აგოს პირადად არა მის მაგივრად სხვა პირმა. აღნიშნულ საკითხზე მართებულად მსჯელობს პროფ. თ. გამყრელიძე. იგი წერს: „თუ სასჯელის არსებობა გამოხატავს გაყიცხვა წარსულში ჩადენილი კონკრეტული ქმედებისათვის, ცხადია, ეს გაყიცხვა უნდა შეეხოს სწორედ იმას, ვინც იგი დაიმსახურა და არ შეიძლება გავრცელდეს

სხვაზე, ვინც ის არ დაიმსახურა.“⁵⁹ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგებოდა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს. ჯარიმა არის სასჯელი და იგი უნდა დაენიშნოს მხოლოდ იმას, ვინც უშუალოდ დანაშაული ჩაიდინა. აღნიშნული პრობლემა დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.

2011 წლის 11 ივლისს საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.⁶⁰ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5¹ ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან, მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველ წინადაღებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5¹ ნაწილის საფუძველზე გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დაკისრებული ჯარიმის მშობლისთვის, მეურვისთვის ან მზრუნველისთვის გადახდის დაკისრება, ვერ იქნება განხილული მათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებად და, შესაბამისად, სადაცო ნორმით არ ირღვევა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა.⁶⁰

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებისა, ვფიქრობ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილი წინააღმდეგობაში მოდიოდა სისხლის სამართლის ისეთ პრინციპთან, როგორიცაა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩანაწერი აღარ გვხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ამავე კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.⁶¹ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრობლემა გადაჭრილია საკანონმდებლო დონეზე (ზემოაღნიშნული სადაცო ნორმა გაუქმებულია), მის უფრო დეტალურად განხილვას აღარ შევუდგებით.

⁵⁹ იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013, გვ. 46.

⁶⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება.

⁶¹ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.

§4. სასჯელის დანიშვნა სასამართლოს მიერ და მისი საჯარო-სამართლებრივი ხასიათი

სისხლისსამართლებრივი სასჯელი ინიშნება სახელმწიფოს სახელით, მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. ე.ი. მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა პირისათვის სასჯელის დანიშვნა. არც ერთ სხვა ორგანოსა, თუ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება გამოიყენოს სასჯელი, გარდა სასამართლოსი. მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი გამოიტანოს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის იურიდიულ შედეგს. ნებისმიერი სხვა სამართალდარღვევა (ადმინისტრაციული, დისკიპლინური და ა.შ) ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებას.⁶²

როდესაც სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს, იგი გამოხატავს დანაშაულებრივი ქცევის უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს სახელით.⁶³

განაჩენი, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, წარმოადგენს საყოველთაოს და ექვემდებარება აღსრულებას მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოს განაჩენი, მიუხედავად იმისა, სასამართლო პროცესი დახურულად ჩატარდა, თუ დიად, ყველა შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. ამრიგად, სასჯელს ახასიათებს საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. აღნიშულზე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

ევროპული კონვენციის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. ძირითადი მიღების გამოყენების მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა აკსტრიის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში, ვინაიდან გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ლეგიტიმური ინტერესის მქონე პირებისთვის და სასამართლოს დისკრეციის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა კომიტეტს მოუწია ისეთი საქმის განხილვა, სადაც თვით განსასჯელს არ მიუღია გადაწყვეტილების წერილობითი ასლი. კომიტეტის გადაწყვეტილებით დარღვეული იქნა საერთაშორისო პაქტი, ვინაიდან გადაწყვეტილება არ გამხდარა საჯარო.⁶⁴

სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის ერთ-ერთ ნიშნად მიჩნეულია, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დამნაშავისა და მის მიერ

⁶² ი. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 6.

⁶³ ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 155.

⁶⁴ ი. ზ. ტრექელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 162-163.

ჩადენილი ქმედების უარყოფითი მორალურ-პოლიტიკური შეფასება.⁶⁵ სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის სახელმწიფო გაკიცხვას.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სასჯელის მრავალგვარი განმარტება არსებობს. გერმანელი პროფესორი ჰელმუტ ფრისტერი სასჯელის საჯარო-სამართლებრივი ბუნების განხილვისას, მიუთითებს, რომ სასჯელი ეს არის საზოგადოების რეაქცია საჯარო ინტერესის დარღვევაზე და მოქმედების ძალას იძენს მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენით ხდება სამართლებრივი ნორმის დარღვევა.⁶⁶

§5. მსჯავრდებულისათვის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა და ჩამორთმევა

სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თავისი შინაარსით, წარმოადგენს მსჯავრდებულის დასჯას, რასაც აუცილებლად თან სდევს მისთვის გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების საერთოდ ჩამორთმევა ან შეზღუდვა (რომლის მოცულობაც, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელის სახითა და ხანგრძლივობით განისაზღვრება). სწორედ დასჯა, როგორც აუცილებელი ელემენტი სასჯელის შინაარსისა, განასხვავებს მას სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა დონისძიებებისაგან.⁶⁷

სასჯელი, დამნაშავის ზნეობრივ გაკიცხვასთან ერთად, მისთვის ერთგვარი ტანჯვის მიყენებას, მისი პირადი და ქონებრივი უფლების გარკვეულ შეზღუდვასაც გულისხმობს (მაგალითად, პირადი თავისუფლების აღკვეთა, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შეზღუდვა, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა).⁶⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. ამდენად, სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნის შემთხვევაში, მსჯავრდებულს შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა თანამდებობის

⁶⁵ იბ. ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 214.

⁶⁶ იბ. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, Munchen, 2006, S. 1.

⁶⁷ იბ. ზ. გოთუა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 7.

⁶⁸ იბ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 153-154.

დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისთვის, რამაც გამოიწვია ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული ქმედებისათვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად გათვალისწინებულია თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია მსჯავრდებულს ჩამოართვას თანამდებობის დაკავების და საქმიანობის უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ სასჯელის სახით სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის დანიშნის შემთხვევაში სასჯელის მოხდის დროს არ შეიძლება მსჯავრდებულის დაწინაურება თანამდებობაზე, მისთვის სამხედრო წოდების მომატება.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირისათვის (ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი, ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი და ა.შ) გარკვეული უფლებებისა და საქმიანობის ჩამორთმევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური საქმიანობის უფლება, იარაღის ტარების უფლება და ა.შ. ისმის კითხვა, ხომ არაა ეს შეზღუდვები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახის კერძო შემთხვევები? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევასთან ერთად საუბრობს საქმიანობის უფლების ჩამორთმევაზე (პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობა). ამდენად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები (მაგ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება) შეიძლება მოვიაზროთ სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის (საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) კერძო შემთხვევად. თუმცა, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია შეზღუდვის ისეთი სახე, როგორიცაა პასიური საარჩევნო უფლება, რომელიც არ შეიძლება მოვიაზროთ საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში (სსკ-ის 43-ე მუხლი). ამდენად, მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ზოგიერთი სახისა (მაგ. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) და ზემოთჩამოთვლილი

უფლებებისა და საქმიანობის ჩამორთმევის მსგავსებისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული უფლებებისა და საქმიანობის ჩამორთმევა არ წარმოადგენს სასჯელს, ვინაიდან იგი არ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში (სასჯელთა სისტემა), სადაც ამომწურავად არის ჩამორთვლილი სასჯელის სახეები. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ დონისძიებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი დონისძიება გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და არა სხვა კანონით. შესაბამისად, მიმართია, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები (სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების, საექიმო საქმიანობის უფლების, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ა.შ) ეწინააღმდეგება, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლს, სადაც ამომწურავად არის ჩამორთვლილი სასჯელთა სახეები, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც მიუთითებს, რომ ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ დონისძიებას აწესებს სისხლის სამართლის კოდექსი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სასჯელის დანიშვნისას, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და საქმიანობის ჩამორთმევა სავალდებულოა.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამდენად, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს უფლება არა აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელი იწვევს მსჯავრდებულისათვის გარკვეული უფლებებისა და საქმიანობის ჩამორთმევას ან შეზღუდვას.

§6. ნასამართლობა, როგორც სასჯელის ნიშანი

სისხლისსამართლებრივი სასჯელი სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან განსხვავებით იწვევს ნასამართლობას. ნასამართლობა არის ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მოქნებამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

ნასამართლობა ზოგჯერ იწვევს შეზღუდვას, საჯარო სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით. მაგალითად პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი. ასევე საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახი ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.

ნასამართლობის გაქარწყლება ხდება კანონით დადგენილ ვადებში, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტული სასჯელის სახესა და ზომაზე, ხოლო ნასამართლობის მოხსნა ხდება სასამართლოს მიერ ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

პროფ. ი. დვალიძის მოსაზრებით დიფერენცირებული მიღვომაა საჭირო პიროვნების ნასამართლობისადმი. იგი წერს: „მაგალითად, თაღლითობისთვის ნასამართლევი, კვლავ თაღლითობას ახორციელებს. ამგვარ სიტუაციაში სასჯელის გამკაცრების სრული საფუძველი არსებობს.“⁶⁹ მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება არ არის სწორი. კერძოდ, თუ თაღლითობისთვის ნასამართლევმა (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა) პირმა კვლავ ჩაიდინა თაღლითობა, ქმედება დაკვალიფიცირდება არაერთგზის თაღლითობად, ხოლო თუ წინათ ჩადენილი თაღლითობისთვის მას ნასამართლობა მოეხსნა ან გაუქარწყლდა, დაუშვებელია სასჯელის დანიშნისას ნასამართლობის მხედველობაში მიღება (ამ მოტივით სასჯელის გამკაცრება). **პროფ. ი. დვალიძე** ზემოაღნიშნულ მაგალითში მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირს თაღლითობისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს და შემდეგ ჩადის ანალოგიურ დანაშაულს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება არაერთგზის თაღლითობად, რა დროსაც ნასამართლობა სასჯელის

⁶⁹ იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 99.

დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება. თუ სასჯელის დანიშვნისას მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ დაირღვევა სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის პვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. ამდენად, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება დაუშვებელია, თუნდაც იგივეობრივი დანაშაულის ჩადენისას.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სასჯელის ნიშნებიდან გამომდინარე, საბოლოოდ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სასჯელის ცნება.

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, დანაშაულის ჩადენისათვის, სასამართლოს მიერ, სახელმწიფოს სახელით და დაკავშირებულია დანაშაულის ჩამდენი პირისათვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, იწვევს მსჯავრდებულში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, მისი ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას და ნასამართლობას.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ სასურველი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში თავდაპირველად განმარტოს სასჯელის ცნება და შემდეგ მისი მიზნები.

§7. სასჯელის გამიჯვნა სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან

სისხლისსამართლებრივი სასჯელი თავისი სპეციფიკური შინაარსით განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებებისაგან, როგორებიცა: 1) პირობითი მსჯავრი; 2) დაკავება; 3) აღკვეთის ღონისძიებანი; 4) სამოქალაქო პასუხისმგებლობა; 5) ადმინისტრაციული სახდელები; 6) დისციპლინური სახდელები და ა. შ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1) პირობითი მსჯავრის ცნებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები.

ლიტერატურაში დავაა თვით ტერმინთან დაკავშირებით. უცხო ქვეყნების იურიდიული ლიტერატურიდან თარგმნის შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი „პირობითი სასჯელი“, სისხლის სამართლის როგორც ძველი, ისე მოქმედი კოდექსი იყენებს პირობით მსჯავრს. რიგი ავტორების აზრით, უმჯობესია ტერმინი - „სასჯელის პირობით გამოუყენებლობა“⁷⁰.

⁷⁰ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 392.

პირობითი მსჯავრი უნდა პასუხობდეს იმ მიზნებს, რაც მთავარი სისხლისსამართლებრივი ღონისძიების – სასჯელის წინაშეა დასახული, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს ორი, სრულიად დამოუკიდებელი იურიდიული ბუნების მქონე სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი ერთმანეთზე დავიყვანოთ და იდენტურად გამოვაცხადოთ⁷¹.

პროფ. გორგი ტყეშელიაძე პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს სასჯელის ინდივიდუალიზაციის სტადიას უკავშირებს. იგი წერს: „რაკი იმ დასკვნამდე მივედით, რომ კანონით გათვალისწინებულ პირობებში ქმედების კვალიფიკაცია თანაბრად აუცილებელია როგორც სასჯელის, ისე პირობითი მსჯავრის დანიშვნისას, მათ შორის განსხვავების საფუძვლები უნდა ვეძებოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის სტადიაში“⁷².

პირობითი მსჯავრი სასჯელთან ერთად არის ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა და მიეკუთვნება სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა რიცხვს, რომლის შესახებაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში, ანუ პირობითი მსჯავრი ეს ისეთი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებაა, რომელიც მსჯავრდებულისადმი გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევა, რადგან იცვლება ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტატუსი და მას ეკვრება დამნაშავის „დამდა“⁷³.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ პირობითი მსჯავრი განაჩენის აღსრულების ან სასჯელის მოხდის განსაკუთრებული სახეა⁷⁴.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პირობითი მსჯავრი არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, ვინაიდან იგი არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში (სასჯელთა სისტემა), სადაც ამომწურავად არის ჩამოთვლილი სასჯელის სახეები.

ჩემი აზრით, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის პირობით არგამოყენებას, რა დროსაც მსჯავრდებულს უწესდება გამოსაცდელი ვადა, რომლის განმავლობაშიც მან არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა⁷⁵.

2) სისხლისსამართლებრივი სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებისაგან, როგორიცაა დაკავება. ა) დაკავება არის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახე, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ, ხოლო სასჯელი გამოიყენება მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დადასტურებული აქვს დანაშაულის ჩადენა. ბ) დაკავება შეიძლება,

⁷¹ იხ. მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი სამართალი, 2004, №1-2, გვ. 61.

⁷² იხ. გ. ტყეშელიაძე, პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი საბჭოთა სამართალი, 1964, №5, გვ. 19.

⁷³ იხ. მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრი, როგორც ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა, ჟურნალი სამართალი, 2002, №11-12, გვ. 93.

⁷⁴ იხ. М. Шаргородский, Наказание по советскому уголовному праву, 1958, ст. 156.

⁷⁵ იხ. ი. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 245-246.

როგორც შერაცხადი, ისე შეურაცხი პირისა. მაგ. შეურაცხი პირის დაკავება შესაძლებელია, როდესაც შეურაცხი პირის მიერ ხდება თავდასხმა. რაც შეეხება სასჯელს, იგი გამოიყენება მხოლოდ შერაცხადი პირის მიმართ. გ) დაკავების გამოყენების უფლება აქვთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლში ჩამოთვლილ პირებს. რაც შეეხება სასჯელს, მისი გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

3) სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებებისაგან, როგორიცაა აღკვეთის ღონისძიებანი. ა) სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, როდესაც მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას, რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებებს, ისინი გამოიყენება ბრალდებული პირის მიმართ, როდესაც მას ჯერ კიდევ დადასტურებული არა აქვს დანაშაულის ჩადენა. ბ) სასჯელი არის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, ხოლო აღკვეთის ღონისძიებანი კი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება. გ) პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი სახის აღკვეთის ღონისძიება. მაგ. დაპატიმრება, გირაო და ა. შ. რაც შეეხება სასჯელს, იგი შეიძლება დაინიშნოს როგორც ერთი, ასევე ერთზე მეტი. მაგ. თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. დ) **ი. გაბისონია წერს**, – აღკვეთის ღონისძიება სამაგისტროს მიზნის, დასჯის რაიმე ღონისძიება კი არ არის, არამედ სწორედ ბრალდებულის შესაძლო (მოსალოდნელი) დამაბრკოლებული, ხელისშემშლელი მოქმედებისა თუ უმოქმედობის აღკვეთის და/ან თავიდან აცილების საშუალებაა (გზაა, ხერხია, მეთოდია), იძულებითი სასიათის ზომაა.⁷⁶ როგორც ვხედავთ, აღკვეთის ღონისძიებები თავისი შინაარსით არსებითად განსხვავდებიან სისხლისსამრთლებრივი სასჯელისაგან, რომელიც შეიცავს არა მარტო დასჯის ელემენტებს, არამედ მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და „მსჯავრდებულის“ რესოციალიზაციას, ხოლო აღკვეთის ღონისძიებები ამგვარ ელემენტებს არ შეიცავს.

4) სისხლისსამართლებრივი სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებისაგან, როგორიცაა სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ა) სამოქალაქო პასუხისმგებლობას იწვევს სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევა, განსხვავებით სისხლისსამრთლებრივი სასჯელისაგან, რომელსაც იწვევს მხოლოდ დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ბ) ქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით, განსხვავებით სისხლისსამრთლებრივი სასჯელისაგნ, რომელიც ყოველთვის იძულებით ხასიათს ატარებს. გ) სისხლისსამრთლებრივი სასჯელი გამოიხატება თავისუფლების აღკვეთასა ან შეზღუდვაში, განსხვავებით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. დ) სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ხოლო ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს, როგორც ზიანის მიმყენებულს, ისე სხვა პირს. ე) და ბოლოს, სასჯელი იწვევს ისეთ

⁷⁶ იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2003, გვ. 7.

სამართლებრივ შედეგს, როგორიცაა ნასამართლობა, განსხვავებით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელიც ნასამართლობას არ იწვევს.

5) სისხლისსამართლებრივი სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებისაგან, როგორიცაა ადმინისტრაციული სახდელი. ა) სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ხოლო ადმინისტრაციული სახდელი კი ადმინისტრაციული სამართლდამრღვევი პირის მიმართ. ბ) ადმინისტრაციულ სამართლდარღვევას მოსდევს შედარებით მსუბუქი სახელმწიფო იძულების ღონისძიება ადმინისტრაციული სახდელი, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულს მოსდევს სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ღონისძიება – სასჯელი. გ) სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მიერ სახელმწიფოს სახელით, რაც შეეხება ადმინისტრაციულ სახდელს, მისი გამოტანა ხდება არა სახელმწიფოს სახელით და არა სასამართლოს განაჩენით, არამედ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებით, ან სასამართლოს დადგენილებით. დ) არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადმინისტრაციული სამართლდარღვევა გადაიზრდება სისხლის სამართლის დანაშაულში, ადმინისტრაციული სამართლდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში. მაგ. ნარკოტიკული საშუალების პირველადი მოხმარების შემთხვევაში დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო განმეორებით მისი ჩადენის შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ე) სისხლისსამართლებრივი სასჯელი იწვევს ისეთ სამართლებრივ შედეგს, როგორიცაა ნასამართლობა, ხოლო ადმინისტრაციული სახდელი კი ნასამართლობას არ იწვევს.

6) სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებისაგან, როგორიცაა, დისციპლინური სახდელი. ა) სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხოლო დისციპლინური სახდელი კი მხოლოდ დისციპლინური სამართლდარღვევისათვის. ბ) დისციპლინური სახდელი გამოიყენება მხოლოდ მუშა ან მოსამსახურე პირის მიმართ და არ ყველა მოქალაქის მიმართ, რაც შეეხება სასჯელს, იგი გამოიყენება ნებისმიერი შერაცხადი და პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირების მიმართ. გ) სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. გ. გოლოშვილი წერს, – დისციპლინური სახდელის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ კანონით სპეციალურად უფლებამოსილ თანამდებობის პირებსა და ორგანოებს, რომლებიც აღჭურვილი არიან დისციპლინური ხელისუფლებით. დ) შრომითი დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.⁷⁷ განსხვავებით დანაშაულისაგან, რომლის ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი, ან ერთზე მეტი სასჯელი, დისციპლინური სამართლდარღვევისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი. ე) სისხლისსამართლებრივი სასჯელი იწვევს ნასამართლობას, განსხვავებით დისციპლინური სახდელისაგან, რომელიც ნასამართლობას არ იწვევს.

⁷⁷ იხ. გ. გოლოშვილი, შრომის სამართლი, თბილისი, 2000, გვ. 140.

სასჯელი განსხვავდება სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებისაგან, როგორებიცაა აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიებები ამოღებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენებოდა არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – ძირითადად შეურაცხი პირის მიმართ. ვინაიდან, აღნიშნული ღონისძიებები გაუქმებულია, მათზე დეტალურად აღარ ვისაუბრებ.

რაც შეეხება სასჯელისა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევის გამიჯვნის საკითხს, აღნიშნულზე უკვე ვისაბრეთ, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები.

თავი IV

სასჯელის თეორიები

თეორია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს 1) მოძღვრებას; 2) იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას, ან მის ერთ-ერთ დარგს; რაიმე დარგის ზოგად, განყენებულ საფუძვლებს; 3) ზოგად განყენებულ მსჯელობას, შეხედულებებს.⁷⁸

სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის შესახებ არსებობს შემდეგი თეორიები: 1) აბსოლუტური თეორიები, რომლებიც სასჯელის ძირითად საფუძველს სამაგიეროს მიზღვაში ხედავთ; 2) შეფარდებითი, ანუ პრევენციული თეორიები, რომლებიც სასჯელს პრაქტიკულ მიზნებს უსახავენ და სასჯელის მიზნად დანაშაულის წინასწარ აცდენას ასახელებენ და 3) შემაერთებელი, ანუ შერეული თეორიები, რომლებიც აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების სინთეზს წარმოადგენენ.

§1. აბსოლუტური თეორიები სასჯელის შესახებ

აბსოლუტური თეორიები სასჯელის საფუძვლად რომელიმე აბსოლუტურ საწყისს აცხადებენ. აბსოლუტური თეორიების ჯგუფს ეკუთვნიან კანტისა და ჰეგელის თეორიები.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სასჯელის აბსოლუტური თეორიის ნაცვლად იყენებენ აგრეთვე შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის თეორიას.

აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელი მხოლოდ შურისძიებაა ჩადენილი ქმედებისათვის.⁷⁹

აბსოლუტური თეორია სასჯელის მიზნის გაგების თვალსაზრისით, შეიძლება თავის მხრივ, ორ ჯგუფად დავყოთ: 1) სასჯელმა უნდა გამოასწოროს ჩადენილი უმართლობა, განკურნოს და აღადგინოს სამართალი; 2) სასჯელი უნდა იყოს შურისძიება მომხდარი უმართლობისთვის.⁸⁰

სასჯელის აბსოლუტური თეორიის, ე.წ. „კლასიკური სკოლის“ მიხედვით, სასჯელი დამოუკიდებელია საზოგადოების ზემოქმედებისაგან და ემსახურება მხოლოდ სამართლებრივი წესრიგის კვლავ აღდგენას და ჩადენილ უმართლობაზე რეაგირებას.⁸¹

გერმანელი პროფესორი კლაუს როჭნინი მიუთითებს, რომ შურისძიების თეორია სასჯელის აზრს ხედავს არა რომელიდაც სოციალურად სასარგებლო მიზნებში, არამედ სამაგიეროს მიზღვაში.

⁷⁸ იბ. ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბილისი, 2000, გვ. 63.

⁷⁹ იბ. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 62.

⁸⁰ იბ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, №3, 2004, გვ. 51.

⁸¹ იბ. B. Heinrich, Strafrecht, Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Stuttgart, 2005, S. 6.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, მოძღვრება სასჯელის შესახებ საზოგადოებაზე ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელია.⁸²

სამაგიეროს მიზანი აბსოლუტური თეორიის მიხედვით არ არის გათანაბრებული შურისძიებასთან. ის არის სამართლის პასუხი ჩადენილ ქმედებაზე. სახელმწიფო დამნაშავისათვის სასჯელის დაწესებით კმაყოფილდება, ვინაიდან დამნაშავემ სამართლებრივ წესრიგს ზიანი მიაყენა.⁸³

სასჯელის აბსოლუტური თეორია, იგივე თანასწორობის თეორიაა, ვინაიდან სასჯელში თანასწორობა ხორციელდება.⁸⁴

სასჯელის შესახებ აბსოლუტურ თეორიას ავითარებს **კანტი.** კანტი წერს – დამნაშავე ისჯება მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავისი დანაშაულისათვის სასჯელს იმსახურებს, მისი ქმედება ეწინააღმდეგება საერთო წესებს. დამნაშავე ისჯება იმიტომ, რომ მან დაარღვია ზნეობრივი კანონი.⁸⁵ როგორც ვხედავთ კანტი ამოდის ადამიანის ნების აბსოლუტური თავისუფლების იდეიდან, რაც საკამათოდ მიმაჩნია. ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალი შეიძლება არ იყოს და შესაბამისად ნების იძულება სავსებით შესაძლებელია, განსხვავებით ინტელექტისაგან. აქედან გამომდინარე, კანტს ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ადამიანის ნება აბსოლუტურად თავისუფალია და შესაბამისად სასჯელიც შეეფარდება ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ვინაიდან ადამიანი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება არ იყოს აბსოლუტურად თავისუფალი. ამ საკითხს შემდგომში უფრო ვრცლად შევეხებით.

ადამიანი, **კანტის** აზრით, არ შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალება, არამედ იგი უნდა იყოს თავისთავადი მიზანიც. როგორც ვხედავთ, კანტი მიიჩნევს, რომ ადამიანი მხოლოდ საშუალება არ არის, არამედ იგი არის მიზანიც. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა დირებულების ფორმით მიზნის არსებობის აღიარება. მიზანი, თავის მხრივ, შესატყვის საშუალებას მოითხოვს, რათა ის რეალურად განხორციელდეს, ხოლო მიზნის, საშუალებისა და შედეგის მიხედვით ადამიანის მოღვაწეობის შეფასება სოციოლოგიურ თვალსაზრისში გადადის, რაკი აქ საჭმე ამ მოღვაწეობის ეფექტურობას ეხება.⁸⁶

სასჯელი გვევლინება სამართლიანობის მხრივ შურისძიების, ზღვევინების აქტად. ზღვევინება უნდა გამოიხატოს სასჯელისა და დანაშაულის თანასწორობის პრინციპით, ე.ი. ტალიონის პრინციპით („თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“). აქედან გამომდინარე, კანტი თვლიდა, რომ მკვლელი უნდა დაისაჯოს სიკვდილით, გაუპატიურების ჩამდენი – კასტრაციით. ქურდს უნდა ჩამოერთვას ქონება.

კანტის აზრით, სასჯელი შეეფარდება ადამიანს იმის გამო, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რაც ზნეობის კანონის დარღვევად და ამიტომ სასჯელის გამოყენება რაიმე პრაქტიკული, თუგინდ საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნისათვის დაუშვებელია. სისხლის სამართლის კანონი

⁸² Ob. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 2006, S. 70.

⁸³ Ob. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 19.

⁸⁴ Ob. M. Thiem, Welchen Zweck hat Strafe? Ein Vergleich der Straftheorien, 2006, S. 10.

⁸⁵ Ob. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 16.

⁸⁶ Ob. ნაჭყენია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 70.

არის კატეგორიული იმპერატივი – წერს კანტი. მისი აზრით იგი სხვა მიზნებს არ ემსახურება.

კანტი შურისძიების თეორიის განხილვისას ასახელებს სამ ძირითად პუნქტს: 1) დამნაშავე უნდა დაისაჯოს მისი ქმედებისათვის; 2) დამნაშავე შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ბოროტებისათვის; 3) სასჯელის სიმძიმე და სახე და დანაშაულის სიმძიმე და სახე უნდა იყოს იდენტური⁸⁷.

გერმანელი კრიმინალისტი **ფრისთერი** წერს, – კანტი გვაცნობს თავის ცნობილ მაგალითს. „სამოქალაქო საზოგადოება მის ყველა წევრთან ერთად ვითარდება.“ მაგალითად, არსებობს კუნძული დასახლებული ადამიანებით, რომლებიც ერთმანეთს სცილდებინ და მთელს მსოფლიოს ანგრევენ. ეს უკანასკნელი ხვდებიან ციხეში – ესენი არიან მკვლელები. ამით თითოეულმა თვითონ უნდა შეაფასოს, თუ მისი ქმედება რაოდენ მისაღებია. როცა ხალხი კუნძულს ტოვებენ და სხვაგან სახლდებიან, უკანასკნელმა მკვლელმა ციხეში უნდა მოიხადოს სასჯელი, რათა სამართლიანობა არ იქნეს დარღვეული.⁸⁸

ბ. ნიკიფოროვი მიუთითებს, რომ ქურდს ან მოძალადეს უბრალოდ კი არ უნდა აეხსნას, რომ ის იქცევა ცუდად, არამედ უნდა ვაიმულოთ იგი ტანჯვის, წვალების მეშვეობით შევაბრუნოთ, განვაცდევინოთ, ვაგრძნობინოთ თავისი ქცევის არამართებულობა.⁸⁹

რატომ უნდა დაისაჯოს დამნაშავე? ამ კითხვის პასუხად, უმრავლესობა ფიქრობს, რომ მან ეს დაიმსახურა, ან კიდევ დამნაშავეებმა მათ მიერ ჩადენილი ვნების სანაცვლოდ ტანჯვა უნდა განიცადონ. ასეთი გრძნობები ბევრ კულტურაში ღრმადაა ფესვგადგმული და ხშირად საფუძვლად უდევს დევიატერივი სასჯელის შესახებ წარმოდგენა, რაც ღმერთის კანონების დარღვევის შედეგს წარმოადგენს. სასჯელის ფილოსოფიური დასაბუთებისას, სამაგიეროს მიზღვითი თეორია სწორედ ამ გრძნობებს უწევს ანგარიშს. დებულება ასეთია: ის, ვინც დაარღვია სხვისი უფლებები, უნდა დაისაჯოს. სასჯელი აღადგენს მორალურ წესრიგს, რომელიც დანაშაულის ჩადენით დაირღვა.⁹⁰

სასჯელის აბსოლუტურ თეორიას ავითარებს აგრეთვე **ჰეგელი**. ჰეგელი მიუთითებს, რომ სასჯელის უფლებას უნდა პოულობდე თვით ადამიანის აზრებში, გონებაში. ჰეგელის ცნობილი დებულებაა, რომ სასჯელი დამნაშავის უფლებაა.⁹¹

ჰეგელის სიტყვებით, სასრული სფეროების მიმართ, „ჯერარსი“ საფსებით აღიარებულია. ჰეგელის საყვედურის არსი ასეთია: კანტისა და ფიხტესათვის გონება, იდეა რჩება ჯერარსის სფეროში და ვერ პოულობს რეალიზაციის სინამდვილეში.⁹² როგორც ვხედავთ, ჰეგელი აშკარად უპირისპირდება არსისა და ჯერარსის თანაფარდობას.

⁸⁷ ob. Norbert Hoerster, *Muss Strafe sein? Positionen der Philosophie*, München, 2012, S. 30.

⁸⁸ ob. H. Frister, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 16.

⁸⁹ ob. W. Gropp, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 33.

⁹⁰ ob. , 1981, c. 65.

⁹¹ ob. ქ. წიქარიშვილი, სასჯელი, ალმანახი, №8, 1998.

⁹² ob. H. Frister, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 16.

⁹³ ob. ო. ბუაჩიძე, ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, „მეცნიერება“ 1976, გვ. 10.

პროფ. გურამ ნაჭყებიას აზრით, გონის უოვლადძლიერების იდეამ ჰეგელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ნება აზროვნების განსაკუთრებული წესია, ე.ი ნება ინტელექტზეა დაყვანილი. ეს კი არის ინტელექტუალიზმი, რომლის თანახმად, სუბიექტის ნებაზე მისი ინტელექტის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.⁹⁴ როგორც ვხედავთ, ჰეგელმა ნება ინტელექტზე დაიყვანა და ამით სასჯელის იძულებითი ხასიათი ვერ დაასაბუთა და შესაბამისად იძულებული გახდა სასჯელი დამნაშავის უფლებად გამოეცხადებინა.

მართებულად მსჯელობს პროფ. **გურამ ნაჭყებია**, როდესაც ამბობს, რომ იძულებული შეიძლება იყოს ნება და არა ინტელექტი, ხოლო ინტელექტის ნებაზე დაყვანის შემთხვევაში სასჯელის, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ზომის ფსიქოლოგიური დასაბუთება შეუძლებელია.⁹⁵ აქედან გამომდინარე, ჰეგელი იძულებული გახდა სასჯელი დამნაშავის უფლებად გამოეცხადებინა, ვინაიდან მან ნება ინტელექტზე დაიყვანა, რის გამოც სასჯელის იძულებითი ხასიათი ვერ დაასაბუთა, რაც ჩვენი აზრით ფსიქოლოგიურად, მსოფლმხედველობრივად თუ სამართლებრივად არასწორია.

სასჯელი დამნაშავის უფლება შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა განზრახი დანაშაული ჩაიდინა (შესაძლებელია პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში და არა აუცილებელი). მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ჰეგელის ეს დებულება არ მართლდება. რაც ნების ინტელექტზე დაყვანის შედეგია. ამიტომ ჰეგელი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც, ისევე როგორც მთლიანად დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თავის დებულებას, რომ სასჯელი დამნაშავის უფლებაა საერთოდ ვერ ასაბუთებს.

თუმცა ჰეგელიც სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვას ასახელებდა, მაგრამ კანტისაგან განსხვავებით, მას სამაგიეროს მიზღვა არ ესმოდა როგორც მატერიალურად სამაგიეროს მიზღვა, თავისებური თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის, არამედ როგორც სამართლიანი თანაფარდობა დანაშაულით გამოწვეულ ზიანსა და დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებით მიყენებული ზიანის ფასეულობას შორის.⁹⁶

კანტი და ჰეგელი უარყოფენ სასჯელის ისეთ მიზნებს, როგორიცაა დაშინება და გამოსწორება.⁹⁷

შურისძიების თეორია ბოლო დრომდე ძალიან დიდ როლს თამაშობდა. ყოველი კრიმინალური სასჯელი არის შურისძიება, ბოროტება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში დაშინებისა და გამოსწორების გვერდით, ვხვდებით ასევე შურისძიებას, როგორც სასჯელის არსე და მიზანს.

⁹⁴ იბ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 55.

⁹⁵ იქვე, გვ. 55.

⁹⁶ იბ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 26.

⁹⁷ იბ. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, S. 72.

აბსოლუტური თეორიების ჯგუფს ეპუთვნის აგრეთვე ეგრეთწოდებული თეოლოგიური თეორია, რომელიც დანაშაულს თვლის დვთაებრივი მცნების დარღვევად და სასჯელსაც უყურებს, როგორც ზნეობრივი ძალით დაწესებულ ინსტიტუტს.

§2. შეფარდებითი თეორიები სასჯელის შესახებ

შეფარდებითი თეორიების მიმდევრების აზრით, სასჯელი უნდა იძლეოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო შედეგებს. შეფარდებით თეორიებს უტილიტარულ თეორიებსაც უწოდებენ. შეფარდებითი, ანუ უტილიტარული თეორიები სასჯელის გამოყენებისას არ კმაყოფილდებიან მარტო იმ საფუძვლით, რომ ინდივიდმა ჩაიდინა დანაშაული, არამედ მთავარ ყურადღებას აქცევენ სასჯელის შეფარდების სოციალურად სასარგებლო შედეგებს. ეს თეორიები ფაქტობრივად პრევენციის თეორიებია, რომლებიც ითვალისწინებენ საერთო და სპეციალურ პრევენციას.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, სასჯელის მთავარი მიზანი მდგომარეობს არა ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის შერისძიებაში, არამედ მომავალი დანაშაულის თავიდან აცილებაში.⁹⁸

სასჯელის შეფარდებითი თეორიები საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას აბსოლუტურ თეორიებთან შედარებით. აღნიშნული თეორიის თანახმად, სასჯელი არის არა სამაგიეროს მიზღვა, არამედ იგი ემსახურება საზოგადოების დაცვას. სასჯელი არის არა თვითმიზანი, არამედ დანაშაულის თავიდან აცილების საშუალება. სასჯელის არსი მდგომარეობს დასჯადი ქმედების თავიდან აცილებაში.⁹⁹

სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სასჯელი არ შეიძლება იყოს თვითმიზანი.¹⁰⁰

სასჯელის თანამედროვე შეფარდებითი თეორიები ორიენტირებულია პრევენციაზე. სასჯელი ახდენს პრევენციულ ზემოქმედებას¹⁰¹. კითხვაზე: „რატომ უნდა დაისაჯოს?“ სამართლებრივი სახელმწიფო პასუხობს: „მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან ასაცილებლად“.¹⁰²

სასჯელის პრევენციულ ზემოქმედებაში გამოიყოფა სამი ძირითადი წინაპირობა: 1) მომავალში ადამიანის უსაფრთხო ქცევის პროგნოზი. 2) ვინაიდან, სასჯელი გამომდინარეობს საშიშროებიდან, პრევენციული წარმატება სავარაუდო იქნება. 3) დანაშაულისაკენ მიდრეკილება გეხვდება არა მხოლოდ ახალგაზრდა ადამიანებში, არამედ მოზრდილებშიც, ხოლო მათი დაშინება, აღზრდა და დაცვა სასჯელის აღსრულებისას ეფექტურად ხორციელდება სოციალურ-პედაგოგიური მუშაობით.¹⁰³

⁹⁸ იბ. B. Heinrich, Strafrecht, Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Stuttgart, 2005, S. 6.

⁹⁹ იბ. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 63.

¹⁰⁰ იბ. H. Ostendorf, Einführung in das Strafrecht, 5. Auflage, 2007, S. 43.

¹⁰¹ იბ. R. Schmidt, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, 2006, S. 5.

¹⁰² იბ. M. Baumann, Strafe im Rechtsstaat, München, 1990, S. 122.

¹⁰³ იბ. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 60.

პრევენციის თეორიები განსაკუთრებით მაღალ დონეზე აქვს განხილული ცნობილ იტალიელ მეცნიერსა და საზოგადო მოდვაწეს ჩეზარე ბეკარიას თავის ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელისათვის.“ ბეკარიას აზრით უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა.¹⁰⁴ როგორც ვხედავთ, ბეკარია სასჯელის მიზნად მიიჩნევს დანაშაულის წინასწარ აცილებას. აქედან გამომდინარე, იგი პრევენციის თეორიის მიმდევრად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ **ნიკიფოროვის** მიერ 80-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად იქნა დასმული და მნიშვნელოვანწილად თეორიულად დასაბუთებული საკითხი იმის შესახებ, რომ სასჯელი უნდა იყოს არა მარტო დასჯა „რაღაცისათვის“, ის უნდა არსებობდეს, აგრეთვე, სასარგებლო მიზნების მიღწევისათვის.¹⁰⁵

ქურდობაში დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ მომავალში არც თვითონ აღარ მოიპაროს და არც ზოგადად მოქალაქეებმა იქურდონ.¹⁰⁶

სასჯელის მთავარ მიზნად **ბენტამი** თვლის დანაშაულის წინასწარ აცდენას. ბენტამის მოძღვრება დამყარებულია სარგებლობის, მიზანშეწონილების საწყისზე. მთელი მისი თეორია გამსჭვალულია ამ საწყისით. მაგრამ ამავე დროს იგი ნაწილობრივ აღიარებს სამაგიეროს მიზღვასაც.¹⁰⁷

კლასიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანია და ზოგიერთის აზრით ფუძემდებელიც **ანსელმ ფოიერბახი**, რომლის მსოფლმხედველობამ და მეცნიერულმა სისტემამ ღრმა კვალი დააჩნია სისხლისსამართლებრივი საკითხების შემდგომ დამუშავებას. ფოიერბახი მტკიცედ ილაშქრებს სამაგიეროს მიზღვის საწყისის წინააღმდეგ. მისი აზრით, სამაგიეროს მიზღვა დაკავშირებულია ზნეობრივი ბრალის ცნებასთან, ხოლო ეთიკურ კატეგორიათა სამართლის დარგში გადატანას იგი დაუშვებლად თვლის.

ფოიერბახი მკვეთრად მიჯნავს ზნეობასა და სამართალს, ზნეობრივ და სამართლებრივ სასჯელს. ზნეობრივი სასჯელის დროს, – წერს იგი, – სუბიექტი უპირისპირდება ზნეობრივ კანონს; აქ სასჯელის შეფარდება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი არღვევს სათხოების მოთხოვნებს და მისი განწყობილება არ შეესაბამება კანონს. ფოიერბახი მკაცრ ზღვარს დებს სამართალსა და ზნეობას შორის და, კანგისაგან განსხვავებით, სამართლის სფეროში გადაჭრით უარყოფს ზნეობრივი სამაგიეროს მიზღვის პრინციპს, რომლის თანახმად სასჯელი პროპორციულობაში უნდა იმყოფებოდეს ადამიანის ზნეობრივ მანკიერებასთან. ფოიერბახი, საერთოდ გენერალური პრევენციის თეორიის მიმდევრად ითვლება.¹⁰⁸

სპეციალურ პრევენციის ცნებას ჩვენ ვხვდებით გერმანელი კრიმინალისტის, **ქ. გროლმანის** მოძღვრებაში. ფოიერბახისა და

¹⁰⁴ იხ. ჩ. ბეკარია, „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი. ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003, გვ. 197.

¹⁰⁵ იხ. ო. ფარტენაძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და უფლებურობა), ბათუმი, 1998, გვ. 43.

¹⁰⁶ იხ. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012, S. 51.

¹⁰⁷ იხ. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 37.

¹⁰⁸ იხ. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 17.

გროლმანის მოძღვრებებს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე უარპყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ფოიერბახი სასჯელის დანიშნულებას საერთო პრევენციაში ხედავს, მისთვის პირველ პლანზე სასჯელით მუქარა დგას, ხოლო გროლმანს კი პირიქით, ძირითადი ცენტრი სასჯელის კერძო პრევენციაზე გადააქვს.

გერმანელი კრიმინალისტი **გროლმანი** არის ფუძემდებელი პრევენციული თეორიისა. იგი ამბობს, რომ იურიდიული წესრიგი, მაშინ არის მყარი, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს მყარი ნებისყოფა, რომ არ დაარღვიოს კანონი.¹⁰⁹

ფოიერბახი დაშინებას ზოგადი პრევენციის ჩარჩოებში იხილავს, ხოლო გროლმანი, დაშინებას სპეციალური პრევენციის საწყისებით ასაბუთებს.

პრევენციული თეორიის მიმდევრად ითვლება **ფრანც ლისტი**, რომელსაც ძირითადი ცენტრი სპეციალურ პრევენციაზე გადააქვს. თუ ფოიერბახი დანაშაულის წინასწარ აცილებას ზოგადი პრევენციის ფარგლებში იხილავს და დამაშინებელ ეფექტს ახდენს, ლისტი პირიქით სპეციალურ პრევენციას ანიჭებს უპირატესობას და სასჯელის მიზნად თვლის დანაშაულის აცილებას თვით დამნაშავის მხრიდან.¹¹⁰

ფრანც ლისტი, როგორც სპეციალური პრევენციის მიმდევარი, უარყოფს სასჯელის შურისმიერის თეორიას და სასჯელის მიზნად ასახელებს გამოსწორებას, დაშინებას და დამნაშავის რესოციალიზაციას.¹¹¹

რუსი კრიმინალისტი **კისტიაკოვსკი** ეხება რა სასჯელის პრობლემას, მიუთითებს, რომ ადამიანი, რამდენადაც იგი ახსოვს ისტორიას და ჩვენს დრომდე, სასჯელის გამოყენებისას, უცვლელად ხელმძღვანელობს შემდეგი საფუძვლებით, მოტივებით და მიზნებით:

ა) დანაშაული აკარგვინებს ადამიანს რაიმე მატერიალურ, ან ზნეობრივ სიკეთეს და ამიტომ იგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს;

ბ) დანაშაულს გამოჰყავს იგი ნორმალური მდგრმარეობიდან და იწვევს მასში შიშს, საფრთხის მოლოდინს მომავალში. ამგვარი მდგრმარეობიდან გამომდინარეობს სამი მოტივი: ა) მიუზღოს სიავე სიავესათვის, მისი სიკეთის ან უფლების დამრღვევ პირს; ბ) მომავალში დაიცვას თავი დანაშაულისაგან დამნაშავის ფიზიკური მოსპობით, ზიანის მიყენების შესაძლებლობის აღკვეთით, მასში ან სხვა პირებში შიშის გამოწვევით, რათა მომავალში არ იქნას ჩადენილი ასეთი დარღვევა სიკეთეთა და უფლებებისა; გ) დანაშაულის გზით წარომეული მატერიალური სიკეთის დაბრუნება, ან ყოველ შემთხვევაში სათანადო ანაზღაურების მიღება.¹¹²

გერმანელი კრიმინალისტი **ბინდინგი** ამბობს, რომ სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზღვა, სამაგიეროს გადახდა. სასჯელი უნდა იყოს მიზანმიმართული და თავისთავად სასარგებლო.¹¹³ როგორც ვხედავთ, ბინდინგი უარყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს და აღიარებს სასჯელის სარგებლიანობას.

¹⁰⁹ ob. . . , , , 2, 2001, .73.

¹¹⁰ ob. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 19-20.

¹¹¹ ob. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012, S. 53.

¹¹² ob. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისმიერი, თბილისი, 1960, გვ. 51.

¹¹³ ob. . . , , , 2, 2001, .71.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, სასჯელის პრევენციული თეორიის ფარგლებში განხილულია სასჯელის გამართლების პროცესი. ასე მაგალითად, სასჯელის გამართლება ეხება არა ადამიანთა ერთეულ დასჯას, არამედ მთლიან პრაქტიკას. სასჯელის გამართლება ეხება არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაული არის ჩადენილი, არამედ ისეთ შესაძლო სამომავლო შემთხვევებსაც, როდესაც სასჯელი უნდა იქნას გამოყენებული. სასჯელი შეიძლება გამართლებული იყოს, როდესაც არცერთი ადამიანი არ დაისჯება და იგი მხოლოდ დაშინების ფუნქციას შეასრულებს.¹¹⁴ ფაქტობრივად, აღნიშნული ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც კანონით (სასჯელით) მუქარა საკმარისია დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

პრევენციული თეორიის მომხრეა აგრეთვე **მარკელი**, რომელიც მიიჩნევს, რომ სასჯელს უნდა მოჰქონდეს სარგებლიანობა. მისი თეორიის მიხედვით სამართლიანი სასჯელი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს.¹¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ მე-17 და მე-18 საუკუნეებში არსებობდა მოსაზრება სასჯელის პრევენციული ზემოქმედების შესახებ, **ანსელმ ფოიერბახმა** (1775-1833), დიდმა გერმანელმა კრიმინალისტმა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თეორიულად განასხვავა გენერალური და სპეციალური პრევენცია.¹¹⁶

კრიმინალისტ-კლასიკოსები უპირატესობას ანიჭებენ საერთო პრევენციას, ხოლო კრიმინალისტ-სოციოლოგები კი პირველ პლანზე აყენებენ სპეციალურ პრევენციას.

შეიძლება ითქვას, რომ საერთო და სპეციალური პრევენცია მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ისინი არაა დაპირისპირებული ერთმანეთისადმი, არამედ მუდმივი თანამგზავრებია.

საერთო და სპეციალურ პრევენციაზე დეტალურად იქნება მსჯელობა ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის განხილვისას.

§3. შემაერთებელი თეორიები სასჯელის შესახებ

ჩვენ უკვე განვიხილეთ სასჯელის შესახებ აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის შესახებ არსებობს აგრეთვე შემაერთებელი, ანუ შერეული თეორიები, რომლებიც აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების შერიგებას ცდილობენ. შემაერთებელი, ანუ შერეული თეორიები შედარებით მრავალრიცხოვანია.

გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ შემაერთებელი თეორიების ორ სახეს: სამაგიეროს მიზღვისა და

¹¹⁴ Ob. M. Betzler, Eine gemischte Theorie der Rechtfertigung gesetzlicher Strafe, 2012, S. 7.

¹¹⁵ Ob. . . , . . , 2, 2001, . 80.

¹¹⁶ Ob. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 64.

პრევენციულ შემაერთებელ თეორიებს. შემაერთებელი თეორიების მიხედვით, სასჯელის მიზანი, ისევე, როგორც ქმედების სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგის მიზანი მდგომარეობს სამართლებრივი სიკეთის დაცვის პრევენციაში.¹¹⁷

გერმანელი პროფესორი კლაუს როქსინი მიუთითებს, რომ სამაგიეროს მიზღვითი შემაერთებელი თეორიები სასჯელის მიზნებში ხედავენ სამაგიეროს მიზღვას, სპეციალურ და გნერალურ პრევენციას. ამასთან, სამაგიეროს მიზღვის მიზანს ძირითადი ფუნქცია ეკისრება. შემაერთებელი თეორიების ახალ ფორმულირებაში მიჩნეულია სამაგიეროს მიზღვა, სპეციალური და გნერალური პრევენცია.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის საზოგადოების ცხოვრების ელემენტარული ფასეულობების დაცვა. პრევენცია, დამნაშავის რესოციალიზაცია, ცოდვის გამოსყიდვა, შურისძიება ჩადენილი ქმედებისთვის გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდებისას.¹¹⁸

სასჯელის გენერალურ და სპეციალურ პრევენციას შორის სისხლის სამართალში განსხვავებული აქცენტი კეთდება. სასჯელის დაშინების მიზანი არის წმინდა გენერალური პრევენცია. სასჯელის შეფარდებისას სასჯელის გენერალური და სპეციალური პრევენციის მიზანი ერთნაირად უნდა იქნას გათვალისწინებული, ხოლო სასჯელის აღსრულებისას წინა პლანზე წამოწეულია სპეციალური პრევენციის მიზანი (რესოციალიზაცია).

პრევენციულ შემაერთებელ თეორიებში წინა პლანზე წამოწეულია სპეციალური და გენერალური პრევენცია.¹¹⁹

გერმანული სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია იყენებს სასჯელის შემაერთებელ თეორიას. იმ ქვეყნებში, რომლის სისხლის სამართალი ნაწილობრივ ხაზს უსვამს სპეციალური პრევენციის მიმართულებას, სასამართლო პრაქტიკა შემაერთებელი თეორიის ერთგული რჩება. სასჯელის შეფარდებისას პირველ ადგილს იკავებს სასჯელის შურისძიების მიზანი, ხოლო შემდეგ დაშინების მიზანი. სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია დამნაშავის ბრალი, ქმედების სიმძიმე და შედეგები, დამნაშავის პერსონალური მონაცემები, მისი რეინტეგრაცია. სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის გვერდით სასამართლო პრაქტიკა იყენებს ასევე სასჯელის გენერალურ პრევენციას. სასჯელმა არა მხოლოდ შური უნდა იძიოს, არამედ მომავალი დანაშაულიც უნდა აიცილოს. სასჯელის შეფარდების საფუძველი არის ქმედების სიმძიმე და დამნაშავის პერსონალური ბრალის ხარისხი.¹²⁰

შემაერთებელი თეორიის განხილვისას შშიდტი მიუთითებს, რომ ამოსავალი წერტილი არის სასჯელის გენერალური პრევენცია, საზოგადოების დაშინება დასჯადი ქმედების ჩადენისას, სასჯელის დანიშვნის გზით. მაგრამ, მხოლოდ აღნიშნული ასპექტი არ არის

¹¹⁷ ი. ბ. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 33-34.

¹¹⁸ ი. ც. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, S. 84.

¹¹⁹ იქვე, გვ. 87-88.

¹²⁰ ი. ჟ. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 70.

საქმარისი სასჯელის გასამართლებლად. სასჯელის შეფარდებისას გასათვალისწინებელია ასევე დამნაშავის ბრალის სიმძიმე.¹²¹

გერმანელი კრიმინალისტი ზაუერი ნეო-კალსიკურ მიმართულებას წარმოადგენს. სხვა კრიმინალისტებს შორის იგი გამოირჩევა თავისი უკიდურესი ეპლეკტიზმით, როგორც საერთო ფილოსოფიური, ისე კერძოდ, სისხლის სამართლის ხაზით.

ზაუერი მიიჩნევს, რომ სამართლებრივი სასჯელი არის დამნაშავისათვის ტანჯვის მიყენება მძიმე ბრალეული უმართლობისათვის სამაგიეროს მიზღვის მიზნით.¹²² ზაუერის აზრით, სამაგიეროს მიზღვა არ არის სასჯელის შინაარსი, იგი არის სასჯელის მიზანი. მიზანი მოთავსებულია შინაარსის გარეთ, როგორც დროის მიხედვით, ისე ლოგიკურად. არსებობს სასჯელის სამი მიზანი: ა) სამაგიეროს მიზღვა უმართლობისათვის; ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ბრალის გამოსყიდვის გზით; გ) საზოგადოებისა და მისი წევრების უზრუნველყოფა და დაცვა. მაშასადამე, სამაგიეროს მიზღვა არ შეადგენს სასჯელის არსს, იგი არის სასჯელის მიზანი. ზაუერი სამაგიეროს მიზღვის გარდა სასჯელის მიზნად ასახელებს: საზოგადოებისა და მისი წევრების უზრუნველყოფას; საერთო და სპეციალურ პრევენციას; გამოსწორებას, დაშინებას და უვნებელყოფას. ვერ დავეთანხმებით ზაუერს იმაში, რომ სასჯელის მიზანია სამაგიეროს მიზღვა. იგი სწორად მიუთითებს, რომ მიზანი მოთავსებულია შინაარსის გარეთ, მაგრამ ლოგიკურად ვერ ასაბუთებს, თუ რა არის სასჯელის მიზანი. თუ ვიტყვით, რომ სამაგიეროს მიზღვა სასჯელის მიზანია, მაშინ გამოდის, რომ სასჯელის დანიშვნის შემდეგ უნდა განხორციელდეს სამაგიეროს მიზღვა, ვინაიდან მიზანი მომავლისაკენაა ორიენტირებული. თუკი პიროვნებას სასამართლო დაუნიშნავს სასჯელს, მაშინ სამაგიერო როდისლა უნდა მიეზღოს? აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზანი სამაგიეროს მიზღვა ვერ იქნება.

გერმანელი კრიმინალისტი მაიერი წერს, რომ დასჯის საქმეში სამი სახელმწიფო ორგანო მონაწილეობს: კანონმდებელი, მოსამართლე და სასჯელის აღმასრულებელი თანამდებობის პირი. დასჯის სამი ინსტანცია არსებობს: სასჯელით მუქარა, სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება.¹²³

მაიერის შეუძლებლად მიაჩნია რომელიმე იურიდიული ინსტიტუტის განსაზღვრა მისი მიზნის მიხედვით. მას მოჰყავს ლაბანდის სიტყვები იმის შესახებ, რომ მიზანი ძევს იმ ინსტიტუტის გარეთ, რომლის მეშვეობითაც იგი უნდა განხორციელდეს, იგი მდებარეობს იმ საშუალებათა ფარგლებს გარეთ, რომლებითაც უნდა იქნას მიღწეული. მაიერი მიიჩნევს, რომ სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება იყოს ერთიდამავე დროს როგორც შინაარსი, ისე მიზანი სასჯელისა. სამაგიეროს მიზღვა მიაჩნდათ სასჯელის „იდეად“, ამიტომ სათანადო თეორიები დიად ტოვებენ საკითხს, თუ როგორ უნდა დაისაჯოს. მაიერის აზრით, ტრადიციულად მიღებულ იდეებს აქვთ სხვადასხვა ფუნქციები,

¹²¹ ი. R. Schmidt, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, 2006, S. 6.

¹²² ი. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისმიებანი, თბილისი, 1960, გვ. 68.

¹²³ იქვე, გვ. 73.

ისინი კი არ უნდა იქნას „შეერთებული“, არამედ „განაწილებული“ მათი განსხვავებული დანიშნულების, მოქმედების, ამოცანების მიხედვით.¹²⁴

მაიერი იკვლევს საერთო და სპეციალური პრევენციის საკითხს. საერთო პრევენციის მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სასჯელის აღსრულების ან სასჯელის მუქარის გზით.

დანაშაულის წინასწარ აცდენა შესაძლოა ან დამნაშავის უგნებელყოფით, ე.ი. ხანგრძლივი ინტერნირებით, ან სიკვდილით დასჯით, ან გამოსწორებით, ან მისი დაშინებით. მაგრამ ცალმხრივი პრევენციის თეორია, რომელიც ამ სამი მიზნიდან ახდენს შერჩევას, განიცდის მარცხს დამნაშავეთა სხვადასხვაობის გამო. ვერც სასჯელის მიზნების კუმულაციის პრინციპი იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს; იგი დგას საწინააღმდეგო ამოცანების წინაშე. მაიერის სიტყვით, სასჯელის მიზნების მხროლოდ გამანაწილებელ კომბინაციას შეუძლია თავიდან აიცილოს, როგორც ცალმხრივობის, ისე მრავალმხრივობის შეცდომები. განაწილების ცნებას მაიერი უკავშირებს დამნაშავეთა თავისუფლებას.¹²⁵

გერმანელი იურისტი **ნაგლერი**, მიიჩნევს, რომ სასჯელი წარმოადგენს რეაქციას დანაშაულის მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ ტერმინი „სასჯელი“ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვანირად არის გაგებული. საერთოდ კი იგი ნიშნავს სამართლის ბრალეული დარღვევის ექვივალენტს.

ექვივალენტის მომენტი გამოთქმულია სასჯელის მთელი მოვლენის ცალკეულ ნაწილებში:

ა) სასჯელის დაწესება – ექვივალენტი მოცემულია თვით კანონში.

ბ) სასჯელის შეფარდება – ექვივალენტი მოცემულია მსჯავრის სახით.

გ) სასჯელის აღსრულება – ექვივალენტის განხორციელება.¹²⁶

სასჯელის უშუალო მიზანია ბრალისათვის გადახდა, მიზდვა, არც მეტი და არც ნაკლები. **ნაგლერი** აღნიშნავს, რომ სამაგიეროს მიზდვა არაა გაქვავებული ნორმა, რომელიც მოითხოვს, რომ სადაც კი უნდა მოხდეს სამართლის ბრალეული დარღვევა, უსათუოდ მას უნდა მოჰყვეს დაუნდობელი სასჯელი. სასჯელი ეფარდება ადამიანს არა მარტო სამაგიეროს მიზღვისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ სასჯელმა სარგებლობა მოიგანოს. არასწორად მიმართია ნაგლერის მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს, რომ სასჯელის მიზანია სამაგიეროს მიზდვა. სამაგიეროს მიზდვა არც სასჯელის მიზანია და არც მისი შინაარსი, ვინაიდან სასჯელს სამაგიეროს მიზდვასთან არაფერი არ აკავშირებს.

ფრანგი კრიმინალისტი **ორტოლანი**, აღნიშნავს, რომ სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ დამნაშავეს უნდა მიეზდოს მისი ქმედების შესაბამისად, მისი ბრალის პროპორციულად, მაგრამ ამით, ჯერ კიდევ არაა დასაბუთებული დამნაშავის დასჯის უფლება. დასჯის უფლება გამოყვანილი უნდა იქნას სარგებლობის საწყისიდან. იგი ამბობს, რომ ადამიანი არის არსება, რომელშიც არის შერწყმული ორი ელემენტი: სული და მატერია, ხოლო მის ქცევის წესებში კი ორი

¹²⁴ ი. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისმიერანი, თბილისი, 1960, გვ. 76.

¹²⁵ იქვე, გვ. 79.

¹²⁶ იქვე, გვ. 84.

პრინციპი: სამართლიანობა და სარგებლიანობა.¹²⁷ ამრიგად, ორტოლანის თეორია, შემაერთებელი თეორიის ნიმუშს წარმოადგენს.

გერმანელი პროფესორი მაიერი მიუთითებს, რომ ვინაიდნ სასჯელი შეიცავს სოციალ-ეთიკურ დაგმობას, რომელსაც დამნაშავე მისი ქმედებისათვის იმსახურებს, შემაერთებელი ოეროის თანახმად, ამოსაგალი წერტილია არა ობიექტურად განხორციელებული უმართლობის სიმძიმე, არამედ მხოლოდ ქმედების სუბიექტური დასჯადობის სიმძიმე – ბრალი.¹²⁸

გერმანელი პროფესორი იეშვარი სასჯელის შემაერთებელი თეორიის განხილვისას მიუთითებს, რომ სამართლიანი სასჯელი ემსახურება საზოგადოების დაშინებას და მათი სამართლებრივი მართლშეგნების გაძლიერებას, ასევე დამნაშავის დაშინებას და მის აღზრდას.

სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია და სასჯელის ეს მიზანი შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს მიღწეული, როდესაც სასჯელი თანასწორობის მოთხოვნებს შეესაბამება.¹²⁹

ფრანგი კრიმინალისტის, **გიდალის** განმარტებით, სასჯელი არის სიავე, რომელსაც საზოგადოების სახელითა და სასამართლო განაჩენის საფუძველზე უფარდებენ დანაშაულის ჩამდენს, ვინაიდან მას მიუძღვის ბრალი და იგი სოციალურად პასუხისმგებელია ამ დანაშაულისათვის. ვიდალი განასხვავებს სასჯელებს სხვადასხვა თვალსაზრისით. სასჯელები უნდა იყოს 1) საერთო პრევენციული; 2) მტკივნეული, ე.ი. დამნაშავისათვის სიავის მიმყენებელი, რაც უნდა იყოს პროპორციული დანაშაულის სიმბიმისა და მოქმედი პირის მანკიერებისა; 3) გამასწორებელი, რომელიც გულისხმობს დამნაშავის ზნეობრივ გადახალისებას (სპეციალური პრევენცია).¹³⁰ ამრიგად, ვიდალის თეორიაც მიეკუთვნება შემაერთებელ თეორიათა ჯგუფს.

კონფლიქტში თანასწორობასა და მიზანშეწონილებას შორის უმჯობესია მეორეს მივემხროთ, მაგრამ დავუშვათ ზოგჯერ მისი შეზავება პირველთან, რათა უსამართლობის ხარისხი შევაძიროთ¹³¹. როგორც ვხედავთ ამ წინადაღებაში აბსოლუტური და უტილიტარული თეორიების სინთეზია გამოხატული.

რუსი კრიმინალისტი ფიქილენგო ასხვავებს სასჯელსა და პრევენციულ ღონისძიებებს. სასჯელი გულისხმობს დამთავრებულ ან დაწყებულ დანაშაულს, ხოლო პრევენციული ღონისძიებები – მომავალში მოსალოდნელ სამართალდარღვევას. ჟიულენგო ასე განმარტავს სასჯელს: „სასჯელი არის აკრძალული მოქმედების სამართლებრივი შედეგი, რომელიც წარმოადგენს ბრალეული პირის უფლებრივ სიკეთეთა შეჭრას და ამით გამოხატავს მის მიერ ჩადენილი ქმედობის შეფასებას“.¹³²

¹²⁷ ob. . . , , , , 2, 2001, . 75.

¹²⁸ ob. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 35.

¹²⁹ ob. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 68.

¹³⁰ იბ. აღ. ვაჩევაშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 91.

¹³¹ იბ. პ. წიქარიშვილი, სასჯელი, ალმანახი, №8, 1998.

¹³² იბ. დახვერდობის, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 108.

ნემიროვები სასჯელის შინაარსად თვლის უარყოფითი სამართლებრივი შეფასების, გ.ი. დაგმობის, გაკიცხვის მომენტს, რომელიც გამოიხატება სამაგიეროს მიზღვაში. ამასთან ერთად, იგი ცნობს სასჯელის პრაქტიკულ მიზნებს – საერთო და სპეციალურ პრევენციას. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ იგი ერთმანეთს ჭიდოროდ უკავშირებს სამაგიეროს მიზღვას და საერთო პრევენციას. ეს ორი ცნება მის მოძღვრებაში ერწყმის ერთმანეთს. საერთო პრევენცია განხილულია, როგორც ისეთი რამ, რაც თავისი ბუნებით სასჯელის მთავარ პრინციპს – სამაგიეროს მიზღვას – ენათესავბა. ამრიგად, პრევენციის ორი სახე – საერთო და სპეციალური – ერთმანეთისგან დაშორებულია, გათიშვლია.¹³³

ტაბანცევი წერს, — აბეგი დგას შემაერთებელი თეორიის პოზიციაზე. აბეგის აზრით, სასჯელი პირველ ეტაპზე არის შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, მაგრამ სასჯელის განვითარების მეორე საფეხურზე უკვე წინა პლანზე დგება საზოგადოებრივი ინტერესები, სარგებლიანობა.¹³⁴ როგორც ვხედავთ, აბეგი ორი მოწინააღმდეგი შეხედულების შერიგებას ცდილობს. მოვლი მისი თეორია განმსჭვალულია ეკლეკტიზმით.

1925 წელს ობერგ ჰიპელმა აღნიშნა, რომ უკელა თეორია შეიცავს ხარვეზს, მხოლოდ შემაერთებელ თეორიას შეუძლია ეს ხარვეზები შეაგრძოს.¹³⁵

კლასიკური სკოლის თეორეტიკოსთა აზრით, სასჯელი არის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულისათვის, მისაგებელი დამნაშავისათვის თანასწორი სიავით იმ სიავისათვის, რაც მიყენებულია დანაშაულით. ამიტომ, სასჯელის ზომა უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის ობიექტურ სიმძიმეს. სამაგიეროს მიზღვა წარმოადგენს დამნაშავისათვის ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას.

სოციოლოგიური სკოლა ეკრდნობა დეტერმინიზმს. იგი უარყოფს „ბოროტი“ ნებისყოფის არსებობას, ამით იგი უარყოფს დამნაშავის „მორალურ“ ბრალს და მასთან დაკავშირებულ „სასჯელს – სამაგიეროს მიზღვას“, ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას. რაც შეეხება სოციოლოგიურ სკოლას, იგი შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია კლასიკური სკოლასთან შედარებით, ვინაიდან ისინი უარყოფენ დამნაშავის „მორალურ“ ბრალს და სამაგიეროს მიზღვას. სოციოლოგიური სკოლა აღიარებს დანაშაულის წინასწარ აკდენას.

არსებობს ეგრეთწოდებული „მესამე სკოლა“, რომელიც დგას კალიგური და სოციოლოგიური სკოლების შეთანხმების პოზიციაზე და ცდილობს დასჯითი სისტემა მოაწყოს ისე, რომ სასჯელი სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის გზით ახორციელებდეს საერთო პრევენციასა და ამავე დროს სასამართლო სასჯელის არჩევისას ანგარიშს უწევდეს დამნაშავის სუბიექტზე თავისებურებას, რათა განახორციელოს სპეციალური პრევენციის ამოცანები. „მესამე სკოლა“, პიონერული შენიშვნით, კომპრომისის სკოლაა. მეთოდოლოგიურად იგი მოლიანად აკლებებულია.

¹³³ იბ. აღ. ვაჩევშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 118.

¹³⁴ ob. . . . , , , 2, 2001, . 68.

¹³⁵ Ob. M. Thiem, *Welchen Zweck hat Strafe? Ein Vergleich der Straftheorien*, 2006, S. 22.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი 1975 წლიდან სასჯელის შემაერთებელი თეორიაზე ამახვილებს ყურადღებას. 46-ე პარაგრაფის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოებები, რომელებიც გავლენას ახდენს დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე. ამრიგად, სპეციალურ პრევენციას მთავარი ადგილი უკავია. სასჯელის გენერალურ პრევენციას გერმანიის მოქმედ სისხლის სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია, როცა სამართლებრივი წესრიგის დაცვაში მოკლე თავისუფლების ადგენტას მნიშვნელოვანი როლი აკისრია (§ 47 I) ან პირობით ვადამდე გათავისუფლება (§56 III). ამასთან, სასჯელის აბსოლუტური თეორიის ელემენტებს აღიარებს გერმანიის მოქმედი სისხლის სამართალი. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, დამნაშავის ბრალი არის სასჯელის შეფარდების საფუძველი.¹³⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს სასჯელის შემაერთებელ თეორიას. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების სინთეზი. სამართლიანობის აღდგენა, შეიძლება სასჯელის აბსოლუტურ თეორიას მივაკუთვნოთ, ვინაიდან სამართლიანობის აღდგენაში ძირითადად იგულისხმება დამნაშავის ბრალის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა. ხოლო ახალი დანაშაულის თავიდან აცილება კი შესაძლებელია შეფარდებითი (უტილიტარული) თეორიაში მოვიაზროთ - (ზოგადი და სპეციალური პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია).

¹³⁶ W. Groppe, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 39.

თავი V

სასჯელის მიზნები

ადამიანის უკელა ქმედებას აქვს თავისი მიზანი. არ არსებობს უმიზნო ქმედება. ამიტომ, სასჯელს, როგორც სახელმწიფო ქმედებას, სამართლის სფეროში უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზნები.¹³⁷

გრუნდები მიუთითებდა, რომ კითხვაზე პასუხი სასჯელის მიზნების შესახებ გაცემული უნდა იქნას არა მხოლოდ იურისტების მიერ, არამედ აღნიშნული პრობლემა უნდა იყოს ფსიქოლოგების, პედაგოგების და თეოლოგების კვლევის საგანი.¹³⁸

სასჯელის მიზნები ერთ-ერთი უკელაზე სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართალში. აღნიშნული პრობლემა არაერთხელ ყოფილა ფილოსოფოსებისა, თუ იურისტების კვლევის საგანი. მიუხედავად აღნიშნულისა, სასჯელის მიზნების შესახებ არ არსებობს ერთიანი ცალსახად ჩამოყალიბებული აზრი. სანამ უშუალოდ განვიხილავთ სასჯელის მიზნებს საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, მოკლედ შევეხებით, თუ როგორ იყო გათვალისწინებული იგი 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების წესისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.“ როგორც ამ საკანონმდებლო დეფინიციიდან ჩანს, ძველი სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის შინაარსად მიიჩნევდა დასჯას, ხოლო მის მიზნად მსჯავრდებულის გამოსწორებას, ხელახლა აღზრდას და დანაშაულთა პრევენციას, როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრიდან. სასჯელი მართლაც არის სადამსჯელო დონისძიება, ვინაიდან იგი შეიცავს დასჯის ელემენტებს. სასჯელის მიზნები – დანაშაულის პრევენცია და მსჯავრდებულის გამოსწორება უჭვს არ უნდა იწვევდეს. რაც შეეხება მსჯავრდებულის „ხელახლი აღზრდა“, როგორც სასჯელის მიზანი მიუღებელია. მსჯავრდებულის „ხელახლი აღზრდა“ სასჯელის მეშვეობით შეუძლებელია, ვინაიდან სასჯელი არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივი გამოსწორების მიღწევის საშუალებად. აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზნად ზნეობრივი გამოსწორების აღიარება მიუღებელია. ხელახლი აღზრდა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს არასრულწლოვანთან მიმართებაში. ხოლო რაც შეეხება სრულწლოვნებს, მათი ხელახლი აღზრდა შეუძლებელია, ვინაიდან ზრდასრული ადამიანის ზნეობრივად გამოსწორება ძალზედ რთული საქმეა. აღნიშნულ საკითხს უფრო დეტალურად შემდგომშიც შევეხებით.

¹³⁷ ი. H. Blei, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983, S. 372.

¹³⁸ ი. M. Thiem, Welchen Zweck hat Strafe? Ein Vergleich der Straftheorien, 2006, S. 17.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის ოქსოციალიზაცია“.

დადებითად უნდა შეფასდეს სასჯელის მიზნების განსაზღვრება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულად არ ჩამოთვლის სასჯელის მიზნებს. იგი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.

იტალიის 1930 წელს მიღებული დღემდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა სასჯელის მიზნის რეგლამენტირებას. იტალიის სისხლის სამართლის თეორიის თანახმად, სასჯელი ეს არის სანქცია, რომელიც გამოიყენება დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ანგლო-საქსური სამართლის სისტემებში შემავალი ქვეყნებიც არ იძლევიან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებას, სასჯელის მიზნების შესახებ გარევეული მოსაზრებები მაინც არსებობს. მაგ. ინგლისელ იურისტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელის ძირითადი მიზანია ზემოქმედება დანაშაულზე, საზოგადოების დაცვა ზიანისაგან და დამნაშავის რეაბილიტაცია.¹³⁹

სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის შესახებ არსებობს სამი თეორია. ესენია: აბსოლუტური, შეფარდებითი და შემაერთებელი თეორიები. აბსოლუტური თეორიები სასჯელის საფუძვლად რომელიმე აბსოლუტურ საწყისს აცხადებენ. აბსოლუტური თეორიის მიმდევრები სასჯელის მიზანს სამაგიეროს მიზღვაში ხედავენ. შეფარდებითი თეორიები სასჯელს პრაქტიკულ მიზნებს უსახავენ. სასჯელი, მათი აზრით უნდა იძლეოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო შედეგებს. შეფარდებით თეორიის მიმდევრები სასჯელის მიზანს დანაშაულის თავიდან აცილებაში ხედავენ. შემაერთებელი, ანუ შერეული თეორიები შედარებით მრავალრიცხოვანია. შემაერთებელი თეორიები ცდილობენ შეარიგონ აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების პოზიციები, ანუ შერეული თეორიები აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების ნარევს წარმოადგენენ. შერეული თეორიების მიმდევრები სასჯელის მიზანს არა მარტო სამაგიეროს მიზღვაში, არამედ დანაშაულის წინასწარ აცდენაში ხედავენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული სასჯელის მიზნები სწორედ სასჯელის შესახებ შემაერთებელი, ანუ შერეული თეორიების ჯგუფს მიეკუთვნებიან. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების სინთეზი. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო შეფარდებითი თეორიის მიხედვით კი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (ზოგადი და სპეციალური პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია).

სასჯელის მიზნების გამოკვლევა მრავალმა ფილოსოფოსმა, სხვადასხვა დარგის სწავლულმა, სამართალმცოდნემ სცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სფეროში კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც

¹³⁹ იხ. ო. მინდამქ, გ. მინდაძე, სასჯელადსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008, გვ. 110.

იურისპრუდენციაში, ისე თვით ფილოსოფიაშიც კი. მნელად მოიპოვება სხვა ისეთი საკითხი, რომელიც ასეთ დისკუსიას იწვევდეს.¹⁴⁰

სისხლის სამართლის თეორიაში ძალზედ პრობლემატურია, ის თუ რა არის სასჯელის მიზანი, ვინაიდან ერთმანეთშია აღრეული სასჯელის ცნება და მისი მიზანი. მიზანი არის ის, რაც უნდა მომავალში განხორციელდეს. რაც შეეხება სასჯელის მიზანს, იგი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რის მიღწევასაც ცდილობს კანონმდებელი სასჯელის დაწესებითა და სასამართლო სასჯელის დანიშვნით.

პროფ. შოთა ფაფიაშვილის მოსაზრებით სასჯელის მიზანია არა მარტო დამნაშავის დასჯა, არამედ დამნაშავის გამოსწორება და ხელახალი აღზრდა. ამიტომაც, სრულიად უსწოროდ მიგვაჩნია იმ მეცნიერთა მტკიცება, თითქოს სასჯელს არა აქვს დასჯისა და სამაგიეროს მიზღვის მიზანი.¹⁴¹ ავტორს ვერ დავეთანხმები იმაში, რომ სასჯელის მიზანია პირის დასჯა. დასჯა არის არა სასჯელის მიზანი, არამედ სასჯელის ნიშანია, ანუ სასჯელი არის სადამსჯელო ღონისძიება. მიზანი საერთოდ ორიენტირებულია მომავლისაკენ, ანუ ის მომავალში უნდა განხორციელდეს. მიმაჩნია, რომ დასჯა არის არა სასჯელის მიზანი, არამედ მისი შინაარსი. ანალოგიური ითქმის სამაგიეროს მიზღვაზეც, რომელსაც პროფ. შოთა ფაფიაშვილი სასჯელის მიზნად მიიჩნევს. სამაგიეროს მიზღვა დასჯისაგან განსხვავებით არ არის სასჯელის შინაარსი, მაგრამ იგი არც სასჯელის მიზანია.

6. ბეჭდიავერი წერს, – გ. შარგოროდსკი მიიჩნევდა, რომ დასჯა არის არა სასჯელის მიზანი, არამედ იგი რელიგიური წარმოშობისაა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ **გ. შარგოროდსკი** არ მსჯელობს სწორად. როგორც ცნობილია, ტერმინი დასჯა არის სუფთა რელიგიური წარმოშობისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასჯა არ არის სასჯელის მიზანი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის ერთ-ერთი მიზანია დასჯა – წერს, **6. ბეჭდიავერი**.¹⁴² როგორც უპვე აღვნიშნეთ, დასჯა არის არა სასჯელის მიზანი, არამედ სასჯელის შინაარსი. დასჯა სასჯელის მიზანი ვერ იქნება, ვინაიდან სასჯელის მიზანი ორიენტირებულია მომავლისაკენ, ხოლო თუ მსჯავრდებულს დავუნიშნავთ სასჯელს, მაშინ გამოდის, რომ დასჯა მომავალში უნდა განხორციელდეს? რაც ლოგიკურად არასწორია. პიროვნებას ვხვით იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. ამდენად, დასჯა არ შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც სასჯელის ნიშანი, ისე მისი მიზანიც. მიმაჩნია, რომ დასჯა არის სასჯელის ნიშანი, ხოლო მიზანი მოთავსებულია შინაარსის ფარგლებს გარეთ.

სასჯელის ცნებისა და მიზნების შესახებ საინტერესოდ მსჯელობს პროფ. გ. ტერმელიაძე. იგი მიუთითებს, რომ მთავარია გადავწყვიტოთ, მივიჩნიოთ თუ არა სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯის მიზანი? საძიებელ საკითხზე შეიძლება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცეს: სასჯელის მიზანი არ შეიძლება დასჯა იყოს. რუსული

¹⁴⁰ იხ. ზ. მეაგანაძე, ო. მინდაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005, გვ. 298.

¹⁴¹ იხ. გ. ფაფიაშვილი, სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, სამართალი, 1995, №3-4, გვ. 46.

¹⁴² იხ. . . , , 1963. c. 26.

ენის განმარტებით ლექსიკონებში სასჯელი გაგებულია, როგორც დასჯა.¹⁴³

ის გარემოება, რომ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული არაა თავად სასჯელის ცნება, წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ ამ ცნების ნიშნები შეაქვთ სასჯელის მიზნებში.¹⁴⁴

მიზნის გარკვევა განსაკუთრებით პრობლემურია ფილოსოფიაში. ჰეგელი წერდა – როდესაც მიზანზეა ლაპარაკი, მაშინ ჩვეულებრივად მხედველობაში აქვთ მხოლოდ გარეგანი მიზანშეწონილება. განხილვის ამ წესის დროს ნივთებს უყურებენ არა როგორც ისეთ რამეს, რაც თავის თავში ატარებს თავის განსაზღვრებას, დანიშნულებას, არამედ როგორც საშუალებას, რომელსაც უბრალოდ იყენებენ და ხმარობენ მათ გარეშე მდებარე მიზნის განსახორციელებლად.¹⁴⁵

ტელეოლოგიური მიმართება დასკვნაა, რაშიც სუბიექტური მიზანი უკავშირდება მისთვის გარეგან ობიექტურობას რომელიმე საშუალო ტერმინის მეოხებით, რომელიც ორივეს ერთიანობას წარმოადგენს. ეს ერთიანობა ერთი მხრივ მიზანშეწონილი მოქმედებაა, მეორე მხრივ, მიზნისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ობიექტურობა, საშუალება.¹⁴⁶

ჰეგელი მიუთითებს, რომ ადამიანები ისახავენ კერძო მიზნებს, მაგრამ მათი მოქმედებიდან მიიღება ისეთი შედეგებიც, რომლებიც სრულიად არ იყო გათვალისწინებული. რეზულტატი შეიცავს უფრო მეტს, ვიდრე ის კერძო მიზანი, რომელსაც ადამიანი ისახავდა.¹⁴⁷ როგორც ვხედავთ ჰეგელი შედეგზეა ორიენტირებული. რაც შეეხება კანტი, ის პირიქით, მიზნის თავისთავადობიდან ამოდის. ადამიანი კანტის აზრით, არ შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალება, არამედ იგი უნდა იყოს თავისთავადი მიზანიც. მიზნის თავისთავადობა სხვა არაფერია, თუ არა დირებულების ფორმით მისი არსებობის აღიარება. მიზანი, თავის მხრივ, შესატყვის საშუალებას მოითხოვს, რათა ის რეალურად განხორციელდეს, ხოლო მიზნის, საშუალებისა და შედეგის მიხედვით ადამიანის მოღვაწეობის შეფასება სოციოლოგიურ თვალსაზრისში გადადის.¹⁴⁸ ე.ი იმისათვის, რომ მიზანი რეალურად განხორციელდეს, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ საშუალება, მაგრამ საშუალების გამოყენება ყოველთვის არ იწვევს სასურველ შედეგს. როგორც დავინახეთ, კანტი მიზნის თავისთავადობიდან ამოდის, ხოლო ჰეგელი კი შედეგზეა ორიენტირებული.

არის თუ არა შესაძლებელი, რომ სასჯელის, როგორც საშუალების გამოყენებამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოგვცეს კონკრეტული შედეგი, მაგ – მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის არჩადენა? რა თქმა უნდა სასჯელის მიზანი არის ის, რაც სასჯელის მეშვეობით უნდა განხორციელდეს, მაგრამ წინასწარ ვერ ვიტყვით იმას,

¹⁴³ იხ. გ. ტელელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორგენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996, გვ. 407.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 407–408.

¹⁴⁵ იხ. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბილისი, 1962, გვ. 405.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 406.

¹⁴⁷ იხ. თ. ბუაჩიძე, ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, „მეცნიერება“, 1976, გვ. 89.

¹⁴⁸ იხ. გ. ნაჭელია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 70.

რომ სასჯელის მიზანი ყოველთვის განხორციელდება. სასჯელის მიზნები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში კი არა. ამიტომ სასჯელის მიზნების საკითხი ფრიად საინტერესოა, არა მარტო სისხლის სამართალში, არამედ ფილოსოფიაშიც.

§1. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.“ როგორც ამ საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, კანონმდებლი სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენას მიიჩნევს.

სამართლიანობა იდეალური მდგომარეობაა და წარმოადგენს, როგორც სამართლშემოქმედების, ასევე სამართლის შეფარდების მიზანს. სამართლიანობა არის (პოზიტიური) სამართლის დირექტულებითი მასშტაბი (არისტოტელე). სამართლიანობა წინააღმდეგობრივი და მრავალასპექტიანი მოვლენაა. შესაბამისად, შეუძლებელია სამართლიანობის ზოგადი ცნების ჩამოყალიბება. სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს.¹⁴⁹

მიუხედავად აღნიშნულისა, ფილოსოფოსები სამართლიანობასთან დაკავშირებით სამ ძირითად პუნქტზე საუბრობენ: 1) სამართლიანობა ნიშნავს თანასწორობას და ზნეობრიობას; 2) სამართლიანობა არის ორმხრივობა, რომელიც დაკავშირებულია აკრძალვასთან, არავინ უნდა დააზიანო, ამრიგად: „ყველას კეთილდღეობა და არავის ტკივილი“; 3) სამართლიანობა ასევე მოითხოვს სოციალურ სამართლიანობას.¹⁵⁰

ასე განმარტავს არისტოტელე სამართლიანობის დეფინიციას: „სამართლიანობა არის თანასწორობა.“

სამართლის თეორიაში განასხვავებენ სამართლიანობის ორ სახეს: 1) განაწილებითი სამართლიანობა და 2) გათანაბრებითი სამართლიანობა. 1) განაწილებითი სამართლიანობა დიდ როლს ასრულებს იერარქიული სტრუქტურის მქონე ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში განაწილების მასშტაბი შეიძლება იყოს თანასწორობა, შეტანილი წვლილი ან მოთხოვნილება. თანასწორობის პრინციპის მიხედვით თითოეულს უნდა მიეკუთვნოს თანაბარი წილი. თანამედროვე გაგებით, განაწილებითი სამართლიანობა გულისხმობს, რომ სახელმწიფო ცდილობს არსებული სოციალური განსხვავებების გათანაბრებას. 2) გათანაბრებული სამართლიანობა მოიცავს ურთიერთობებს, რომელთაც არა აქვთ იერარქიული სტრუქტურა. გათანაბრებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს არითმეტიკული პროპორციულობა (არისტოტელე). გათანაბრებითი სამართლიანობა უდევს საფუძვლად სახელშეკრულებო

¹⁴⁹ იბ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 67.

¹⁵⁰ იბ. A. Montenbruck, Strafrechtsphilosophie (1995-2010), Vergeltung, Strafzeit, Sündenbock, Menschenrechtsstrafe, Naturrecht, 2. Erweiterte Auflage, 2010, Freie Universität Berlin, S-5.

სამართალს: მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნაყიდი ნივთის საფასური, ბინის დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს ქირა და ა. შ. სასჯელის ან კომპენსაციის (აღდგენითი) სამართლიანობა საფუძვლად უდევს სისხლის სამართალს-მიუენებული ზიანი შესაბამისად უნდა იქნას ანაზღაურებული; დანაშაულისათვის უნდა დადგეს სასჯელი.¹⁵¹

პროფ. გურამ ნაჭევაძია მიუთითებს, რომ სამართლიანობა ეთიკის კატეგორიად და სპეციფიკურად ვლინდება სამართალშიც, მათ შორის სისხლის სამართალში. განსხვავებით სიკეთის კატეგორიისაგან, რომელიც უპირობო და უნაცვალგებოა, ე.ი. აბსოლუტური ღირებულებაა, სამართლიანობა ნაცვალგების პრინციპზეა აგებული.¹⁵²

სისხლის სამართლის თეორიაში, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სხვადასხვაგვარად არის გაგმდული. აბსოლუტური თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა. კანტი მიიჩნევს, რომ დანაშაული ზნეობრივი კანონის დარღვევაა და როგორც ასეთი იწვევს სასჯელის გამოყენებას. საყურადღებოა, რომ კანტის თეორიაში სასჯელი ღებულობს პრიმიტიული მატერიალური ტალიონის ხასიათს. რომელია, – სვამს კითხვას კანტი, – სასჯელის პრინციპი, რომლითაც სამართლიანობა ხელმძღვანელობს? და უპასუხებს, რომ ესაა თანასწორობის პრინციპიო. „იმ სიავეს, რასაც შენ მიაყენებ სხვას, თავის თავს აყენებო“, – წერს კანტი.¹⁵³ კანტს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ სასჯელი სამაგიეროს მიზღვაა. სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა არავითარ კავშირში არ არის სამაგიეროს მიზღვასთან. სამაგიეროს მიზღვა არც სასჯელის შინაარსია და არც მისი მიზანი. სამაგიეროს მიზღვა სასჯელის მიზანი ვერ იქნება, ვინაიდან მიზანი მიმართულია მომავლისაკენ. ხოლო თუ პიროვნებას დაგსჯით, მაშინ ეს მიზანი როდისლა უნდა განხორციელდეს? პიროვნებას ვსჯით იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. კანტი ადამიანის ნების აბსოლუტური თავისუფლების პოსტულატებიდან ამოდის.

აბსოლუტური თეორიის მიმდევრები სასჯელის მიზანს სამაგიეროს მიზღვაში ხედავდნენ. მათი აზრით, ადამიანს ვსჯით იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

შურისძიება გულისხმობს სასჯელს, როგორც უსამართლობის ან ბრალისათვის სამაგიეროს გადახდას. დროთა განმავლობაში მის გვერდით გაჩნდნენ სასჯელის სხვა მიზნებიც – დაშინება, გამოსწორება, უსაფრთხოება, რომლებმაც ვერ შეძლეს შურისძიების იდეის განდევნა.¹⁵⁴

სისხლის სამართლის წესით დასჯა სერიოზული და საჭირო მოქმედებაა საზოგადოებრივ-სოციალური სამართლიანობის აღსადგენად. ამრიგად, სახელმწიფო, რომელიც რეალიზაციას უკუთებს თავის უფლებებს, დასაჯოს დამნაშავე, ამასთან აღადგენს ამ დამნაშავის მოქმედებით დარღვეულ სოციალურ სამართლიანობას. სოციალური

¹⁵¹ ი. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 73.

¹⁵² ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭევაძია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 31.

¹⁵³ ი. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 29.

¹⁵⁴ ი. რ. დრაიერი, რა არის სამართლიანობა, მართლმხაჯულების მაცნე, №2-3, თბილისი, 2003, გვ. 12.

სამართლიანობა მიიღწევა სხვადასხვა ხერხებით, რომელიც დამოკიდებულია ცალკეული დანაშაულებების ხარისხობრივ და რაოდენობრივ დახასიათებაზე. მაგალითად, ქონებრივი ხასიათის სასჯელებს აქვთ შედარებით აშკარა აღდგენითი, ანაზღაურებითი ხასიათი. იქ, სადაც დანაშაულებრივი შედეგის ანაზღაურება ნაკლებად ხდება, მაგალითად, მკვლელობის დროს ან ზოგიერთი მძიმე დაზიანების შემთხვევაში, აღდგენით ხასიათს გამოხატავს დამნაშავეზე შედარებით მკაცრი სასჯელის დადება, რაც დაკავშირებულია მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთასთან.¹⁵⁵

პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს, რომ დანაშაული შეუქცევადი მოვლენაა და დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია. დანაშაული შეუქცევადი მოვლენაა, განსხვავებით სამოქალაქო სამართლდარღვევისაგან, რომელიც აღდგენით ხასიათს ატარებს. დანაშაული მართლაც შეუქცევადი მოვლენაა, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ასეთ მაგალითს. მაგ. ოუ პიროვნებამ მოიპარა ავტომანქანა და შემდეგ ნებაყოფლობით დაუბრუნა იგი მფლობელს, იგი არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, არამედ შეიძლება აღნიშნული მიიჩნიონ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. მართალია პიროვნებამ უკან დააბრუნა მოპარული ნივთი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაული იწვევს არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც, რომლის გაბათილება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ასპექტით, პირვანდელი მდგომარეობის, ანუ დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა სავსებით შესაძლებელია სასჯელის ასპექტით. **პროფ. გურამ ნაჭყებიას** აზრით, სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული კვლავ დაუბრუნდება საზოგადოებას და მოხდება მასში პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოღვიძება. მაშასადამე სასჯელის ასპექტით სავსებით შესაძლებელია დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.

სამართლიანობის აღდგენა გამოიხატება იმაში, რომ დაცულ იქნეს პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო დანაშაულებრივი ქმედებებისაგან.

სამართლიანობის აღდგენის მიზანი მიღწეულია მაშინ, როცა სასჯელი საზოგადოებასა და დაზარალებულ პირს უბრუნებს სამართლიანობის უზენაესობის შეგრძნებას.¹⁵⁶

სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს დანაშაულის ჩადენით დაზიანებული სამართლებრივი სიკეთის აღდგენას, ზიანის ანაზღაურებას და სასჯელის დაკისრებას.¹⁵⁷

სამართალმა ისე უნდა მოაწესრიგოს ადამიანთა ქცევა, რომ მოგება და ზარალი სამართლიანად განაწილდეს, საპირისპირო ინტერესები სამართლიანად ურთიერთშეჯერდეს, დასჯადი ქმედება

¹⁵⁵ იხ. ზ. მუავანაძე, ო. მინდაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005, გვ. 302.

¹⁵⁶ იხ. ო. მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელადსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008, გვ. 104.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 108.

სამართლიანად დაისაჯოს, მოკლედ საზოგადოებაში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს¹⁵⁸.

გ. ქათამაძე მიუთითებს, რომ სასჯელი, როგორც სახელმწიფო იმულების განსაკუთრებული ღონისძიება, მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ანუ დარღვეულის აღდგენაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი კი უკავშირდება სისხლის სამართლის საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინს „სამაგიეროს მიზღვას“. ტერმინი „სამაგიეროს მიზღვა“ შეიძლება მეტ-ნაკლებად მისაღები იყოს. იგი შეიძლება შეიცვალოს „სამართლიანი სამაგიეროს მიზღვით“, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში სამაგიეროს მიზღვა შეიძლება უსამართლოც იყოს (მაგ. სასამართლომ გამოიტანა უკანონო განაჩენი, რომლითაც პირს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა), ამიტომ სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა ობიექტურად ითვლება საზოგადოების წევრთა უფლებებისა და ინტერესების, მათი ნორმალური განვითარების დაცვის საშუალებად.¹⁵⁹

სასჯელის არსი ყოველთვის განსაზღვრული უნდა იყოს იმ მიზნისაგან დამოუკიდებლად, რა მიზანსაც ისახავს ის. მიზანი და საშუალება მომავალთანაა დაკავშირებული, ამიტომ თუკი სამაგიეროს მიზღვას სასჯელის მიზნად მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ მისი დანიშნის მოქმედები, პირი, რომელსაც სასჯელი დაენიშნა, სამაგიეროს მიზღვის გარეშე რჩება, ამით კი სასჯელს თავისი ძირითადი ფუნქცია ეკარგება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა შეიძლება ჩავთვალოთ სასჯელის არსად, ხოლო მიზანი, რომელიც სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის გზით ხორციელდება, სამართლიანობის აღდგენა.¹⁶⁰ მართალია მ. ქათამაძე სავსებით ლოგიკურად მიჯნავს სასჯელის ცნებას და მის მიზანს, მაგრამ ამ პოზიციას იგი თანმიმდევრობით ვერ ასაბუთებს. სამართლიან სამაგიეროს მიზღვას სასჯელთან არავითარი კავშირი არა აქვს. სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა არც სასჯელის არსია და არც სასჯელის მიზანი. სასჯელის საფუძველს აბსოლუტური თეორიის მიმდევრები სამაგიეროს მიზღვაში ხედავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანის აბსოლუტური თავისუფლების პოსტულატებიდან ამოდიოდნენ.

მართალია სასჯელის შინაარსი გარკვეულწილად მოიცავს სამაგიეროს მიზღვის ელემენტებს, მაგრამ სასჯელის არსი სამაგიეროს მიზღვაზე არ დაიყვანება. სასჯელის არსი მოიცავს პირის დასჯას. პიროვნებას ვსჯით, იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ განხორციელდეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა.

განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, პერსონალური, ინდივიდუალური ტიპის პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, როდესაც სასამართლოს ამა თუ იმ პირისადმი გამოაქვს განაჩენი, მხოლოდ ამ განაჩენის დასაბუთებულობა ან კანონიერება საკმარისი არ არის. არსებითია ისიც, რომ განაჩენით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს ადეკვატური იმ ქმედებისა, რაც მსჯავრდებულმა ჩაიდინა და სრულად უნდა

¹⁵⁸ იხ. რ. ციკელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, გვ. 11.

¹⁵⁹ იხ. მ. ქათამაძე, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, სამართალი, თბილისი, №11-12-13, 2000, გვ. 142.

¹⁶⁰ აქვთ, გვ. 142.

შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, მის პერსონალურ მახასიათებლებს.¹⁶¹

სამართლიანი დამსახურების თეორიის მიხედვით სასჯელი უნდა ასახავდეს ბრალს სამართალდარღვევისათვის და ის უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.

სამართლიანი დამსახურების თეორია მხედველობაში იდებს მხოლოდ ჩადენილ დანაშაულს და ამ დანაშაულის შესაბამისად ცდილობს სასჯელი შეუფარდოს მის ჩამდენ პირს. ის არ ითვალისწინებს პერსონალურ გარემოებებს, დამნაშავის პიროვნებას, მის სტატუსს, წარსულ ცხოვრებას, რის გარეშეც შეუძლებელია სამართლიანი განაჩენის დადგენა.¹⁶²

სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს პირის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, დამნაშავის პიროვნებას, მის ცხოვრების წესს და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.¹⁶³

პროფ. გ. ნაჭეებია მიუთითებს, რომ უნდა განვასხვაოთ სამაგიეროს მიზღვა, რომელიც, ზოგჯერ თვითგასწორების აქტშიც ვლინდება და სამართლიანობა, რომლის ობიექტური კრიტერიუმი ჩადენილი დანაშაული და მისი ჩამდენი პირია.¹⁶⁴

სასჯელის სამართლიანობა, ერთის მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩადენით სამართლიანობა ადდგენილია, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის მხრივ სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას.¹⁶⁵

სამართლიანობის ადდგენაზე მართებულად მსჯელობს პროფ. ი. დგალიძე. იგი წერს: „სისხლის სამართალში სამართლიანობის ადდგენა თანაბარ პირობებში დაბრუნებასაც, მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასაც ნიშნავს. ამას ისიც ადასტურებს, რომ დაუმსახურებელი სასჯელის შეფარდების შემდეგ, პიროვნების რეაბილიტაცია ხდება, რადგან სასჯელი თავისი ბუნებით ყოველთვის შემზღვდებელია და თუ სამართლიანი სასჯელი მართლწესრიგის ადგენას ემსახურება, უსამართლო სასჯელი მართლწესრიგს არღვევს.“¹⁶⁶

სამართლიანობის ადდგენა გულისხმობს პირის დასჯას მისი ბრალის შესაბამისად. სამართლიანობის ადდგენის მიზანი დაკავშირებულია ქმედებისა და სასჯელის პროპორციულობასთან. პირმა უნდა მიიღოს ის, რაც მან კანონით აკრძალული ქმედების განხორციელების შედეგად დაიმსახურა. სასჯელი ყოველთვის დანაშაულს მოსდევს და გამოიყენება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. სასამართლომ პირს სასჯელი უნდა დაუნიშნოს ჩადენილი ქმედების სიმძიმის პროპორციულად. სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავის

¹⁶¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბილისი, 2012, გვ. 332.

¹⁶² იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდებულობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 74.

¹⁶³ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბილისი, 2012, გვ. 333.

¹⁶⁴ იხ. გ. ნაჭეებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 103.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 102.

¹⁶⁶ იხ. ი. დგალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 28.

პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმბიმეს, ანუ სასჯელი აღეპვატური უნდა იყოს დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირისა.

სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევაა, მაგალითად სისხლის სამართლის დამნაშავის მიმართ მისი ბრალის შეუსაბამო, ზედმეტად მკაცრი სასჯელის გამოყენება, ანუ თუ არ იქნება გათვალისწინებული მისი ბრალის სიდიდე.¹⁶⁷

დანაშაული არის „სამართლიანი წყობის“ დამრღვევი ქმედება. ამრიგად, სასჯელის არსი წარმოგვიდგება, როგორც ქმედება, რომელიც აღადგენს „სამართლიან წყობას“. სასჯელი აღეპვატურია, თუ ის თანაზომიერი და თანაზომადია დანაშაულისა.¹⁶⁸

ვინც შეგნებულად მიაყენა ზიანი სამართლით დაცულ სიკეთეს, უნდა აღადგინოს იგი მის პირველყოფილ მდგრამარეობაში ან საჭიროების შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება ან კომპენსაცია გასწიოს.¹⁶⁹

სამართლიანობა საზოგადოების მიმართ უეჭველად მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ სადაოა, თუ რამდენად მოითხოვს იგი დამნაშავისადმი ტკივილის მიუენებას, რომელიც დაზარალებულს არაფერში არგებს.¹⁷⁰

მიმართების, რომ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შეესაბამება: 1) მსჯავრდებულის პიროვნებას; 2) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმბიმეს; 3) დაზარალებულის ინტერესებს. აღნიშნული საკითხი ვრცლად განხილული იქნება სასჯელის დანიშვნის პროცედურის დახასიათებისას.

სამართლიანობის დარღვევა ნიშნავს, იმას, რომ დანაშაულმა დაარღვია სამართლიანობა. მაშინ რატომ არ არის დანაშაული სამართლიანობის დამრღვევი ქმედება? სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მართალია, დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დანაშაული არის არა მარტო მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ იგი არის უსამართლობის აქტიც. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენა სამართლიანობის დარღვევაცაა, მაგრამ უშუალოდ დანაშაულის ნიშანი არ არის სამართლიანობის დარღვევა. სამართლიანობის დარღვევასა და მართლწინააღმდეგობას შორის გარკვეული ზღვარი არსებობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირსაც. იურიდიული პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს, მხოლოდ კანონში მითითებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ამიტომ, სასჯელის

¹⁶⁷ იხ. ლ. იზორია, ქ. კორკელია, ქ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომეტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 383.

¹⁶⁸ იხ. გ. თუმანიშვილი, სასჯელის აღეპვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, სამართალი, №1-2, 2003, გვ. 127.

¹⁶⁹ იხ. რ. დრაიერი, რა არის სამართლიანობა, მართლმსაჯულების მაცნე, №2-3, თბილისი, 2003, გვ. 12.

¹⁷⁰ იხ. ქ. წიქარიშვილი, სასჯელი, აღმანახი, №8, 1998.

მიზნები მიღწეულ უნდა იქნეს, არა მარტო, ფიზიკური პირის მიმართ სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, არამედ იურიდიული პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროსაც. სამართლიანობის ადგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი იურიდიული პირისათვის სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში ყოველთვის ვერ მიიღწევა. მაგალითად, იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნის შემთხვევაში უსამართლოდ ისჯებიან იურიდიული პირის თანამშრომლები, რომლებსაც არანაირი შემხებლობა არა აქვთ დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

§2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის ადგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.“ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის ერთ-ერთი მიზანია. სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პრევენციას უწოდებენ.

პრევენცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა – *Praeventio* და ნიშნავს რისიმე თავიდან ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღებას.¹⁷¹

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ პრევენციის ორ სახეს: საერთოს, ანუ ზოგადს (გენერალური) და სპეციალურს, ანუ კერძოს. მართალია, სსქ-ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც მოცემულია სასჯელის მიზანი „ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“, ზუსტად არ არის განსაზღვრული ზოგადი და სპეციალური პრევენცია, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ: „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით“... აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, ანუ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში იგულისხმება, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენცია.

დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის რეალიზაცია გულისხმობს ახალი დანაშაულის ჩადენის დაუშვებლობას, როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მიერ.

თანამედროვე სასჯელის თეორიები ორიენტირებულია პრევენციაზე. გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სისხლის სამართალი გენერალური და სპეციალური პრევენციული ზემოქმედების გარეშე იქნებოდა არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ უზნეოც.¹⁷²

¹⁷¹ იხ. ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბილისი, 2000, გვ. 159.

¹⁷² იხ. M. Baumann, Zweckrationalität und Strafrecht: Argumente für ein tatbezogenes Maßnahmerecht, Opladen, 1987, S. 6.

სასჯელის ზოგადი, ანუ გენერალური პრევენცია მოიცავს ორ სახეს: პოზიტიური გენერალური პრევენცია და ნეგატიური გენერალური პრევენცია. ხოლო სასჯელის სპეციალურ, ანუ კერძო პრევენციაში ასევე გამოიყოფა ორი კომპონენტი: პოზიტიური სპეციალური პრევენცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.1. სასჯელის ზოგადი (გენერალური) პრევენცია

სასჯელის გენერალური პრევენცია, როგორც სასჯელის მიზანი, სასჯელის სხვა მიზნებთან (შურისძიება, სპეციალური პრევენცია) ერთად აღიარებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გენერალური პრევენცია (საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტარული დირექტულების დაცვა) სასამართლოს მიერ მოხსენიებულია, როგორც სასჯელის უმაღლესი მიზანი.¹⁷³

ზოგად, ანუ საერთო პრევენციაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ხშირად ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს მიზანი წარმოადგენს იმ პირთა მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, რომელთა საქმიანობაც დანაშაულის ჩადენაზეა ორიენტირებული. მაგ. ვ.ზუბკოვას მიზნია, რომ სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანი ხორციელდება დაშინებისა და მსჯავრდებულზე სასჯელის დაკისრების საშუალებით, პრინციპით: „დაე სხვებს ეშინოდეთ.“¹⁷⁴

სასჯელის ზოგადი პრევენციის მიზანს ეხებოდა ცნობილი კრიმინალისტი **ჩ. ბეკარია**. იგი წერდა: „უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა.“¹⁷⁵ **ჩ. ბეკარია** მიიჩნევს, რომ დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერმოქმედი საშუალების არსი მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში.¹⁷⁶ როგორც ვხედავთ, **ჩ. ბეკარია** პირველ ადგილას აყენებს დანაშაულის თავიდან აცილებას, რომელიც გამოიხატება არა მკაცრ სასჯელში, არამედ სასჯელის გარდუვალობაში. ზოგადი პრევენცია გულისხმობს არა მარტო სასჯელით დაშინებას, არამედ მორალურ ეფექტსაც. როდესაც საზოგადოების მერყევი ელემენტები აღიქვამებ იმ ფაქტს, რომ ყოველ ჩადენილ დანაშაულს გარდუვალად მოჰყვება სასჯელი და ამის შემდეგ შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც დანაშაულის ჩადენაზეა ორიენტირებული.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასჯელის მიზანი, გენერალური პრევენციის თვალსაზრისით, არის დანაშაულის თავიდან აცილება საზოგადოების

¹⁷³ ი. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 34.

¹⁷⁴ ი. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ალმანახი, №3, 2004, გვ. 55.

¹⁷⁵ ი. ჩ. ბეკარია, „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი. ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003, გვ. 197.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 124.

ყველა წევრის მხრიდან.¹⁷⁷ ზოგიერთი მკვლევარი კი ფიქრობს, რომ სასჯელი ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ საზოგადოების მერყევ ელემენტებზე, რომლებიც ანტისაზოგადოებრივი ქცევით გამოირჩევიან.

გერმანულ სისხლისამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის გენერალური პრევენცია ნიშნავს სასჯელის მეშვეობით ნორმის პოტენციური დამრღვევების დაშინებას.¹⁷⁸

მიმაჩნია, რომ სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას (*ნეგატიური გენერალური პრევენცია*) ახდენს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ (განსხვავებით პოზიტიური გენერალური პრევენციისგან, რომელიც საზოგადოების ყველა წევრზე მოქმედებს), არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ. ვფიქრობ, რომ კანონმორჩილი მოქალაქე სასჯელის შიშით კი არ ჩადის დანაშაულს, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნული მისთვის მიუღებელია. დანაშაულებრივი ქმედებები ეწინააღმდეგება მის შინაგან ბუნებას. კანონმორჩილი მოქალაქეების მიმართ, სასჯელი დამაშინებელ ზემოქმედებას კი არ ახდენს, არამედ ისინი განმსჭვალული არიან კანონისადმი პატივისცემით.

სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის გარდუვალობა არ ემთხვევა სასჯელის გარდუვალობას. ცხადია, სასჯელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა და, მაშასადამე, სასჯელიც ამ აზრით გარდუვალია, მაგრამ ჯერ ერთი, არსებობს სასჯელის კონომიის პრინციპი. ადამიანი, როგორც თ. დოსტოევსკი იტყოდა, ყველაფერს ეჩვევა. მაშასადამე, იგი სასჯელსაც შეეჩვევა. ამ პირობებში სასჯელი ეფექტური ვერ იქნება. ამიტომაა აუცილებელი, რომ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში გამოვიყენოთ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ზომა, ვიდრე სასჯელი. მეორეც, არსებობს პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები, რაც იმას ადასტურებს, რომ სათანადო სახელმწიფოებრივი რეაგირების გარეშე არც ერთი დანაშაული არ უნდა დარჩეს, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ ზემოქმედების რა ზომა უნდა იქნეს გამოყენებული, წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹⁷⁹

სასამართლოს მიერ კონკრეტული დამნაშავის დასჯის ფაქტი არწმუნებს ყველა სხვა პირს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისინიც აუცილებლად დაისჯებიან და, ამრიგად, ამა თუ იმ დამნაშავისათვის შეფარდებულ სასჯელს მათოვის გამაფრთხილებელი, დანაშაულის ჩადენისაგან თავის შემაკავებელი მნიშვნელობა ენიჭება.¹⁸⁰

ზოგადი პრევენცია ხორციელდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული პირის მიმართ სასამართლო გამოიყენებს სასჯელს, არამედ თვით სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან. როგორც პროფ. გურამ ნაჭეებია მიიჩნევს, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო

¹⁷⁷ ი. H. Kyong Joo, Die positive Generalprävention im Straßenverkehr, Frankfurt, 2013, S. 47.

¹⁷⁸ ი. W. Gropp, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 35.

¹⁷⁹ ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეებია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 29.

¹⁸⁰ ი. ბ. ფურცხანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 218.

სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა.¹⁸¹ როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, სისხლის სამართლის კანონი ზოგადგამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს. თვით კანონის გამოქვეყნების ფაქტი დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე, რათ მათ მხრიდან გამოირიცხოს დანაშაულის ჩადენა. როგორც ვხედავთ, ზოგადი პრევენცია მოქმედებას იწყებს სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის დამყარდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა.

ზოგადი პრევენციის შინაარსი გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილში: „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწერიგის დაცვა.“ როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია არა მარტო დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებაც. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს.

სასჯელის მუქარა თავისთავად აფრთხილებს მოქალაქეს არ ჩაიდინოს დანაშაული. თვით გამოქვეყნება სისხლის სამართლის კანონისა, რომელიც დანაშაულის შემაღებელობასა და შესაბამის სასჯელს ითვალისწინებს, მოქალაქეებს უქმნის მართებული ქცევის მოტივებს. ზოგისთვის ის ფაქტიც საკმარისია, რომ კანონმდებელი შესაბამის ქმედებას უარყოფითად აფასებს, ზოგიერთზე სასჯელის მუქარა დაშინებით ზეგავლენას ახდენს.¹⁸²

სისხლის სამართლის კანონით ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამით სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ გაიგონ, რომ ზოგიერთ ქმედებას მართლწერიგი განსაკუთრებით საშიშად თვლის და ამიტომ საზოგადოებამ ასეთი ქმედების მიმართ შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავოს. მერყევი ადამიანებისათვის დანაშაულისაგან თავის შეკავების მდლავრ სტიმულს ის წარმოადგენს, რომ ქმედების აკრძალვა სასჯელის მუქარით არის განმტკიცებული.¹⁸³ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადი პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორც სისხლის სამართლის კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, ისე კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნისას და სასჯელის აღსრულებისას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მოიცავს, როგორც ზოგად, ანუ გენერალურ, ისე სპეციალურ პრევენციას. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს სასჯელის ზოგადი, ანუ გენერალური პრევენცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო კონკრეტული პირის

¹⁸¹ იხ. გ. ნაჭეულია, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, ობილისი, 2002, გვ. 31.

¹⁸² იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), ობილისი, 2007, გვ. 355.

¹⁸³ იქვე, გვ. 9.

მიმართ გამოიყენებს კონკრეტულ სასჯელს, არამედ უფრო ადრეული სტადიოდან. სისხლის სამართლის კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, როდესაც ესა თუ ის ქმედება გამოცხადდება დანაშაულად და სასჯელით აიკრძალება მისი ჩადენა. სწორედ ამ მომენტიდან ხორციელდება სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქცია. განსხვავებით, სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემთხვევისაგან, როდესაც დანაშაულია ჩადენილი, კანონით მუქარის დროს შესაძლებელია ჯერ კიდევ არ იყოს ჩადენილი დანაშაული. შესაბამისად, ახალ დანაშაულზეც ვერ ვისაუბრებთ. ამდენად, ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი დაზუსტებას საჭიროებს. აღნიშნულ მუხლში ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ნაცვლად უნდა იყოს „დანაშაულის თავიდან აცილება“, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელი ზოგადგამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს დანაშაულის ჩადენამდეც (კანონით მუქარა). შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი უნდა იყოს დანაშაულის თავიდან აცილება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მაგალითად, კონკრეტული სასჯელით მუქარის შემთხვევაში, მას ზოგადპრევენციული ფუნქცია არ აქვს (სანამ დანაშაული არ იქნება ჩადენილი). სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. სასჯელი ზოგადპრევენციულ ამოცანას ასრულებს, როგორც კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას.

სასჯელის ბუნების განსაზღვრისას, სასჯელის მიზნიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ ზოგადი პრევენციის მოთხოვნით. სასჯელმა ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულის სოციალურ ადაპტაციას. სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სასჯელთა მრავალფეროვანი სახეებიდან სასამართლომ უნდა შეარჩიოს ის სასჯელი, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციას, მის ჩართვას საზოგადოების ცხოვრებაში. კარგია ის სასჯელი, რომელიც აკმაყოფილებს პრევენციის მოთხოვნებს.¹⁸⁴ სასჯელის ისეთი სახის დანიშვნის შემთხვევაში, როგორიცაა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ხორციელდება ზოგადი პრევენცია. მაგ. თუკი მოხელემ, ან მასთან გათანაბრებულმა პირმა აიღო ქრთამი და მას ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლება, ამ შემთხვევაში ხორციელდება ზოგადი პრევენცია და საჯარო სამსახურში მყოფი პირებისათვის აღნიშნული წარმოადგენს ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას.

გ. კულტურული სასჯელის ზოგადი პრევენციის განხორციელებისას გამოჰყოფს სამ კრიტერიუმს: 1) დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზოგადი ცოდნა; 2) კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმკაცრის ცოდნა; 3) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუგალობის ცოდნა.¹⁸⁵

¹⁸⁴ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 368.

¹⁸⁵ იხ. . . , .., 1978, c. 139.

დანაშაულის თავიდან აცილება მიღწეული იქნება კანონისადმი ერთგულების გაძლიერებით და მართლწესრიგის დაცვით, ასევე საზოგადოების დაშინებით.¹⁸⁶

სასჯელის გენერალური პრევენციის თეორიის ადრესატია მთელი საზოგადოება. აქ გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები.¹⁸⁷ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.1.1. სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია

სასჯელის გენერალური პრევენციის დაყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებად, გვხვდება გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში.

სასჯელის თეორიებიდან წინა პლანზე დგას სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია.¹⁸⁸

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღიარებულია სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია. თავდაპირველად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები (პოზიტიური გენერალური პრევენციის დასახელების გარეშე) გადაწყვეტილებაში უკანონო აბორტთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის სამართლებრივი საზოგადოების ელემენტარული დირექტულებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, ერთის მხრივ მოსახლეობის დირექტულების გაძლიერება, ხოლო მეორეს მხრივ, დამნაშავეების დასჯადი ქცევის ჩადენისაგან თავის შეკავება შეესაბამება პოზიტიურ გენერალურ პრევენციას.¹⁸⁹

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია მიზნად ისახავს სამართლისადმი პატივისცემის მიღწევასა და შენარჩუნებას და ამით საზოგადოებაზე ახდენს პოზიტიურ ზემოქმედებას. მას აქვს სოციალ-პედაგოგიურად მოტივირებული სასწავლო-აღმზრდელობითი ეფექტი, რომელიც წარმოადგენს სამართალმორჩილების უნარის გამომუშავების პრაქტიკას. მიუხედავად დადებითი შინაარსისა, იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებას.¹⁹⁰

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თანახმად, სასჯელის ამოცანაა დარღვეული ქცევის წესის შინაგანი აღიარება.¹⁹¹

1893 წელს ემილი დურქემი (1858-1917) მიუთითა, რომ სასჯელის არსი მდგომარეობს საზოგადოების მორალური სოლიდარობის

¹⁸⁶ ი. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 34.

¹⁸⁷ ი. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 44.

¹⁸⁸ ი. W. Gropp, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 39.

¹⁸⁹ ი. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 57.

¹⁹⁰ ი. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 45.

¹⁹¹ ი. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 21.

გაძლიერებაში. პოზიტიური გენერალური პრევენციის ადრესატი არის არა მხოლოდ კრიმინალური საფრთხის მქონე ადამიანები, არამედ მთელი საზოგადოება.¹⁹²

პოზიტიური გენერალური პრევენცია ორიენტირებულია არა ჩადენილ უმართლობაზე, არამედ მიზნად ისახავს მომავალში დადებითი გავლენის მოხდენას. სისხლის სამართლის მიზანი არის არა საშიში დამნაშავების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ იაკობის სიტყვებით – არსებული წესრიგის მიღება. უფრო ზუსტად: „დელიკატური ქცევის მეშვეობით წესრიგის მიმართ ნდობის სტაბილურობა“.¹⁹³

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ პოზიტიური გენერალური პრევენციის ამოცანაა საზოგადოების მორალური აღზრდა.¹⁹⁴

სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციას სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხშირად უთანაბრებებს შეურისძიების თეორიას. სამართლის ნდობის დაცვას სასჯელის მეშვეობით, კანონმორჩილი მოქალაქეებისთვის შეიძლება პქონდეს ორი მნიშვნელობა. ერთის მხრივ, ხდება თანასწორობის დაბალანსება შურისძიებით, სამაგიეროს მიზღვით, ხოლო მერეს მხრივ კანონის ზემოქმედება პრევენციის მეშვეობით.¹⁹⁵

შმიდტი მიუთითებს, რომ პოზიტიურმა გენერალურმა პრევენციამ, საზოგადოების ნდობა უნდა გააძლიეროს მართლწესრიგის მიმართ.¹⁹⁶

გერმანელი პროფესორი **მაიერი** სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის განხილვისას მიუთითებს, რომ სასჯელის გამოყენებით საზოგადოებისათვის ნორმის მოქმედება უნდა იქნას დადასტურებული. ამასთან, სასჯელის მეშვეობით ხდება სამართლის ხელშეუხებლობის დემონსტრირება. სამართლის ხელშეუხებლობის დემონსტრირების მეშვეობით, პოტენციური დამნაშავეთა მხრიდან, მომავალში აცილებული უნდა იქნას მსგავსი სამართლებრივი დარღვევები.¹⁹⁷

პოზიტიური გენერალური პრევენციის განხილვისას, გერმანელი პროფესორი **როქსინი** მიუთითებს, რომ სასჯელის ამოცანაა მართლწესრიგის დაცვა და მოსახლეობის მიერ სამართლის ერთგულების გაძლიერება. აღნიშნულს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღესდღეობით, ვიდრე წმინდა სასჯელის დამაშინებელ ზემოქმედებას. სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციაში გამოიყოფა სამი განხილვებული მიზანი: 1) სოციალურ-პედაგოგიური მოტივირებული სწავლების ეფექტი, სამართლის ერთგულების გაძლიერება; 2) ნდობის ეფექტი, როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ სამართლის რეალიზაცია

¹⁹² ი. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 26-27.

¹⁹³ ი. M. Pawlik, Das Unrecht des Bürgers, Tübingen, 2012, S. 84-85

¹⁹⁴ ი. J. Milton Peralta, Positive Generalprävention als Achtung der Rechtsordnung, Zugleich eine analytische Unterscheidung möglicher Interpretationen des Begriffs der „positiven Generalprävention“, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2008, S. 507.

¹⁹⁵ ი. Schünemann/von Hirsch/ Jarebog (Hrsg.), Positive Generalprävention, kritische Analysen im deutsch-englischen Dialog, 1996, S. 11.

¹⁹⁶ ი. R. Schmidt, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, 2006, S. 7.

¹⁹⁷ ი. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 22-23.

ხდება; 3) დაშოშმინების (დაწყნარების) უფექტი, როდესაც დამნაშავესთან კონფლიქტი მოგვარებულია.¹⁹⁸

სასჯელის გენერალურ პრევენციას ვხვდებით გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე პარაგრაფის პირველ და 56-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში - „მართლწესრიგის დაცვა“.¹⁹⁹

სასჯელის გენერალური პრევენციის პოზიტიურ ასპექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მართლწესრიგის დაცვას მოსახლეობის სამართლისადმი ნდობის შენარჩუნებით და გაძლიერებით, ასევე სამართლის რეალიზაციისას (პრევენციის ინტეგრაცია). კანონი აღნიშნავს ამ ასპექტს მხოლოდ სასჯელის სახის გამოყენებისას და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.²⁰⁰

პასემერის მოსაზრებით, პოზიტიური გენერალური პრევენციის თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა არა მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილება, არამედ ადამიანის სანიმუშო ქცევა.²⁰¹

სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციაზე მართებულად მსჯელობს პროფ. **გ. ლებეგეშვილი.** იგი წერს: „სასჯელის ზოგადი პრევენციული როლი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავისათვის მისი შეფარდება თავისი არსებობის ფაქტითა და გამოყენების შესაძლებლობით დადებით უფექტს ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ასპექტში“.²⁰²

პოზიტიური გენერალური პრევენცია მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობაში კონფორმული საქციელის გაძლიერებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნორმის დარღვევის შემთხვევაში აბსტრაქტულად სასჯელი გამოიყენება, ხოლო კონკრეტულად კი იგულისხმება დამნაშავე პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელება, ჩადენილი დანაშაულის აღეპვატური სასჯელით მისი გასამართლება და სასჯელის მოხდა, რათა მოსახლეობაში კანონისადმი მორჩილებას ჰქონდეს ადგილი. იაკობის მიხედვით, პოზიტიური გენერალური პრევენცია გულისხმობს, მოსახლეობაში ნორმის ნდობის, ნორმის აღიარების და ნორმის სტაბილურობის დამკვიდრებას.²⁰³

იაკობის და ჰეგელი მიუთითებენ, რომ ნორმის აღიარება მხოლოდ მაშინ არის სამართლიანი, როდესაც ნორმები სამართლიანია.²⁰⁴

ბეკარიას სასჯელის მიზნად მიაჩნია მხოლოდ დანაშაულთა თავიდან აცილება და ამიტომ იგი გადაჭრით უარყოფს იმ აზრს, რომელიც სასჯელის შინაარსს ხედავს პროპორციის საფუძველზე თანასწორისათვის თანასწორის მიზღვაში; სასჯელს იგი არ თვლის მიმზღველი სამართლიანობის აქტად; სასჯელი ემსახურება

¹⁹⁸ ი. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, S. 81-82.

¹⁹⁹ ი. J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995, S. 18.

²⁰⁰ ი. G. Schäfer, G. Sander, G. Gemmeren, Praxis der Strafzumessung, München, 2008, S. 170

²⁰¹ ი. Schünemann/von Hirsch/Jarebog (Hrsg.), Positive Generalprävention, kritische Analysen im deutsch-englischen Dialog, 1996, S. 12.

²⁰² ი. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდებლობითი ხასიათის იმულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 31.

²⁰³ ი. გ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 224.

²⁰⁴ ი. V. Badura, Hegel, Hassemer, Jakobs und die Bestätigung der Normgeltung durch Strafe. Lex Talionis im Gewand der positiven Generalprävention?, 2009, S. 25.

საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ამიტომ მიზანშეწონილ ხასიათს უნდა ატარებდეს.²⁰⁵

სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანი დასაბუთებული აქვს ვ. ზუბკოვას. იგი წერს: „დანაშაულის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა აღზრდა მათში პოზიტიური მორალის, რწმენისა და შეხედულებების გამომუშავების მიმართულებით“.²⁰⁶

ზოგადი პრევენციის მიზანი სასჯელით დაშინების გარდა ფლობს უდიდეს მორალურ ეფექტს და ის მიღწეულია მაშინ, როცა არაკანონმორჩილი მოქალაქეები აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ ყოველ ჩადენილ დანაშაულს გარდაუვლად მოჰყება სასჯელი და ამის შედეგად შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე ორიენტირებული.²⁰⁷

ი. ანდენები იხილავს სასჯელის ზოგადპრევენციულ მიზანს. იგი წერს: „სასჯელ შეუძლია პქონდეს 1) დაშინების ეფექტი; 2) მორალური ეფექტი; 3) შეუძლია ჩვეულებრივი კანონმორჩილი ქცევის სტიმულირება“²⁰⁸

თუმცა სასჯელის მიზანი არის გენერალური პრევენცია, მაგრამ იგი ხორციელდება არა დაშინებით, არამედ მორალური სწავლების მეშვეობით. საზოგადოებაში უნდა არსებობდეს საერთო მოვალეობის შეგრძნება დანაშაულის წინააღმდეგ.²⁰⁹

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის მეშვეობით უნდა ისწავლო პოზიტიური დამოკიდებულება სისხლისსამართლებრივი ნორმების მიმართ.²¹⁰

იმისათვის, რომ სასჯელის ჯეროვანი მოტივაციური ზემოქმედება უზრუნველყოფილ იქნას, ანუ სასჯელის მეშვეობით, სახელმწიფომ მისი საზოგადოების ყველა წევრის მისთვის სასურველი მოქმედება უზრუნველყოს, აუცილებელია, პირველ რიგში, საზოგადოებაში არსებულ პირობებთან თვით სასჯელის შესაბამისობა, რადგან დანაშაულებრივმა ქცევამ გაკიცხვა გამოიწვიოს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ყველა წევრის მხრიდან და, ამასთან, სასჯელმა საზოგადოებაში გარკვეული მხარდაჭერა პპოვოს. ასევე აუცილებელია, რომ დანაშაულებრივ ქცევას გარდაუვალად და ამასთან დროულად, მოჰყებების სასჯელის დანიშვნა. არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მართალია, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დამნაშავის დასჯისათვის ყველაფერია გაკეთებული. რაც უფრო სრულად იქნება ეს საკითხები მოგვარებული,

²⁰⁵ ი. ალ. ვაჩეოშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისმიებანი, თბილისი, 1960, გვ. 42.

²⁰⁶ ი. ალ. ვაჩეოშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისმიებანი, თბილისი, 2002. c. 86.

²⁰⁷ ი. ალ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, №3, 2004, გვ. 55.

²⁰⁸ ი. ალ. ვაჩეოშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისმიებანი, 1979. c. 149.

²⁰⁹ ი. გ. Radbruch, Gesamtausgabe Band 3, Rechtsphilosophie III, Heidelberg, 1990, S. 32.

²¹⁰ ი. J. Milton Peralta, Positive Generalprävention als Achtung der Rechtsordnung, Zugleich eine analytische Unterscheidung möglicher Interpretationen des Begriffs der „positiven Generalprävention“, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2008, S. 507.

მით უფრო დიდი პრევენციული ძალა ექნება სასჯელს და, აქედან გამომდინარე, მით უფრო დიდ მოტივაციურ ზემოქმედებას მოახდენს იგი, როგორც ობიექტური რეალობა, ადამიანის ქცევის პროცესში.²¹¹

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია, განსხვავებით ნეგატიური გენერალური პრევენციისგან, მოქმედებს განსაზღვრულ პირთა წრეზე, რომელთა ქცევაზეც სასჯელმა გავლენა უნდა მოახდინოს. მაშინ, როდესაც დაშინება მიმართულია ინდივიდუების მიმართ, რომლებსაც აქვთ წარმოდგენა დანაშაულის ჩადენის შესახებ, პოზიტიური გენერალური პრევენცია გამოდის იქედან, რომ დასჯილი ადამიანების თქმით, ისინი ყოველთვის ნორმის ერთგულები არიან.²¹²

მიმაჩნია, რომ სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია მოქმედებს **საზოგადოების ყველა წევრის მიმართ**, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელით (**კანონისადმი პატივისცემა**), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით (**სასჯელისადმი პატივისცემა**).

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის კრიტიკა გვხვდება გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. **შმითც რემბერგი** მიუთითებს, რომ თუ პირს მხოლოდ პოზიტიური გენერალური პრევენციის ფარგლებში დავსჯით, დამნაშავის ინდივიდუალური, პიროვნული მონაცემები გაუთვალისწინებელი დარჩება. პოზიტიური გენერალური პრევენცია არ მოითხოვს რა ზომის სასჯელი უნდა იქნას გამოყენებული. ამდენად, არსებობს საფრთხე სასჯელის ზომასთან დაკავშირებით.²¹³

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის იდეა გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. აღნიშნულ მუხლში გამოხატულია, როგორც სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია (სხვა პირზე ზემოქმედებით), ისე სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია (მსჯავრდებულზე ზემოქმედებით). სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია განხილული იქნება ქვემოთ. მართალია სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციას, რაც გულისხმობს, იმას, რომ სასჯელმა საზოგადოება უნდა განმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ დონისძიებებს და სანქციებს, მასში გამოხატულია სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია, რომელიც საზოგადოების დაშინებაზეა ორიენტირებული. მაგალითად,

²¹¹ იბ. ზ. კორდაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, ალმანახი, №8, 1998.

²¹² იბ. T. Hörmle, Straftheorien, Tübingen, 2011, S. 25.

²¹³ იბ. F. J. Schmitz-Remberg, Verständigung und positive Generalprävention , Eine Untersuchung der Verständigung im Strafverfahren gemäß § 257 c StPO hinsichtlich ihrer Vereinbarkeit mit der positiven Generalprävention; zugleich ein Beitrag zu den Straftheorien und der Strafzumessung, 2014, S. 45.

მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, თუ მხარეებს შორის დადებული არ არის საპროცესო შეთანხმება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ასევე, სასამართლოს უფლება არა აქვს დანიშნოს მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის არ არის დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება და ა.შ.

2.1.2. სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია

როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის გენერალური პრევენცია მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს.

სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია უკავშირდება გერმანელი კრიმინალისტის **ანსელმ ფოიერბახის** სახელს (ფსიქოლოგიური იძულების თეორია).

აღნიშნული თეორია სასჯელს მიზნად უსახავს მხოლოდ საზოგადოების დაშინებას. სასჯელის მუქარა, სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება საზოგადოებაში უნდა ნერგავდეს შიშს, რომ ფსიქოლოგიური იძულების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ დანაშაული არ ჩაიდინოს. ჰეგელი აკრიტიკებდა ფოიერბახის გენერალური პრევენციის თეორიას, რადგან მიიჩნევდა, რომ იგი ადამიანს ისე ეპყრობოდა, რომ ძაღლის დასაშინებლად თითქოს ჯოხს იქნევდა.²¹⁴

სასჯელი, როგორც დაშინების საშუალება, არის ნორმის არანებაყოფლობით დაცვის საფუძველი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, პოზიტიური გენერალური პრევენციის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სასჯელი გამოიყენება ნორმის ნებაყოფლობით დაცვის მოტივაციისათვის²¹⁵.

ყველა მოქალაქის ქცევა არ არის ნორმის შესაბამისი. ადამიანები არ არიან ანგელოზები. ამ საფუძვლით საჭიროა მათი დაშინება. საჭირო დაშინების ხარისხი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობით განისაზღვრება. რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთე საზოგადოებისთვის, მით უფრო დიდი უნდა იყოს სასჯელით დაშინება.²¹⁶

გერმანელი პროფესორი **როქსინი** სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის განხილვისას მიუთითებს, რომ ფოიერბახის მიხედვით, სასჯელის მიზანი მდგომარეობს კანონით დაშინების ეფექტურობის დასაბუთებაში, რომლის გარეშეც ეს დაშინება არაეფექტური იქნებოდა. კანონი ყველა მოქალაქეზე დამაშინებელ ზემოქმედებას ახდენს.²¹⁷

²¹⁴ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოდევრება, ობილისი, 2011, გვ. 45.

²¹⁵ იხ. Schünemann/von Hirsch/ Jarebog (Hrsg.), Positive Generalprävention, kritische Analysen im deutsch-englischen Dialog, 1996, S. 1.

²¹⁶ იხ. J. Milton Peralta, Positive Generalprävention als Achtung der Rechtsordnung, Zugleich eine analytische Unterscheidung möglicher Interpretationen des Begriffs der „positiven Generalprävention“, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2008, S. 514.

²¹⁷ იხ. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, S. 79.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, სასჯელის ამოცანა გამოიხატება პოტენციურ დამნაშავეთა დაშინებაში.²¹⁸

სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა დანაშაულის ღირებულება პოტენციური დამნაშავებისათვის გაზარდოს. სასჯელის მეშვეობით იზრდება დასჯის ალბათობა ან ქმედებასა და სანქციას შორის ვადის შემცირების შესაძლებლობა. საზოგადოების თითოეული წევრის დაშინებით საზოგადოებრივი ეფექტი მიიღწევა.²¹⁹

დაშინება გამართლებულია მაშინ, როდესაც პოტენციური დამნაშავები ინფორმირებული არიან კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების თაობაზე.²²⁰

სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია გამოდის იქედან, რომ მოქალაქეები იცნობენ სისხლის სამართლის ნორმებს და სასჯელის შეფარდების პრაქტიკას. თუმცა, საშუალოდ განათლებული მოქალაქეები უმეტეს სისხლისსამართლებრივ ნორმებს და სასამართლო პრაქტიკას საერთოდ არ იცნობენ.²²¹

გერმანელი პროფესორი მაიერი მიუთითებს, რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის გავლენა საზოგადოებაზე ხორციელდება: 1) სასჯელის მუქარით; 2) სასჯელის შეფარდებით; 3) სასჯელის აღსრულებით.²²² ანალოგიურ მოსაზრებას გვთავაზობს გროვი. იგი მიუთითებს, რომ დაშინების ფუნქცია ხორციელდება არა მხოლოდ სასჯელის დაშინებით, არამედ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით, სასჯელის შეფარდებით და სასჯელის აღსრულებით.²²³

სასჯელის აღსრულება ემსახურება მხოლოდ დაშინების გაძლიერებას.²²⁴

სასჯელის ზოგადპრევენციული თეორიის მომხრეა იტალიელი მეცნიერი ჩეზარე ბეკარია. იგი თავის ცნობილ ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელისათვის“ მიუთითებს, რომ შიში კანონის წინაშე კეთილისმეტნელია, მაგრამ შიში ადამიანის მიმართ დამღუპველია, მაგრამ წარმოშობს დანაშაულს.²²⁵

დანაშაულის ზოგადი გაფრთხილება, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, მიიღწევა, საზოგადოდ საშიში ქმედებისათვის სასჯელის გამოყენების მუქარის გზით. სასჯელის გამოყენების მუქარა თუ გამყარებული იქნება მისი რეალურად გამოყენებით, ეს დამნაშავებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს და აიძულებს პიროვნებას თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან. ყოველი დანაშაულისათვის კასუებისმგებლობა გარდაუვალია. ეს ნიშნავს იმას, რომ არც ერთი

²¹⁸ ი. G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1993, S. 20.

²¹⁹ ი. T. Spiegath, Zur Abschreckungswirkung des Strafrechts - Eine Metaanalyse Kriminalstatistischer Untersuchungen, Berlin, 2013, S. 10

²²⁰ იქვე, S. 86.

²²¹ ი. T. Mushoff, Strafe-Maßregel-Sicherungsverwahrung, Frankfurt, 2008, S. 120-121.

²²² ი. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 22.

²²³ ი. W. Gropp, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 36.

²²⁴ ი. M. Pawlik, Strafe oder Gefahrenbekämpfung? Die Prinzipien des deutschen Internationalen Strafrechts vor dem Forum der Straftheorie, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Regensburg, 2006, S. 288.

²²⁵ ი. ჩ. ბეკარია, „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი. ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003, გვ. 199.

დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი, ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ უნდა აიცდინოს პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის.²²⁶

ზოგიერთი მეცნიერი დაშინების ელემენტს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი სოციოლოგი **გ. ფერრი** მიუთითებდა, რომ სასჯელით დაშინებამ არ შეიძლება მოგვცეს დადებითი ეფექტი და გამაფრთხილებელი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. რუსი მეცნიერი **გ. შარგოროდსკი** არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მას დაუსაბუთებლად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებიც სწორედ სასჯელის შიშით არ სჩადიან დანაშაულს.

გ. შარგოროდსკი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. სისხლის სამართალში სასჯელი აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს შიშის ფაქტორით, ხოლო იმათვის, ვისთვისაც სასჯელით დაშინება საკმარისი არ არის – ზემოქმედებს სასჯელის შეფარდებით.²²⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის დამაშინებელი ეფექტი მოქმედებს, როგორც სასჯელის მუქარის გზით, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნით.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დაშინებასთან ერთად მიუთითებენ მსხვერპლის დაცვაზეც. ასე მაგალითად, **თომას პოფმანი** მიუთითებს, რომ დაშინების მიზანი მდგომარეობს, როგორც პოტენციური დამნაშავეთა მხრიდან კონკრეტული დანაშაულის თავიდან აცილებაში, ისე კონკრეტული სხვა ადამიანების დაცვაში, რომლებიც პოტენციური მსხვერპლები არიან.²²⁸

სხვისი დასჯის მაგალითი ადამიანში ქნის წარმოდგენას დანაშაულისა და სასჯელის მჭიდრო ასოციაციის შესახებ, რამაც შეიძლება შემაკავებელი როლი შეასრულოს, მაშინაც კი, როცა კაცი დარწმუნებულია, რომ მას ვერ მიაგნებენ. ე.ი. მოქმედებს ქვეცნობიერი შიში სასჯელისადმი.²²⁹

არის ხოლმე ისეთი შემთხვევები, როდის გარკვეულ პერიოდში კონკრეტული დანაშაულების (მაგ. მკვლელობა, ყაჩაღობა და ა.შ) ჩადენა მატულობს. ამ დროს დგება საკითხი აღნიშნული დანაშაულებისათვის გათვალისწინებული სასჯელების გამკაცრებისა. გამკაცრებული სასჯელი დამაშინებელ ეფექტს ახდენს იმ პირებზე, რომლებიც მიღრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისაკენ. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სასჯელის სიმკაცრე დაშინებაზე ზეგავლენას არ ახდენს. **შოხის** აზრით, მსუბუქი სასჯელის მეშვეობით, მსგავსი დამაშინებელი ეფექტი შეიძლება იქნა მიღწეული, როგორც მკაცრი სასჯელის შემთხვევაში.²³⁰

სამართალდამრღვევის მიმართ სასჯელის გამოყენება მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიაში შიშის ემოციას ბადებს იმ

²²⁶ იხ. გ. ინტერველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბილისი. ტ. 3, 1992, გვ. 79.

²²⁷ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 39.

²²⁸ იხ. T. Hoffmann, Die Moral der Strafe, Deutscher Kongress für Philosophie in München/Sektion: Rechts und Sozialphilosophie, 2011, S. 9.

²²⁹ იხ. ქ. წიქარიშვილი, სასჯელი, აღმანახი, №8, 1998.

²³⁰ იხ. T. Mushoff, Strafe-Maßregel-Sicherungsverwahrung, Frankfurt, 2008, S. 121.

აკრძალვებისა და სიძნელეებისადმი, რომლებიც მათ მიერ დანაშაულის ჩადენას შეიძლება მოჰყვეს. შიში, როგორც ემოციური მდგომარეობა ადამიანში გამოიწვევა რადაც საშიშროების საფრთხით.

ზოგიერთი ავტორი, კერძოდ გამოჩენილი იტალიელი სოციოლოგი **ჯ. ფერმი**, აღნიშნავს, რომ სასჯელის საფრთხე ეფექტური საერთოდ არაა და დანაშაულის გაფრთხილება არ შეუძლია. ასეთი მტკიცება, რა თქმა უნდა, სრულებით უსაფუძვლოა, რადგან არსებობს პირთა წრე, რომლებიც დანაშაულს არ ჩადიან იმიტომ, რომ სასჯელის ეშინიათ. საკმარისია დავსვათ კითხვა, - გაიზრდება თუ არა დანაშაულთა რიცხვი, თუ სისხლისსამართლებრივ ნორმებს გავაუქმება? ნათელი გახდება, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა რიცხვი გაიზრდება.²³¹

როგორც ვხედავთ, სასჯელით დაშინებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის თეორიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ადამიანები, რომლებსაც გაუპატიურების ჩადენა სურთ, სასჯელით დაშინებამ, ისინი არ შეიძლება შეაკავოს. ხოლო ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად არ ჩადიან გაუპატიურებას, სასჯელით დაშინების გარეშეც არ ჩაიდენდნენ აღნიშნულ დანაშაულს.²³² ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დაშინება ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით არაეფექტურია.

სასჯელის გენერალური პრევენციის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ აღნიშნული თეორია დამნაშავის ბრალეულობის პრინციპს არ განსაზღვრავს. ამასთან, სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიცავს „სახელმწიფო ტერორის“ ნიშნებს.²³³

სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს მოსაზრება, რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია არ არის საჭირო. შესაძლებელია ეს ჩანდეს ისეთ დელიქტებში, რომლებსაც ინდივიდუალური მსხვერპლი არ ჰყავთ, ე.წ. უმსხვერპლო დელიქტები, როგორიცაა გადასახადისაგან თავის არიდება.²³⁴

სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სასჯელის გამკაცრება დაშინების საფუძვლით, დაშვებულია იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იზრდება.²³⁵

დამაშინებელი ეფექტის დასაბუთებისას, სასჯელის სიმკაცრებ ბრალის შესაბამისი სასჯელის ზედა ზღვარს არ უნდა გადააჭარბოს.²³⁶

სასამართლო პრაქტიკა აღიარებს ნეგატიურ გენერალურ პრევენციას, როგორც სასჯელის გამკაცრების საფუძველს, მხოლოდ ბრალის შესაბამის ფარგლებში.²³⁷

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელს უმეტეს შემთხვევაში დამაშინებელი ეფექტი გააჩნია.

²³¹ იბ. ზ. კორძაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, ალმანახი, №8, 1998.

²³² იბ. Norbert Hoerster, *Muss Strafe sein? Positionen der Philosophie*, München, 2012, S. 69-70.

²³³ იბ. R. Steffens, *Wiedergutmachung und Täter-Opfer-Ausgleich im Jugend und Erwachsenenstrafrecht in den neuen Bundesländern*, Godesberg, 1999, S. 106-107.

²³⁴ იბ. T. Walter, *Vergeltung als Strafzweck, Prävention und Resozialisierung als Pflichten der Kriminalpolitik*, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Regensburg, 2011, S. 645.

²³⁵ იბ. B. Meier, *Strafrechtliche Sanktionen*, zweite Auflage, Springer, 2006, S. 186.

²³⁶ იქვე, გვ. 187.

²³⁷ იბ. G. Schäfer, G. Sander, G. Gemmeren, *Praxis der Strafzumessung*, München, 2008, S. 160

ყოველივე ზემოაღნი შნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, არამედ საზოგადოების მერყევე კლემბენტებზე. როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელის მუქარით (**კანონით დაშინება**), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშნით და მისი აღსრულებით (**სასჯელით დაშინება**). ამით იმის თქმა გვინდა, რომ სასჯელი დამაშინებელ ზემოქმედებას ახდენს არა ყველა ადამიანზე, არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიღრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ.

2.2. სასჯელის სპეციალური (კერძო) პრევენცია

სასჯელის სპეციალური, ანუ კერძო პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებას მსჯავრდებულის მხრიდან. სასჯელის დანიშვნის და მისი მოხდის შემდეგ მსჯავრდებულს აღარ უნდა პქონდეს სურვილი, რომ ხელმეორედ ჩაიდინოს დანაშაული.

სასჯელის სპეციალური პრევენციის მიღწევა შესაძლებელია რამდენიმე გზით:

1) დამნაშავეს ჩამორთმეული აქვს რაიმე უფლება (მაგ. დაიკავოს გარკვეული თანამდებობა), ან არ აქვს ფიზიკური შესაძლებლობა (მაგ. მოთავსებულია საპყრობილები). ჩაიდინოს დანაშაული.

2) სასჯელის აღსრულებისას მასთან მიმდინარეობს აღმზრდელობითი სამუშაოები.

3) დამნაშავეს აფრთხილებენ, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პლაზ სასჯელი ელის. თანაც სავარაუდოდ, უფრო გაცრი.²³⁸

სპეციალური პრევენციის თეორია გვიჩვენებს სასჯელის პრევენციულ ზემოქმედებას. იგი გავლენას ახდენს თვით დამნაშავეზე, რათა შემდგომში გამოირიცხოს მის მხრიდან დანაშაულის ჩადენა.²³⁹

სასჯელის სპეციალური პრევენცია გულისხმობს
მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის მეორედ ჩადენის აცდენას, რომელიც
მიიღწევა იმით, რომ პირს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ხარისხის
შესაბამისი სასჯელის შეფარდებით შესაძლებლობა ესპობა ჩაიდინოს
ახალი დანაშაული. მაგ. თუ პირს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე
დანაშაულისათვის შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა,
ბუნებრივია იგი საზოგადოებისაგან იზოლირებულია და ამით
აცდენილია მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.²⁴⁰

ლისტი სასჯელის სპეციალური პრევენციის განხილვისას მიუთითებს სამ გარემოებაზე: 1) გამოსწორების უნარის მქონე

²³⁸ იბ. ვ. გორგას, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 9.

²³⁹ Ob. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006, S. 19.

²⁴⁰ Ob. ქ. კვირკველია, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2004, გვ. 282.

დამნაშავის გამოსწორება. 2) გამოუსწორებელი დამნაშავის დაშინება.
3) გამოუსწორებელი დამნაშავის გაუგნებელყოფა.²⁴¹

დამნაშავის გამოსწორებაში იგულისხმება – სოციალური მოტივების გაძლიერება. დაშინებაში იგულისხმება ეგოისტური მოტივების გაძლიერება, ხოლო დამნაშავის გაუგნებელყოფაში კი – მისი იზოლაცია საზოგადოებისაგან.²⁴²

სასჯელი და დაცვის ღონისძიებები ემსახურება სამართლებრივი სიკეთის დაცვას და დამნაშავის საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

სასჯელის სპეციალურ პრევენციულ მიზანს სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია არ იცნობს, თუმცა ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნულზე თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა. ფედერალურმა სასამართლომ 1970 წელს, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად დაადგინა, რომ სასჯელის შეფარდებისას არ არის გათვალისწინებული სასჯელის სოციალურად საზიანო გვერდითი მოვლენების თავიდან აცილება, თუმცა კანონი იმის შესახებ საუბრობს, რომ აღნიშნული გასათვალისწინებელია.²⁴³

კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში ადარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა მსჯავრდებულის გამოსწორების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კერძო პრევენციის მიზანი არ დაიყვანება მსჯავრდებულის გამოსწორებაზე. მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შესაძლებელია, მაგ: სასამართლოს მიერ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, როცა მსჯავრდებული ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ან პროფესიას დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.²⁴⁴ სავსებით ლოგიკურად მსჯელობს მ. ქათამაძე, როდესაც ამბობს, რომ კერძო პრევენციის მიზანი არ დაიყვანება მსჯავრდებულის გამოსწორებაზე. მსჯავრდებულის გამოსწორება უფრო ფართო ცნებაა და იგი მოიცავს კერძო პრევენციასაც, ხოლო კერძო პრევენცია კი გამოსწორებას არ უდრის.

ზოგადი პრევენციისაგან განსხვავებით, კერძო პრევენცია ხორციელდება მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, როგორც სასჯელის დანიშნის, ისე სასჯელის აღსრულების შემთხვევაში. თუკი ზოგადი პრევენცია (მხედველობაში გვაქვს პოზიტიური გენერალური პრევენცია) მიმართულია საზოგადოების უველა დელიქტუნარიანი წევრის მიმართ, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული, კერძო, ანუ სპეციალური პრევენცია მიმართულია მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, რათა მის მხრიდან გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა.

გ. შარგოროდსკი წერს, – სასჯელის ზემოქმედება იყოფა სამ სტადიად: 1) სასჯელი, რომელიც მოცემულია კანონში, ზემოქმედებს, როგორც საერთო გამაფრთხილებული ძალა. თვით ფაქტი, ახალი კანონისა, მისი პუბლიკაცია, ქმედების დანაშაულად გამოცხადება,

²⁴¹ იხ. G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1993, S. 23.

²⁴² იხ. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012, S. 53.

²⁴³ იხ. G. Schäfer, G. Sander, G. Gemmeren, Praxis der Strafzumessung, München, 2008, S. 160-161.

²⁴⁴ იხ. მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმახახი, 2004, გვ. 55.

უოგელივე ამას მოჰყვება საერთო გამაფრთხილებელი ზემოქმედება.
 2) სასჯელი, რომელიც დანიშნულია სასამართლოს მიერ, ახდენს, როგორც საერთო, ისე სპეციალურ პრევენციულ ზემოქმედებას.
 3) სასჯელი, მისი აღსრულების პროცესში ახდენს საერთო და სპეციალურ გამაფრთხილებელ ზემოქმედებას და ძირითადად მოქმედებს დამნაშავეზე²⁴⁵

სასჯელი ემსახურება გაფრთხილებას და გამოსწორებას. თუ დამნაშავის გამოსწორება არ არის შესაძლებელი, ყველაზე ცუდ შემთხვევაში ხდება სასჯელის მეშვეობით დამნაშავის გაუვნებელყოფა. სამართლიანი არის მხოლოდ საზოგადოებისათვის საჭირო სასჯელი. სასჯელის გამოყენება შეიძლება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ხოლო თუ სასჯელი არ არის საჭირო, მაშინ ის აზრს კარგავს.²⁴⁶

სისხლის სამართლის თეორიაში მითითებულია, რომ სასჯელის მიზანი – ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში გამოიხატება დამნაშავე პიროვნების საზოგადოებისაგან იზოლაციაში, რათა მის მიმართ დაზარალებულმა მხარემ შურისგების მიზნით არ მოახდინოს რაიმე ხელყოფა, ან მისი მხრიდან გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა. არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ფაქტორი გამორიცხულია.²⁴⁷ ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც უპყე აღნიშნეთ მოიცავს, როგორც ზოგად, ისე სპეციალურ პრევენციას. ზოგადი პრევენცია მოქმედებას იწყებს თვით სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან და ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს საზოგადოების ყველა დელიქტუნარიან წევრებზე, ხოლო სპეციალური პრევენცია კი მოქმედებას იწყებს მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, როგორც საპატიმრო სახის სასჯელებთან, ასევე არასაპატიმრო სახის სასჯელებთან მიმართებაში. ავტორს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება გაგებული აქვს ძალიან ვიწროდ, რაც არასწორია.

სასჯელის პრევენციული როლის განხილვისას აუცილებელია თავისუფლების (დეტერმინიზმის ფარგლებში) პრობლემის განხილვა, რადგან, თუ ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია, მაშინ ადამიანზე სასჯელი ზემოქმედებას ვერ მოახდენს, ისევე, როგორც სასჯელი უაზროა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი არაა თავისუფალი არსება.

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა ამოდიოდა ადამიანის აბსოლუტური თავისუფლების იდეიდან, ანუ ინდეტერმინიზმის პოსტულატებიდან, რომლის თანახმად, ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია. ანუ კლასიკური სკოლის თანახმად, ადამიანს შეუძლია გააკეთოს არჩევანი, ან ჩაიდინოს დანაშაული, ან პირიქით თავი შეიკავოს მისი ჩადენისაგან. ე.ი კლასიკური სკოლის თანახმად, ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია დანაშაულის ჩადენაში. ამ ლოგიკით კი სასჯელი არის სამაგიეროს მიზღვა.

²⁴⁵ ი. გ. სასჯელის პრევენციული როლი, 1985, -198.

²⁴⁶ ი. გ. W. Gropp, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 37.

²⁴⁷ ი. გ. დაუთაშვილი, აღ. კვაშილავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003, გვ. 127.

ამ საკითხზე საგსებით ლოგიკურად მსჯელობს პროფ. გურამ ნაჭებია. იგი მიუთითებს, რომ თუკი ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია, მაშინ სასჯელს არ შეუძლია დადებითად იმოქმედოს მსჯავრდებულის გამოსასწორებლად. (რაკი ადამიანზე გარედან არაფერი მოქმედებს), რის გამოც სასჯელი ამ ვითარებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სამაგიეროს მიზღვის საშუალება.²⁴⁸ როგორც ვხედავთ, ავტორი საგსებით სწორად უარყოფს ადამიანის აბსოლუტურ თავისუფლებას. ადამიანი, მართლაც რომ აბსოლუტურად თავისუფალი იყოს, მაშინ სასჯელს არანაირი გამართლება არ ექნებოდა და ზოგადი პრევენციის ფუნქციასაც არ შეასრულებდა.

ზოგადი და სპეციალური პრევენცია ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და მთლიანობაში ემსახურებიან დანაშაულის წინასწარ აცდენას. ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სასჯელის სპეციალურ პრევენციაში, ისევე როგორც სასჯელის გენერალურ პრევენციაში გამოიყოფა ორი ასპექტი: 1) სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია; 2) სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.2.1. სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია

როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის სპეციალური პრევენცია მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს. სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიმართულია კონკრეტულ დამნაშავეზე, რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა სასჯელი. განსხვავებით სასჯელის გენერალური პრევენციისგან, რომელიც მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის დაწესების მომენტიდან, სასჯელის სპეციალური პრევენცია ხორციელდება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის მომენტიდან. სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას მისი რესოციალიზაციის გზით. განსხვავებით სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენციისგან, სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია უკავშირდება სასჯელის უმთავრეს მიზანს – მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. აღნიშნულ საკითხზე მართებულად მსჯელობს პროფ. გ. ტურავა. იგი წერს: „პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით ისეთი დამნაშავის ისევ საზოგადოებაში დაბრუნებას, რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესძლებელია“.²⁴⁹

²⁴⁸ იხ. გ. ნაჭებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 35.

²⁴⁹ იხ. გ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოდერნება, თბილისი, 2011, გვ. 44.

გერმანელი პროფესორი **მაიერი** მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სასჯელის პოზიტიური საეციალური პრევენცია გათანაბრებულია რესოციალიზაციასთან, ნაწილი უთანაბრებს რეინტეგრაციას. ხოლო ანგლო-ამერიკულ ტერმინოლოგიაში საუბრობენ რეაბილიტაციაზე. პოზიტიური საეციალური პრევენცია სოციალურ-პედაგოგიურ უნარს, დანაშაულის გარეშე მიზანმიმართულ ქმედებას (ლისტის აზრით – გამოსწორება) აჩვენებს.²⁵⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის პოზიტიური საეციალური პრევენცია მოქმედებას იწყებს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის მომენტიდან და გრძელდება სასჯელის აღსრულების პერიოდშიც.

სასჯელის აღსრულებისას პრიორიტეტი ენიჭება სასჯელის საეციალურ პრევენციულ მნიშვნელობას. რადგან სასჯელის აღსრულებამ უნდა უზრუნველყოს დამნაშავის საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რესოციალიზაცია.²⁵¹

სასჯელის საეციალური პრევენციის მიზანია არა დამნაშავის საზოგადოების სასარგებლო წევრად ჩამოყალიბება, არამედ მისი კანონიერი ქცევისათვის ხელის შეწყობა.²⁵²

სასჯელის პოზიტიური საეციალური პრევენციის განხილვისას გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის მეშვეობით უნდა მოხდეს დამნაშავის სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლისადმი ერთგულების გამოღვიძება და გაძლიერება.²⁵³

სასჯელის საეციალურ პრევენციას გამართლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ სასჯელი დადგებით გავლენას მოახდენს მომავალში დამნაშავის კანონიერ ქცევაზე.²⁵⁴

სასჯელის მიზანი ემსახურება სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ასევე დამნაშავის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ამასთან, არსებობს მოხსოვნა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულმა სასჯელმა არ უნდა გადააჭარბოს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.²⁵⁵

საეციალური პრევენციის განხილვისას, გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია ქმედებისა და დამნაშავის პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე. **ლისტი** ამტკიცებდა, რომ მისი თეორიის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე ნაკლებ როლს თამაშობს. მაგალითად, ორმა ადამიანმა ერთად ჩაიდინეს ქურდობა. აქედან, ერთი სასჯელის გარეშე გათავისუფლდა, ხოლო მეორეს მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. სამართლიანი სასჯელისათვის მთავარია არა ჩადენილი ქმედება, არამედ მხოლოდ დამნაშავის მომავლის პროგნოზი.²⁵⁶

სასჯელის პოზიტიურ საეციალურ პრევენციას აღიარებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი,

²⁵⁰ ი. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 25-26.

²⁵¹ ი. W. Groppe, Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001, S. 38.

²⁵² ი. G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1993, S. 26.

²⁵³ ი. A. Schönke, H. Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, Verlag C.H. Beck, München, 2010, S. 701

²⁵⁴ ი. T. Hörmle, Straftheorien, Tübingen, 2011, S. 20.

²⁵⁵ ი. M. Thiem, Welchen Zweck hat Strafe? Ein Vergleich der Straftheorien, 2006, S. 17.

²⁵⁶ ი. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012, S. 57.

რომლის თანახმადაც, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზე და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწერიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. აღნიშნულ მუხლში გამოხატულია, როგორც სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია (სხვა პირზე ზემოქმედებით), ისე სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია (მსჯავრდებულზე ზემოქმედებით). სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციაზე უკვე ვისაუბრეთ.

პოზიტიური სპეციალური პრევენციის დროს სასჯელის მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. პოზიტიური სპეციალური პრევენციით დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი სახის დონისძიებებით, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემების და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.²⁵⁷

სასჯელმა შეიძლება ხელი შეუწყოს დამნაშავის გარდაქმნას ისე, რომ მას დანაშაულის ჩადენის სურვილი გაუქრეს. იგი შეიძლება სასარგებლო პიროვნებაც კი გახდეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პირს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს აგრძნობინებს. სასამართლოს მიერ მისი დამნაშავედ ცნობა და სასჯელის მისჯა მის გამოსწორებას ხელს შეუწყობს.²⁵⁸

კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა მსჯავრდებულის გამოსწორების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს.²⁵⁹

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ მსჯავრდებულის გათვისუფლებისას გათვალისწინებულია, მიღწეული იქნა თუ არა მისი რესოციალიზაცია. დამნაშავეები, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, რესოციალიზაციის მიზანი უკან იხევს და ისინი პატიმრობაში უნდა დარჩნენ.²⁶⁰

ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია უკავშირდება სასჯელის ისეთ მიზანს, როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი დაწვრილებით განხილული იქნება ქვემოთ.

²⁵⁷ იბ. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 225.

²⁵⁸ იბ. კ. წიქარიშვილი, სასჯელი, აღმანახი, №8, 1998.

²⁵⁹ იბ. მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, №3, 2004, გვ. 54.

²⁶⁰ იბ. U. Grasberger, Verfassungsrechtliche problematiken der Höchststrafen in den USA und in den Bundesrepublik Deutschland, Todesstrafe und lebenslange Freiheitsstrafe, Bonn, 1996, S. 64-65.

2.2.2. სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია

სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია, განსხვავებით სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენციისგან, მსჯავრდებულის დაშინებაზეა ორიენტირებული. სასჯელი დამაშინებელ ეფექტს ახდენს იმ პირებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ არიან მსჯავრდებულები.

ისევე, როგორც სასჯელის ნეგატიური განერალური პრევენცია, სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია მოიცავს საფრთხეს. რეციდივისტი დამნაშავე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს (ვისაც არ სურს მოისმინოს, უნდა შეიგრძნოს).²⁶¹

ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორიის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იქნეს გამოუსწორებელი დამნაშავისაგან მისი ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციით, რათა მოხდეს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა. ეს ძირითადად ეხება დანაშაულის რეციდივის შემთხვევებს.²⁶²

გერმანელი პროფესორი **მაიერი** მიუთითებს, რომ ნეგატიური სპეციალური პრევენცია მოიცავს, როგორც **დაშინებას**, ისე უსაფრთხოებას. აღნიშნული თეორია გამოდის იქედან, რომ დამნაშავეს სასჯელის მეშვეობით ნაწილობრივ ან მთლიანად აქვს შეზღუდული თავისუფლება.²⁶³

როგორც ვხედავთ, გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ნეგატიური სპეციალური პრევენციის განხილვისას, დაშინებასთან ერთად მსჯელობები უსაფრთხოებაზეც. უსაფრთხოების ეფექტი დაკავშირებულია არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან, არამედ სასჯელის სხვადასხვა ფორმებთანაც. თავისუფლების აღკვეთის გადავადებასაც აქვს უსაფრთხოების ეფექტი, მაგალითად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დამნაშავეზე ხორციელდება კონტროლი.²⁶⁴

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური პრევენციის ძირითადი მიზანი - დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს საზოგადოების დაცვა საშიში დამნაშავისგან.²⁶⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუ დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია (**სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია**), მაშინ აუცილებელია დამნაშავის საზოგადოებისაგან იზოლაცია (**სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია**).

მაშინ, როდესაც დაშინება და რესოციალიზაცია გავლენას ახდენს დამნაშავის მომავალ ქცევაზე, უსაფრთხოება გამოდის ამ ზემოქმედების შეუძლებლობიდან და ცდილობს დაიცვას საზოგადოება გამოუსწორებელი დამნაშავისაგან.²⁶⁶

²⁶¹ ი. T. Mushoff, Strafe-Maßregel-Sicherungsverwahrung, Frankfurt, 2008, S. 148.

²⁶² ი. მ. ტურავა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 44.

²⁶³ ი. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 189.

²⁶⁴ იქვე. გვ. 190.

²⁶⁵ ი. J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995, S. 19.

²⁶⁶ ი. Maurach, Gössel, Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 2, 2014, S. 802.

გერმანულ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში
მითოებულია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადსრულება ასევე
ემსახურება საზოგადოების დაცვას შემდგომი დანაშაულისაგან.²⁶⁷

„სამართლიანობა სამართლის მეორე დიდი ამოცანაა, ხოლო
პირველი არის სამართლებრივი უსაფრთხოება, სიმშვიდე“ - Gustav
Radbruch.

ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტი ფრითც აქმი
ინტერვიუში მიუთითებს, რომ ბოლო წელს მათ ჰყავდათ მკვლელები,
სადაც ისეთი მაღალი იყო მოსახლეობის უსაფრთხოების მოთხოვნილება,
რომ ეს დამნაშავები შეძლების დაგვარად მკაცრად უნდა დასჯილიყვნენ
სანგრძლივი პატიმრობით. შურისძიება ამ შემთხვევაში ასრულებს
მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეესაბამება უსაფრთხოების
ინტერესებს. რესოციალიზაციი ასეთ ადამიანებში არის რთული.²⁶⁸

გერმანიის კანონმდებლობით აღიარებულია სისხლის სამართლის
ორგანიზაციი სისტემა. მართალია ბრალის გარეშე ვერ მოხდება
სასჯელის დაკისრება, მაგრამ საშიში ადამიანებისთვის სისხლის
სამართალი იყენებს საფრთხის თავიდან აცილების ორ კვალს.
უმეტესწილად პრევენციულ პატიმრობას (თავისუფლების აღკვეთა არა
სასჯელის სახით, არამედ, როგორც დამატებითი პრევენციული
დონისძიება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად)
და დახურულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებას (გერმანიის
სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე პარაგრაფი).²⁶⁹

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა (§61)
ითვალისწინებს ასევე დამნაშავეთა სპეციალურ სამკურნალო
დაწესებულებაში მოთავსებას.

სოციალურ-თერაპიულ დაწესებულებაში ათავსებენ საშიშ
რეციდივისტ დამნაშავეებს მძიმე პიროვნული თვისებებით, სქესობრივი
დანაშაულების ჩამდენ პირებს და 27 წლამდე გამოუსწორებელ
დამნაშავეებს.²⁷⁰ შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული
გამომდინარეობს საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან.

ნეგატიური სპეციალური პრევენციისათვის სასჯელის მიზანია
დამნაშავის შეშინება, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული.
გარდა ამისა, მისი მიზანია საზოგადოების დაცვა ახალი დანაშაულის
ჩადენისაგან, ამიტომ დამნაშავის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა
იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნებიდან
გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური.²⁷¹

სასჯელის რეალური აღსრულება დამნაშავეში ქმნის შიშს, რომ
თუ იგი ამ ქმედებას გაიმეორებს, დაისჯება. მოზარდს უფრო ადვილად
შეუძლია სხვისი დასჯის მაგალითიდან დასკვნის გამოტანა. მაგრამ
საკუთარ თავზე განცდილი ყოველთვის უფრო მწარე გაპვეთილს იძლევა.
სასჯელის სიმკაცრემ დამნაშავე ქმედების გამეორებისაგან რომ

²⁶⁷ ი. A. Vomberg, Hinter Schloss und Riegel, Gefangenenzzeitungen aus Nordhein-Westfalen und Brandenburg zwischen Anspruch und Wirklichkeit, Godesberg, 2000, S. 49.

²⁶⁸ ი. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 80.

²⁶⁹ ი. A. Montenbruck, Strafrechtsphilosophie (1995-2010), Vergeltung, Strafzeit, Sündenbock, Menschenrechtsstrafe, Naturrecht, 2. Erweiterte Auflage, 2010, Freie Universität Berlin, S. 114.

²⁷⁰ ი. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988, S. 76.

²⁷¹ ი. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 226.

შეაკავოს, დამნაშავის ცნობიერებაში უნდა გადასწონოს დანაშაულისაგან მიღებული სარგებელი. უტილიტარიზმის წარმომადგენელი დანაშაულის რეციდივისათვის უფრო მკაცრ სასჯელს ხსნის იმით, რომ პირველმა სასჯელმა, კერძო პრევენციის თვალსაზრისით, თავისი არაეფექტურობა დაამტკიცა.²⁷²

ნებატიური სპეციალური პრევენციის უფექტურობა ემპირიულ კვლევაში განსაზღვრულია რეციდივის მაჩვენებლით. კლასიკური სანქციების სპეციალურპრევენციული უფექტურობა ხშირად არის ემპირიული კვლევების საგანი.²⁷³

გერმანიაში ჩატარებული რეციდივის კვლევის შესაბამისად, ზრდასრული დამნაშავეების 25-30% სამი წლის შემდეგ კვლავ დაისაჯნენ. მამაკაცებს აქვთ უფრო მაღალი რეციდივის რისკი, ვიდრე ქალებს. ახალგაზრდებს აქვთ ასევე უფრო მეტი რეციდივის მაჩვენებელი, ვიდრე მოხუც ადამიანებს. ხოლო ნასამართლებ პირებში, წარსულში ნასამართლობის არ მქონე პირებთან შედარებით უფრო ხშირად ფიქსირდება რეციდივის შემთხვევები. რეციდივის მაჩვენებელი ასევე მაღალია ქურდობის მძიმე ფორმებისა და ყაჩაღობის ჩამდენ დამნაშავეებში.²⁷⁴

ყველა კვლევამ დაადგინა, რომ რაც უფრო მაღალია რეციდივის მაჩვენებელი, მით უფრო ინტენსიური და გაზრდილი იყო დაკისრებული სასჯელი.²⁷⁵

9. კარგული განმარტავს სასჯელის დანიშნის დროს დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალურ მიზანს. სპეციალური პრევენციის მიზნის განხორციელებისთვის იგი ასახელებს შემდეგ ხერხებს: ახალი დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავისათვის ფიზიკური შესაძლებლობის ჩამორთმება; დამნაშავების ფსიქიკური ზემოქმედება, დაშინება.²⁷⁶

დაშინების კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მაღალი სასჯელის დანიშვნა. ამასთან, აქ დამნაშავის ქმედება არის ამოსავალი წერტილი. ქმედება არის მიზეზი და მეტი საფუძველი არა აქვს სასჯელს. ინდივიდუალური დაშინებით, უსაფრთხოებით (ნეგატიური სპეციალური პრევენცია) ან დამნაშავის გამოსწორებით (პოზიტიური სპეციალური პრევენცია) ბრალის ადგილი ხდება დამნაშავის საშიშროება. პასუხისმგებლობას, ბრალს და სასჯელს ამ სისტემაში, სისტემური ადგილი არ უკავია.²⁷⁷

სასჯელის ნეგატიური საეციალური პრევენცია შესაძლებელია მიღწეულ იქნას უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მაგრამ დაბალი რეციდივის მაჩვენებლის გამო, აღნიშნული ყველა შემთხვევაში არ არის გამართლებული. სამუდამო პატიმრობა იცავს საზოგადოებას დამნაშავისაგან, თუმცა უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ იქამდე არის გამართლებული, ვიდრე საშიშროება არსებობს. სასჯელის მოხდის

²⁷² იბ. პ. წიქარიშვილი, სასჯელი, ალმანახი, №8, 1998.

²⁷³ ob. M. Krismann, Sanktionierung von rauschmittelbeeinflusstem Fahren in Europa, 2011, S. 34.

²⁷⁴ ob. Legalbewährung nach strafrechtlichen Sanktionen, Eine bundesweite Rückfalluntersuchung, 2014, S. 13.

²⁷⁵ ob. T. Singenstein, P. Stolle, Die Sicherheitsgesellschaft, Soziale Kontrolle im 21. Jahrhundert, 2012, S. 29.

²⁷⁶ ob. . . . ,
1973 156-157 , , , ,

²⁷⁷ Ob. J. Körner, B. Müller, *Schuldbewusstsein und reale Schuld*, Psychosozial-Verlag, 2010, S. 244.

განმავლობაში, პერიოდულად უნდა მოხდეს დამნაშავის პიროვნების შესწავლა.²⁷⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას (მსჯავრდებულის რესოციალიზაცია), უპირატესობა ენიჭება სასჯელის ნეგატიურ სპეციალურ პრევენციასთან (მსჯავრდებულის დაშინება, მისი საზოგადოებისგან იზოლაცია) შედარებით.

§3. დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

3.1. რესოციალიზაციის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.“ აქედან გამომდინარე, დამნაშავის რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთი მიზანია. სანამ დამნაშავის რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის შინაარსობრივ მხარეზე გადავალ, მანამადე მინდა ყურადღება გავამახვილო ტერმინ „დამნაშავის“ ცნებაზე. პროფ. გურამ ნაჭევაძია მიიჩნევს, რომ ტერმინი დამნაშავე არაიურიდიული ტერმინია. დანაშაულის ცნება სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა, მაგარამ ამ ცნებიდან ტერმინი „დამნაშავის“ ლოგიკური გამოყვანა სულ მცირე ორი შეცდომაა. პირველი შეცდომა აქ ისაა, რომ „დანაშაული“ გაგებულია არაიურიდიულად, ხოციოლოგიურად, როდესაც გაიგივებულია ქმედების ფაქტობრივად ჩადენა და მისი იურიდიული კვალიფიკაცია დანაშაულად. ვიდრე სასამართლო ქმედებას საბოლოოდ არ დააკვალიფიცირებს დანაშაულად, მანამდე დანაშაული იურიდიულად არ არსებობს. მეორე შეცდომა ისაა, რომ ტერმინი დამნაშავე გამოხატავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სისხლის სამართალი კი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს. პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს სისხლის სამართლის პროცესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის სამართლებრივი სტატუსია: ბრალდებული და მსჯავრდებული. აქედან გამომდინარე ტერმინი დამნაშავე არაიურიდიული ტერმინია, იგი სოციოლოგიური მნიშვნელობისაა. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში უნდა იყოს „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“ და არა „დამნაშავის რესოციალიზაცია“. ²⁷⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში მითითებულია დამნაშავის რესოციალიზაციაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლში საუბარია მსჯავრდებულის

²⁷⁸ ი. U. Grasberger, Verfassungsrechtliche problematiken der Höchststrafen in den USA und in den Bundesrepublik Deutschland, Todesstrafe und lebenslange Freiheitsstrafe, Bonn, 1996, S. 64.

²⁷⁹ ი. გ. ნაჭევაძია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანაზონა, თბილისი, 2006, გვ. 157-158.

რესოციალიზაციაზე. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში, „დამნაშავის“ ნაცვლად მითითებული იქნება „მსჯავრდებული“.

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი (სასჯელის მიზნების ჩამონათვალი) პირველ ადგილზე აყენებს სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა სასჯელის უმთავრესი მიზანია. ვერ დავეთანხმები პროფ. ი. დვალიძის მოსაზრებას, რომ სასჯელის უპირველესი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა. იგი წერს: „თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, განა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა? ბუნებრივია, არა, რადგან ეს სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე მირს გამოუთხრის.“²⁸⁰ რა თქმა უნდა სამართლიანობის აღდგენა სასჯელის ერთ-ერთი მიზანია და მისი უგულებელყოფა დაუშვებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი სასჯელის უპირველესი მიზანია. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანი, დეტალურად იქნა განხილული, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. მიმაჩნია, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია არის სასჯელის უმთავრესი მიზანი. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც (სასჯელის სხვა მიზნებისგან განსხვავებით). თუკი სამართლიანობის აღდგენა სამართლიანი სასჯელის დანიშვნით მიიღწევა, რესოციალიზაცია მთლიანად დამნაშავის პიროვნებაზეა მიმართული და უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელები, უვალო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და ა.შ. ამდენად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, სასჯელის სხვა მიზნებისგან განსხვავებით მრავალ ასპექტს მოიცავს. ჩემი აზრით, თუ არ იქნა მიღწეული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რომელიც ფაქიზ მიდგომას მოითხოვს, სასჯელის დანარჩენი მიზნები აზრს დაკარგავს.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოო ჯამში, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს²⁸¹.

ტერმინი რესოციალიზაცია ორი სიტყვის „რე“-ს და „სოციალიზაციის“ შერწყმის შედეგადაა მიღებული. „რე“ არის თავსართი, ხოლო „სოციალიზაცია“ კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: 1) ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას, რომელსაც შეისწავლის რიგი მეცნიერებები (პედაგოგიკა, ფიქოლოგია, ეთნოგრაფია და ა.შ.); 2) ადამიანის, ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების სრულფასოვან წევრად იქცეს; მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას (აღზრდა), ასევე სტიქიურ,

²⁸⁰ იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 25.

²⁸¹ იხ. მ. შალიძეშვილი, გ. მიქაელძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 162.

სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე.²⁸²

რესოციალიზაციის ზუსტი დეფინიციისათვის უნდა განვიხილოთ თუ რა არის სოციალიზაცია.

სოციალიზაცია არის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდს უყალიბდება მისი კულტურისათვის დამახასიათებელი ქვევები, სტანდარტები, ღირებულებები.²⁸³

გერმანულ სისხლის სამართლებრივ დიტერატურაში მითითებულია, რომ სოციალიზაცია არის მთელი ცხოვრების პროცესი, რომელიც სხვადასხვა ფაზებად იყოფა. პირველი სოციალიზაციის ფაზა იწყება დაბადების შემდეგ და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განვითარებისათვის. აქ საუბარია პირველად სოციალიზაციაზე, რომელიც განსაკუთრებით ყალიბდება ოჯახში. მეორე ფაზაში (საშუალო სოციალიზაცია) (საბავშვო ბადში, სკოლაში) – საკუთარი სექსუალობა, იდენტობის აღმოჩენა და ცხოვრების პერსპექტივის განვითარება არის წინა პლანზე. მესამე ფაზა (უმაღლესი სოციალიზაცია) გვხვდება პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მესამე ფაზაში ინდივიდმა ზუსტად ის უნდა განახორციელოს, რაც ზემოაღნიშნულ ფაზებში ისწავლა. ბოლო ფაზა (მეოთხეული სოციალიზაცია) ეხება ასაკის სტადიას.²⁸⁴

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ, რომ რესოციალიზაცია არის სოციალიზაციის პროცესის ნაწილი. „რე“, როგორც თავსართი მიუთითებს ადამიანის საზოგადოებაში დაბრუნებას.²⁸⁵

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მჭიდრო კავშირშია მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან. ხშირად რესოციალიზაციას პირველად ან შემცვლელ სოციალიზაციასაც ეძახიან. აღნიშნულით უურადღება მახვილდება ადამიანის სოციალიზაციის პირობების პრობლემებზე, არასაკმარის სოციალიზაციაზე, რომელმაც შესაძლოა განაპირობა მისი დამხაშავება ჩამოყალიბება²⁸⁶.

რესი კრიმინალისტი **ქ. რიბაკი** მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ასევე სოციალიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ამასთან, იგი მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია ძირითადად მათი გამოსწორების გზით ხორციელდება.²⁸⁷

რესოციალიზაციის ცნება არ არის განმარტებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. რესოციალიზაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა პატიმრობის კოდექსი. პატიმრობის კოდექსის 116-ე

²⁸² იბ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 748.

²⁸³ იბ. ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რედ. ა. ქიტიაშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010.

²⁸⁴ იბ. S. Freudenthal, C. Licht, Zur Effektivität von Resozialisierungsmaßnahmen: Stimmt die These des „nothing works“? Norderstedt Germany, 2006, S. 13.

²⁸⁵ იბ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 5.

²⁸⁶ იბ. ქ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართლი, თბილისი, 2014, გვ. 75.

²⁸⁷ იბ. M. , , 2002, . 17-18.

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

პროფ. **მხადა ლევაგეიშვილი** მართებულად მიუთითებს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული რესოციალიზაციის ცნება სრულად და დამაჯერებლად ვერ ასახავს სასჯელის ამ მიზანს. ფაქტობრივად არ არის განმარტებული რესოციალიზაციის არსი. ცხადია, რომ რესოციალიზაციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების წევრთა შორის თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს საბოლოო შედეგია. უპირველეს ყოვლისა, ამ შედეგის მისაღწევად სავალდებულო მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებით.²⁸⁸

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მიუთითებს მსჯავრდებული პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზე. ვფიქრობ, ამ მიმართებით, პატიმრობის კოდექსი აღგენს მაღალ სტანდარტს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ სასჯელის მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მართალია მსჯავრდებული არღვევს ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის ფაქტები არ ფიქსირდება. ამ მხრივ სწორად მსჯელობს პროფ. გ. ტყეშელიაძე. იგი მიუთითებს, რომ მთავარია მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია.²⁸⁹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს ასევე პროფ. გ. ნაჭყებიაც. იგი წერს: „სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების კანონიერი ფორმა, ზნეობრივად ვერ შეფასდება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი, როგორც ზნეობრივი მიზანი, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს სახელმწიფო იძულების იმ უკიდურესი ზომით, როგორიცაა სასჯელი. მსჯავრდებულის „მორალური“ გამოსწორების მიზნის საშუალებად სასჯელი ვერ ჩაითვლება. სასჯელი „მორალური“ გამოსწორების მიზნის მიღწევის საშუალებად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ სასჯელს „მორალური“ გამოსწორების მიზანს დაგუსახავთ, ხოლო ეს მიზანი სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში ვერ ხორციელდება, მაშინ სასჯელი არაეფექტურიანად უნდა ჩაითვალოს.“²⁹⁰

²⁸⁸ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 54.

²⁸⁹ იხ. გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საპანინდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996, გვ. 409.

²⁹⁰ იხ. გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, სამართალი, 1995, №3-4, გვ. 42-43.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გვხვდება რესოციალიზაციის სხვადასხვაგვარი განმარტება და რთულია ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება. პატიმრობისგან გათავისუფლებულის საზოგადოებაში ინტეგრაციასთან მიმართებით გამოიყენება რესოციალიზაციის ცნება.²⁹¹

რესოციალიზაცია არის ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, თანდათან საზოგადოებაში ინტეგრაცია პედაგოგიკის, მედიცინისა და ფსიქოთერაპიის მეშვეობით.²⁹²

პროფ. გ. შალიკაშვილი ასე განმარტავს რესოციალიზაციის ცნებას: „რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 36-ე მუხლის მეორე პუნქტით) მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსახურებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი“.²⁹³

რესოციალიზაცია ემსახურება დამნაშავის სოციალურ ინტეგრაციას და ამასთან რეციდივის თავიდან აცილებას.²⁹⁴

გაბატონებული მოსაზრებით, ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულის შესაძლებლობა მომავალ ში თავისი ცხოვრება წარმართოს დანაშაულის გარეშე.²⁹⁵

რესოციალიზაციის ცნება სათანადო ლიტერატურაში იმასთან არის დაკავშირებული, რომ მოხდეს დასჯილი ადამიანების სოციალურ ცხოვრებაში – საზოგადოებაში კვლავ ინტეგრირება.²⁹⁶ მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მიუთითებს ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1977 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსამართლები მიუთითებენ, რომ „რესოციალიზაცია არის დამნაშავის საზოგადოებაში ინტეგრაცია“ (BVerfG E35, 202, 235).

დამნაშავის რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება გულისხმობს დამნაშავის პიროვნების ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ აღდვევს სისხლის სამართლის კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს.²⁹⁷

²⁹¹ ი. F. Mayr, Integration von Haftentlassenen. Möglichkeiten und Grenzen im Rahmen betreuer Wohnformen, 2003, S. 9.

²⁹² ი. T. Lüth, Resozialisierung von Ausländern im Strafvollzug. Gesetzliche Grundlagen der Resozialisierung im Strafvollzug und deren Verwirklichung in der Praxis unter Berücksichtigung von ausländerrechtlichen Beschränkungen, Diplomarbeit, 2009, S. 8.

²⁹³ ი. გ. შალიკაშვილი, გ. მიქაელე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართლი, თბილისი, 2014, გვ. 81.

²⁹⁴ ი. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S. 3.

²⁹⁵ ი. S. Rüppel, Privatisierung des Strafvollzugs, Rechtliche und Praktische Problemstellungen als Chance zur normativen Entkriminalisierung, Frankfurt, 2010, S. 31.

²⁹⁶ ი. A. Tluczkon, Strafvollzug und Resozialisierungsmaßnahmen: Resozialisierung von Straftätern im Kontext sozialpädagogischer Ziele und Probleme sowie rechtlicher Fragen, Hamburg, 2013, S. 14.

²⁹⁷ ი. გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 6.

ეოგელივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართალში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მის გარდაქმნას, კანონმორჩილ (სისხლისსამართლებრივად) მოქალაქედ ქცევას, საზოგადოებაში ინტეგრაციას.

3.2. რესოციალიზაციის გამიჯვნა სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან

როგორც უკვე აღინიშნა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მრავალასპექტიანი პროცესია. რესოციალიზაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორიცაა გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, ინტეგრაცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3.2.1. გამოსწორება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი სასჯელის მიზნად მიიჩნევდა მსჯავრდებულთა გამოსწორებას და მათ ხელახლა აღზრდას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მსჯავრდებულთა გამოსწორებას და აღზრდას ადარითვალისწინებს და სასჯელის მიზნად რესოციალიზაციას მიიჩნევს.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოსწორება და რესოციალიზაცია ხშირად გაიგივებულია და სინონიმებად გამოიყენება. ამასთან, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ, რომ სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს მოქალაქის, მისი ნების საწინააღმდეგოდ გამოსწორება, რის გამოც გამოსწორება ადარ გამოიყენება.²⁹⁸

გამოსწორების ცნება უმეტესწილად ლისტის, ასევე სხვა ადრინდელი ავტორების მიერ იქნა გამოყენებული. ვინაიდან რესოციალიზაციასა და გამოსწორებას შორის არ არსებობს განსხვავება, ამიტომ გამოსწორების ცნებას აღარ იყენებენ.²⁹⁹

დამხაშავის გამოსწორებაზე დაპარაკი შეიძლება მაშინ, როცა მის შეგნებაში, სასჯელის ზეგავლენით ხდება ცვლილებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მართალია დამხაშავე არ იქცევა ჩვენი

²⁹⁸ ი. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S. 6-7.

²⁹⁹ ი. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 5-6.

საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ წევრად, მაგრამ უკვე საზოგადოებისთვის უსაფრთხოა.³⁰⁰

o. ნოის აზრით, „გამოსწორება“ – ეს მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის არჩადენაა, არა სასჯელის შიშიდან გამომდინარე, არამედ იმის გამო, რომ ეს ეწინააღმდეგება მის ახალ შეხედულებებსა და მრწამსს. მ. შარგოროდსკი თვლიდა, რომ გამოსწორების მიზანი სასჯელისათვის ნიშანდობლივი არ არის, მაგრამ ამასთანავე მიაჩნდა, რომ „გამოსწორების“ მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, თუკი სამართალდამრღვევი, რომელმაც სასჯელი მოიხადა, აღარ ჩაიდენს დანაშაულს.³⁰¹

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან მიჯნავენ რესოციალიზაციასა და გამოსწორებას. მ. რიბაკს მიაჩნია, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიღრე გამოსწორება. რესოციალიზაცია თავისთავად გულისხმობს დამნაშავის მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, დესოციალიზებული პიროვნების ხელახალ სოციალიზაციას, მისი შემდგომო თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადებას. სასჯელის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა, გარდა გამოსწორებისა, სხვა გზებითაც ხდება. მაგ: გარკვეული პირობების შექმნა სოციალური სამყაროსთან ნებატიური კავშირების გადასაწყვეტად; მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი საქმიანობა; ამ პირების სოციალური ადაპტაცია და სხვა. ესე იგი მსჯავრდებულის გამოსწორება სასჯელის დამოუკიდებელი მიზანი კი არ არის, არამედ სასჯელის მიზნის (დამნაშავის რესოციალიზაციის) მიღწევის პენიტენციური საშუალებაა. აქედან გამომდინარე, მართებულია კანონმდებლის ზემოხსნებული პოზიცია, რითაც მან სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის გამოსწორების ნაცვლად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია აღიარა.³⁰²

პროფ. მ. ლევავევიშვილი მიუთითებს, რომ ტერმინების სხვაობისდა მიუხედავად, რესოციალიზაციაც თავის თავში დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიღრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს. აღზრდის შემდეგ ეტაპად კი უნდა ჩავთვალოთ უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება.³⁰³

³⁰⁰ იბ. მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, №3, 2004, გვ. 55.

³⁰¹ იქვე, გვ. 56.

³⁰² იქვე, გვ. 57.

³⁰³ იბ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 55.

3.2.2. აღზრდა

აღზრდა არის პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური, მიზანმიმდართული, ორგანიზებული პროცესი, ყოფაქცევის ჩვევათა გადაცემა.³⁰⁴

რადგრუხი აღზრდას მიიჩნევდა გამოსწორების ალტერნატიულ ცნებად. ამავდროულად იგი აღნიშნავდა, რომ ამ ტერმინთან დაკავშირებით არსებობს დიდი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ აღზრდა ზოგადად ძალიან საკამათოა და არ არსებობს საბოლოო ასესნა აღზრდისა და გამოსწორების გასამიჯნათ, აღზრდა ზრდასრულთა სისხლის სამართალში არის შეუსაბამო, ხოლო არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში კი აღიარებულია. **რადგრუხის** აზრით, ზრდასრულებმა შეიძლება შემდგომი განათლება მიიღონ, მაგრამ არა აღიზარდონ.³⁰⁵

აღზრდას ძირითადად ვხვდებით არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სფეროში. აქ არ არის დიდი განსხვავება აღზრდასა და რესოციალიზაციას შორის, რის გამოც ეს ორი ცნებები ხშირად სინონიმებადაც კი გამოიყენება.³⁰⁶

როგ. გ. შალიკა შვილი მიუთითებს, რომ ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ მსჯავრდებულის „ხელახალ აღზრდას გულისხმობს. გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს, თუ იგი არასრულწლოვანია, ხოლო თუ იგი ზრდასრულია – რესოციალიზაციაზე“.³⁰⁷

კანონმდებელმა საგსებით სწორად თქვა უარი 1960 წლის კოდექსში ნახსენებ სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორიცაა მსჯავრდებულის „ხელახალი აღზრდა“, რადგან იგი, ერთი მხრივ, მოიაზრება კიდეც მსჯავრდებულის გამოსწორებაში, ხოლო მეორე მხრივ, აშკარად არარეალურია სისხლის სამართლისათვის. სასჯელის მიზანი, გამოასწოროს დამნაშავე, მიღწეულად ჩაითვლება უკვე მაშინ, როცა დამნაშავე პირი აღარ ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც მის მიმართ სასჯელის შესაძლო გამოყენების შიშით, ანუ მიეჩვევა კანონის პატივისცემას, როგორც იტყვიან იურიდიულად გამოსწორდება.³⁰⁸

³⁰⁴ იხ. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, (3 ტომად), შემდგ. ა. ელერდაშვილი, თბილისი, 2006.

³⁰⁵ იხ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 6.

³⁰⁶ იხ. იხ. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S. 7.

³⁰⁷ იხ. გ. შალიკა შვილი, გ. მიქანაძე, გ. ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 78.

³⁰⁸ იხ. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 10.

3.2.3. სოციალიზაცია

სოციალიზაცია არის ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების შეთვისების პროცესი.³⁰⁹

სასჯელის შეფარდებისას სოციალიზაციის ცნება ხშირად გაიგივებულია რესოციალიზაციასთან. ვინაიდან რესოციალიზაცია საზოგადოებაში ინტეგრაციას ნიშნავს, ამ ორ ცნებას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. თუმცა არსებობს განსხვავება რესოციალიზაციასა და სოციალიზაციას შორის. სოციალიზაცია არის პროცესი, რომელიც დაბადების შემდგომ ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს, ხოლო რაც შეეხება რესოციალიზაციას იგი ეხება მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გამოდიან სოციალიზაციის პროცესიდან.³¹⁰

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოციალიზაცია არის ბავშვის ან მოზარდის პიროვნების განვითარების პროცესი. სოციალიზაციას მნიშვნელოვანი როლი აქვს სანქციათა სისტემის სფეროში. აქვს დასჯილ ადამიანს სოციალიზაციის პროცესი გავლილი? ეს იქნებოდა საფუძველი, რათა ვისაუბროთ რესოციალიზაციაზე. **შოხი** გამოდის იქედან, რომ ბევრ დამნაშავეს ეს პროცესი ჯერ არ აქვს ან მხოლოდ მიზერულად აქვს გავლილი. ამ შემთხვევაში, მისი აზრით ეს იქნება არა საზოგადოებაში ინტეგრაცია, არამედ ახალი ინტეგრაცია. **ჰილებრანდი** მხარს უჭერს შოხს. იგი ამბობს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც დანაშაულს მხოლოდ იმიტომ ჩადიან, რომ ისინი საზოგადოებაში ვერ მკვიდრდებიან. მისი წინადაღებაა, სოციალიზაციის ცნება გამოვიყენოთ, ვინაიდან იგი რესოციალიზაციის ცნებას მოიცავს.³¹¹

გერმანული სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „ვინაიდან არ არსებობს განსხვავება რესოციალიზაციასა და სოციალიზაციას შორის, რესოციალიზაცია არის უკეთესი არჩევანი, ვინაიდან ამ ტერმინს გამოყენებაში პყავს ბევრი მხარდამჭერი.“³¹²

3.2.4. მკურნალობა

მკურნალობას უმეტესწილად იყენებენ სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ვიდრე რესოციალიზაციას. სასჯელის აღსრულებისას მკურნალობაში იგულისხმება თერაპიული დონისძიებები. მკურნალობას ძირითადად ვხვდებით ავადმყოფობის ცნებასთან კავშირში.³¹³

³⁰⁹ იბ. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, (შემდგენელი სამსონ ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე), თბილისი, 2004, გვ. 483.

³¹⁰ იბ. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S. 7-8.

³¹¹ იბ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 6-7.

³¹² იქვე, S. 8.

³¹³ იბ. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S-8.

მკურნალობა მოიცავს ყველა იმ დონისძიებებს, რომლებიც საჭიროა რესოციალიზაციის მისაღწევად. ამ ორ ცნებას შორის არსებობს ურთიერთკავშირი, ვინაიდან, რესოციალიზაცია მკურნალობის მეშვეობით მიიღწევა.³¹⁴

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ დამნაშავის მკურნალობა არის მხოლოდ რესოციალიზაციისა და მომავალში დასჯადი ქცევის პრევენციის ნაწილი.³¹⁵

მკურნალობის მიზანი არის მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.³¹⁶ როგორც ვხედავთ რესოციალიზაციასა და მკურნალობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მკურნალობის ცნებას იყენებს საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, რომლის თანახმადაც, მკურნალობაში იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მკურნალობა. ამდენად, რესოციალიზაციასა და მკურნალობას შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. თუ რესოციალიზაცია გულისხმობს ჯანმრთელი ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციას, მკურნალობაში იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულთა მკურნალობა, რის შემდეგაც უნდა მოხდეს კვლავ მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

3.2.5. ინტეგრაცია

ინტეგრაცია არის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანია ცალკეულ ჯგუფთა თვითოდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქმედვა.³¹⁷

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ ინტეგრაცია გულისხმობს სოციალური მომსახურეობის ყველასათვის ხელმისაწვდომობას, განათლების მიღებას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას, ასევე შესაძლებლობების უპყოქს განაწილებას და სოციალური უსაფრთხოების გაძლიერებას.³¹⁸

ინტეგრაციის ცნება დაკავშირებულია რესოციალიზაციის ცნებასთან უმეტესწილად პატიმრობისგან გათავისუფლებასთან მიმართებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროებში გამოიყენება. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში, ფსიქიკურ ავადმყოფებში, ახალგაზრდების მუშაობაში და

³¹⁴ ი. გ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 7-8.

³¹⁵ ი. გ. H. Kury, Die Behandlung Straffälliger. Teilband 2: Ergebnisse einer empirischen Untersuchung zum Behandlungserfolg bei jugendlichen und heranwachsenden Untersuchungshäftlingen, Berlin, 1987, S. 341.

³¹⁶ ი. გ. Y. Yamanaka, Maßnahmen bei psychisch kranken Straftätern. Ein Vergleich zwischen Deutschland und Japan, München, 2008, S. 61

³¹⁷ ი. გ. აღილობრივი დემოკრატიის გზამქოდევი საქართველოსთვის, თბილისი, 2004.

³¹⁸ ი. გ. K. Weber, Strafe und Ausgrenzung statt Hilfe und Integration? Möglichkeiten, Grenzen und Perspektiven der Sozialen Arbeit in der Resozialisierung. Utopie kreativ, H. 160 (Februar 2004), S. 106.

ა.შ. აქედან გამომდინარე, ეს ცნება საკმაოდ დადებითად არის შეფასებული.³¹⁹

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით სოციალური ინტეგრაციის ცნებას. სოციალური ინტეგრაცია არის პროცესი, დინამიური ურთიერთქმედების მეშვეობით ინდივიდუალური პროცესებს, სოციალურ ფაქტორებსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის.³²⁰

სოციალური ინტეგრაციის ცნება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეს უმეტესი პრობლემები ექმნება საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლელობის მეშვეობით, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ. ადნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს დამნაშავესა და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას.³²¹

ინტეგრაციის ცნება სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხშირად რესოციალიზაციის ალტერნატივად არის შემოთავაზებული. სოციალური ინტეგრაცია აჩვენებს, რომ პირველ ადგილზეა საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა. სოციალურ ინტეგრაციასა და რესოციალიზაციას შორის არსებობს მჟიდრო კავშირი და მსგავსი მიზნები აქვთ.³²²

3.2.6. რეაბილიტაცია

ტერმინი რეაბილიტაცია გახვდება ხოლმე დამნაშავის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს. სიტყვა - რეაბილიტაცია ბევრ ენაში გამოიყენება, მაგრამ შესაძლებელია ყველა ენაზე არ შეესაბამებოდეს ერთი და იგივე სიტყვის მნიშვნელობას. ასე რომ, თუ სისხლის სამართლის კონტექსტში ვთარგმნით რეაბილიტაციას, ვიყენებთ ფრანგულ **reinsertion** და გერმანულ **Resozialisierung**. მაგრამ იქნებ ინგლისურ ენაზე სწორი ფორმაა „რეინტეგრაცია“? ან იქნებ საჭიროა ყველა ჩამოთვლილი ტერმინის წინ „სოციალური“-ს გამოყენება? არის თუ არა პრეფიქსი „რე“-ს გამოყენება სწორი ან იქნებ ის დამნაშავეები, რომელთა შესახებაც ვსაუბრობთ, ხანდახან საჭიროებენ „რეაბილიტაციას“, „სოციალიზაციას“ ან „ინტეგრაციას“? არა მხოლოდ ჩვენ ვაწყდებით უამრავ პრობლემას თარგმნის დროს, ასევე სხვადასხვა პროფესიონალთა ჯგუფებიც, ზოგ

³¹⁹ ი. მ. F. Mayr, Integration von Haftentlassenen. Möglichkeiten und Grenzen im Rahmen betreuer Wohnformen, 2003, S. 10.

³²⁰ ი. მ. J. Gautschi, C. Rüegger, Vom Strafvollzug in die Freiheit. Risikoorientierung und Übergangsmanagement: aktuelle Entwicklungen in Bewährungshilfe und Sanktionenvollzug, Sozialaktuell, NR. 12 – Dezember, 2009, S. 22.

³²¹ ი. მ. A. Tluczkon, Strafvollzug und Resozialisierungsmaßnahmen: Resozialisierung von Straftätern im Kontext sozialpädagogischer Ziele und Probleme sowie rechtlicher Fragen, Hamburg, 2013, S. 13.

³²² ი. მ. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S. 8.

შემთხვევაში ერთი ენის მქონენიც კი, ერთი და იგივე ტერმინის გამოყენების დროს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ მათ.³²³

მიუხედავად ზემოაღნიშნული პროცედურისა, შევეცდები სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოკლედ ჩამოვაყალიბო რეაბილიტაციის ცნება და გავმიჯნო იგი რესოციალიზაციის ცნებისგან.

რეაბილიტაცია არის იმ პირთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა, რომელთაც გადატანილ დაავადებათა ან ტრაგების შედეგად შეზღუდული აქვს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები.³²⁴

ინგლისურენოვან ლიტერატურაში ძირითადად იყენებენ რეაბილიტაციის ცნებას. ხოლო გერმანულენოვანი ლიტერატურა ნაკლებად საუბრობს რეაბილიტაციაზე, ვიდრე რესოციალიზაციის შესახებ. რეაბილიტაცია უმეტეს შემთხვევაში ჯანმრთელობის სფეროში გამოიყენება და ატარებს სხვა ლირებულებებს. ის აღწერს დონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება განკურნების, გამთლიანების, ძალის აღდგენისა და ინტეგრაციის პროცესში. რესოციალიზაცია გერმანიაში გულისხმობს პატიმრის საზოგადოებაში წარმატებით უკან დაბრუნებას და საზოგადოებასთან პარმონიულ ცხოვრებას.³²⁵

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას შორის განსხვავება მდგომარეობს მიზნებსა და სამართლებრივ შედეგებში. რეაბილიტაციისას მიზანი ნათლად არის განსაზღვრული.³²⁶

რეაბილიტაციის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის დონისძიებები, რომელთა მიზანია ფიზიკური, ინტელექტუალური და ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანების ან საშიში უნარ-შეზღუდული ადამიანების დახმარება, ასევე მათი უნარისა და ძალის განვითარება და საზოგადოებაში კვლავ შესაბამისი ადგილის პოვნა. არსებობს სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია.³²⁷

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ცნებები მეტად ახლოს დგას ერთმანეთთან. ამ ორი ცნების განსხვავება არის მათი მიზანი, რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას (ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია), როცა რესოციალიზაცია უფრო ზოგადი შეიძლება იყოს (საზოგადოებაში ხელახლი ინტეგრაცია).³²⁸

რეაბილიტაციის ცნება გამოიყენება ასევე პედაგოგიკაში. 1993 წლის პატარა პედაგოგიური ლექსიკონის თანახმად, რეაბილიტაცია არის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, პროფესიული და

³²³ ი. მ. F. Mcneill, K. Beyens, Offender Supervision in Europe, 2014, p. 145.

³²⁴ ი. მ. ხარებავა, ლ. ესებუა, მ. გალუაშვილი, ეს შენი უფლებაა, ინგალიდ ქალთა და ინგალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა. თბილისი, 2009, გვ. 84.

³²⁵ ი. მ. T. Brandner, Gottesbegegnungen im Gefängnis, Eine praktische Theologie der Gefangenenseelsorge, Frankfurt, 2009, S. 67-68.

³²⁶ ი. მ. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, S-8-9.

³²⁷ ი. მ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 8.

³²⁸ ი. მ. შალიოგაშვილი, გ. მიქაელე, მ. ხასია, სასჯელადსრულების სამართლი, თბილისი, 2014, გვ. 79.

სოციალური დონისძიებების გამოყენებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში კვლავ ინტეგრაცია.³²⁹

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ რეაბილიტაციის ცნება სასჯელადსრულების კანონმდებლობაში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე რესოციალიზაცია.³³⁰

3.3. რესოციალიზაციის პროცესი სასჯელადსრულების დაწესებულებებში

პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია უნდა განხორციელდეს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას. რესოციალიზაციის პროცესი განსაკუთრებით პრობლემატურია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას. რესოციალიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სასჯელის მოხდის პროცესში, ისე სასჯელის მოხდის შემდეგაც. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელადსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პროცესს. სასჯელადსრულების დაწესებულებათა რეჟიმები ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული, რომ მან რეალურად უზრუნველყოს სასჯელის მიზნის მიღწევა. სასჯელადსრულების დაწესებულების აღმინისტრაციის საქმიანობა მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან ადაპტაციაში.

პირის მსჯავრდება და მისი საზოგადოებისაგან იზოლირება ემსახურება, ერთი მხრივ ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებას, ხოლო მეორე მხრივ, მიზნად ისახავს დამნაშავის გამოსწორებას, ანუ სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს უკვე გამოსწორებული პიროვნება, რომელიც მისთვის საფრთხეს ადარწარმოადგენს.³³¹

ისმის ლოგიკური კითხვა, თუკი პიროვნება იბადება და იზრდება საზოგადოებაში, ხოლო სასჯელს გაჰყავს იგი საზოგადოების გარეთ, მაშინ რადა გამართლება აქვს სასჯელს? აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელმა კი არ უნდა მოახდინოს მსჯავრდებულის იზოლაცია საზოგადოებისაგან, არამედ პირიქით, მსჯავრდებულს ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, რათა მას პქონდეს ურთიერთობა საზოგადოებასთან. მაგალითად სასულიერო პირის შევანა

³²⁹ ი. მ. F. Welti, Behinderung und Rehabilitation im sozialen Rechtsstaat, Tübingen, 2005, S. 151.

³³⁰ ი. მ. A. Tluczikont, Strafvollzug und Resozialisierungsmaßnahmen: Resozialisierung von Straftätern im Kontext sozialpädagogischer Ziele und Probleme sowie rechtlicher Fragen, Hamburg, 2013, S. 13.

³³¹ ი. მ. ქობერიძე, სასჯელადსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, №11-12, თბილისი, 2002, გვ. 86.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში, რათა მსჯავრდებულებს ჰქონდეთ ურთიერთობა სასულიერო პირებთან, აგრეთვე აუცილებელია ახლობლებთან, ნათესავებთან ურთიერთობა და ა. შ. რათა არ მოხდეს მსჯავრდებულთა სრული იზოლაცია საზოგადოებისაგან.

დამნაშავის რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელება ყოველთვის მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ესაა კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომელიც, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლისთვის საჭიროა მისი პიროვნების მონაცემების ცოდნა, რომელიც მის ქცევაზე, გარემოსა და მის პიროვნებაზე გავლენის მქონე გარემოებებზე დაკვირვების შედეგად მოიპოვება.³³²

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ წარმატებული რესოციალიზაცია ემსახურება იურიდიული საზოგადოების დაცვას, რომელსაც უშუალო ინტერესი აქვს დამნაშავე არ გახდეს რეციდივისტი და კვლავ სხვები და საზოგადოება აღარ დააზიანოს.³³³

სასჯელის მიზნებიდან დამნაშავის რესოციალიზაცია ერთ-ერთი უმთავრესი და მისაღწევად ურთულესი მიზანია. ამ მიზნის მიღწევაში განსაკუთრებული როლი ეკისრება სასჯელადსრულების სისტემის სოციალურ სამსახურს, რომელმაც კომპლექსური და ქმედითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებით, უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის სრული ტრანსფორმაცია და ხელი შეუწყოს მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებას.³³⁴

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული პირის (ციხის პირობებში) რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა პქონდეს ღირსეულად (გამოსწორებული) დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ.³³⁵

თავისუფლების აღკვეთა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ არის ადამიანის ღირსების შემდახვი, მაგრამ საჭიროა სახელმწიფომ ციხის პირობებში მსჯავრდებულს შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის გარეშე გააგრძელებს. ამ მხრივ, აუცილებელია, რომ მსჯავრდებულს რეალურად მიეცეს შანსი დაბრუნდეს თავისუფლებაში ყოველგვარი (ციხის პირობებიდან გამომდინარე) უარყოფითი შედეგების გარეშე.³³⁶

³³² ი. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 30.

³³³ ი. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 2258/09).

³³⁴ ი. გ. არსერშეილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 6.

³³⁵ ი. ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 315.

³³⁶ ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfGE) 45, 187 (229).

სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია ციხის პირობებში იყოს მსჯავრდებულისათვის გამოსწორების მომგანი (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი).³³⁷

პატიმრობის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას.

პატიმრობის კანონმდებლობით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს: საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, სამედიცინო მომსახურებით, ახლო ნათესავებთან შეხვედრით, სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით, ზოგადი და პროფესიული განათლებით და ა.შ. პატიმრობის კოდექსი ბრალდებულს/ მსჯავრდებულს ასევე უფლებას აძლევს: მიიღოს მონაწილეობა სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ დონისძიებებში, ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმუოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით). ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო პირებს, თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული უფლებების განხორციელება ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს. მართალია რესოციალიზაციის მიზანი მხოლოდ აღნიშნულით არ მიიღწევა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კანონით დადგენილი უფლებების დაცვა რესოციალიზაციის პროცესის დასაწყისია.

სასჯელის აღსრულებისას მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის ურთიერთობა გარე სამყაროსთან (საფოსტო გზავნილები, სტუმრობა მეგობრების, ნათესავების, ნაცნობების, სატელეფონო საუბრები, თავისუფლების აღკვეთის შეწყვეტა, სასჯელისაგან გათავისუფლების სხვადასხვა ფორმები და სხვა). თავისუფლების აღკვეთის მოხდისას გასათვალისწინებელია ასევე პატიმრობის პირობები (ჰიგიენა, ტანსაცმლი, კვება, კონტაქტი გარე სამყაროსთან, სამუშაო, თავისუფალი დრო), ასევე ჯანმრთელობაზე ზრუნვა და წესრიგი.³³⁸

გარე სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე მიუთითებს პატიმრობის კოდექსიც. პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა მსჯავრდებულის საზოგადოებასთან ურთიერთობა.

გარე სამყაროსთან ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ფაქტორია პატიმრის სულიერი მდგრადობის შენარჩუნებისთვის, მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის და პირდაპირ აისახება სასჯელადსრულების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები კომპონენტია, რადგანაც

³³⁷ ი. ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი, 2013, გვ. 484.

³³⁸ ი. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013, S. 11-12.

იგი მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ფაქტორი.³³⁹

თუ პატიმრებს ციხეში უქნებათ იმის საშუალება, რომ ურთიერთობა იქონიონ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან, ეს შეამცირებს პატიმრობის მავნე ზეგავლენას და გათავისუფლების შემდეგ მათი რესოციალიზაციაც იოლად წარიმართება.³⁴⁰

საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავს, რომ „მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, პქონდეს შესაბამისი პირობები, რათა თვალყური ადგვნოს მიმდინარე პროცესებს, კონტაქტი იქონიოს ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ეს ყველაფერი აუცილებელია მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოსამზადებლად. სასჯელაღსრულების სისტემაში აღნიშნული კომპონენტი დღესდღეობით უმნიშვნელოა – საანგარიშო პერიოდში მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სასწავლო თუ სარეაბილიტაციო პროგრამები.“³⁴¹

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში რესოციალიზაციის პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. სასჯელაღსრულების დაწესებულებებაში არსებული პირობები ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მსჯავრდებულზე. გამომდინარე იქედან, რომ ისინი რადიკალურად განსხვავდებიან რიგითი მოქალაქის ცხოვრების პირობებისაგან. ნორვეგიის ქალაქ ჰალდენში არსებული ციხე, რომელიც აშენდა 2010 წელს, წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ და პუმანურ სასჯელაღსრულებით დაწესებულებას. აღნიშნული ციხე განკუთვნილია მმიმე და განსაკუთრებით მმიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულებისათვის. ციხე გარშემორტყმულია 30 ჰ. ტყით, სადაც მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ისეირნონ ზედამხედველობის გარეშე. მსჯავრდებულს საკანში ყოვნა ევალება საღამოს 8:30-დან დილის 7:00-მდე. დანარჩენ დროს მას შეუძლია იმუშაოს სურვილისამებრ და მიიღოს დღეში 9 (ცხრა) აშშ დოლარი ანაზღაურების სახით, ან საკუთარი შეხედულებისამებრ გაატაროს დრო. მათ შეუძლიათ თვითონ მოამზადონ საკვები. მსჯავრდებულს ეძლევა კვირაში სამი სატელეფონო საუბრის უფლება. აღნიშნულ ციხეში ძალიან იშვიათია პატიმრებსა თუ პატიმრებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის კონფლიქტის ფაქტები.³⁴²

საინტერესოა ავსტრიის გამოცდილება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით. იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში

³³⁹ იხ. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 166-169.

³⁴⁰ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 135.

³⁴¹ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 85.

³⁴² იხ. ნ. ჭეშვილი, რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2014, გვ. 6-7.

მითითებულია, რომ თავისუფალი დროის კარგად დაგეგმვა მნიშვნელოვანია სიმშვიდისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სასჯელადსრულების დაწესებულებაში. სასჯელის მოხდისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტულ დონისძიებებს. ყველა სასჯელადსრულების დაწესებულებაში არის შესაბამისი მოწყობილობა სპორტული დონისძიებებისათვის, როგორიცაა სპორტული მოედანი, სავარჯიშო დარბაზები და ფიტნეს ოთახები.³⁴³ ვფიქრობ, აღნიშნული ხელს შეუწობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესს.

უახლოესი კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ პატიმრები, რომლებიც ღია ტიპის დაწესებულებებიდან გათავისუფლდნენ, უკეთესად არიან მომზადებულნი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის და დაბალია რეციდივის რისკი, დახურული ტიპის დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებთან შედარებით.³⁴⁴ აღნიშნული კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის.

ავსტრიაში შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგი სასჯელის მოხდის ახალი ფორმაა. ის 2010 წლის შემოდგომიდან ფუნქციონირებს. სასჯელის მოხდის აღნიშნული ფორმა ეხებათ იმ ადამიანებს, რომელთა დარჩენილი სასჯელი არ აღმატება 12 თვეს. შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასჯელადსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი. საპატიმრო სასჯელის მოხდა შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულები იმყოფებიან სახლში. საცხოვრებელი ადგილი შესაძლებელია დატოვონ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.³⁴⁵ მიმართია, რომ დარჩენილი სასჯელის მოხდის ამგვარი ფორმა ძალზედ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. ამ დროს მას აქვს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან და ა.შ. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ აღნიშნული დაინერგება საქართველოშიც.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს, რომ სასჯელის მოხდის ადგილებში მსჯავრდებულის ცხოვრება, მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს საერთო ცხოვრების პირობებთან.³⁴⁶

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის მნიშვნელოვანია ასევე განათლების მიღება. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება. პატიმრობის კოდექსი ასევე ავალდებულებს ციხის ადმინისტრაციას შექმნას პირობები, რათა ბრალდებლებმა/მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა. ამასთან, პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულის

³⁴³ ob. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013, S. 31.

³⁴⁴ ob. F. Brägger, Der offene Strafvollzug heute, Am Beispiel der Anstalten, Witzwil /Be, 2012, S. 6.

³⁴⁵ ob. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013, S. 34-35.

³⁴⁶ ob. მ. პ. დვალიშვილი, სასჯელის მოხდის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2002, გვ. 65.

რესოციალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება წარმოადგენს.

განათლებას ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, რომელიც განმარტავს, რომ სადაც კანონით დასაშვებია განათლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ასევე ყურადღებას უთმობს რელიგიურ განათლებას, ასევე იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებას, რომლებიც ციხის გარეთ დახვდებიან მათ გათავისუფლების შემთხვევაში. „იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით, რელიგიური განათლების ჩათვლით. წერა-კითხვის უცოდინართა და არასრულწლოვანთა განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ³⁴⁷

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელადსრულების კანონმდებლობა მსჯავრდებულთა განათლებას ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორსაც პატიმართა მუშაობას. ³⁴⁸

სასჯელის აღსრულებისას განათლება არის რესოციალიზაციის პროგრამის ნაწილი და ამასთან აქვს მკაცრი აღმზრდელობითი ხასიათი. ³⁴⁹

ენდორუ კოილი საინტერესოდ აღწერს პატიმართა განათლებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგებს. ციხეში მყოფ ბევრ ადამიანს განათლების დაბალი დონე აქვს. დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა. ინგლისება და უელსში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ პატიმართა 65%-ის განათლება არ არის ის, რაც ჩვეულებრივ მოქთხოვება 11 წლის ბავშვს, ხოლო საერთო მოსახლეობის შემთხვევაში, ეს პროცენტული მაჩვენებელი 23%-ზე დაბალია. განათლების დაბალმა დონემ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ციხეში მოსვლამდე და შეიძლება მათ მიერ დანაშაულის ჩადენაშიც დიდი როლი ითამაშა. ³⁵⁰

სასჯელადსრულების დაწესებულებებში ზოგადი და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზეა საუბარი ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემულ სახლემდვანელოშიც. აღნიშვნულ სახლემდვანელოში მითითებულია, რომ ბევრ სასჯელადსრულების დაწესებულებებში შესაძლებელია კომპიუტერის მოწმობის ან კომპიუტერის სფეროში სხვა კვალიფიკაციის მიღება. ³⁵¹

საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2007 წელს გამოცემულ სახლემდვანელოში მითითებულია, რომ სასწავლო კურსების გავლის შემდეგ

³⁴⁷ გაეროს პატიმრებთან მოყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, თავი განათლება და კულტურული საქმიანობა, წესი 77-81.

³⁴⁸ ი. K. Laubenthal, Strafvollzug, 3. Auflage, Berlin, 2003, S. 187.

³⁴⁹ ი. F. Föhn, Bildung im Strafvollzug, Schweiz, Deutschland, Österreich – ein Vergleich, 2010, S. 76.

³⁵⁰ ი. ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახლემდვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთაოვის, თბილისი, 2007, გვ. 98.

³⁵¹ ი. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013, S. 26.

მსჯავრდებულებს გაუძლიერდებათ რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში, რაც, საბოლოოდ, გათავისუფლების შემდეგ მათ კანონმორჩილ ცხოვრებას გაუადვილებს. იმისათვის, რომ სულ მცირე, დავიცვათ პატიმრები გონიერივი დეგრადაციისგან, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, ავამაღლოთ მათი განათლებისა და ოვითშეგნების დონე, საჭიროა, რომ მათ პქონდეთ წიგნის კითხვის, სასწავლო კურსების გავლისა და დრამატული ხელოვნების, ფერწერის, მუსიკალურ თუ რეკრეაციულ პროგრამებში მონაწილეობის საშუალება.³⁵²

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მიღებული განათლება დადებით გავლენას ახდენს მსჯავრდებულებზე. ლიტერატურაში ვხვდებით უამრავ მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის აღსრულებისას საგანმანათლებლო დონისძიებებს დიდი ღირებულება გააჩნიათ. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს საიმედო კვლევების (ხანგრძლივი კვლევები) სიმცირე, განსაკუთრებით ევროპულ სივრცეში.³⁵³

განათლება მიეკუთვნება მნიშვნელოვან დონისძიებას დამნაშავის გამოსასწორებლად. მაგრამ მსჯავრდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ეუფლება საგანმანათლებლო დონისძიებებს.³⁵⁴

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია შრომა სასჯელადსრულების დაწესებულებაში.

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას მსჯავრდებულთა დასაქმება წარმოადგენს. ამავე კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

პატიმრობის კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პენიტენციური დაწესებულება და დამსაქმებელი ვალდებული არიან, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები.

მსჯავრდებულთა მუშაობა არის მოწესრიგებული და ეფექტური სასჯელადსრულების საფუძველი.³⁵⁵

სასჯელადსრულების დაწესებულებაში პროფესიული განათლების მიღებას ითვალისწინებს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა. ზოგ ქვეყანაში, დანიის მსგავსად, პატიმრებს შეუძლიათ დაეუფლონ ხელობას, თუ საქმე ეხება პროექტზე მუშაობას. (გემის აშენება, სხდომათა დარბაზის განახლება).³⁵⁶

³⁵² იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები,

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების

დაწესებულებების თანამშრომელთაოთვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 121.

³⁵³ იხ. F. Föhn, Bildung im Strafvollzug, Schweiz, Deutschland, Österreich – ein Vergleich, 2010, S. 104-105.

³⁵⁴ იხ. G. Sakalauskas, Strafvollzug in Litauen, Kriminalpolitische Hintergründe, rechtliche Regelungen, Reformen, Praxis und Perspektiven, Godesberg, 2006, S. 171.

³⁵⁵ იხ. K. Laubenthal, Strafvollzug, 3. Auflage, Berlin, 2003, S. 188.

³⁵⁶ იხ. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 464.

საპატიმროებში მსჯავრდებულების დროის უდიდესი ნაწილი უქმდა იკარგება. ეს ხელს უშლის კრიმინალური აზროვნების პოზიტიურად შეცვლის პროცესს.³⁵⁷

„საკუთარი თავის მატერიალური უზრუნველყოფის გზის პოვნა ციხიდან გამოსვლის შემდეგ პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციის უნარის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრი პატიმრისთვის ციხეში ყოფნის დრო შეიძლება მათთვის პირველი შესაძლებლობაც კი იყოს პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების შესაძენად და რეგულარული სამუშაოს საკეთებლად. მთავარი მიზანი, რის გამოც პატიმრებს მუშაობა მოეთხოვებათ, არის მათი მომზადება ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნორმალური შრომითი ცხოვრებისთვის და არა ადმინისტრაციის სასარგებლოდ ფულის გამომუშავება ან მთავრობის სხვა დაწესებულებების სასარგებლოდ ქარხნებში მუშაობა. უნდა გვახსოვდეს, რომ დასაქმება სოციალური რეაბილიტაციის მხოლოდ ერთი ელემენტია. სრულფასოვანი რეაგირება გულისხმობს ყველა იმ უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, რაც საზოგადოებაში დასაბრუნებლადაა საჭირო, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა უნარ-ჩვევებზეა მოთხოვნა.“³⁵⁸

სასჯელადსრულების დაწესებულებაში შრომის მნიშვნელობაზეა საუბარი ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში. „ავსტრიაში სასჯელადსრულების დაწესებულებებს აქვთ საკუთარი საწარმოები და სახელოსნოები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დასაქმების შესაძლებლობა“. არასრულწლოვანთა დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი მათი აღზრდისათვის სასარგებლოა.³⁵⁹

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ როდესაც არ არსებობს სასჯელადსრულების დაწესებულებიდან პატიმართა გაქცევისა და რეციდივის საფრთხე, დღის განმავლობაში მსჯავრდებულს შეუძლია განახორციელოს მის მიერ შერჩეული სამუშაო, ან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს დრო და საღამოს დაბრუნდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.³⁶⁰

დამნაშავებ თავისი სასჯელიდან რაღაც უნდა ისწავლოს და შეძლოს საზოგადოებაში კპლავ ინტეგრაცია, ეს არის რესოციალიზაციის მიზანი.³⁶¹

მსჯავრდებულის დასაქმება არის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, მსჯავრდებულისთვის, როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში მისი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მდგრმარეობის სტაბილურობის თვალსაზრისით, ასევე უმთავრესი კომპონენტია გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში, რათა პირი

³⁵⁷ იხ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი,

ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 48.

³⁵⁸ იხ. ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ. 93.

³⁵⁹ იხ. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013, S. 25.

³⁶⁰ იხ. N. Lange, Resozialisierung im Gefängnis, Hauptseminararbeit, Germany, 2000, S. 4.

³⁶¹ იხ. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 47.

გათავისუფლდეს სამუშაო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, რაც მას დაეხმარება ცხოვრების პირობების მოწყობაში.³⁶²

სასჯელის აღსრულების მიზანი არის დამნაშავის სამართლებრივი და სოციალური რეინტეგრაცია. სამუშაო და პედაგოგური ღონისძიებები აღნიშნულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სასჯელაღსრულების კანონმდებლობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის სამუშაოს და პროფესიას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.³⁶³

მუშაობა და პროფესიული ფორმირება გათვალისწინებულია სოციალურ ცხოვრებაში ხელახლი ჩართვის და პატიმრის კარგი ყოფაქცევის განსაზღვრისათვის. თითქმის ყველგან იპვეთება ტენდენცია, რომ ციხეში მომუშავე გაუთანაბრდეს ციხის გარეთ მყოფ თავისუფალ მომუშავეს შრომითი პირობების დაცვის და სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკანონმდებლო გზით.³⁶⁴

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სრული დატვირთვით უნდა მიმდინარეობდეს საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები, რითაც პირველ რიგში მსჯავრდებულები დასაქმდებიან და აღარ ექნებათ საკმარისი დრო სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაზე საფიქრალად, ასევე დაუგროვდებათ გარკვეული ფინანსური რესურსი სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდის მოწყობისათვის.³⁶⁵

პატიმრებს უფლება უნდა მიეცეთ: 1) დახარჯონ გამომუშავებული თანხის ნაწილი ციხეში; 2) გაუგზავნონ ოჯახს გამომუშავებული თანხის ნაწილი; 3) დააგროვონ გამომუშავებული თანხის ნაწილი გათავისუფლების დროისთვის. თუ პატიმრებს სამუშაო არ ექნებათ და უქმად ყოფნას მიეჩვევიან, ისინი ნამდვილად დაკარგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას საკუთარი თავის ან თავიანთი ოჯახების მიმართ, რაც მათთვის გაართულებს კანონმორჩილი ცხოვრების დაწესებას გათავისუფლების შემდეგ.³⁶⁶

მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ისეთი მუშაობით ან სხვა საქმიანობით უნდა დაკავდეს, რომელიც მის ფიზიკურ შესაძლებლობებს და ჯანმრთელობის მდგომარეობას შეესაბამება.³⁶⁷

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სასჯელაღსრულების დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის ფსიქიკური სიმყარე, ნორმატიული და მორალური დირებულებებისადმი ორიენტაცია და სოციალური დაცვის გარანტიები.³⁶⁸

ლაბორატორიული ექსპრიმენტით ზიმბარდომ დაასკვნა, „რომ ციხეში მყოფ ადამიანთა ქცევას უფრო მეტად განსაზღვრავს თვალ

³⁶² იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 208-209.

³⁶³ იხ. S. Schulz, Organisationsformen der Arbeit im Gefängnis, 2004, S.1.

³⁶⁴ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 464-465.

³⁶⁵ იხ. გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 181.

³⁶⁶ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთაოვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 116.

³⁶⁷ იხ. K. Laubenthal, Strafvollzug, 3. Auflage, Berlin, 2003, S. 189.

³⁶⁸ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 109.

ციხის სიტუაცია, ვიდრე მასში მყოფი ადამიანების ინდივიდუალური მახასიათებლები“.³⁶⁹

საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2007 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ ციხის პერსონალის მოვალეობაა პატიმრების დაცვა და შემდეგ (უმეტეს შემთხვევაში) საზოგადოებაში მათი უვნებლად დაბრუნება. ეს ფუნქცია საზოგადოების ძალზედ რთული და დაძაბული მოვალეობების შესრულებას გულისხმობს. თუმცა ბევრ ქვეყანაში ციხის მოხელეებს არც სათანადო მომზადება აქვთ გავლილი, არც შესაფერისი ხელფასები აქვთ და ხშირად საზოგადოებაშიც ვერ სარგებლობენ პატივისცემით. ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტები – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან დაწყებული, ისეთი სპეციფიკური დოკუმენტებით დამთავრებული, როგორებიცაა პატიმართან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული ადამიანის დაცვის პრინციპების კრებული, ანდა კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახეველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ – განსაზღვრავს წესებს, რომლებიც ციხის პერსონალს ეხმარება შეასრულოს მოვალეობები კანონიერი, პუმანური და სწორი პოლიტიკისა და მეთოდების მიხედვით.³⁷⁰ აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მსაჯვრდებულთა რესოციალიზაციის პროცესს.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მნიშვნელოვანია რელიგიის როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის. ადამიანი, რომელიც ეკლესიური წესებით ცხოვრობს, მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის აღბათობა მცირდება.

დამნაშავის მიერ სასჯელით გათვალისწინებული ვადის ამოწურვა, განურჩევლად იმისა, დამნაშავე პატიმრობაშია, თუ თავისუფლებაზე, ვერ განაპირობებს მის სრულ რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას, ვიდრე არ მოხდება დაავადებული სულის განკურნება. ადამიანის გამოსწორებაში არ იგულისხმება მისი სხეულის გამოსწორება და მით უმეტეს, სხეულის მონანიება, არამედ ხდება მისი ფსიქიკის, რაც სულის გამოვლინებაა, ანუ სულის განკურნება სინაულით, მონანიებით. აქედან გამომდინარე, სულის განკურნების გარეშე, სასჯელის ვადის ამოწურვა, სასჯელის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, მნიშვნელობას კარგავს – დამნაშავე ვერ ჩაითვლება გამოსწორებულად და შედეგად, ნაცვლად სრულფასოვანი წევრისა, მივიღებთ საზოგადოებაში გამოუსწორებელი დამნაშავის დაბრუნებას.³⁷¹

სასჯელადსრულების დაწესებულებაში საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული მაია (ზოია) ხასიათს. 2006 წელს მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში (კვლევა) „მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები“,

³⁶⁹ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასიათი, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 113.

³⁷⁰ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და უენევა, 2005, გვ. 5.

³⁷¹ იხ. დ. წულია, მონანიება, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი, მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №3(38), 2013, გვ. 72.

განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც იძლევიან პასუხს, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა მიღწეულ იქნას, მიზანი – ამ ადამიანების საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნება.

იმის გასარკვევად, თუ რას ემსახურება საქართველოში ციხე, უნდა დადგინდეს, მიჰყავს თუ არა მას ადამიანი სინაცილამდე და არის თუ არა ეს ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლია საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, რათა იფიქროს და გააკეთოს გარკვეული დასკვნები თავისი საქციელის გამო, რაც, ფაქტობრივად, უნდა გახდეს საფუძველი იმისა, რომ წლების შემდეგ ეს ადამიანები საზოგადოებას კრიმინალებად არ დაუბრუნდნენ და თუ არ გამოსწორდებიან, საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ სინაცილის გრძნობა მაინც ექნებათ. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს თუნდაც ფიქრი იმაზე, დაექვემდებარება თუ არა, ესა თუ ის ადამიანი სარეაბილიტაციო ლონისძიებებს, საწყისი წერტილი თავად მის მიერ დანაშაულის მონანიება უნდა იყოს. მსჯავრდებულმა უნდა იცოდეს, რომ იგი საზოგადოებას სრულფასოვან წევრად უნდა დაუბრუნდეს, ამისთვის კი საჭიროა, მან იცოდეს საკუთარი ქცევის უარყოფითი მხარეები და ინანიებდეს მას.³⁷²

მ. ხასიას მიერ ჩატარებულ კვლევაში რესპოდენტთა მიმართ დასმულია საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ციხეში მათი გამოსწორება. რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ციხეში ადამიანი ვერ გამოსწორდება, ერთ-ერთი რესპოდენტი პასუხობს, რომ საქართველოს ციხეებში შექმნილი მდგომარეობის გამო არათუ გამოსწორდება პატიმარი, არამედ გარდაიცვლება. ერთ-ერთი რესპოდენტი თვლის, რომ ციხეში ადამიანებს აკლიათ კარგი მოპყრობა: „ციხე ადამიანს ვერ გამოასწორებს.“

რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მწარედ განიცდის ოჯახთან სიშორეს და თვლის, რომ ყველაზე დიდი დანაკარგი სწორედ ოჯახის წევრებთან სიშორეა.

რესპოდენტები აძლევენ რეკომენდაციებს პენიტენციურ დაწესებულებებს. „საქართველოს ციხეებში, პირველ რიგში, პატიმარი ადამიანად უნდა ჩათვალონ. არ უნდა დაარღვიონ მათი უფლებები, რაც არის კონსტიტუციით დამტკიცებული, პატიმრებთან ურთიერთობა უნდა იყოს ჰუმანური.“³⁷³

ერთ-ერთი რესპოდენტი განმარტავს, რომ რაც დღევანდელ დღეშია ციხეები, თუ ისევ ისე იქნება, პატიმარი როგორ უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას სრულფასოვან წევრად? რაც, ფაქტობრივად უპასუხო კითხვად რჩება. არიან რესპოდენტები, რომლებიც აქცენტს ძირითადად განათლებაზე და თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებაზე აკეთებენ: „პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი პირველ რიგში კვებით, გასართობი ინვენტარებით, სამაგიდო თამაშებით და სხვა კეთილმოსურნე განწყობით, ბიბლიოთეკით, სკოლით. რესპოდენტთა ნაწილი ძირითადად აქცენტირებულია მსჯავრდებულის დასაქმებაზე და დატვირთულობაზე: „უნდა დასაქმდეს მსჯავრდებულები სამუშაოთი, უტარდებოდეთ მეცადინეობა აღმზრდელობით დარგში, დაიცვან რეჟიმი დღის განწესით და მოთხოვნებით დაასაქმონ, რათა არ დავეცეთ უსაქმურობით.“

³⁷² იხ. მ.(ზოია) ხასია, მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 26.

³⁷³ იქვე, გვ. 49.

სასჯელის მოხდის პერიოდში მაღალია რელიგიისადმი მოთხოვნილება და მისი როლი. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „ვურჩევდი იმ ადამიანებს, ვინ ციხეში მოხვდნენ, ბევრი ილოცონ საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად, ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, რათა ყველა ცოდვა მიტევებულ იყოს უფლისაგან და ხალხისაგან.“

და ბოლოს რესპონდენტები გამოთქვამენ სურვილს: ციხე არა მარტო დამსჯელი მექანიზმი უნდა იყოს, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით სარეაბილიტაციო ინსტიტუტს უნდა წარმოადგენდეს.³⁷⁴

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზანი, საჭიროა ყველა იმ გარემოებების გათვალისწინება, რაზეც ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოშია საუბარი.

და ბოლოს, რაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ეს არის მომზადება გათავისუფლებისათვის.

საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2007 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ პატიმრის მომავალ ცხოვრებას ციხიდან გათავისუფლების შემდეგ უურადღება უნდა მიექცეს სასჯელის აღსრულების დაწყების დღიდანვე. პატიმრის ყველანაირი დახმარება უნდა გაეწიოს საზოგადოებაში რეინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით. პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე პასუხისმგებელმა ყველა ორგანიზაციამ თუ სამსახურმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პატიმრის დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება და რესურსი ჰქონდეს.³⁷⁵

მსაჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი, მრავალ ასპექტს მოიცავს. ნაშრომში უურადღება გავამახვილე მხოლოდ იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ამ მიზნის მისაღწევად, ვინაიდან შეუძლებელია ყველა საკითხის დეტალური განხილვა.

3.4. უვადო თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

უვადო თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეს უკავშირდება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პრობლემა. სწორედ ამიტომ, უვადო თავისუფლების აღკვეთა განხილული იქნება მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან კავშირში.

სანამ უშუალოდ უვადო თავისუფლების აღკვეთისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ურთიერთმიმართების საკითხებს განვიხილავ, უურადღებას გავამახვილებ სიკვდილით დასჯის პრობლემაზე, ვინაიდან კანონმდებელმა სიკვდილით დასჯის

³⁷⁴ იხ. მ.(ზოია) ხასია, მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 111.

³⁷⁵ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები,

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთავის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 126.

ალტერნატივად უვადო თავისუფლების ადგვეთა დააწესა. მართალია, დღეს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია სიკვდილით დასჯა, მაგრამ ზოგადად მაინც შევეხები მას. 1997 წლამდე საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. სიკვდილით დასჯის შემთხვევაში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი და ამასთანავე ძალზედ მნიშვნელოვანი მიზანი ფაქტობრივად განუხორციელებელი რჩებოდა, ვინაიდან თუკი პიროვნებას სიკვდილით დავსჯიდით, მაშინ სასჯელის ეს მიზანიც კარგავდა თავის მნიშვნელობას.

სიკვდილით დასჯა აკრძალულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, სიკვდილით დასჯა ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში აკრძალული უნდა იყოს. იმის საშიშროება, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე კვლავ დაბრუნდეს საქართველოს კანონმდებლობაში შეუძლებელია, ვინაიდან საქართველომ უარი უნდა თქვას დემოკრატიულ პრინციპებზე.

სიკვდილით დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვის უკიდურესი გამოვლინებაა და თავის მხრივ საზოგადოებისა და სახელმწიფოს სისასტიკის მაჩვენებელია. ისიც ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯას არასოდეს მოუტანია დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის სასარგებლო შედეგები, მით უმეტეს მკვლელობის თავიდან აცილების საქმეში.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ ითვალისწინებს სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა უვადო თავისუფლების ადგვეთა. უვადო თავისუფლების ადგვეთის დანიშვნის შემთხვევაში სასჯელის ისეთი მიზანი, როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, ფაქტობრივად განუხორციელებელი რჩება. მაგრამ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ უვადო თავისუფლების ადგვეთის დანიშვნის შემთხვევაშიც შესაძლებელია მიღწეულ იქნას სასჯელის ისეთი მიზანი, როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების ადგვეთის ოცი წელი და თუ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო ადარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.“ როგორც ვხედავთ, უვადო თავისუფლებაადგვეთილ მსჯავრდებულს კანონმდებელი აძლევს შანსს, რათა იგი კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოებას და მოხდეს მისი სოციალური ადაპტაცია.

ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტი **ფრითც აები** ინტერვიუში მიუთითებს: „დარწმუნებული ვარ არიან ადამიანები, რომლებიც სამუდამო პატიმრობის შემდეგ კვლავ მოხდება მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და სხვაგვარ ცხოვრებას შეძლებენ. მაგრამ ყველა არა, ეს ნათელია. ასი ადამიანიდან იქნება ოთხი ისეთი, რომლებიც თხუთმეტი წლის შემდეგ გამოსწორდებიან.³⁷⁶ (გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით მსჯავრდებულებს, რომელთაც

³⁷⁶ იხ. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 81.

მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელისაგან შესაძლებელია გათავისუფლდნენ, თუ მათ მოიხადეს თხუთმეტი წელი).

უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არცერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებით. ამგვარი უფლების არარსებობა შეესაბამება არა მარტო არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, არამედ ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს განთავისუფლების მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.³⁷⁷

პირობით ვადამდე გათავისუფლება არ ეხებათ უვადო პატიმრებს ლიტვაში, მალტაში, ნიდერლანდებში. აღნიშნული რეგულაციის პირობებში უპირატესობა ენიჭება სამართლიანობის ადგენერას და უგულებელყოფილია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. მიმაჩნია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სასჯელის უმთავრესი მიზანია და სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სამართლიანობის აღდგენასთან შედარებით. იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს უვადო პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი აზრს კარგავს.

წამებისა და სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ „გრძელვადიანმა პატიმრობამ შეიძლება პატიმრებზე დესოციალიზაციის სხვადასხვა შედეგი გამოიღოს.“ ამგვარი პატიმრებისთვის „ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა სახის სასარგებლო საქმიანობა (და) მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი არჩევანის გარკვეული ხარისხით განხორციელების შესაძლებლობა, ანუ მათი დროის ხარჯვა, რაც ხელს შეუწყობს მათში დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობების გადვივებას. საჭიროა დამატებითი ზომების მიღება მათი პატიმრობის პერიოდისთვის რაღაც აზრის მისაცემად. ...“³⁷⁸

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა არ ემსახურება დამნაშავის გამოსწორებას.“³⁷⁹

³⁷⁷ იხ. გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012, გვ. 134-135.

³⁷⁸ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელოთვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 195.

³⁷⁹ იხ. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 47.

ლიტერატურაში და პრაქტიკაში მსჯელობენ იმის შესახებ, რომ თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს გრძელდება არ ემსახურება დამნაშავის რესოციალიზაციას.³⁸⁰

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1977 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაახლოებით 20 წლის შემდეგ, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებული ფიზიკურად და სულიერად დაეცემა.³⁸¹

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დამნაშავეს უნდა მიეცეს შანსი, სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდეს საზოგადოებაში.³⁸²

გრძელვადიანი და სამუდამო პატიმრების მართვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი პატიმრები, შესაძლებელია ფსიქიკურად დაგვადდნენ, რაც განპირობებულია სანქციის სიდიდით ან გათავისუფლების დღის უცოდინრობით. ციხის აღმინისტრაცია უნდა დაეხმაროს ასეთ პატიმრებს, რომ მათ ისე შეძლონ თავიანთი ვადის მოხდა, რომ შეინარჩუნონ დირსების გრძნობა და თავი დააღწიონ პენიტენციური სისტემის საფრთხეებს.³⁸³

საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2007 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში. „სასჯელადსრულების დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ – საზოგადოებასთან სამუდამო პატიმრობაში მყოფ პირთა ურთიერთობების გაფართოება: პატიმრების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში და საპატიმროს გარეთ სამუშაოში; სამედიცინო გამოკვლევის და განათლების მიღების მიზნით, ასევე ოჯახური და სოციალური მიზეზების გამო, მცირე დროით საპატიმროდან გასვლის ნებართვის მიცემა; ციხის გარეთ კი, ზედამხედველობის ქვეშ, პატიმრების ჩართვა სხვადასხვა საქმიანობაში, ტრენინგისა და მოყვრობის პროგრამის განუყოფელი ნაწილის სახით.“³⁸⁴

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)23 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ციხის აღმინისტრაციების მიერ შეიცავს იმ პრინციპების ჩამონათვალს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ უვადო თავისუფლებააღვეთილ პირთა პირობების განსაზღვრისას. „პატიმრობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების პიროვნული თვისებების განსხვავებულობა (ინდივიდუალიზაციის პრინციპი).“ ამასთან, „ციხის საცხოვრებელი პირობები მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ციხის გარეთ ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებთან (ნორმალიზაციის პრინციპი).“ „არ უნდა მოხდეს უვადო და სხვა

³⁸⁰ ი. K. Heinzl, Die lebenslängliche Freiheitsstrafe, 2003, S. 73.

³⁸¹ ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 45, 187.

³⁸² ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 35, 202.

³⁸³ ი. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთავის, ნიუ-იორკი და უენევა, 2005, გვ. 193.

³⁸⁴ იქნ, გვ. 198.

გრძელვადიანი პატიმრების იზოლაცია მხოლოდ მათი სასჯელის ტიპის გამო (იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპი)“.³⁸⁵

„როგორც წესი, ბევრი ციხის ადმინისტრაციის გამოცდილება მოწმობს, რომ ამ მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის“ და „მათი ქცევა სტაბილური და სახდოა“. ამგვარად, უვადო მსჯავრდებულთა განაწილება უნდა მოხდეს რისკების/საჭიროებების დეტალური და რეგულარული შეფასების შედეგად, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმაზე და არა მხოლოდ სასჯელის ზომაზე.“³⁸⁶

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა შემსუბუქდეს სასჯელადსრულების დაწესებულებაში შექმნილი აღკვატური პირობებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი კატეგორიის პატიმრებს და მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება ჩაერთონ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, მიიღონ პროფესიული განათლება და დასაქმდნენ. შესაბამისი პირობების შექმნა ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციასა და დროთა განმავლობაში შესაძლებელს გახდის მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ციხის თანამშრომლებს სათანადო მომზადება უნდა ჰქონდეთ გავლილი, რათა მათ შეამჩნიონ ნებისმიერი ნეგატიური ფსიქოლოგიური მდგომარეობის დადგომა და მიიღონ ზომები მის აღმოსაფხვრელად. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ფსიქოლოგის კონსულტაციაზე და დახმარებაზე ნებისმიერ დროს.³⁸⁷

მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის უმკაცრეს ზომას, გარკვეული სირთულეები ახასიათებს, აღნიშნული სასჯელის დანიშნისას, მაინც შესაძლებელია სასჯელის უმთავრესი მიზნის – მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევა.

3.5. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებულია, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან, ისე არასაპატიმრო სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები. საპატიმრო სახის სასჯელისაგან გათავისუფლება ხდება საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ, ხოლო არასაპატიმრო სასჯელისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს. კანონმდებლობით დადგენილია კონკრეტული ვადები (დანაშაულის კატეგორიის მიხედვით), თუ როდის

³⁸⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2011, გვ. 450-451.

³⁸⁶ იქვე, გვ. 452-453.

³⁸⁷ იქვე, გვ. 461.

არის შესაძლებელი მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება. აღნიშნული საკითხი დეტალურად არ იქნება განხილული, ვინაიდან სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს ვისილავ რესოციალიზაციასთან კავშირში. ვფიქრობ, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლება უფრო მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე არასაპატიმრო სახის სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევები. ამიტომ, ძირითადად აღნიშნულ საკითხს შევეხები.

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებადკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.³⁸⁸

პირობით გათავისუფლება 1847 წელს ფრანგი ა. ბონევილ დე მარსანჟის მიერ შემოტანილი ინსტიტუტია, რომელიც ნიშნავს პატიმრის გათავისუფლებას, სასჯელის მოხდის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ მისი ქცევა დამაკმაყოფილებელი იყო პატიმრობის პერიოდში. ამ ინსტიტუტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში კარგი ქცევა, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებას და ზედამხედველობას.³⁸⁹

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დახმარებას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.³⁹⁰

ევროპული სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებს პირობით ვადამდე განთავისუფლების ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე, რაც აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და ხელშემწყობ ფაქტორად მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის.³⁹¹

კვლევები აჩვენებს, რომ სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, პრევენცია და რესოციალიზაცია უფრო მიიღწევა, ვიდრე სასჯელის მოხდისას.³⁹²

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, სასჯელის შეცვლა, სასჯელის შემცირება ან სასჯელის მოხდის გადავადება ემსახურება მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ

³⁸⁸ იხ. მ. შალიქაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 252.

³⁸⁹ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 412.

³⁹⁰ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა.

³⁹¹ იხ. გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012, გვ. 139.

³⁹² J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995, S. 706.

მიზანს, ხოლო თავისი არსით სისხლის სამართალში მოქმედი პუმანიზმის პრინციპსა და სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობას უკავშირდება. სასჯელის ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია, თუ ინდივიდუალურ მიდგომას არა მხოლოდ ბრალდებულისთვის სასჯელის შეფარდების ეტაპზე, არამედ მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის აღსრულების პროცესშიც არ მივმართავთ.³⁹³

პირობით ვადამდე გათავისუფლების წინაპირობა არის მოლოდინი იმისა, რომ დამნაშავე, სასჯელის მოხდის გარეშე თავს შეიკავებს შემდგომი დანაშაულისაგან.³⁹⁴

სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას უურადდება უნდა გამახვილდეს მსჯავრდებულის პიროვნებაზე. უნდა გაირკვეს, რამდენად შესაძლებელია მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ მისი რესოციალიზაცია.

საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა დახასიათება. „სწორედ ეს დოკუმენტი უნდა იძლეოდეს იმის შეფასების საშუალებას, თუ როგორია მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, როგორია მისი ურთიერთობები გარშემომყოფებთან და რა არის მისი ძირითადი პიროვნული მახასიათებლები, ასევე, მიაღწია თუ არა სასჯელმა თავის ერთ-ერთ მიზანს, ანუ მოხდა თუ არა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.“³⁹⁵

ფრანგული სისხლის სამართლის პროცესი შეიცავს ზოგიერთ საყურადღებო ელემენტს. კერძოდ, იმის ნაცვლად, რომ მსჯავრდებულმა წარადგინოს თავის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით მყარი მტკიცებულებები, მან, უბრალოდ, უნდა აჩვენოს, რომ იგი დადგებითისაკენ შეიცვალა.³⁹⁶

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება მსჯავრდებულისათვის წახალისების ფორმაა. თუნდაც, სასჯელის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე გათავისუფლება, სტიმულს აძლევს მსჯავრდებულს, თავი შეიკავოს დანაშაულებრივი ქმედებებისაგან. მიმაჩნია, რომ სასაჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება დანაშაულის პრევენციას და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა ემსახურებოდეს.

³⁹³ ი. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 172.

³⁹⁴ ი. ი. C. Roxin, G. Arzt, K. Tiedeman, Strafrecht und Strafprozessrecht, 6. Auflage, 2013, S. 9

³⁹⁵ ი. საქართველოს სახალხო დამცველი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2014, გვ. 13.

³⁹⁶ ი. გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ეფრაპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწევები, სტატიათა კრებული, რედ. პ. კორკელია, თბილისი, 2012, გვ. 128.

3.6. ამნისტიისა და შეწყალების როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის

სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მსგავსად, ამნისტიამ და შეწყალებამაც მსგავსი გავლენა უნდა მოახდინოს მსჯავრდებულებზე რესოციალიზაციის თვალსაზრისით. სანამ უშუალოდ ამნისტიისა და შეწყალების მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, ყურადღება მინდა გავამახვილო, თუ როგორ არის განმარტებული ამნისტიისა და შეწყალების ინსტიტუტები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილში არასწორად არის მითითებული სიტყვა „დამნაშავე“, ვინაიდან დამნაშავე არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი საუბრობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირს კი არა დამნაშავე, არამედ ბრალდებული ეწოდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია ამნისტია ეხებოდეს იმ პირს, რომელსაც ჯერ კიდევ ბრალდებულის სტატუსი არ აქვს. ამ შემთხვევაში სასურველი იქნება თუ გამოვიყენებოთ ტერმინს - „სავარაუდო დამნაშავე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „ამნისტიის აქტით ბრალდებული, ან სავარაუდო დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.“ აღნიშნული კი შესაბამისობაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამასთან, პირის სამართლებრივი სტატუსი არის ბრალდებული და მსჯავრდებული. ხოლო დამნაშავის სტატუსს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „დამნაშავე“ უადგილოდ არის გამოყენებული და აღნიშნული უნდა შესწორდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

ამნისტია და შეწყალება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატულ გულმოწყალებისა და პუმანურობის აქტებს, რომლებსაც, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარების გარდა, წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც

ენიჭება, ვინაიდან ორივე ლონისმიება სისხლისსამართლებრივი კასუებისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველია. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ ერთხელ მიეცეს შანსი ადამიანს თავად გაიაზროს და მოინანიოს წარსულის შეცდომები, საკუთარი ძალისხმევითა და მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი პუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება, პიროვნული ღირსებები და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.³⁹⁷

მიმაჩნია, რომ ამნისტია და შეწყალება წახალისების ერთ-ერთი ფორმაა და მისი დანიშნულებაა მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია. სახელმწიფო (პარლამენტი, პრეზიდენტი) სტიმულს აძლევს ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე გათავისუფლებულ პირებს, ვადაზე ადრე დაბრუნდნენ საზოგადოებაში და თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებებისაგან.

3.7. რესოციალიზაციის პრობლემა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტკუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც.

რესოციალიზაციის პროცესი თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას, შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად. 1) რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის პერიოდში; 2) რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდეგ.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაცია არ იქნება შესაძლებელი, თუ ის მსჯავრდებულის გათავისუფლების დროს დასრულდება.³⁹⁸

სასჯელის მოხდის შემდეგ, აუცილებელია პატიმრის მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. აღნიშნული ეხება სამგზავრო ხარჯებს, ფულად თანხებს შესაბამისი ტანსაცმლისათვის და სხვა აუცილებელ მსარდაჭერას.³⁹⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რესოციალიზაციის მეორე ეტაპი იწყება სასჯელისაგან გათავისუფლების პირველსავე დღეს. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ გათავისუფლების შემდეგ პირველი დღე არის ყველაზე კრიტიკული რეციდივის საფრთხის თვალსაზრისით.⁴⁰⁰

³⁹⁷ იბ. ზ. ნანობაშვილი, ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, ალმანახი, №13, 2000.

³⁹⁸ იბ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 5.

³⁹⁹ იბ. Übergangsmanagement für junge Menschen zwischen Strafvollzug und Nachbetreuung. Handbuch für die Praxis, Köln/Halle, 2012, S. 59.

⁴⁰⁰ იბ. Wirkungsvolle Strafen – weniger Kriminalität – mehr Sicherheit für die Gesellschaft. Bericht der norwegischen Regierung an das Storting zum Justizvollzug, 2008, S. 7.

სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული დგება რიგი პრობლემების წინაშე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯავრდებულებისა და პირობით მსჯავრდებულების შეფასებითვე არის ფინანსური პრობლემები და დაუსაქმებლობა. მათთვის, ვინც ამ პრობლემებს ვერ გადაჭრის, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის და საპატიმროში დაბრუნების რისკი მაღალია. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შეცირებისთვის აუცილებელია რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის დონისძიებების განხორციელება.⁴⁰¹

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით საინტერესოა მაია (ზოია) ხასიას მიერ ჩატარებული კვლევა სასჯელადსრულების დაწესებულებაში. კვლევაში მსჯავრდებულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ ჩაიდენდა დანაშაულს, რომ არა ეკონომიკური პრობლემები. ამასთან, მიუთითებენ, რომ დასაქმების შემთხვევაში ისინი დანაშაულს არ ჩაიდენდნენ. „უმთავრესი მიზეზი იყო დაუსაქმებლობა, არ გამაჩნდა შემოსავლის წყარო, გვშიოდა და გვწეულოდა მე და ჩემი ოჯახის წევრებს, რამაც განაპირობა დანაშაულის ჩადენა.“

ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მსჯავრდებულთა ეკონომიკური პრობლემის აღმოფხვრაზე. სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ, ყოფილ მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ ელემენტარული ეკონომიკური პირობები ჰქონდეთ.

სასჯელის მოხდის შემდეგ წარმატებული რესოციალიზაცია მიიღწევა მსჯავრდებულის დასაქმებით, რაც დანაშაულის რეციდივს შეამცირებს.

სასჯელისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე საუკეთესო ზრუნვა არის - სახელმწიფოს პროგრამა „სიდარიბის წინააღმდეგ ბრძოლა“.⁴⁰²

შემოაღნიშნულ კვლევაში არაერთი მსჯავრდებული საუბრობს საზოგადოების როლზე და მიდგომაზე იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც სასჯელის მოხდა მოუწიათ და ნასამართლევი პირის სტატუსი აქვთ. ერთ-ერთი რესპოდენტი დანაშაულის ჩადენის მიზეზად სწორედ ამ მოტივს ასახელებს. „საზოგადოების როლი - არსებობს შეურაცხყოფა, ჩემი თავმოყვარეობა“.

ერთ-ერთი რესპოდენტი მკვეთრად უსვამს ხაზს, იმ გარემოებას, რომ ოჯახი იმყოფებოდა ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში, ხოლო საზოგადოებამ იგი, როგორც ნასამართლევი პირი, არ მიიღო და არ მისცა დამკვიდრების შესაძლებლობა.⁴⁰³ მიმაჩნია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს, არა მარტო სახელმწიფომ, არამედ საზოგადოებამაც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოების როლთან მიმართებაში, არის სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, იმის

⁴⁰¹ იხ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 34.

⁴⁰² იხ. Wirkungsvolle Strafen – weniger Kriminalität – mehr Sicherheit für die Gesellschaft.

Bericht der norwegischen Regierung an das Storting zum Justizvollzug, 2008, S. 8.

⁴⁰³ იხ. მ.(ზოია) ხასია, მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 12.

შესახებ, რომ ნასამართლევი ადამიანი ჯერ კიდევ არ ნიშნავს კრიმინალს და თუ მას საზოგადოება ნორმალურად მიიღებს, მათი უმრავლესობა არ ჩამოყალიბდება დამნაშავეებად და ხანძოკლე პერიოდში ჩამოყალიბდებიან საზოგადოების ღირსეულ წევრებიდა.⁴⁰⁴

ნასამართლევად სტიგმატიზირებულ მსჯავრდებულს
საზოგადოებაში დაბრუნება და რესოციალიზაცია უჭირს.⁴⁰⁵

პირის დამნაშავედ სტიგმატიზირების (ეტიკეტირება, იარლიფის მიწებება) არის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ასპექტი. საზოგადოების მიერ დამნაშავედ სტიგმატიზებული ადამიანის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა უფრო ხშირია, ვიდრე არასტიგმატიზირებულის.⁴⁰⁶

გათავისუფლებული პირების საზოგადოებაში სრულფასოვანი დაბრუნებისთვის აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ნასამართლების სტატუსის მიმართ. ამისათვის საჭიროა საზოგადოების ცნობიერების შეცვლის კამპანიების წარმოება, სამოქალაქო განათლება. თითოეულმა წევრმა უნდა გაიაზროს, რომ საკუთარი უსაფრთხოებისთვისვე უკეთესია თუ ნასამართლევი პირის რესოციალიზაცია მოხდება. ამისათვის შესაძლებელია „წარმატებული მაგალითების მოქმედნა, როცა ადამიანმა ციხეში გატარებული მძიმე წლების შემდეგ შესძლო ცხოვრების ნორმალური გაგრძელება, საზოგადოებასთან ინტეგრაცია.“⁴⁰⁷

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ გათავისუფლების შემდეგ, დასჯილმა პირებმა აღარ უნდა მოიხმარონ ნარკოტიკები. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ბინა, ასევე შანსები სამუშაო ბაზარზე. სასჯელისაგან გათავისუფლებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა ნათესავებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან და ა.შ. ამდენად, მათ უნდა შეძლონ თავიანთი ცხოვრება წარმართონ დანაშაულის გარეშე.⁴⁰⁸

ყოფილი ოუგოსლავის კანონმდებლობით განსაზღვრული იყო დახმარება იმ პირების მიმართ, ვინც მოიხადა სასჯელი და განთავისუფლდა, რაც გამოიხატება დროებით გამოყოფილ საცხოვრებელი ბინის გადაცემაში, პროდუქტების გამოყოფაში, სამედიცინო დახმარებაში, საოჯახო დამოკიდებულებების მოწესრიგებაში, სამუშაო ადგილის შერჩევაში.⁴⁰⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე“

⁴⁰⁴ იხ. გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 181-182.

⁴⁰⁵ იხ. მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე,

თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 59.

⁴⁰⁶ იხ. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 47-49.

⁴⁰⁷ იხ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 49.

⁴⁰⁸ იხ. Wirkungsvolle Strafen – weniger Kriminalität – mehr Sicherheit für die Gesellschaft.

Bericht der norwegischen Regierung an das Storting zum Justizvollzug, 2008, S. 5.

⁴⁰⁹ იხ. მ. დვალიშვილი, სასჯელის მოხდის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2002, გვ. 91-92.

პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.“

პროფ. გურამ ნაჭევაძია მიიჩნევს, რომ სისხლის სამართალში დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა დანაშაულის ასპექტით შეუძლებელია, ვინაიდან დანაშაული იწვევს არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას სასჯელის ასპექტით შესაძლებლად მიიჩნევს. ამის დასაბუთება თავის მხრივ შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებულია დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისამართლებრივი ურთიერთობა, როდესაც სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია ამ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში მოეკიდოს. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასჯელის მიზნების აღსრულებისას ყოფილი მსჯავრდებული აღსდგება სახელმწიფოსთან სისხლისამართლებრივი ურთიერთობასა და მართლზომიერი ქმედების ჩადენისათვის სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი: „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.“⁴¹⁰

პროფ. გ. ნაჭევაძია მიიჩნევს, რომ მსჯავრდებული, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალეულობის ვითარებაში, სასჯელის ზემოქმდების შედეგად განიმსჭვალება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით. სასჯელი ყოფილ მსჯავრდებულს აღადგენს იმ ურთიერთობასა და მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. ე.ი. სასჯელის ასპექტით შესაძლებელია მსჯავრდებულის პიროვნებაში დანაშაულის ჩადენის დროინდელი უპასუხისმგებლობის განდევნა და მასში პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოღვიძება.⁴¹¹

პროფ. გ. ნაჭევაძიას აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში ის შეცდომა დაშვებული, რომ მსჯავრდებულზე სასჯელის ზემოქმედება მსჯავრდებულს თითქოს პირველად მსჭვალავს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. სინამდვილეში სასჯელს მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება შეუძლია. სასჯელმა მსჯავრდებულში პასუხისმგებლობის გრძნობა კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ გამოაღვიძოს.⁴¹²

⁴¹⁰ იხ. გ. ნაჭევაძია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 210.

⁴¹¹ იქვე, გვ. 211.

⁴¹² იხ. გ. ნაჭევაძია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, გვ. 262.

3.8. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ითვალისწინებს სხვა სახის არასაპატიმრო სახის სასჯელებსაც. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო პრაქტიკა ძირითადად იყენებს საპატიმრო სახის სასჯელებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში იმატა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მაჩვენებელმა. პუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაინერგოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა. რესოციალიზაციის პრობლემა დაკავშირდებულია არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის, არამედ ალტერნატიული სასჯელების გამოყენებასთანაც.

მიმაჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის უველაზე მკაცრი ზომა, გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ დამნაშავის კრიმინალური სუბკულტურის მეშვეობით, სასჯელის აღსრულებისას, ბევრ შემთხვევაში დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკი უფრო იზრდება, ვიდრე მცირდება. ამიტომ, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მაგალითად, ფულადი ჯარიმა, ასევე პირობითი მსჯავრი.⁴¹³

პროფ. მზია ლევაშვილი მიუთითებს, რომ კაცობრიობას ჯერ არ ძალუდს უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე, როგორც სასჯელის დონისძიებაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური თვისებები. ჩვენს სინამდვილეში სასჯელის ინსტიტუტში რეალიზებულია ისეთი იდეები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევამციროთ მკაცრი სასჯელების გამოყენება. სასამართლომ უნდა გამოიყენოს გონივრული ალტერნატივა და შესაძლებლობის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს სხვა არასაპატიმრო სასჯელით.⁴¹⁴

პროფ. მაია ივანიძის აზრით ალტერნატიული სასჯელები წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენის მიმართ მოპყრობის „სხვა გზას“. იგი საშუალებას იძლევა დაკისრებული სასჯელი აღსრულდეს ციხის გარეთ. ამგვარი სასჯელის სახე ხელს უწყობს თავისუფლების აღკვეთის კოეფიციენტის შემცირებას და ხელს უწყობს დამნაშავის საზოგადოებაში რეაბილიტაციას.⁴¹⁵

საინიციატივო ჯგუფის მიერ (მაია ხასია, გივი მიქანაძე და მორის შალიკაშვილი) მიერ 2012-2013 წლებში ჩატარებული კვლევის (სასჯელის აღსრულების კვლევა საქართველოში) თანახმად, პროკურორთა ნაწილი თვლის, რომ ალტერნატიული სასჯელები

⁴¹³ იხ. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, Munchen, 2006, S. 20.

⁴¹⁴ იხ. მ. ლევაშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), გვ. 32.

⁴¹⁵ იხ. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლევაშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 38.

გაცილებით ეფექტურია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციისათვის. საკატიმრო სასჯელის დროს პირი ფაქტობრივად მოწყვეტილია გარე სამყაროს, საზოგადოებას და ამ შემთხვევაში რესოციალიზაციაზე ლაპარაკი ცოტა რთულია. არასაპატიმრო სასჯელის შემთხვევაში პიროვნებას აქვს საქმიანობის უფლება, საზოგადოებრივი საქმიანობის უფლება და რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში უფრო ადგილია მისი რესოციალიზაცია.⁴¹⁶

მოსამართლები ფიქრობენ, რომ მსჯავრდებულისათვის ალტერნატიულ სასჯელს შემაკავებელი ხასიათი აქვს. ის აგრძელებს ცხოვრებას და საქმიანობას საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. შესაბამისად, ალტერნატიული სასჯელის გამოყენება სასიკეთოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისათვის.⁴¹⁷

პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც დანაშაული ისჯება თავისუფლების აღმქეთი და არააღმქეთი სასჯელებით, არჩეული უნდა იქნას მეორე ფორმა, თუ ის საკმარისია დამნაშავის სოციალურ ცხოვრებაში ჩასართველად, აქმაყოფილებს გაციცხვის და დანაშაულის პრევენციის მოთხოვნებს. მოსამართლემ პატიმრობის ალტერნატიული სასჯელებიდან უნდა შეარჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მსჯავრდებულის ჯეროვნად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.⁴¹⁸

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ალტერნატიული სანქციები სასჯელის ჰუმანურ სახეს წარმოადგენს. იგი დანაშაულის პრევენციაში მთავარ როლს ასრულებს.⁴¹⁹

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სხვადასხვა გამოთვლებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ მსჯავრდებულზე რეჟიმის გათვალისწინებით წელიწადში საშუალოდ იხარჯება 10 დან 30 ათასამდე დოლარი, დიდ ბრიტანეთში 4 ათასი ფუნტი სტერლინგი. მცდელობა, მიმართული ციხეების როლის შემცირების პოლიტიკისაკენ, ალტერნატიული სასჯელების ფორმების გაფართოებით, სულ მეტად გამოიხატება სხვადასხვა სასჯელადსრულების ფორმებში. თავისუფლების აღკვეთა იცვლება სხვა ალტერნატიული მსუბუქი სასჯელებით, რომლებიც ითვალისწინებენ ეკონომიკური სანქციების კონცეფციებს, როგორიცაა ჯარიმები: დანაშაულით მიყენებული ზარალის კომპენსაცია, საგამოცდო დროით პირობითი გათავისუფლება, საზოგადოებრივ სამუშაოზე გამოყენება.⁴²⁰

ალტერნატიული სასჯელებიდან ყველაზე მსუბუქი სახის სასჯელს წარმოადგენს ჯარიმა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

⁴¹⁶ იხ. მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია დეკვენიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 92-93.

⁴¹⁷ იქვე, გვ. 96.

⁴¹⁸ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 443.

⁴¹⁹ იხ. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი),

მზია დეკვენიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 23.

⁴²⁰ იხ. მ. დვალიშვილი, სასჯელის მოხდის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2002, გვ. 21.

ჯარიმის გამოყენება დაიშვება მაშინ, როცა პირის თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია მისი გამოსწორება.⁴²¹

ჯარიმის გამოყენების მნიშვნელობაზეა საუბარი გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც. „ფულადი ჯარიმა ყველაზე გავრცელებული სასჯელია და იგი 80%-ზე მეტ შემთხვევაში გამოიყენება. ჯარიმის უპირატესობაა ის, რომ არ ხდება მსჯავრდებულის სოციალური იზოლაცია.⁴²²

ჯარიმა არის ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი ალტერნატიული სასჯელი, ვინაიდან მისი გამოყენება არაა დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლირებასთან.⁴²³

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რეციდივის სტატიკის თანახმად, ფულად ჯარიმას სპეციალური პრევენციის თვალსაზრისით აქვს ყველაზე საუკეთესო შედეგი. მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემთხვევაში, სპეციალურპრევენციული ზემოქმედება არაეფექტურია⁴²⁴.

ალტერნატიული სასჯელებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სასჯელია ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.

მიჩნეულია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებთან მიმართებით სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორიც არის მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე, სასჯელის ეკონომიკის პრინციპის თვალთახედვიდანაც.⁴²⁵

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესები საზოგადოების სანქციებისა და ზომების შესახებ“ - მიიჩნევს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ეს არის გამასწორებელი, პოზიტიური და ეწ. თერაპიული სანქცია. მისი აქტიურად გამოყენების მიზეზია ის, რომ ყველა ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი იყოს და არ მოხდეს მათი საზოგადოებისაგან გარიყვა.

უასეული წერს: „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. პრინციპი შემდეგია: ბრალდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს. ამ სასჯელს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს:

⁴²¹ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭელია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 358.

⁴²² იხ. C. Roxin, G. Arzt, K. Tiedeman, Strafrecht und Strafprozessrecht, 6. Auflage, 2013, S. 9

⁴²³ იხ. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია დეკვეტიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 23.

⁴²⁴ იხ. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, 4. Auflage, Springer, 2015, S. 31-32.

⁴²⁵ იხ. ი. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის

ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, №2(29) 11, გვ. 119.

დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს
მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავის
რეინტეგრაციას საზოგადოებაში.⁴²⁶

ფინეთში სპეციალისტები თვლიან, რომ საზოგადოებრივი
სანქციების ფართოდ გამოყენება უფრო მეტად შეუწყობს ხელს
დამნაშავის გამოსწორებას. ამიტომ, იქ საზოგადოებისთვის სასარგებლო
შრომა გამოიყენება როგორც ძირითადი სასჯელი და შეიძლება
დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად თუ თავისუფლების
აღკვეთის ვადა არ აღემატება რვა თვეს.⁴²⁷

მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა საზოგადოებისათვის
სასარგებლო შრომით გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული.
ალტერნატიულ სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის
გამოყენება, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკრეტულ
მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე, განმეორებითი დანაშაულის
პრევენციაში და ზოგადად გარემოს გაჯანსაღების საქმეში. ამავე დროს
სასჯელის მოხდის ალტერნატიული ღონისძიებები უფრო ეფექტურია და
იაფი.⁴²⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით
გათვალისწინებულ ნორმათა უმრავლესობაში საზოგადოებისათვის
სასარგებლო შრომა მოცემულია სხვა სასჯელებთან ერთად. ვფიქრობ,
დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ნაკლებად მძიმე
დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მოსამართლემ უპირატესობა უნდა
მიანიჭოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას.

და ბოლოს, ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას შემდეგი
უპირატესობები გააჩნია: 1) მსჯავრდებული არ იმყოფება ციხეში;
2) დამნაშავე არ წყდება საზოგადოებას და ურთიერთობა აქვს ოჯახის
წევრებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან და ა.შ; 3) აღნიშნული
სასჯელები შედარებით ჰუმანურია; 4) არ ხდება მსჯავრდებულის
„ნაციხეად“ ეტიკეტირება; 5) უფრო მეტად უზრუნველყოფს
მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით
გათვალისწინებული ყველა არასაპატიმრო სასჯელის დეტალური
განხილვა არ მომხდარა, ვინაიდან აღნიშნული სცილდება დისერტაციის
ფარგლებს (საკითხი განხილული იქნა რესოციალიზაციასთან კავშირში).
ხოლო აღნიშნული საკითხის დეტალურად განხილვა ცალკე ვრცელ
მსჯელობას მოითხოვს.

⁴²⁶ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეპატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 436.

⁴²⁷ იხ. www.gtuc.ge/?p=1810, ალტერნატიული სასჯელი და უცხოური პრაქტიკა.

⁴²⁸ იხ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა,
რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი,
ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 51.

თავი VI.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია დანაშაულის, ხოლო სასჯელის მიზნები - სასჯელის ინსტიტუტში მოიაზრება. მიუხედავად მათი სხვაობისა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასა და სასჯელის მიზნებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. სასჯელის გამოყენებისათვის აუცილებელია ქმედების დაკვალიფიცირება დანაშაულად. სამართლიანი სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია წარმოადგენს. იმისათვის, რომ სასჯელის მიზნები რეალურად განხორციელდეს, საჭიროა ქმედებას მიეცეს სწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება. ლოგიკურია, რომ პირველად ხდება ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირება, ხოლო შემდგომ სასჯელის დანიშვნა. ქმედება დანაშაულად კვალიფიცირდება, თავდაპირველად, გამოძიების სტადიაზე. ხოლო შემდგომ - სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას. სასჯელის დანიშვნა კი მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს - სასამართლოს უფლებამოსილებაა. იმ შემთხვევაში, თუ ქმედებას მიეცა არასწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება, დანიშნული სასჯელი ვერ იქნება სამართლიანი და სასჯელის მიზნებიც განუხორციელებელი დარჩება. ამდენად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასა და სასჯელის მიზნებს შორის ლოგიკური კავშირი არსებობს.

უშავლოდ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების საკითხების განხილვამდე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, ისე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება. მაგალითად, პროფესორი გ. ნაჭყებია მიიჩნევს, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია და მის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. იგი წერს: ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“ უაზროა, რადგან, თუ ქმედება დანაშაულია, მაშინ, მას ხელახალი კვალიფიკაცია არ სჭირდება. გასაგებია, რომ ამ ტრადიციული ტერმინიდან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნების გამოყვანა შეუძლებელია. კერძოდ, გამოვა, რომ „დანაშაულის კვალიფიკაცია“ არის დანაშაულის, ესე იგი, დანაშაულად კვალიფიცირებული ქმედების, კვალიფიკაცია დანაშაულად.⁴²⁹

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა ის, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება ზუსტად უნდა იყოს დაკვალიფიცირებული. იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის კვალიფიკაციის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრება არსებობს. მისი არსი, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული

⁴²⁹ იხ. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 11.

დანაშაულის ნიშნებთან ამა თუ იმ კონკრეტიზირებული ქმედების შესაბამისობის დადგენა.⁴³⁰

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია განხილული იქნება მხოლოდ სასჯელის მიზნებთან კავშირში, ხოლო აღნიშნული პრობლემის განხილვა ცალკე კრიცელ მსჯელობას მოითხოვს.

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად, ქმედება დანაშაულად კვალიფიცირდება გამოძიების ეტაპზე. ხოლო შემდგომ - სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანს, იგი ხორციელდება განაჩენის დადგენისას. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს იმას, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, სამართლიანი სასჯელის დანიშვნის გზით მიიღწევა, ხოლო სამართლიანი სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ქმედების სწორი კვალიფიკაცია დანაშაულად.

ამდენად, ნათელია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასა და სამართლიანობის აღდგენას შორის ლოგიკური კავშირი არსებობს. მაგალითად, თუ პირის მიერ ჩადენილია ქურდობა, ხოლო მისი ქმედება დაკვალიფიცირდა ძარცვად და აღნიშნული დანაშაულისათვის განესაზღვრა სასჯელი, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, ვერ განხორციელდება, ვინაიდან სასჯელი არასამართლიანია.

პროფესორი გ. ნაჭეებია მსჯელობს: „ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორი შეფასებისა და სისხლის სამართლის ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის გარეშე კანონიერი, სამართლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული გამამტყუნებელი განაჩენის დადგენი შეუძლებელია. მაგრამ, ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი ხდება მისი ოეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა, ანუ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი ოეორიის შემუშავება.“⁴³¹

დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია არღვევს, როგორც კანონიერების პრინციპს, ისე სამართლიანობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს. სასჯელის მიზნები, მისი ინდივიდუალიზაცია და სამართლიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიღწეული, როდესაც დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული.⁴³²

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლები ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს, რაც გავლენას ახდენს სასჯელის დანიშვნაზე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განაჩენით კ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი

⁴³⁰ იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2011, გვ. 16-17.

⁴³¹ იხ. გ. ნაჭეებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 157.

⁴³² იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2011, გვ. 20.

ზიანი გამოიწვია და არაერთგზის) საფუძველზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴³³

საქმის მასალებით დგინდება, რომ კ. ე. სასჯელს იხდიდა მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის, რომლისგანაც პირობით ვადაზე აღრე გათავისუფლდა 2002 წლის 6 სექტემბერს. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნასამართლობა გაქარწყლდება მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, შესაბამისად, გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან. ამდენად, მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული ნასამართლობის ექვსწლიანი ვადა ამოიწურა 2008 წლის 6 სექტემბერს. საქმის მასალების თანახმად, კ.ე.-მ დანაშაული ჩაიდინა 2009 წლის 14 სექტემბერს. ახალი დანაშაულის ჩადენის დროს კი კ. ე.-ს ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა კი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს მხედველობაში არ მიიღება. ამდენად, სასამართლომ კ. ე.-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც თადლითობა ჩადენილი არაერთგზის, ვინაიდან წინა დანაშაულისათვის ნასამართლობა მას გაქარწყლებული ჰქონდა. ამდენად, კ. ე.-ს ქმედება არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული არაერთგზის ჩადენილ თადლითობად, შესაბამისად, სასჯელიც არასწორად დაენიშნა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ე.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, თადლითობად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი - თადლითობა არაერთგზის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დანიშნული სასჯელი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს. ამდენად, ქმედების დანაშაულად არასწორ კვალიფიკაციას მოჰყვა არასამართლიანი სასჯელის დანიშვნა. აღნიშნული ხელს უშლის სასჯელის მიზნების რეალურად განხორციელებას. თუ დანიშნული სასჯელი არ არის სამართლიანი, სასჯელის ისეთი მიზნები, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავის რესოციალიზაცია კერ განხორციელდება.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედება და როგორ უნდა განისაზღვროს სასჯელი, როდესაც სახეზეა ერთი მუხლის სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოება? აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად,

⁴³³ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

პროფესორი გ. ნაჭყებია მსჯელობს: „პირმა ერთდროულად ჩაიდინა ქურდობა მნიშვნელოვანი ზიანით და ამავე დროს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით. მაშასადამე, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. მაგრამ რა ვუკო იმ ფაქტს, რომ ქურდობა ერთი დანაშაულია“⁴³⁴

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს პროფესორი გ. ტურავა. იგი წერს: „სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის ორი - მე-2 და მე-3 ნაწილებით, მსჯავრდებულს ჩადენილი ქმედებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი და არა ცალ-ცალკე სასჯელი მე-2 და მე-3 ნაწილებით. ასევე, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი სასჯელთა შეკრების პრინციპი, ვინაიდან მოქმედებს პრინციპი - ერთი ქმედებისათვის ერთი სასჯელი“⁴³⁵

პროფ. თ. გამყრელიძე მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმედების ზოგადი შემადგენლობაა და ამიტომ არ შეიძლება მისი ერთობლიობით დაკვალიფიცირება ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილებით აღწერილ შემადგენლობებთან. ერთობლიობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მხოლოდ მე-2, მე-3, მე-4, და მე-5 ნაწილებით აღწერილი შემადგენლობები. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შეცდომები. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 27 მაისის განაჩენით უ. ნ.-ს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ეს განაჩენი უცვლელად დარჩა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 22 ივლისის განჩინებით. სასამართლო უ. ნ.-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ის ქმედების ზოგად შემადგენლობას მოიცავს და მისი ერთობლიობა სპეციალურ შემადგენლობასთან არ შეიძლება.⁴³⁶

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის განაჩენით გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელი განესაზღვრა დანაშაულთა ერთობლიობის წესით.⁴³⁷

⁴³⁴ იხ. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2000, გვ. 84.

⁴³⁵ იხ. გ. ტურავა, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (ექონომიკური დანაშაული), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2004, გვ. 38.

⁴³⁶ იხ. თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2008, გვ. 30.

⁴³⁷ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

სასამართლომ გ. ო-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და შესაბამისად, სასჯელიც არასწორად დანიშნა. სასამართლოს გ. ო-სთვის სასჯელი უნდა დაენიშნა მსოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოიცავს ამავე მუხლის მე-3 და მე-2 ნაწილებს. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის ყველა ნაწილი, მათ შორის მე-4 ნაწილიც, იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება ჩადენილი“. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის ყოველი შემდგომი ნაწილი მოიცავს წინა ნაწილს.

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ნორმა, რომელიც ქურდობის ყველა შემთხვევას მოიცავს. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს, ისინი სპეციალური შემთხვევებია. ამიტომ აქ საკითხი „ზოგადი და სპეციალური ნორმების“ ურთიერთობის წესის მიხედვით უნდა გადაწყდეს.⁴³⁸

პროფ. 6. ოოფუა მიუთითებს, რომ ყოველი შემდგომი დამამძიმებელი გარემოება შთანთქავს ყველა წინას და არა მარტო პირველ ნაწილს, როგორც ძირითად შემადგენლობას. ამიტომაც ქმედების კვალიფიკაცია ნაწილების ერთობლიობით არაა საჭირო. თუმცა ბრალდების ფორმულირებაში უნდა დაფიქსირდეს უკლებლივ ყველა მაკვალიფიცირებელი გარემოება.⁴³⁹

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის შედგენილ სახელმძღვანელო რეკომენდაციებსა და წინადადებებში (სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე) მითითებულია, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი განისაზღვროს 177-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით.⁴⁴⁰

განსახილველ შემთხვევაში, ქმედების არასწორმა კვალიფიკაციამ გამოიწვია ის, რომ გ. ო-ს სასჯელიც არასწორად დაენიშნა დანაშაულთა ერთობლიობით. ამდენად, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება. არასამართლიანი სასჯელი კი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულია დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპი, აღნიშნული საკითხი მაინც პრობლემურია, ვინაიდან შესაძლებელია არსებობდეს დანაშაულის რეციდივი და სასამართლო სასჯელები ნაწილობრივ ან სრულად შეკრიბოს.

⁴³⁸ იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 140.

⁴³⁹ იხ. 6. ოოფუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წიგნში: „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012, გვ. 329.

⁴⁴⁰ იხ. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადადებები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 15.

ანალოგიური მიღებობა უნდა არსებობდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მიმართ (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფერქებადი ნივთიერების ან ასაფერქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 იანვრის განაჩენით ნ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა), ამავე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის ტარება) (ძვ. რედაქცია) და სასჯელად დაენიშნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით ნ. ქ-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.⁴⁴¹ ნ. ქ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო და მას სასჯელი დანიშვნოდა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვინაიდან მე-2 ნაწილი მოიცავს პირველს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სწორად მიუთითებს პროფ. ნ. თოდუა. იგი წერს: „იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ცეცხლსასროლი იარაღის ტარება) არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება“, იგი მაინც შთანთქავს პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას ან შენახვას. ამდენად, როცა დამტკიცდება, რომ პირი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა იარაღს, ეს ქმედება თავის არსში მოიცავს როგორც ამ იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, ასევე შენახვასაც (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, ქმედების კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (და არა პირველი და მე-2 ნაწილების ერთობლიობით).“⁴⁴²

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციაა გამოხატული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის შედგენილ სახელმძღვანელო რეკომენდაციებსა და წინადაღებებში. „საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ მოიცავს ამავე მუხლის პირველ ნაწილს, ხოლო 236-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ მოიცავს ამავე მუხლის პირველ ან/და მე-2 ნაწილებს.“⁴⁴³

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებში არ არის დასაბუთებული თუ რატომ უნდა მოხდეს ამგვარი კვალიფიკაცია. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება მოიცავს შეძენასაც და შენახვასაც, ვინაიდან სახეზეა ერთი დანაშაული სხვადასხვა ქმედებებით. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ნ.ქ.-ს ქმედება

⁴⁴¹ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁴⁴² იხ. ნ. თოდუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წიგნში: „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართლშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართლადში,“ თბილისი, 2012, გვ. 336.

⁴⁴³ იხ. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადაღებები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 175

არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული დანაშაულთა ერთობლიობით. მიზანშეწონილია აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიციროს და სასჯელი დანიშნოს ყველაზე მძიმე ნაწილით. განსახილველ შემთხვევაში დარღვეული იქნა სამართლიანობის პრინციპი. სასამართლოს მიერ დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი, სასჯელის მიზნებს არ ემსახურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით მ. ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის; რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა დიდი ოდენობით) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არაერთგზის) - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁴⁴

საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. ბ. მუშაობდა რა ნოტარიუსად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო მოხელესთან გათანაბრებული პირი იყო, არაერთგზის ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის და უპირატესობის მისაღებად, მ. ა-სთან წინასწარი შეთანხმებით 2000 წლის ნოემბერში განახორციელა მოქალაქეთა ქონების თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.

საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია საკონკურენციო კანონების ერთობლიობით დაუშვებელია, რადგან ეს გამოიწვევს დანაშაულის სიმრავლის ხელოვნურად შექმნას იქ, სადაც ის არ არის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებელ დამძიმებას.⁴⁴⁵

განსახილველ შემთხვევაში მ. ბ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), ასევე საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). სასამართლომ მ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 180-ე და 332-ე მუხლებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მაკვალიფიცირებულ გარემოებად ითვალისწინებს თაღლითობის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის

⁴⁴⁴ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁴⁴⁵ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 341.

გამოყენებით, ხოლო მ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დამატებით, ზოგადი ნორმით - 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებდა. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (თაღლითობა სამსახურებრივი მდგრადირების გამოყენებით) სპეციალური ნორმაა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლი (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) - ზოგადი. საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას. ამდენად, სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მ. ბ-ს ქმედება და, შესაბამისად, სასჯელიც არასწორად განსაზღვრა დანაშაულთა ერთობლიობის წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 სექტემბრის განაჩენით, ზ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 376-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე განაჩენით ზ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 376-ე მუხლით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁴⁶ აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.⁴⁴⁷

საქმის მასალების შეხწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი: პ.ს-მ, ზ.კ-მ და ზ.პ-მ ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). ჩხუბის დროს პ.ს-მ განზრახ მოკლა რ.კ. მიუხედავად იმისა, რომ ზ. კ-მ და ზ. პ-მ დაინახეს, თუ როგორ მიაყენა დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-მ რ. კ-ს, იმ მოტივით, რომ შეაცოდათ პ. ს. და შეეშინდათ, არ შექმნოდათ პრობლემები პოლიციასთან, დამალეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და სამართლდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს მომხდარი დანაშაულის შესახებ. ვინაიდან ზ.კ.-მ და ზ.პ.-მ აღნიშნული დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს შესაბამის ორგანოებს, მათი ქმედებები დამატებით დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა). პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლების მიერ მსჯავრდებულების ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით არასწორია, ვინაიდან მსჯავრდებულებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს, ფაქტობრივად, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის (ხულიგნობა) თაობაზეც. ამდენად, მსჯავრდებულების ქმედებები არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა). შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელებიც არასამართლიანად უნდა ჩაითვალოს, რითაც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი - სამართლიანობის

⁴⁴⁶ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁴⁴⁷ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

აღდგენა, ვერ განხორციელდა. ზ.კ.-ს ზედმეტად დაენიშნა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. პ.-ს კი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შეცდომა გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინებით. მსჯავრდებულებს - ზ.კ.-სა და ზ.პ.-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკის 376-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში მსჯავრდებულების მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის განაჩენით, ჯ.ო. ცხობილ იქნა დანაშაულე საქართველოს სსკის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განეხსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁴⁸

განაჩენით ჯ.ო.-ს მსჯავრი დაედო ხულიგნობაში, ე.ი. ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგით:

2008 წლის 30 ოქტომბერს, დაახლოებით 12.30 საათზე, ჯ. თ. მთვრალი მივიდა იმავე სოფელში ცალკე ოჯახად მცხოვრები, მასთან კონფლიქტში მყოფი მშობლების სახლთან. მან ქუჩიდან შენიშნა, რომ მამამისი ეზოში ჭრიდა შეშას. ჯ. თ. მამის მიმართ განმსჭვალული იყო შურისძიების გრძნობით და მას ქუჩიდან დაუწყო უცენზურო სიტყვებით ლანდღვა-გინება და ფიზიკური განადგურების მუქარა, იმავდროულად, მიწიდან აიღო მოზრდილი ქვები და სხეულის დაზიანების მიზნით მან მამას დაუწყო სროლა, რის გამოც მამამ თავი შეაფარა სახლს, ხოლო ჯ. თ.-მ იარაღად ქვების გამოყენებით გააგრძელა სახლის მიმართულებით მათი სროლა და სახლს ჩაუმსხვრია ფანჯრის მინები. ჯ. თ.-ს მიერ გამოწვეულ ხმაურზე შემთხვევის აღგილზე მივიღნენ მეზობლები, რომლებმაც აღკვეთეს ჯ. თ.-ს დანაშაულებრივი ქმედება და იგი გააძევეს შემთხვევის ადგილიდან.

მსჯავრდებულმა ჯ. თ.-მ როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. მან აღნიშნა, რომ კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იყო მამასთან, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 2003 წელს მამამ დანით გულმკერდის არეში დაჭრა იგი. ჯ. თ.-ს ჩვენებით, იგი ნაწევნი იყო იმ ფაქტის გამო, რომ, როცა საავადყოფოში იწვა და მკურნალობდა, მამამისი მასთან ერთხელაც არ მისულა და საერთოდ არ აქცევდა უურადღებას. მსჯავრდებულის ჩვენებით, მომხდარით განაწყენებულმა, მან ამის შემდეგ დაიწყო სმა. მამამისს ხშირად აგინებდა, აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა მოკვლით, ქვით უმსხვერევდა სახლის ფანჯრების მინებს. 2008 წლის 30 ოქტომბერსაც მთვრალი მივიდა მამის სახლში, ისროდა ქვებს და დაემუქრა მშობლებს მოკვლით, რა დროსაც იგი ხმაურზე მისულმა მეზობლებმა შეაჩერეს.

იმისათვის, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება დაკალიფიცირდეს ხულიგნობად, ერთდროულად სახეზე უნდა იყოს 3 კომპონენტი: 1. საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა;

⁴⁴⁸ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

2. საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობა; 3. ძალადობა ან ძალადობის მუქარა. თუ სახეზე არ არის ერთ-ერთი მათგანი, ხულიგნობის შემადგენლობაც არ იარსებებს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არ ჩაითვლება ხულიგნობად, ბინაში პირადი მოტივით ჩხუბის ატეხვა ოჯახის წევრების მიმართ, რასაც ახლდა ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რითაც დაირღვა როგორც ამ ოჯახის, ისევე მეზობლების მყუდროება და ცხოვრების ნორმალური რიტმი. ამ დროს პირს ამოძრავებს პირადი მოტივი და არა იმის სურვილი, რომ დაუპირისპიროს თავი საზოგადოებას, დაამტკიცოს თავისი ყოვლისშემძლეობა, ე.ი. ეს პირი ამ შემთხვევაში არ გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი.⁴⁴⁹ განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ ჯ. ო.-ს მიერ უხეშად იქნა დარღვეული საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ მისი მხრიდან საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მამის მიმართ. იგი პირადი მოტივით მოქმედებდა და საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობას არ ავლენდა. იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ხულიგნობად, აუცილებელია პირი გამოხატავდეს საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობას. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლო არასწორად დააკვალიფიცირა ჯ.ო.-ს ქმედება ხულიგნობად (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ადნიშნული ქმედებისათვის ჯ. ო.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადნიშნული შეცდომა გასწორდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: ჯ. ო.-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლზე და მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁵⁰ შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება.

ი. გ. მეუღლესთან - ს. გ.-სთან და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. ცოლ-ქმარმა სხვადასხვა დროს დამოუკიდებლად გაიცნო დ. ს., რომელიც ხშირად მიდიოდა მათთან სახლში და დამით მთვრალი რჩებოდა. დროთა განმავლობაში დ.ს.-სა და ს.გ.-ს შორის დამყარდა ინგიმური ურთიერთობა, რაც მოგვიანებით ცნობილი გახდა ი. გ.-სთვის და ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტისა და ს. გ.-ის სახლიდან გაგდების მიზეზი გახდა. თუმცა, მეუღლემ ბოდიში მოიხადა, ი.გ.-მა მეუღლეს დალატი აპატია და განაგრძო მასთან ცხოვრება. 2003 წლის 30 სექტემბერს, დღისით, ს. გ. და დ. ს. ერთად იყვნენ. დაახლოებით 23 საათზე მთვრალმა დ.ს.-მა კვლავ მოინდომა ს. გ.-ის ნახვა, ავტომანქანით მივიდა მის სახლთან და ფანჯრის წინ ძრავას ღმულითა და მკვეთრი დამუხრუჭებით ცდილობდა მის

⁴⁴⁹ ი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2011, გვ. 610.

⁴⁵⁰ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

გამოხმობას. ი. გ.-მა მოუწოდა დ.ს.-ს, რომ შეეწყვიტა ასეთი ქმედება და არ ჩარეცლიყო მისი ოჯახის ცხოვრებაში, რის გამოც დ.ს.-მა მას შეაგინა, გადმოვიდა ავტომანქანიდან და ი. გ.-ს ხელი გაარტყა. ეს უკანასკნელი და მისი მეუღლე ბინაში შებრუნდნენ, მაგრამ დ.ს. მიადგა ბინის ღია ფანჯარას და განაგრძობდა გინებას, შემდეგ გააჩერა ავტომანქანა სადარბაზოსთან, გადმოვიდა და ბინის კარზე დაიწყო გამუდმებული ბრახუნი. ი.გ.-მ მეუღლეს დაავალა, გაედო კარი და ეთხოვა, დ.ს.-სთვის, რომ თავი დაენებებინა მათვის. როცა ს.გ.-მა კარი გააღო, დ.ს.-მა იგი გვერდზე მიაგდო, დანით ხელში შევარდა ბინაში და აღმოჩნდა ი.გ.-ის პირისპირ, რომელმაც, თავდაცვის მიზნით, დ.ს.-ს, წავლო რა მარცხენა ხელი დანიან ხელზე, არ აძლევდა მისი მოქნევის საშუალებას. ჭიდაობისას ორივე წაიქცა. ი.გ. არ უშვებდა ხელს დ.ს.-ის დანიან ხელს. ამ დროს დანიანა მაგიდიდან იატაკზე დავარდნილი სამზარეულო დანა, აიღო და დაარტყა დ.ს.-ს. ამ უკანასკნელმა დანას ხელი არ გაუშვა და აღელვებულმა ი.გ.-მა დანით კიდევ ორჯერ მიაყენა დაზიანება დ.ს.-ს. დაჭრილი დ.ს. გადაიყვანეს კლინიკურ საავადმყოფოში, მაგრამ, მიყვანიდან რამდენიმე საათში იგი გარდაიცვალა.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ი.გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით ი.გ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ი.გ. მოქმედებდა მართლზომიერად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ი.გ.-ის მიმართ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა და საქმე შეწყდა მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.⁴⁵¹

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელი (3 და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა) სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ი.გ., როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელით მიღწეული ვერ იქნება სამართლიანობის აღდგენა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენით გ.გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (მკვლელობის მცდელობა), რაც გამოიხატა შემდეგით: 2008 წლის 10 აგვისტოს გ.გ.-მ, უთანხმოების გამო დაწყებული კამათისა და ჩხუბის დროს განიზრახა თავისი ცოლისძმის მ.ჯ.-ის მოკვლა. იგი ავტომანქანით მიიყვანა მდინარის ნაპირთან. იქ გაგრძელებული ჩხუბის დროს გ.გ.-მ თავისი ავტომანქანიდან აიღო დანა და განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მ.ჯ.-ს ორჯერ დაარტყა გულმკერდის არეში, რითიც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ორი ჭრილობა. აღნიშნული ქმედებისათვის გ.გ.-ს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁵²

⁴⁵¹ იბ. <www.freeuni.edu.ge/sites/default/files/aucilebeli%20mogerieba.pdf>.

⁴⁵² განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.⁴⁵³

საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ სიძე-ცოლისმას შორის მომხდარ ინციდენტს არავინ შესწრებია, თუმცა მათი იდენტური და თანმიმდევრული ჩვენებებით უტყუარად დგინდება ფაქტობრივი გარემოებები. მსჯავრდებულის განმარტებით, მან თავის ცოლის ძმას ორჯერ დაარტყა დანა, რაც გამოწვეული იყო თავად დაზარალებულის არამართლზომიერი ქმედებებით. ამის შემდეგ გ.გ.-მ დაჭრილი მოათავსა ავტომანქანაში და მიიყვანა საავადმყოფოში. ანალოგიურია დაზარალებულის ჩვენებაც. მ.ჯ.-მ სასამართლოში აღნიშნა, რომ მდინარე ჭოროხთან თავის სიძეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხეყოფა და ნაწილობრივ სწორედ ამანაც უბიძგა გ.გ.-ს დანაშაულის ჩადენისკენ. მ.ჯ.-მ ასევე მიუთითა, რომ საავადმყოფოში სიძემ მიიყვანა, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია. ნათელია, რომ მკვლელობის მცდელობის შემდეგ გ.გ.-მ დაზარალებული მიიყვანა საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მ.ჯ.-ს შეუნარჩუნდა სიცოცხლე. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ სწორედ მსჯავრდებულის აქტიური მოქმედებით თავიდან იქნა აცილებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი - მ. ჯ.-ის სიკვდილი. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულის შემადგენლობას ქმნის. განსახილველ შემთხვევაში გ.გ.-მ პასუხი უნდა აგოს სხვა დანაშაულისათვის, რაც ფაქტობრივად ჩაიდინა, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანებისათვის. ექსპერტიზის დასკვნით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო მ. ჯ.-მ. ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა გ.გ.-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირეს და სასჯელიც არასამართლიანად დაუნიშნება საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომა გასწორებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით გ. გ.-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს. არასამართლიანი სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში კი სასჯელის მიზნები ვერ განხორციელდება.

⁴⁵³ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

კოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქმედების დანაშაულად არასწორ კვალიფიკაციას მოსდევს არასამართლიანი სასჯელის დანიშვნა, რაც ხელს უშლის სასჯელის მიზნების განხორციელებას. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დადგინდა, რომ ხშირია შეცდომები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციაა. ოუ ქმედებას მიეცა არასწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება, აღნიშნული გავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე, რაც დასტურდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზით. უსამართლო სასჯელის დანიშვნით კი ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები: პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენა და შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

თავი VII.

სასჯელის დანიშვნისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა

§1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის იურიდიულ შედეგს. იმისათვის, რომ ვისაუბროთ სასჯელზე, ჩადენილი უნდა იყოს დანაშაული. სასჯელის დანიშვნა მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს – სასამართლოს კომპეტენციაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ადგენს სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომას.

სანამ უშუალოდ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებზე ვისაუბრებო, ყურადღება მინდა გავამახვილო, თუ რამდენად სწორი ფორმულირებაა სასჯელის დანიშვნა. იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ასევე სასჯელის შეფარდებასაც. მართალია სასჯელის დანიშვნასა და სასჯელის შეფარდებას შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ უფრო ზუსტი იქნება თუ გამოვიყენებო სასჯელის დანიშვნას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასჯელის დანიშვნა და არა შეფარდება. ამდენად, კანონმდებელი იყენებს ტერმინს „დანიშვნას“. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ დანიშვნა და შეფარდება. სიტყვა „შეფარდება“ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას. მაგალითად, მოსამართლე განჩინებაში მიუთითებს, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პატიმობა. ხოლო, რაც შეეხება სასჯელს, ის კი არ ეფარდება მსჯავრდებულს, არამედ ენიშნება. აღნიშნული კი შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი ეხება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. როგორც ვხედავთ, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით, სადაც კონკრეტული დანაშაული და სასჯელია მოცემული, არამედ ზოგადი ნაწილითაც. ამდენად, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას იყენებს სისხლის სამართლის

ზოგად და კერძო ნაწილებს კუმულაციურად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ნაკლებად მკაცრი სასჯელის დანიშვნაზე და უარს ამბობს მკაცრ სასჯელებზე. ხოლო, გამონაკლისის სახით შესაძლებელია დანიშნული იქნეს მკაცრი სასჯელი, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელით ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზნები – სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილში სასჯელის მიზანი მითითებულია მხოლობით რიცხვში. მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული უნდა იყოს სასჯელის მიზნებზე და არა სასჯელის მიზანზე, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელს აქვს არა ერთი, არამედ სამი მიზანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. სასჯელები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, მაგალითად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა და 2. სასჯელები, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, მაგალითად, ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ა.შ.

მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული პენოლოგიური მრავალფეროვნებისა, რაც ტრადიციული სასჯელების (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის, ჯარიმის) გვერდით მრავალ ალტერნატიულ სახეს (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა) ითვალისწინებს, სასჯელის დანიშვნისას საკანონმდებლო დირექტივის სახით დადგენილია სამართლიანობის, კანონის წინაშე თანასწორობის, სასჯელის გარდაუვალობის და დამნაშავის პიროვნების ზედმიწევნით ცოდნის პრინციპები.⁴⁵⁴

სასჯელის დანიშვნა სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც ადეკვატური იქნება დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმბიმისა.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სასჯელის დანიშვნისას მოსამართლის პირად პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. მოსამართლე, რომელიც პირველ რიგში სასჯელით ინტერესდება, ძირითადად დანაშაულის სიმბიმეზე და ბრალის ზომაზე აკეთებს აქცენტს. მოსამართლე, რომელიც საზოგადოების დაცვით ინტერესდება, ყურადღებას აქცევს დამნაშავის საშიშროებას. ხოლო, მოსამართლე, რომელიც დამნაშავის რესოციალიზაციით ინტერესდება, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დამნაშავის ცხოვრებისეული გარემოებების ცვლილებას.⁴⁵⁵

სასჯელთა მრავალფეროვნებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება „კარგი სასჯელის“ ან უკეთ, რომ ვთქვათ, ნაკლებად არასასურველის შერჩევა. ამიტომ, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში შეინიშნება ორმაგი ფენომენი: სასჯელთა რიცხვის ზრდასთან ერთად

⁴⁵⁴ ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელმდგანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 367-368.

⁴⁵⁵ ი. I. Neubauer, Strafzumessung und Geschlecht – eine Untersuchung forensisch – psychiatrisch begutachteter Frauen, Dissertation, 2010, S. 15

დადგინდა შემდეგი წესი – მოსამართლე სასჯელის გამოტანამდე ვალდებულია გაეცნოს ბრალდებულის პირად საქმეს, მის ოჯახურ და სოციალურ ისტორიას, ხასიათს, ოჯახურ წრეს, განათლებას და პროფესიას, ფიზიკურ და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას.⁴⁵⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწაფებებს, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. როგორც ამ საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, კანონმდებელი სახელდებით არ ჩამოთვლის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლს დაემატა მე-3¹ ნაწილი, რომელიც ეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს (მაგ. დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის და ა.შ). გამონაკლისი ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლია, სადაც კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითა შემამსუბუქებელ გარემოებაზე. კერძოდ, ამავე მუხლის თანახმად, შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება, თუ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით და აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას. ვფიქრობ, სისხლის სამართლის კოდექსში შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამოუთვლელობა მეტ თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოსამართლემ მშრალად მიუთითოს მხოლოდ და არ დაასაბუთოს რაში გამოიხატება შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების არსებობა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სასამართლოები სასჯელის დანიშვნისას ან საერთოდ არ უთითებენ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მხოლოდ მშრალად ჩამოთვლიან, ან უთითებენ მაგალითად, რომ დამნაშავეს აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და რაში გამოიხატება იგი დასაბუთებული არ არის.

სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასჯელის სახესა და ზომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კანონის მოთხოვნა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის თაობაზე.⁴⁵⁷

კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, აგრეთვე, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების თაობაზე,

⁴⁵⁶ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეპატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 441.

⁴⁵⁷ იხ. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 37

წარმოადგენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას.⁴⁵⁸

სიდნადის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ბ. ზ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების ადგვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა შემდეგი: „სასჯელის მიზნების, კერძოდ, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ. ზ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების ადგვეთა“.⁴⁵⁹ როგორც ვხედავთ, სასამართლომ განაჩენში მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები და არ განმარტა სათითაოდ რაში გამოიხატებოდა თითოეული მათგანი. მაგალითად, როგორი წარსული ცხოვრება ჰქონდა ბ. ზ-ს, რაში გამოიხატებოდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი ყოფაქცევა და ა.შ. მიმართ რომ სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მითითებით. სასამართლომ განაჩენში უნდა დაასაბუთოს რაში გამოიხატება თითოეული შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანდ ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, პირის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის. ნასამართლობის მითითება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დაუშვებელია, ვინაიდან არაერთგზისობა დანაშაულის ნიშანია.

თუ მოსამართლემ ქმედების შემადგენლობის ნიშანი ქმედების კვალიფიკაციის და ასევე სასჯელის დანიშვნის დროსაც (ორჯერ) გაითვალისწინა, ადგილი ექნება დამნაშავის არათანაზომიერ დასჯას, ვინაიდან ერთი ნიშის ორჯერ შეფასება აუცილებლად მოახდენს გავლენას სასჯელის ზომაზე.⁴⁶⁰

⁴⁵⁸ იხ. ა. მახარაძე, სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2011, გვ. 114.

⁴⁵⁹ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁴⁶⁰ იხ. თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 622.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნული საკითხი არასწორად არის გაგებული მოსამართლეთა მხრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით პ. დ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეყნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის). სასამართლომ პ. დ-ს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად განაჩენში მიუთითა მისი ნასამართლობა.⁴⁶¹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ნასამართლობის გამო დაკვალიფიცირდა მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეყნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის). შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში არაერთგზისობა არის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი და იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ვინაიდან, პ. დ -ს ქმედება დაკვალიფიცირდა არაერთგზის ჩადენილ ყაჩაღობად, რადგან იგი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა, სასამართლოს მისი ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად არ უნდა მიეჩნია. სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები.

§2. სასჯელის დანიშვნა სასჯელის მიზნებთან კავშირში

2.1. სამართლიანობის აღდგენა სასჯელის დანიშვნისას

სასჯელის მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის დანიშვნასთან. სასჯელის ისეთი მიზანი, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის გზით მიიღწევა. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, რათა შემდგომში განხორციელდეს სასჯელის სპეციალური პრევენცია და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. არასამართლიანი სასჯელი მსჯავრდებულს კი არ გამოასწორებს, არამედ გააბოროტებს. რას ნიშნავს მაინც სამართლიანი სასჯელის დანიშვნა? სასამართლომ სასჯელი უნდა დანიშნოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ უნდა იყოს არც ძალიან მკაცრი, არც ძალიან მსუბუქი, რათა სამართლიანობის პრინციპი არ იქნას დარღვეული. იმისათვის, რომ განხორციელდეს სასჯელის მიზანი – სამართლიანობის აღდგენა, გათვალისწინებული უნდა იქნეს: 1) დამნაშავის პიროვნება; 2) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე; 2) დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესები.

⁴⁶¹ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

ხშირად სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილებასთან არის გაიგივებული.

მხოლოდ დაზარალებულის მხრიდან სასჯელის აღქმა, როგორც სამართლიანის, არაა საქმარისი სასჯელის მიზნების და არსის სწორი გაგებისათვის, რადგანაც სამართლიანობის აღდგენისათვის აუცილებელია, რომ არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ დამნაშავის და საზოგადოების მხრიდანაც იგი აღიქმებოდეს, როგორც სამართლიანი⁴⁶². როგორც ვხედავთ სამართლიანობის აღდგენა ფართო ცნებაა და მასში ბევრი რამ იგულისხმება. მიმაჩნია, რომ სასჯელის დანიშვნისას პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს დამნაშავის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხოლო შემდგომ დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესები. თუ დამნაშავე სამართლიანად დაისჯება, ამით დაკმაყოფილდება დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესებიც.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმისთვის, რომ დაზარალებული დაკმაყოფილდეს.⁴⁶³

მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით, იგი ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავის პიროვნებას.⁴⁶⁴

სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავებისათვის წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას, მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.⁴⁶⁵

სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მთელი რიგი გარემოებები უნდა გაითვალისწინოს. სასჯელი ინდივიდუალურია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად უნდა გადაწყდეს. მაგალითად, სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს და ა.შ. მიმაჩნია, რომ, იმისათვის რათა აღდგეს სამართლიანობა, სასამართლომ ძირითადად ორ უმნიშვნელოვანებს საკითხზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ესენია: 1. მსჯავრდებულის პიროვნება და 2. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

⁴⁶² იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 84.

⁴⁶³ იხ. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007, S. 47.

⁴⁶⁴ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ხაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 286.

⁴⁶⁵ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 47.

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში (სასჯელის დანიშნისას) პირდაპირ არ არის მითითება დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლში მითითებულია დამნაშავის წარსულ ცხოვრების გათვალისწინებაზე, რაც მოიცავს დამნაშავის პიროვნებასაც.

პროფ. ი. დვალიძის მოსაზრებით, დამნაშავის წარსული ცხოვრების შეფასებისას, მთლიანი აქცენტი დამნაშავის პიროვნებაზეა გადატანილი, ანუ შეფასების ობიექტი ხდება დამნაშავის პიროვნება.⁴⁶⁶

მიმართ, რომ მოსამართლემ სასჯელის დანიშნის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება და შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. მართალია სისხლის სამართლი ქმედების სამართლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის დანიშნისას პირველ ადგილზე ჩადენილი ქმედება. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ხომ ძირითადად დამნაშავის პიროვნებაზეა მორგებული. შესაძლებელია ჩადენილი იყოს ერთი და იგივე სიმძიმის დანაშაული, მაგრამ სახეზე გვყვავდეს სხვადასხვა დამნაშავის პიროვნება. შესაბამისად, სასჯელის დანიშნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ინდივიდუალური მიდგომა. ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოხსოვნაც. კერძოდ, სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა სასჯელის დანიშნისას პირველ ადგილზე აყენებს დამნაშავის პიროვნებას და შემდეგ დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის შეფარდებისას, უმართლობის და ბრალის გარდა, მოსამართლემ დამნაშავის პიროვნება, მასთან დაკავშირებული გარემოებები და მისი წარსული ცხოვრებაც უნდა მიიღოს სათვალავში. დამნაშავის პიროვნება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ქმედების კვალიფიკაციისას, ვინაიდან სისხლის სამართლი, უპირატესად, ქმედების სამართლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ კარგავს თავის მნიშვნელობას.⁴⁶⁷

სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საჭმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინა პირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თვისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას.⁴⁶⁸

სასამართლო გულდასმით უნდა შეისწავლოს მსჯავრდებულის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, ოჯახური მდგომარეობა, ეკონომიკური პირობები, ურთიერთობა დაზარალებულობა და ა.შ. მსჯავრდებული პიროვნების შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი სასჯელის დანიშნა.

⁴⁶⁶ იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 97-98.

⁴⁶⁷ იხ. თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 524.

⁴⁶⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 45-ე პუნქტი.

სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია დამნაშავის წარსული ცხოვრება და პირადი ურთიერთობები, ასევე სასჯელის ზემოქმედება დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე. აღნიშნული შვეიცარიის სისხლის სამართლისათვის ცენტრალური მნიშვნელობისაა.⁴⁶⁹

პროფ. მ. ლეკეგიშვილი მიუთითებს, რომ მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით; არამედ, როგორც ცოცხალი ადამიანი ინდივიდუალური ნიშნებით. შესაძლოა, რომ სხვადახვა პირს ერთი და იგივე ხასიათის დანაშაული პქონდეს ჩადენილი, მაგრამ ეს განპირობებული იყოს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.⁴⁷⁰

რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: მაგალითად, ბრალდებული ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ჰყავს მოხუცი მშობლები, არასრულწლოვანი შვილები და ა. შ; ან ბრალდებული სისტემატიურად ლოთობს, სცემს ოჯახის წევრებს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე, არ მუშაობს და ფლანგავს ოჯახის ქონებას და ა. შ.⁴⁷¹

შვეიცარიის პრაქტიკა და დოგმატიკა მიუთითებს, რომ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია: დამნაშავის ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება და პოზიცია პროფესიაში, ინტელექტუალური განვითარება, სოციალური წარმომავლობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, აგრეთვე ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება, განსაკუთრებული ვალდებულებები, ოჯახური და სხვა პირადი ურთიერთობები და ა. შ.⁴⁷²

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას დამნაშავის პიროვნულ თვისებებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სასჯელის შეფარდებისას, მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს დამნაშავის ფსიქიკას და ხასიათს.⁴⁷³

სასჯელის დანიშვნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დამნაშავის ქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ, დანაშაულის ჩადენიდან განახენის გამოტანამდე. გასათვალისწინებელია, თუ როგორ იქცეოდა დამნაშავე ამ პერიოდში. ხომ არ ჩაიდინა ახალი დანაშაული, ასევე მოხდა თუ არა მისი სოციალური ინტეგრაცია.⁴⁷⁴

⁴⁶⁹ იხ. G. Stratenwerth, Schweizerisches Strafrecht, Allgemeiner Teil II – Strafen und Massnahmen, 2006, S. 176.

⁴⁷⁰ იხ. მ. ლეკეგიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), გვ. 28.

⁴⁷¹ იხ. , 2, , , , 2002, . 91.

⁴⁷² იხ. G. Stratenwerth, Schweizerisches Strafrecht, Allgemeiner Teil II – Strafen und Massnahmen, 2006, S. 196.

⁴⁷³ იხ. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 310

⁴⁷⁴ იხ. G. Schäfer, G. Sander, G. Gemmeren, Praxis der Strafzumessung, München, 2008, S. 316.

პროფ. ი. დვალიძე მიუთითებს, რომ ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ნიშნები კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა სამართლიანი სასჯელის შეფარდების, სპეციალური პრევენციისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ავაძებური განხორციელებისათვის.⁴⁷⁵

მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლის შემდეგ, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სასამართლომ უნდა დანიშნოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს.

არ შეიძლება ვინმე დაისაჯოს იმაზე მეტად, ვიდრე ამას უტილიტარული მიზნები ან ქმედების სიმძიმის ხარისხი მოითხოვს. კაცმა არ უნდა მიიღოს მეტი სასჯელი, ვიდრე იმსახურებს, რა სარგებლიანადაც არ უნდა მოვგეხვენოს.⁴⁷⁶ სასჯელის სიმკაცრე დანაშაულის სიმძიმეს უნდა გაუტოლდეს და ერთნაირი სიმძიმის დანაშაულთა ჩამდენებს ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი სასჯელები უნდა შეეფარდოთ.⁴⁷⁷

სამართლიანობის აღდგენის მიზანი დაკავშირებულია ქმედებისა და სასჯელის პროპორციულობასთან. პირმა უნდა მიიღოს ის, რაც მან კანონით აკრძალული ქმედების განხორციელების შედეგად დაიმსახურა. სასამართლომ პირს სასჯელი უნდა შეუფარდოს ჩადენილი ქმედების პროპორციულად.⁴⁷⁸ დამნაშავის ბრალი უნდა იყოს არსებითი წინაპირობა სასჯელის დანიშნის დროს.⁴⁷⁹

არაპროპორციული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენას, ხოლო შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. მაგალითად, ოუ სასამართლომ მეტისმეტად მკაცრი სასჯელი დანიშნა, სასჯელის მიზნების მიღწევა გაჭირდება. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე სასამართლო პრაქტიკიდან. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განაჩენით დ. მ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დანიშნული სასჯელი იყო მეტისმეტად მკაცრი და 3 წლით შეამცირა და საბოლოოდ მსჯავრდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.⁴⁸⁰

სასჯელის პროპორციულობის მნიშვნელობაზე საუბრობს **ასისტენტ-პროფესორი თ. ცეიტიშვილიც.** იგი წერს: „სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისათვის ისეთი

⁴⁷⁵ იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 98.

⁴⁷⁶ იხ. კ. წიქარიშვილი, სასჯელი, აღმანახი, №8, 1998.

⁴⁷⁷ იხ. იქვე.

⁴⁷⁸ იხ. თ. მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელადსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008, გვ. 106.

⁴⁷⁹ იხ. B. Heinrich, Strafrecht – Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau der Straftat beim Vollendungs – und Versuchsdelikt, 2005, S. 6.

⁴⁸⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2013, №01-6.

სასჯელის შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რასაც სასჯელი ისახავს. სასჯელის მიზნების მიღწევის საშუალება მხოლოდ პროპორციული სასჯელია.⁴⁸¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სწორად არის მითითებული, რომ სამართლიანობის აღდგენის ფუნქცია რეალიზებადია მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის თანახომიერი სასჯელის გამოყენებისას და სწორედ ამ გზით ემსახურება სასჯელის სხვა მიზნების რეალიზების შესაძლებლობას. მაგალითად, არაპროპორციული, არათანახომიერად მკაცრი სასჯელი ხელს უშლის, ზოგჯერ კი სრულად გამორიცხავს რესოციალიზაციას, შედეგად, ეწინააღმდეგება სასჯელით მისივე მიზნების, ფუნქციების განხორციელების, მიღწევის შესაძლებლობას.⁴⁸²

თუ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით არაპროპორციულია და არ აქმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, თუ არ არის შესაბამისი ახალი დანაშაულის ასაცილებლად და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, მაშინ მისი აღსრულებით გამოწვეული ტანჯვა თავისთავად იქნება დამატებითი, გაუმართლებელი დასჯა და შედეგად, ადამიანის დირსების ხელყოფა, რადგან სასჯელი და ზოგადად პასუხისმგებლობა ასცდება მათსავე მიზნებს და გადაიქცევა პოტენციური შურისმიების იარაღად.⁴⁸³

გებერი ხატოვნად მიუთითებს, რომ „სასჯელი ბრალით ისე ინტერესდება, როგორც საქონელი ფასით.“⁴⁸⁴

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასჯელი იდეალურ შემთხვევაში ბრალის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს.⁴⁸⁵

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნაკლებად მმიმე დანაშაულისათვის დანიშნულია მკაცრი სასჯელი, მაშინ, როდესაც შესაძლებელია შედარებით მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. თუმცა ამასთან, გასათვალისწინებელია ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც ზღუდავს მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნულ საკითხს უფრო დეტალურად შემდგომში განვიხილავთ.

გერმანელი პროფესორი **კლაუს როქსინი** მიუთითებს სასჯელის პროპორციულობაზე. გერმანიაში აღიარებულია, რომ სასჯელი დამნაშავის ბრალზე მაღალი არ უნდა იყოს. ბრალის პრინციპს სასჯელის დანიშვნისას აქვს კონსტიტუციური რანგი. არავინ არ უნდა დაისაჯოს იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ის იმსახურებს. სასჯელი უნდა იყოს მხოლოდ ბრალის შესაბამისი.⁴⁸⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი არაპროპორციული სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მაშინ, როდესაც ამისთვის საფუძველი არ

⁴⁸¹ ი. თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 524.

⁴⁸² ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 46-ე პუნქტი.

⁴⁸³ დასახ. გადაწყვეტილება, 56-ე პუნქტი.

⁴⁸⁴ ი. A. Montenbruck, Strafrahmen und Strafzumessung, Berlin, 1983, S. 22.

⁴⁸⁵ ი. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 342.

⁴⁸⁶ ი. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, S. 92-93.

არსებობს საერთოდ, ან როდესაც პასუხისმგებლობის ზომა დისპროპორციაშია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან, არღვევს პირის თავისუფლების უფლებას.⁴⁸⁷

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ბრალს, როგორც სისხლის სამართლის ცენტრალურ ცნებას, შეიძლება სამი მახასიათებელი პქონდეს: 1) ბრალის იდეა; 2) სასჯელის დამაფუძნებელი ბრალი; 3) სასჯელის შეფარდების ბრალი. სასჯელის შეფარდების ბრალისათვის არსებითია მისი ზრდაუნარიანობა: „მკაცრი სასჯელის წინაპირობაა მძიმე ბრალი, ხოლო მცირე სასჯელის – მსუბუქი ბრალი.“⁴⁸⁸

დამსახურებული სასჯელის დაკისრება ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას“ („ეუსტ დესერტს“), რომლის თანახმადაც დამნაშავეს უნდა დაკისროს ის სასჯელი, რაც მან დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.⁴⁸⁹

იმ დროს, როცა რეაბილიტაციის კრახის პირობებში აშკარა გახდა მსგავსი დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის დაწესების აუცილებლობა, ენდრიუ ფონ პირშმა, რიჩარდ სინგერმა და სხვა მეცნიერებმა წინ წამოსწიეს საზღაურის იდეა. მათი მოდელის სახელწოდებაა დამსახურებული სასჯელი. დამსახურებული სასჯელის კონცეფციას საფუძვლად უდევს დანაშაულის სიმძიმე და ბოროტმოქმედის ბრალის სიმძიმე.⁴⁹⁰

სისხლისამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის შეფარდებისას მნიშვნელოვანია ქმედების სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების შეფასება.⁴⁹¹

სავსებით სწორად მსჯელობს პროფესორი მზია ლეპეჟიშვილი სასჯელის დანიშვნის საკითხებზე. იგი მიუთითებს, რომ სასჯელის ზომა, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ ქმედებას და სწორედ ამ აზრით ქმედება წარმოადგენს მთავარ (თუმცა არა ერთადერთ) საფუძველს სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ეს დასკვნა, ლოგიკური დასაბუთების გარდა, შეესაბამება სასჯელის სამართლიანობას, საზოგადოებრივ სამართლურებელის, რომლის ნაწილიც მოსამართლის მართლშეგნებაა.⁴⁹²

მოძღვრება ქმედების პროპორციულობის შესახებ დგას არა დამნაშავის პიროვნების, არამედ ქმედების სიმძიმის მთავარ პუნქტში. ბრალის შეფასებას დამნაშავის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.⁴⁹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად

⁴⁸⁷ იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 104-ე პუნქტი.

⁴⁸⁸ იბ. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 166-167.

⁴⁸⁹ იბ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 50.

⁴⁹⁰ იბ. კრიმინოლოგია და სამართლდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში, ავტორთა კოლექტივი, გვ. 122.

⁴⁹¹ იბ. H. Tröndle, T. Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, München, 1999, S. 295.

⁴⁹² იბ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 52.

⁴⁹³ იბ. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006, S. 152.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადაც გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე), ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის, პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენის და შენახვის გამო.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2016 წლის 24 მარტს განხილული იქნა სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულების – ს. დ-ს, რ. გ-ს და რ. ო-ს მიმართ, რომლებიც პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დამნაშავედ იქნენ ცნობილი იმაში, რომ მათ უკანონდ შეიძინეს და შეინახეს ნარკოტიკული საშუალება - „გამომშრალი მარიხუანა“, რისთვისაც განეხაზღვრათ შესაბამისი სასჯელები (სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განაჩენით მსჯავრდებულები – ს. დ, რ. გ და რ. ო ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად.⁴⁹⁴ საკასაციო ინსტანციის სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განაჩენში მიუთითა შემდეგი: „მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით, რადგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს.“ მიმაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა არ არის სწორი, ვინაიდან სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის დეკრიმინალიზაცია არ მოხდარა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არკონსტიტუციურად მიიჩნია ზემოაღნიშნული ქმედებისათვის თავისუფლების აღკვეთის დაკისრება და არა ზოგადად სასჯელის გამოყენება. ვიზიარებ მოსამართლე ნინო გვენეტაძის მოსაზრებას, რომელიც მიუთითებს: „თუ სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ არსებობს ქმედებისათვის, ასეთი ქმედების დანაშაულად მიჩნევა ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას არის მოკლებული.“⁴⁹⁵

⁴⁹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი, საქმე №392აპ-15.

⁴⁹⁵ იხ. მოსამართლე ნინო გვენეტაძის განსხვავებული აზრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განაჩენზე მსჯავრდებულების ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი არ არის სამართლიანი, ვინაიდან არ არის გათვალისწინებული ჩადენილი დანაშაულის სიმბიმე, რაც სამართლიანი განაჩენის ერთ-ერთი კრიტერიუმია. ვინაიდან არ მომხდარა სსკ-ის 260-ე მუხლის დეკრიმინალიზაცია, საქართველოს უზენაეს სასამართლოს განაჩენი უნდა გამოეტანა არა სასჯელის დაუნიშნავად, არამედ უნდა ემსჯელა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თუკი სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარისუანის, პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენა და შენახვა) არ გამოიყენებს სასჯელის არცერთ სახეს, სასჯელი სამართლიანი არ იქნება და სასჯელის მიზანი - სამართლიანობის აღდგენაც ვერ განხორციელდება.

როგორც ვხედავთ, სამართლიანობის აღდგენა მიიღწევა სამართლიანი სასჯელის დანიშნვით. მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა გაიგივებული არ უნდა იქნეს სამაგიეროს მიზღვასთან. თუ სასჯელი სამაგიეროს მიზღვის ელემენტებს შეიცავს, მაშინ სასჯელის მიზნები განუხორციელებელი დარჩება. ამიტომ, იმისათვის, რომ რეალურად განხორციელდეს სასჯელის მიზნები, სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშნვა უნდა მოხდეს სამართლიანობის, სასჯელის ინდივიდუალიზაციის, პუმანიზმის პრინციპებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ სასჯელის დანიშვნის დროს. ასე მაგალითად:

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენით დ. ა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. დ. ა-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 27 ივლისიდან.⁴⁹⁶

დ. ა ეჭვმიტანილის სახით დაკავებული იქნა 2006 წლის 11 აპრილს.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 აპრილის ბრძანებით დ. ა-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო გირაოს თანხის სრული მოცულობით შეტანამდე ბრალდებული დ. ა დარჩა პატიმრობაში.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 აპრილის ბრძანებით ყადაღა დაედო 6. ა-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს. ბრალდებული დ. ა იმავე დღეს გათავისუფლდა წინასწარი პატიმრობიდან.

დ. ა ეჭვმიტანილის სახით დაკავებიდან 2006 წლის 11 აპრილიდან გათავისუფლებამდე 2006 წლის 19 აპრილამდე – 8 დღე იმყოფებოდა პატიმრობაში. სასამართლოს დ. ა-ის მიმართ დანიშნული სასჯელის

⁴⁹⁶ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

ვადაში არ აქვს ჩათვლილი მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის დრო - 8 დღე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დროს ჩაითვლება სასჯელის ვადაში. ანალოგიურ მითოთებას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში. აღნიშნულმა კი გამოიწვია ის, რომ მსჯავრდებულმა სასჯელი მოიხადა ზედმეტად (8 დღე).

სენაკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განახენით დ. წ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.⁴⁹⁷

დ. წ. ეჭვმიტანილის სახით დაკავებული იქნა 2006 წლის 23 სექტემბერს 18 საათსა და 40 წუთზე, ხოლო 2006 წლის 25 სექტემბერს დ. წ-ს ადგვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა დაკავებიდან.

დ. წ 2006 წლის 23 სექტემბერს 18 საათსა და 40 წუთიდან 2006 წლის 25 სექტემბრამდე – 2 დღე იმყოფებოდა პატიმრობაში.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელის სახით დაუნიშნა ჯარიმა, ხოლო მოსამართლემ მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით არ იმსჯელა მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასა ან/და მისგან სრულად გათავისუფლების საკითხზე, რომელზე მსჯელობა და მითოთებაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს მას დანიშნულ სასჯელს ან მოლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან.

აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ საკითხის განხილვა მოსამართლის ვალდებულებას წარმოადგენს და არა დისკრეციულ უფლებამოსილებას. მოსამართლის გადასაწყვეტილი მხოლოდ ის საკითხი, თუ რა ზომით თუ ოდენობით უნდა შემცირდეს დანიშნული სასჯელი, ან იმდენად ხანგრძლივი ხომ არ იყო პატიმრობა, რომ პირი სრულად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის (ამ შემთხვევაში - ჯარიმის) მოხდისაგან.

საქმის მასალების მიხედვით მსჯავრდებული დ. წ პატიმრობაში იმყოფებოდა 2 დღის განმავლობაში, ხოლო განახენით მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა. სასამართლო ვალდებული იყო მსჯავრდებულის პატიმრობის (დაკავების) ვადის გათვალისწინებით ემსჯელა მისთვის ჯარიმის შემსუბუქების, ან მისი მოხდისაგან (გადახდისაგან) სრულად გათავისუფლების საკითხზე, რაც მას არ განუხორციელებია.

⁴⁹⁷ განახენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება არა მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულის უფლებებს ადგებათ ზიანი, არამედ კანონის დარღვევის შედეგად მსჯავრდებულთა სასარგებლოდაც ხდება გადაწყვეტილების მიღება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ივნისის განაჩენით ბ. მ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 თვისა და 12 დღით თავისუფლების ადგენი. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაწყო დაკავების მომენტიდან – 2006 წლის 11 მარტიდან. პატიმრობაში ყოფნის ვადა ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.⁴⁹⁸

ბ. მ დაკავებული იქნა 2006 წლის 11 აპრილს 6 საათსა და 00 წუთზე, ხოლო 2006 წლის 23 ივნისს გათავისუფლდა პატიმრობიდან.

ბ. მ დაკავებიდან 2006 წლის 11 აპრილს 6 საათსა და 00 წუთიდან გათავისუფლებამდე 2006 წლის 23 ივნისამდე – 2 თვე და 12 დღე იმყოფებოდა პატიმრობაში.

თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს ბ. მ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა არასწორად აქვს დაწყებული 2006 წლის 11 მარტიდან, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით დგინდება იგი დაკავებული იქნა 2006 წლის 11 აპრილს. სასამართლოს 2006 წლის 23 ივნისს არ უნდა გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან ბ. მ, ვინაიდან მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების ადგენი 3 თვისა და 12 დღის ვადით, ხოლო განაჩენის დადგენის დროს – 2006 წლის 23 ივნისს ბ. მ-ს მოხდილი პქონდა 2 თვე და 12 დღე. შესაბამისად, მსჯავრდებული ბ. მ განაჩენის გამოტანიდან პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო კიდევ 1 თვე. რაც სასამართლოს არ განუხორციელებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასჯელი იყოს სამართლიანი, სასამართლომ იგი უნდა დანიშნოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

2.1.1. სამართლიანობის აღდგენა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას

დაუმთავრებელი დანაშაულის ცნების ქვეშ იგულისხმება დანაშაულის მომზადება და მცდელობა. აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას არ გაგამახვილებთ, ვინაიდან დაუმთავრებელი დანაშაული გვაინტერესებს მხოლოდ სასჯელის დანიშვნასთან კავშირში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის

⁴⁹⁸ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამგვარ ჩანაწერს აღარ ითვალისწინებს და მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით შემოფარგლება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში იღებს იმ გარემოებებს, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ხოლო კონკრეტული სასჯელის ზომაზე არაფერს უთითებს. ამდენად, კანონმდებელმა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნა მთლიანად სასამართლოს მიანდო. რა თქმა უნდა კანონით დადგენილ ფარგლებში.

სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს ავალდებულებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს ყველა გარემოება, რამაც დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობა განაპირობა. ასეთი გარემოებანი პრაქტიკაში საკმაოდ მრავალფეროვანია, რომლებიც განპირობებულია, ერთი მხრივ, დამნაშავისგან დამოუკიდებლად არსებულ პირობებზე, ხოლო მეორე მხრივ, თვით დამნაშავის პიროვნულ თვისებებსა და მის მიერ დანაშაულის ჩასადენად შერჩეულ საშუალებაზე, ხერხებისა თუ ვითარებაზე.⁴⁹⁹

რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასამართლომ ქმედების კვალიფიკაციისას აუცილებლად უნდა გამოარკვიოს, მიყვანილ იქნა თუ არა დანაშაული ბოლომდე. იმ შემთხვევაში თუ დანაშაული შეწყდა მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას, უნდა გაითვალისწინოს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი და მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.⁵⁰⁰

თანამედროვე ფრანგული სისხლის სამართლის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი უან პრადელი წერს: „მცდელობის ჩამდენი ისჯება თუ არა იმავე სასჯელით, რომლითაც სჯიან დამთავრებული დანაშაულის შემსრულებელს? ლიბერალური დოქტრინა კითხვას უარყოფითად პასუხობს, ხოტბას ასხამს სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო

⁴⁹⁹ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი,

რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 378.

⁵⁰⁰ იხ. . . , . . . , 1962, . 28.

ავტორიტარული დოქტრინა ან სოციალური დაცვის მომხრეები ხაზს უსვამეს დამნაშავის საშიშროებას.“⁵⁰¹

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი ავალდებულებს მოსამართლეს მცდელობის შემსრულებელი ერთი-ორი ხარისხით უფრო მსუბუქი სასჯელით დაისაჯოს, ვიდრე დამთავრებული დანაშაულისა. ეს სისტემა გაზიარებულია ესპანური სამართლით ნასაზრდოებ ლათინურ-ამერიკულ კოდექსებში. საფრანგეთი იმ მცირებიცხოვან ქვეყანათა შორისაა, რომელიც მცდელობის შემსრულებელს უთანაბრებენ დამთავრებული დანაშაულის ჩამდენს.⁵⁰²

ცალკეულ შემთხვევებში მცდელობის სტადიაზე პირმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების ქმედობა და გამოავლინოს ისეთი მძიმე ბრალი, რომ მისი მოქმედება ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს იმსახურებდეს.⁵⁰³

მიმაჩნია, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დროს სასჯელის დანიშვნისას ნაკლებად მკაცრი სახისა და ზომის სასჯელი უნდა იქნას შერჩეული, დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით.

რაც უფრო შორსაა ჩადენილი ქმედება სამართლით დაცული სიკეთის დაზიანებისაგან, უფრო ნაკლებად საშიშია იგი, რაც აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში სასჯელის დანიშვნისას.⁵⁰⁴

აღნიშნული განსაკუთრებით ეხება დანაშაულის მომზადების შემთხვევებს, როდესაც ქმედება შორსაა დამთავრებულ დანაშაულთან.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დროს სასამართლო დანიშნავს ისეთივე სახის სასჯელს, როგორსაც დამთავრებული დანაშაულისათვის, ამით დაირღვევა სამართლიანობის პრინციპი. ასეთ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი არ იქნება სამართლიანი და სამართლიანობის აღდგენაც, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი ვერ განხორციელდება. ხოლო თუ პირს აქვს განცდა, რომ მას არააღებგატური, მეტისმეტად მკაცრი სასჯელი დაენიშნა, გაძნელდება მისი რესოციალიზაცია. მითუმეტეს, თუ სასამართლო დანიშნავს კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით ზ. ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

⁵⁰¹ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეპატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 185-186.

⁵⁰² იქვე, გვ. 186.

⁵⁰³ იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, რედ. თ. წერეთელი, გ. ტექშელიაძე, თბილისი, 1976, გვ. 123.

⁵⁰⁴ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 380.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ზ. ბ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 19,137-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1 წლით და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁵⁰⁵

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ ზ. ბ-ს მსჯავრი დაედო 19,137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2008 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან ექვს წლამდე. ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ზ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრეს კანონით დადგენილი მაქსიმალური სასჯელი. სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ის გარემოება, რომ სახეზე იყო დაუმთავრებელი დანაშაული (გაუპატიურების მცდელობა). მითუმეტეს, რომ ზ. ბ-ს კასუსისმგებლობის დამამიმებელი გარემოება არ გააჩნდა. იგი ხასიათდებოდა დადებითად და ჰყავდა ავადმყოფი მამა. მიმაჩნია, რომ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელის დანიშვნა არ ემსახურება სასჯელის მიზნებს. ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული სასჯელი სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მოტივით ზ. ბ-ს შეუმსუბუქა სასჯელი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. საკასაციო ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმის დანიშვნა იყო აშკარად უსამართლო და დანიშნული სასჯელი – მეტისმეტად მკაცრი. შესაბამისად, ზ. ბ-ს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შეუმსუბუქა.

ასისტენტ-პროფესორი ლ. ხარანაული მიუთითებს, რომ უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით, აუცილებელია დაუმთავრებელი დანაშაულის დიფერენციაცია შედეგების მიხედვით. მაგალითად, მკვდელობის მცდელობის დროს, შესაძლებელია, დამნაშავემ ჯანმრთელობის დაზიანება მიაუენოს დაზარალებულს. შეიძლება ითქვას, რომ უმართლობის ხარისხი აქ უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ, როდესაც დამნაშავე ასეთ შედეგებს არ გამოიწვევს, მაგალითად ტყვიას ააცილებს დაზარალებულს. მაშასადამე გამოდის, რომ მცდელობის შემთხვევაში უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით, აუცილებელია სასჯელის დიფერენციაცია („დიფერენციაციის პრინციპი“).⁵⁰⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მუ-4 ნაწილის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისთვის.

⁵⁰⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება (№1049 აპ).

⁵⁰⁶ იხ. ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 2014, გვ. 190.

გაუმართლებელი იქნებოდა, თუ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისთვის პირს დაგსჯიდით უვადო თავისუფლების აღკვეთით. არ შეიძლება დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ჩამდენი პირები ერთნაირად დაისაჯონ. ყოველთვის უნდა არსებობდეს განსხვავება დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ დანიშნულ სასჯელებს შორის.

კანონმდებელი ადგენს, რომ დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის არ შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც სასჯელის სამართლიანობისა და თანაზომიერების პრინციპების პრაქტიკული რეალიზება.⁵⁰⁷

და ბოლოს, მიმაჩნია, რომ მოსამართლეს უფლება უნდა ჰქონდეს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები სასჯელი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლეს აღნიშნულის უფლებამოსილება არ გააჩნია. მაგალითად მკვლელობის მცდელობისათვის (19,108-ე მუხლი – ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთმეტ წლამდე) მოსამართლეს უფლება არა აქვს დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა 7 წელზე ნაკლები ვადით (გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

2.12. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნისას

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის წესი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის დროს სასჯელის განსაზღვრის საფუძველი არის ინდივიდუალური მიღომა. რამდენიმე პირის მონაწილეობა ერთი დანაშაულის ჩადენაში არ გამორიცხავს არა მარტო სხვადასვა კვალიფიკირას, არამედ სხვადასვა სახისა და ზომის სასჯელსაც კი. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისას

⁵⁰⁷ იხ. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), ქურნალი - აღვოკატი მეხი, №1-2 (43-44), რედ. მ. ტურავა, გვ. 54.

და ამსრულებლობისას ეფუძნება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს და შესაძლებელს ხდის, ერთი დანაშაულისათვის ყოველ თანამონაწილეს დაენიშნოს, როგორც ერთნაირი, ასევე სხვადასხვა სასჯელი, რაც ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ინდივიდუალურ მიღომას.⁵⁰⁸

თანამონაწილეობისას უნდა განხორციელდეს სასჯელის ინდივიდუალიზაცია. არაინდივიდუალიზებულ სასჯელს არ შეუძლია წარმატებით განახორციელოს თავისი ფუნქციური დანიშნულება. თუ სასჯელი არ არის ინდივიდუალიზებული, ის უსამართლოა.⁵⁰⁹

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შედარებით მკაცრად ისჯება ამსრულებელი და ორგანიზატორი. წამქეზებელი და დამხმარის როლი, როგორც წესი, განისაზღვრება ნაკლებად საშიშად, რამდენადაც ისინი არ იღებენ უშუალო მონაწილეობას თვით დანაშაულში. ამდენად, მათ შეიძლება დაენიშნოთ უფრო მსუბუქი სასჯელი ორგანიზატორთან და ამსრულებელთან შედარებით.⁵¹⁰ თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა შემთხვევაში აღნიშნული უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებლის მხარეს არის შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო დამხმარის მხარეს კი პირიქით – დამამძიმებელი გარემოებები. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია დანიშნული სასჯელები გავათანაბროთ, ან საქმის გარემოებების საფუძველზე, თანამონაწილე (დამხმარე) შედარებით მკაცრად დაისაჯოს, ვიდრე ამსრულებელი. მაგალითად, დამხმარეს შეიძლება შეერაცხოს ქურდობაში დახმარება - არაერთგზის (სსკ-ის 25, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), რომელიც ადრე ნასამართლევი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, ხოლო ამსრულებელი კი დაისაჯოს დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი ქურდობისათვის (სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. ამდენად, კანონმდებელმა მკაფიოდ გვითხრა, რომ პერსონალური ნიშანი, როგორიცაა მაგალითად, ანგარება, ნასამართლობა და ა.შ, რომელიც ამსრულებელს ან თანამონაწილეს ახასიათებს, შეერაცხება იმას, ვისაც იგი ახასიათებს. ზემოაღნიშნულ მაგალითში დამხმარე წარსულში ნასამართლევი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, ხოლო ამსრულებელი არა. ამდენად, ნასამართლობა პერსონალური ნიშანია და უნდა შეერაცხოს იმას, ვისაც იგი ახასიათებს (ამ შემთხვევაში დამხმარეს). სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მაგალითის თანახმად, დამხმარის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ქურდობაში დახმარება - არაერთგზის (სსკ-ის 25, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“

⁵⁰⁸ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 381-382.

⁵⁰⁹ იხ. ა. მახარაძე, სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2011, გვ. 111.

⁵¹⁰ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 382.

ქვეპუნქტი), ხოლო ამსრულებელი კი - დამამდიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი ქურდობისათვის (სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი). თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია ერთიანი უმართლობის ჩადენა. მთავარია ამსრულებელს და თანამონაწილეს ჩადენილი ჰქონდეთ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობა (მაგ. ქურდობა, მკვლელობა და ა.შ), რაც არ გამორიცხავს მათი ქმედებების სხვადასხვა დამამდიმებელი გარემოებებით კვალიფიკაციას. არ არის აუცილებელი ამსრულებელი ისჯებოდეს იმ დამამდიმებელი გარემოებისათვის, რისთვისაც ისჯება დამხმარე. მაგალითად, დედა მშობიარობისას კლავს ახალშობილს, ხოლო ბებია ქალი ეხმარება დედას ბავშვის მკვლელობაში. დედა უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით (დედის მიერ ახალშობილის განზრას მკვლელობა), ხოლო ბებია ქალი - დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობაში დახმარებისათვის (სსკ-ის 25, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელსა და დამხამრეს აქვთ მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოებები, ისინი განსხვავებულად უნდა დაისაჯონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება. უსამართლო სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში კი სასჯელის მიზნები ვერ განხორციელდება. ამასთან, შესაძლებელია თანამსრულებლობის დროს, ერთი პირის მიმართ არსებობდეს შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო მეორის მიმართ – დამამდიმებელი გარემოებები. ამ დროს სასჯელი განსხვავებულად უნდა დაინიშნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელი ვერ იქნება სამართლიანი.

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან.

ჩხოროვეული რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენით ბ. ნ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენი ბ. ნ-ს მიმართ დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ბ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁵¹¹

⁵¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება (№789-აპ-09).

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ზ, პ. ქ, რ. პ. და ბ. ნ. წინასწარ შეთანხმდენ, რომ ჩაედინათ ქურდობა. მ. ზ, პ. ქ. და რ. პ. შევიდნენ ბინაში, ხოლო ბ. ნ. დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. ამდენად, საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთანხმებას, ჩაედინათ ქურდობა, მაგრამ შემდგომში მათი ქმედება უკვე გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში. ამდენად, სახეზეა ამსრულებლების - მ. ზ-ს, პ. ქ-ს, რ. პ-ს მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა მათი თანამონაწილის - ბ. ნ-ს განზრახვა, რომელიც იყო გარეთ. მისთვის უცნობი იყო, თუ რა ხდებოდა მისი თანამონაწილების მხრიდან ბინაში. მსჯავრდებულებს ჰქონდათ წინასწარი შეთანხმება ქურდობის ჩადენაზე და ამ განზრახვით შევიდნენ ლ. ი-ს საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მ. ზ-ს, პ. ქ-სა და რ. პ-ს ქმედება გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში.

შესაბამისად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ ბ. ნ-ს ქმედება არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული ყაჩაღობით და შესაბამისად სასჯელიც არასწორად იქნა განსაზღვრული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშებული შეცდომა გასწორდა საკასაციო სასამართლოს მიერ. უზენაესი სასამართლოს განჩინებით ბ. ნ-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეუნტებიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეუნტებზე და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელი (10 წლით თავისუფლების აღკვეთა) სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს. ხოლო უსამართლო სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას. მაშინ, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულ განაჩენებში დაშვებულია კიდევ ერთი უზუსტობაც. კერძოდ, ვინაიდან ბ. ნ იყო დანაშაულში თანამონაწილე (დამხმარე), მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლზე მითითებით. თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება 25-ე მუხლზე მითითებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ორგანიზაციონის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. შესაბამისად, ბ. ნ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 25,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეუნტებით. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლებს აღნიშნულზე არ უმსჯელიათ. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ბ. ნ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა 24-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით. ვფიქრობ, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება არასწორია, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ

თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით 25-ე მუხლზე მითითებით.

2.13. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას

ვიდრე უშუალოდ დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას სამართლიანობის აღდგენაზე ვისაუბრებთ, მანამდე უნდა განვმარტოთ თუ რა არის დანაშაულის რეციდივი და როგორ ხდება სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს.

დანაშაულის რეციდივის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში. სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. იმისათვის, რომ სახეზე იყოს დანაშაულის რეციდივი, პირი ნასამართლევი უნდა იყოს განზრახი დანაშაულისათვის (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა ჰქონდეს) და კვლავ უნდა ჩაიდინოს განზრახი დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი. როგორც ამ საქანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელი უნდა იყოს შედარებით მკაცრი.

ისმის საკითხი – ვალდებულია თუ არა მოსამართლე დაამძიმოს სასჯელი რეციდივის დრო? სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გავლენით კანონმდებლობა მოსამართლეს არ ზღუდავს რაიმე გარემოებით და სრულ თავისუფლებას ანიჭებს სასჯელის განსაზღვრის დროს.⁵¹² თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლე დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას შეზღუდულია. აღნიშნულზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

იმისათვის, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი. სამართლიანი სასჯელი კი გულისხმობს იმას, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშაულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს. დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებულია მსჯავრდებულის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას, სასამართლომ ძირითადი აქცენტი მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე უნდა გადაიტანოს.

⁵¹² ი. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), ქურნალი - ადვოკატი მეხი, №1-2 (43-44), რედ. მ. ტურავა, გვ. 29.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პიროვნების საშიშროებას უკავშირებენ დანაშაულის სიმძიმეს. რაც უფრო დიდია ბრალი, მით უფრო საშიშია დამნაშავე.⁵¹³

მართალია რაც უფრო მძიმე დანაშაულია ჩადენილი, მით უფრო საშიშია პიროვნება, მაგრამ დამნაშავის პიროვნების შესწავლა განსაკუთრებულ მიღებას მოითხოვს. პიროვნების საშიშროება მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით არ უნდა შეფასდეს.

სასამართლომ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე ყველა გარემოება, რამაც ადრე დანიშნული სასჯელის მიზნის მიუღწევლობა განაპირობა და კვლავ მოხდა დანაშაულის ჩადენა, ამ გარემოებების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეუძლია ზეგავლენის მოხდენა სასჯელის ზომის განსაზღვრისას და რეჟიმის დადგენისას.⁵¹⁴

დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

მაგალითად, ადრე განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევმა პირმა (ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული) ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. სასამართლოს უფლება არა აქვს დანიშნოს 8 წელზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის არ არის დადებული საპროცესო შეთანხმება, ვინაიდან ასეთია 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. თუ აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო სასჯელის სახით დანიშნავს 7 წლით თავისუფლების აღკვეთას, სასჯელი არ იქნება სამართლიანი. სასჯელი უსამართლო იქნება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზედმეტად მსუბუქი სასჯელია დანიშნული, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზედმეტად მკაცრი სასჯელია გამოყენებული. თუ დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას, სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება. ამდენად, თუ სასამართლომ სასჯელის დანიშნის დროს არ გაითვალისწინა დანაშაულის რეციდივი, სასჯელი იქნება როგორც უკანონო (დარღვეულია კანონის მოთხოვნა), ასევე უსამართლოც (არ არის გათვალისწინებული დამნაშავის პიროვნება). ავიღოთ ასეთი შემთხვევა: მოსამართლე ცალ-ცალკე იხილავს „ა“ და „ბ“-ს სისხლის სამართლის საქმეს, ორივეს ბრალი ედებათ სსკ-ის 108-ე მუხლით. „ა“ წარსულში ნასამართლევია ქურდობისთვის, ხოლო „ბ“ არა. სასამართლომ ორივეს მიუსაჯა 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როდესაც „ა“-სთვის უნდა დაენიშნა მინიმუმ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა (სსკ-ის 58-ე

⁵¹³ ი. G. Stratenwerth, Schweizerisches Strafrecht, Allgemeiner Teil II – Strafen und Massnahmen, 2006, S. 177.

⁵¹⁴ ი. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), ქურნალი - აღვოკატი მეხი, №1-2 (43-44), რედ. მ. ტურავა, გვ. 54.

მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე). რამდენად სამართლიანია „ა“-ს მიმართ დანიშნული სასჯელი? „ა“-ს მიმართ დანიშნული სასჯელი არის უკანონო, ვინაიდან დარღვეულია სსკ-ის 58-ე მუხლის მოთხოვნა, ასევე არ არის სამართლიანი, არ არის გათვალისწინებული მისი პიროვნება, რაც სასჯელის სამართლიანობის ერთ-ერთი კრიტერიუმია.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი არაერთგვაროვნად იქნა გაგებული მოსამართლეთა მხრიდან.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განაჩენით ბ.შ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ.შ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.⁵¹⁵

საქმის მასალებით, დგინდება, რომ ბ.შ. განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ნასამართლეული იყო განზრახი დანაშაულისათვის და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა. შესაბამისად, სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი. დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასჯელის ვადა 1 წლით უნდა აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ვადას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნასამართლობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია ან მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება). განსახილველ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, რა დროსაც მინიმალური სასჯელია 6 თვე (თუ მხარეებს შორის დადგებული არ არის საპროცესო შეთანხმება). შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაითვალისწინა სასჯელის დანიშვნის დროს დანაშაულის რეციდივი და დანიშნა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლო 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთას (სსკ 58-ე მუხლის მოთხოვნა) ვერ დანიშნავდა, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, მან არასწორად განსაზღვრა სასჯელი (6 თვით თავისუფლების აღკვეთა) და არ გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანობის აღდგენა სააპელაციო სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას მიღწეული ვერ იქნება.

სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი. რაც იმას გულისხმობს, რომ სასჯელი არ უნდა იყოს არც ძალიან მკაცრი, არც ძალიან მსუბუქი. სამართლიანობის აღდგენა მიიღწევა პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელით. თუ სასამართლო არ

⁵¹⁵ განაჩენები ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

გაითვალისწინებს კანონის მოთხოვნას და დანიშნავს მსუბუქ ან მძიმე სასჯელს, სასჯელის ერთ-ერთი მიზანი – სამართლიანობის აღდგენა ვერ განხორციელდება. ზემოაღნიშნული მაგალითიდან დასტურდება, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას და დანიშნა მსუბუქი სასჯელი, რაც ვფიქრობ არ ემსახურება სასჯელის მიზანს.

2.1.4. სამართლიანობის აღდგენა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას

სამართლიანობის აღდგენასთან ჰქიდროდ არის დაკავშირებული დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის საკითხი. დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესი რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

2006 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით, დანაშაულთა ერთობლიობისას, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი კანონმდებელმა უარყო და მხოლოდ სასჯელთა სრულად შეკრების წესი გაითვალისწინა. აღნიშნული ნორმა ამოქმედდა 2007 წლის 18 იანვარს.

2010 წლის 23 თებერვალს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით განსხვავებულად ჩამოყალიბდა დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა დანიშვნის წესი. კანონმდებელმა უარყო დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა მხოლოდ სრულად შეკრების წესი და სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების შესაძლებლობაც გაითვალისწინა.

2013 წლის 17 აპრილს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, სრულიად ახლებულად ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი, რომელიც ეხება დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია როგორც შთანთქმის, ისე ნაწილობრივი და სრულად შეკრების პრინციპი.

სანამ უშუალოდ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შინაარსობრივ მხარეს განვიხილავ, ყურადღება მინდა გავამახვილო ამ მუხლის ძველ რედაქციაზე.

დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის ის წესი, რომელიც მოქმედდა 2007 წლის 18 იანვრიდან 2010 წლის 23 თებერვლამდე, ანუ სასჯელთა სრულად შეკრების პრინციპი, ვფიქრობ, რომ არ იყო გამართლებული. მაგალითად, თუ პირი ჩაიდენდა 5 ქურდობის დამოუკიდებელ ეპიზოდს (ერთიანი მიზნისა და საერთო განზრახვის გარეშე) სასამართლო ვალდებული იყო თითოეული დანაშაულისათვის დაენიშნა ცალ-ცალკე სასჯელი და შემდეგ სრულად შეეკრიბა. ამ დროს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შესაძლებელია ყოფილიყო 30 წლით თავისუფლების ადგენა. მაშინ,

როდესაც, გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მაგალითად, ყაჩაღობის, ან დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრას მკვლელობის დროს სასამართლოს შეეძლო დაენიშნა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული იქნა სისხლის სამართლის საქმე ს. მ-სა და სხვათა მიმართ და 2009 წლის 10 ნოემბრის განაჩენით ს. მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ხ-ს ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დაზარალებულების – ბ. ხ-ის, ე. დ-სა და გ. ტ-ის ეპიზოდები) და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 26 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 13 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

როგორც ზემოაღნიშნული შემთხვევიდან ჩანს, სასამართლომ თაღლითობის 4 ეპიზოდის ჩადენისათვის პირს სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 26 წლისა და 6 თვის ვადით. ვინაიდან, განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული იყო დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა მხრივოდ სრულად შეკრების წესი, სასამართლომ თითოეული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები სრულად შეკრიბა. სასამართლო ვალდებული იყო დანიშნული სასჯელები შეეკრიბა სრულად. მიმაჩნია, რომ თაღლითობის ჩადენისათვის (რომელიც არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს), თუნდაც რამდენიმე ეპიზოდისათვის, არასამართლიანია 26 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული არა სასამართლოს, არამედ კანონმდებლის სიმკაცრის შედეგია. კანონმდებლებმა დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების სრულად შეკრების შემოღებით, მოსპო მოსამართლის დისკრეცია სასჯელის დანიშვნისას.

სასამართლოები სასჯელს ნიშნავენ მხრივოდ სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებით, რაც წარმოადგენს რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის გაძლიერებას სპეციალური პრევენციის შემცირების ხარჯზე.⁵¹⁶

სარგებელს კი არა, ზიანს მოუტანს მართლწერიგს უსაფუძვლოდ თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით კი გრძელვადიანი.⁵¹⁷

მიმაჩნია, რომ სასჯელის აღნიშნული პრინციპით დანიშვნისას ირდვეოდა სასჯელთა თანაზომიერების პრინციპი. მართალია, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს პირველ რიგში დამნაშავის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა და ა.შ, მაგრამ

⁵¹⁶ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 295.

⁵¹⁷ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 48.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტისმეტად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპი, გარდა დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

თუ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა სრულად შეკრების პრინციპი, რის შედეგადაც სასამართლო ნიშნავდა მეტისმეტად მკაცრ სასჯელებს, რაც თავისთავად გამართლებული არ იყო, დღეს მოქმედი კანონმდებლობით სასჯელის დანიშნისას შესაძლებელია პირიქით მეტისმეტად მსუბუქი სასჯელი დაენიშნოს პირს. მაგალითად, პირმა ჩაიდინა განზრას მკვლელობა, ხულიგნობა, ყაჩადობა და ა.შ. ამ შემთხვევაში, თუ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი, სასამართლო ვალდებულია სასჯელი დანიშნოს შთანთქმის პრინციპით, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი ყველაზე მკაცრი სასჯელი შთანთქავს დანარჩენ სასჯელებს. მიმაჩნია, რომ აღნიშნული სამართლიანად არ უნდა ჩაითვალოს. თუ პირი ჩაიდენს ერთ დანაშაულს, მაგალითად განზრას მკვლელობას, ხოლო სხვა ჩაიდენს როგორც განზრას მკვლელობას, ისე სხვა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებს, მათ ერთნაირი სასჯელები უნდა დაენიშნოთ. აღნიშნულით დაირღვევა სამართლიანობის პრინციპი. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის განაჩენით ბ. ც-ს (ნასამართლობის არმქონე) საქართველოს სსკის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, მე-5 ნაწილის „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით ბ. ც-ს

განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁵¹⁸ რამდენად სამართლიანია ასეთი გადაწყვეტილების მიღება? როგორც ვხდევათ ბ. ც-ს მიერ ჩადენილია რამდენიმე განზრახი დანაშაული, კერძოდ: დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობა, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სხვის ნივთის დაზიანება, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება. მაშინ, როდესაც სხვა პირს ერთი ყაჩაღობის ჩადენისათვის შესაძლებელია განესაზღვროს იგივე ზომის სასჯელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ან ამ დანაშაულთათვის განესაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ შეიკრიბება. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს.“ მოსამართლეს უფლება ექნება გამოიყენოს როგორც შთანთქმის, ისე ნაწილობრივი შეკრების პრინციპი. დამნაშავის პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო უნდა გადაწყვიტოს დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი დანიშნოს შთანთქმის პრინციპით, თუ ნაწილობრივი შეკრების გზით.

რაც შეეხება განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნის ახლებურ წესს, მიმაჩნია, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უმატებდა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

როგორც ვხედავთ, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელი დანიშნოს მთლიანი, ნაწილობრივი ან შთანთქმის პრინციპით. აღნიშნული პრინციპები გამოყენებული უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ საქმესთან ინდივიდუალური მიღებობის საფუძველზე.

საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად ბოლო განაჩენით დანიშნულია 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეადგენს 5 წელს? როგორ უნდა მოიქცეს

⁵¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განჩინება (საქმე №2-კ-555აპ-15).

მოსამართლე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც სურს სრული შთანთქმის პრინციპის გამოყენება? თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, მაშინ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა 1 წლით თავისუფლების აღკვეთამ უნდა შთანთქოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. იქნება თუ არა სამართლიანი ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება? ვფიქრობ არა, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაირღვევა სამართლიანობის პრინციპი. მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს.“ აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ მაგალითში საკითხიც იოლად გადაწყვდება. უფრო მკაცრი სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს 1 წლით თავისუფლების აღკვეთას.

საინტერესოა ასევე, როგორ უნდა დანიშნოს სასამართლომ სასჯელი, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის პრინციპით სასჯელის დანიშვნა, ხოლო განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელთა სრულად შეკრების პრინციპით სასჯელის დანიშვნის წესი. ან სხვაგვარად გამკაცრდა სასჯელის დანიშვნის წესი, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონმდებლობით განაჩენთა ერთობლიობით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე მეტი, ხოლო განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი კანონით კი - 40 წელზე მეტი. აშკარაა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონით პირი უფრო მსუბუქად დაისჯებოდა, ვიდრე განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი კანონით. რომელი ნორმა უნდა გამოიყენოს მოსამართლემ ამ კონკრეტულ შემთხვევაში? ხომ არა აქვს ადგილი სასჯელის გამკაცრებას? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს უკუმალა არა აქვს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ სასჯელის გამკაცრებაზე. განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს კონკრეტული სასჯელის გამკაცრებას, ვინაიდან კანონში შეტანილი ცვლილებებით გამკაცრდა არა კონკრეტული სასჯელის სახე და ზომა, არამედ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესი. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, მაშინ განსახილველ შემთხვევაში ახალი კანონისათვის უკუმალის მიუცემლობა დაუშვებელია, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნე, უკუმალა არა აქვს კანონს, თუ ახალი კანონი ამკაცრებს სასჯელს, ხოლო სასჯელის დანიშვნის წესის გამკაცრება სასჯელის გამკაცრებას არ უდრის. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს განაჩენის გამოტანის დროს

მოქმედი კანონი, ანუ ახალ კანონს მიანიჭოს უკუძალა და სასჯელის დანიშვნის ახალი წესი გამოიყენოს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუცია უკუძალის საკითხს ცოტა განსხვავებულად აყალიბებს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია უძუძალის გამოყენებას უმგებს იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი კანონი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, ხოლო როდესაც ახალი კანონი ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას უკუძალის გამოყენებას კრძალავს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია ადგილი არ ჰქონია კონკრეტული სასჯელის გამკაცრებას, მაგრამ ზოგადად პასუხისმგებლობა გამკაცრდა, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ სისხლის სამართლის კანონთან შედარებით, გამკაცრდა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესი. აღნიშნული კი პასუხისმგებლობის გამკაცრებაა. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ახალ კანონს არა აქვს უკუძალა, ვინაიდან ახალი კანონით მოხდა პასუხისმგებლობის გამკაცრება. ნორმებს, რომლებიც ამკაცრებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ ენიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა გამოიყენოს არა განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი ნორმა, არამედ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი ნორმა. ანუ ახალ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ნორმას უკუძალა არ უნდა მიანიჭოს. მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი უკუძალის მინიჭებას კრძალავს მხოლოდ სასჯელის გამკაცრების შემთხვევაში, ხოლო განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სასჯელის, არამედ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა დანიშვნის წესის გამკაცრებას, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუცია უკუძალის გამოყენებას კრძალავს ზოგადად პასუხისმგებლობის გამკაცრებისას. პასუხისმგებლობაში კი მოიაზრება დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა დანიშვნის წესის გამკაცრებაც. ამდენად, მოსამართლემ ნორმა უნდა განმარტოს საქართველოს კონსტიტუციის, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის შესაბამისად.

საინტერესოა როგორ არის გაგებული აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკაში.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 27 ნოემბერს გ. ჭ-ს მიმართ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას გამოიყენა განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც განაჩენთა ერთობლიობით მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებდა 40 წლით თავისუფლების აღკვეთას და სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის, 2 თვისა და 11 დღის ვადით.⁵¹⁹ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე მეტი. ვინაიდან ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) განაჩენთა ერთობლიობით მაქსიმალური სასჯელის ვადა არ უნდა ყოფილიყო 30

⁵¹⁹ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ნორმა და არა განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი კანონი, რა დროსაც განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას მაქსიმალური სასჯელის ვადა არ უნდა იყოს 40 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია არ გამკაცრებულა კონკრეტული სასჯელის სახე და ზომა, მაგრამ გამკაცრდა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესი, რაც პასუხისმგებლობის გამკაცრებაა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ახალი კანონისათვის უკუძალის მიცემა დაუშვებელია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თუ ახალმა კანონმა გამკაცრა პასუხისმგებლობა ამ კანონის გამოყენება არ შეიძლება. სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი სიტყვა-სიტყვით არ უნდა განმარტოს (აქცენტი არ უნდა გაკეთდეს მხოლოდ კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამკაცრებაზე) და უნდა იმოქმედოს კონსტიტუციის შესაბამისად. ახალოგიურ მითითებას ვხვდებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. კერძოდ: „სამართალშემფარდებელი ვალდებულია, კონსტიტუციის შესაბამისად განმარტოს ნორმა, თუცი ეს შესაძლებელია მოცემული ნორმის ფარგლებში⁵²⁰.“ ამდენად, მიმართინა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლოს გ. ჭ-სთვის სასჯელი უნდა დაენიშნა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით და არა განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი კანონმდებლობით, რა დროსაც გამკაცრდა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესი.

ამდენად, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ზემოაღნიშნული, რათა დანიშნული სასჯელი სამართლიანად ჩაითვალოს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები ზოგჯერ შეცდომას უშვებენ განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას.

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განაჩენით დ. გ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რასაც დაემატა ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 15 მაისიდან.⁵²¹

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაჩენით დ. გ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაითვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით. (ადნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პატიმრობაში იმყოფებოდა ეჭვმიტანილის სახით

⁵²⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის

გადაწყვეტილება: №1/1/428,447,459.

⁵²¹ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

დაკავებიდან 2009 წლის 13 თებერვლიდან გათავისუფლებამდე 2009 წლის 15 თებერვლამდე - 2 დღე).⁵²²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნვისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს (ძველი რედაქცია).

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს 1 წლით თავისუფლების ადგვეთას უნდა დამატებოდა დ. გ-ის მიმართ ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 11 თვე და 28 დღე, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პატიმრობაში იმყოფებოდა 2 დღე. ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განაჩენით დ. გ-ს საბოლოოდ უნდა განსაზღვროდა თავისუფლების ადგვეთა 1 წლის, 11 თვისა და 28 დღის ვადით, ნაცვლად 2 წლით თავისუფლების ადგვეთისა. რაც სასამართლოს არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თუ სასამართლო სასჯელს არ დანიშნავს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, სასჯელი იქნება, როგორც უკანონო, ამავდროულად უსამართლოც.

2.2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის დანიშვნისას

სასჯელის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. იგი მოიცავს ზოგად და სპეციალურ პრევენციას. ზოგადი პრევენცია მიმართულია საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, ხოლო სპეციალური პრევენცია მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ზოგადი პრევენცია, სპეციალური პრევენციისაგან განსხვავებით ხორციელდება სასჯელის დანიშვნამდე, მაგალითად კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი სასჯელის მუქარით აკრძალავს გარკვეული ქმედებების ჩადენას. ზოგადი პრევენცია ასევე ხორციელდება კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროსაც, როდესაც საზოგადოების წევრები გაითავისებენ, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ რჩება. ამჯერად, გვაინტერესებს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის დანიშვნასთან კავშირში.

თანამედროვე სასჯელის თეორიები ორიენტირებულია პრევენციაზე. ისინი გამოდიან იქდან, რომ სასჯელის მთავარი მიზანი მდგომარეობს მომავალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე.⁵²³

მართალია ზოგადი პრევენცია უფრო აღრეული სტადიიდან იწყება, ვიდრე სასამართლოს მიერ განაჩენი იქნება გამოტანილი, მაგრამ

⁵²² განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁵²³ იხ. R. Schmidt, Strafrecht Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, 2006, S. 15.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს საზოგადოების წევრების მიმართ.

ნაშრომში დეტალურად არ იქნება განხილული პოზიტიური და ნეგატიური პრევენციის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულზე უკვე ვრცლად ვიმსჯელეთ. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება განხილული იქნება მხოლოდ სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით.

სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დამნაშავეს, რათა კვლავ არ დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისაგან შეაკავოს. საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამისობით ყველაზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისათვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდა.⁵²⁴

სასამართლომ უნდა დანიშნოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც დაკმაყოფილებს როგორც ზოგადი, ისე საეციალური პრევენციის მოთხოვნებს.

სასჯელი უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით. კარგია სასჯელი, რომელიც ამცირებს რეციდივის რისკს.⁵²⁵

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია სასჯელის შეფარდებისას სამი დირექტივა გაითვალისწინოს: 1) ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხი; 2) სასჯელის ზემოქმედება საზოგადოებაზე (ზოგადი პრევენცია); 3) სასჯელის პრევენციული და აღმზრდელობითი ზემოქმედება დამნაშავეზე (განსაკუთრებული პრევენცია).⁵²⁶

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის შეფარდებისას პოზიტიური გენერალური პრევენციის მიზნებია: სანქცირებული ნორმის მოქმედების დადასტურება, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, მისწრაფება საჯარო სიმშვიდისაკენ ბრალის შესაბამისი და სამართლიანი სასჯელის მეშვეობით.⁵²⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი პრევენცია მოქმედებს, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის დროს, ისე სხვა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას. მაგალითად, ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას და ა.შ.

სასჯელის ზოგადი პრევენციული როლი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავისათვის მისი შეფარდება თავისი არსებობის ფაქტითა და გამოყენების შესაძლებლობით დადგებით გვექმნა ახდენს საზოგადოების

⁵²⁴ იხ. ჩ. ბეკარია, დანაშაულისათვის და სასჯელისათვის, ირაკლი ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, 2003, გვ. 70.

⁵²⁵ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 443.

⁵²⁶ იხ. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S.312.

⁵²⁷ იქვე, 425.

მერყევ ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ასპექტში.⁵²⁸

ზოგადი პრევენციის მნიშვნელობაზეა საუბარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაშიც, სადაც გკითხულობთ: „კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯა არის დემონსტრირება, დეკლარირება იმისა, რომ ყველას, ვინც მსგავს ქმედებას ჩაიდენს, ემუქრება იგივე სასჯელი, შედეგად, მას აქვს ერთგვარი წინაღობის ძალა დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ. მაშასადამე, ამა თუ იმ ქმედებისთვის დაწესებულ/კონკრეტულ შემთხვევაში შეფარდებულ სასჯელს აქვს უნარი, შეამციროს როგორც იგივე, ისე სხვა პირების მიერ ამ დანაშაულის ჩადენა.“⁵²⁹

სასჯელის პრაქტიკა გავლენას ახდენს მოსახლეობის ინდივიდუალურ ცნობიერებაზე და ამტკიცებს საერთო საზოგადოებრივი თანაცხოვრების მიღებულ წესებს (ნორმებს).⁵³⁰

სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე. აუცილებელია, რომ დანაშაულებრივ ქცევას გარდაუვლად და ამასთან დროულად, მოჰყვეს სასჯელის დანიშვნა. არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მართალია, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დამნაშავის დასჯისათვის ყველაფერია გაკეთებული. რაც უფრო სრულად იქნება ეს საკითხები მოგვარებული, მით უფრო დიდი პრევენციული ძალა ექნება სასჯელს.⁵³¹

რაც შეეხება სასჯელის სპეციალურ პრევენციას, იგი მთლიანად დამნაშავეზე არის მიმართული. სასჯელის დანიშვნისას აცილებული უნდა იქნეს ახალი დანაშაული დამნაშავის მხრიდან. სპეციალური პრევენცია მოქმედებს ორგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად სპეციალური პრევენცია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს უფრო ეფექტურია. დამნაშავეს ესპობა შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ჩადენისა, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დანაშაულს ჩაიდენს სასჯელადსრულების დაწესებულებაში.

სპეციალური პრევენციის მიზანი მიღწეული იქნება, თუ დასჯილი პირი აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაძლოა, რომ მისი ქცევა არ შეესაბამებოდეს საზოგადოებაში გაბატონებულ თანაცხოვრების წესს, მან ჩაიდინოს სხვა სახის სამართალდარღვევა, მაგრამ ეს რა თქმა უნდა აღარ აღიქმება ორგორც სასჯელის მიზნის მიუღწევლობა.⁵³²

სასჯელის სპეციალური პრევენციის მიზანი გულისხმობს დანაშაულის რეციდივის გამორიცხვის, მინიმალიზების მცდელობას, რაც პრინციპში ძირითადად მიღწეულ უნდა იქნეს დამნაშავის

⁵²⁸ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 31.

⁵²⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 51-ე პუნქტი.

⁵³⁰ იხ. ო. მაჭარაშვილი, დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), აღმანახი, №12, 1999, გვ. 54.

⁵³¹ იხ. ზ. კორძაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი, №8, 1998.

⁵³² იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 34.

რესოციალიზაციით. ამ მხრივ, დანაშაულის სპეციალური პრევენციისა და რესოციალიზაციის მიზნები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.⁵³³

სასამართლო გალდებულია სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება. თუ სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, სასამართლომ შედარებით მკაცრი სასჯელი უნდა დანიშნოს. მაგალითად, პირს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის დაენიშნა არასაპატიმრო სახის სასჯელი, მან კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა დანიშნოს შედარებით მკაცრი სასჯელი, მაგ. თავისუფლების აღკვეთა, რაღაც არასაპატიმრო სასჯელი არაეფექტური აღმოჩნდა.

2.3. სასჯელის დანიშვნა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

სასჯელის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე დეტალურად უკვე ვიმსჯელეთ. ამჯერად სასჯელის აღნიშნული მიზანი ჩვენ გვაინტერესებს სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით. რესოციალიზაციის პროცესი იწყება სასჯელის დანიშვნის მომენტიდან და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც.

რესოციალიზაცია გარკვეულად უკავშირდება სასჯელის ისეთ მიზანს, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა. სამართლიანობის აღდგენის მიზნის განხილვისას აღინიშნა, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება, რაც შემდგომში ხელს შეუშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს უფლება აქვს პირს სასჯელის სახით დაუნიშნოს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სახის სასჯელი. მიმაჩნია, რომ მოსამართლემ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა დანიშნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოსამართლემ უპირატესობა ალტერნატიულ სასჯელებს უნდა მიანიჭოს. ზოგადად ცნობილია, რომ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს. მკაცრმა სასჯელმა შესაძლოა მსჯავრდებული კი არ გამოასწოროს, არამედ გაბოროტებული დააბრუნოს საზოგადოებაში.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მომტანი არ არის. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, განვითარებული უკროპული სახელმწიფოების კრიმინოლოგია აღიარებს,

⁵³³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 50-ე პუნქტი.

რომ მსუბუქი ხასიათის სასჯელს უფრო შეუძლია პიროვნების ქცევის გაუმჯობესება, ვიდრე მკაცრი სახის სასჯელებს, ვინაიდან გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, მსჯავრდებულ ში ფრუსტრაციის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინოს, რაც ხელს უშლის მის (საზოგადოებაში) რესოციალიზაციას.⁵³⁴

ფსიქოლოგების აზრით კი „თუ ადამიანს აქვს განცდა, რომ მას არააღეკვატური სასჯელი შეეფარდა, მასთან ფსიქოლოგიური მუშაობა და რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელდება ძნელდება“.⁵³⁵

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თავისუფლების აღკვეთა ძვირადლირებულ სასჯელს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს პროფ. ოთარ გამყრელიძე. იგი მიუთითებს: სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ძვირი ჯდება, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე და საქმაოდ გავრცელებული სასჯელია. თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელადსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობით აღჭურვას. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია კანონმდებელზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საკითხზე სასამართლომაც უნდა იფიქროს, როცა სასჯელის ზომას განსაზღვრავს განაჩენით.⁵³⁶

სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს ისეთი სახის სასჯელები, როგორიცაა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა, გამასწორებელი სამუშაო და ა.შ. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა დანაშაულისათვის გამოყენებული იქნეს ალტერნატიული სასჯელები. მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის გამოყენება მიზანშეუწოდია.

ალტერნატიული სასჯელის გამოყენება უნდა აიწონ-დაიწონოს და თუ ბრალდებულისადმი ლმობიერების გამოჩენა ზედმეტია, აუცილებელია პატიმრობის მისჯა. კანონმდებლობა გამორიცხავს ალტერნატიული სასჯელის გამოყენებას ზოგიერთი კატეგორიის დამაშავეთა მიმართ. ისეთი მძიმე დანაშაულების შემსრულებელთათვის, რომელთა დაპატიმრება აუცილებელია (კორუფცია, ცრუმოწმეობა), ასევე რეციდივისტების მიმართ.⁵³⁷

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი გარემოებები. მაგალითად, ჯარიმის დანიშვნის დროს მოსამართლემ სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმბიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური

⁵³⁴ იხ. მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 66.

⁵³⁵ იხ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 49.

⁵³⁶ იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013, გვ. 111.

⁵³⁷ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 443-444.

მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე ნაკლები ხოლო თუ კანონი ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას – 500 ლარზე ნაკლები. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა. მიმაჩნია, რომ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენს. მოსამართლე ვალდებულია, ისე როგორც სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრების დროსაც დაიცვას თანაზომიერების პრინციპი. თუ მოსამართლე აღნიშნულს არ გაითვალისწინებს და სასჯელის სახით დანიშნავს ჯარიმას დიდი ოდენობით, აღნიშნული სასჯელი შესაძლოა შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით. რაც, რა თქმა უნდა არ ემსახურება სასჯელის მიზნებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამასთან, ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

ეშირ შემთხვევებში ჯარიმა მოცემულია ყოველთვის სასჯელის ალტერნატიული სახით, ძირითადი სასჯელის ზომასთან ერთად. შტატები ასხვავებენ ერთი და იგივე სახის დანაშაულისათვის სხვადასხვა რაოდენობის ჯარიმებს. ასე მაგალითად ოპაიოში ჯარიმის უმაღლესი ზომაა 10 000 დოლარი, ნიუ-იორქში 5 ათასი დოლარი.⁵³⁸

ვფიქრობ, სასჯელის მიზნების მისაღწევად ძალზედ მნიშვნელოვანია სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთის საუკეთესო ალტერნატივაა, რადგან თავიდან იქნება აცილებული თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური შედეგები და სახელმწიფოს საპატიმრო სასჯელთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები უჯდება.⁵³⁹

რეციდივიზმთან ბრძოლის საკითხში ყურადსაღები დასკვნა კეთდება ამერიკელი მკვლევარების მიერ ალტერნატიული სასჯელის ისეთი სახის გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორიც არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. ჯინჯერ მარტინმა გამოიკვლია არსებული მონაცემები ორეგონის შტატიდან, რომელიც ეხებოდა რეციდივის კოეფიციენტს სასჯელის დანიშვნის ალტერნატიულ ფორმებზე. 1999 წლის იანვრიდან 2001 წლის დეკემბრამდე ციხიდან გამოსული 13,219 პატიმარი ჩართული იყო ამ კვლევაში. მარტინმა აღმოაჩინა, რომ ისეთი საშუალებები, როგორიც არის საზოგადოებრივი მომსახურების პროგრამები, მაგალითად, საზოგადოებისათვის

⁵³⁸ იხ. ო. მაჭარაშვილი, დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), ალმანახი, №12, 1999, გვ. 58.

⁵³⁹ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 693-694.

სასარგებლო შრომა, უფრო იაფი იყო, ვიდრე პატიმრობა და 12 თვის შემდეგ ისინი რეციდივის უფრო დაბალ დონეს აჩვენებდნენ.⁵⁴⁰

მოსამართლემ ალტერნატიული სასჯელებიდან უნდა შეარჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მსჯავრდებულის ჯეროვნად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.⁵⁴¹

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიაჩნიათ, რომ თავისუფლების აღკვეთა აღვივებს და უნარზუნებს დამნაშავეს აგრესიულ ინსტიტებს. საზოგადოებისაგან მუდმივი იზოლაცია, არავითარ შემთხვევაში, არავის ხდის უკეთესეს.⁵⁴²

როგორც ვხედავთ ძალზედ მნიშვნელოვანია აღტერნატიული სასჯელების როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით. შევვცადე, მოკლედ განმეხილა აღტერნატიული სასჯელები სასჯელის მიზნებთან მიმართებით, ვინაიდან აღნიშნულზე დეტალურად უკვე ვიმსჯელეთ.

§3. სასჯელის ინდივიდუალიზაცია

სასჯელის მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის ინდივიდუალიზაციასთან. სასჯელის მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სისხლის სამართალში.

რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნის ძირითად და გადამწყვეტ პრინციპს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი წარმოადგენს.⁵⁴³

o. კარპეტი მიუთითებს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათის და ხარისხის, დამნაშავის პიროვნების, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებას.⁵⁴⁴

პროფ. ბ. ლემეგიშვილი მიუთითებს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდები პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების ზედმიწევნით შესწავლისა და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიების განსაზღვრას. სასჯელის ინდივიდუალიზაცია არა მხოლოდ სამართლიანი სასჯელის დადგენის პრინციპია, არამედ კანონისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნის შესრულების ეფექტიანობის აუცილებელი პირობა. ამიტომაც, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და

⁵⁴⁰ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იმულებითი ღონისძიების შეფარდების პროცედურები, თბილისი, 2011, გვ. 214.

⁵⁴¹ ს. ჭ. პრადელი, „შედარებითი ხისხელის სამართალი (გამტერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 443.

⁵⁴² იხ. ო. მაჭარაშვილი, „დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), ალმანახი, №12, 1999, გვ. 59.

543 ob. , . 1958. . 27.

544 ob. . . ,
1961. 10

სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი.⁵⁴⁵

რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებულ სასჯელის ინდივიდუალიზაციას კანონში და სასჯელის ინდივიდუალიზაციას სასამართლოში. სასჯელის ინდივიდუალიზაცია კანონში - ეს არის სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის ნორმებში გამოხატული დებულებები, რომლებიც აბსტრაქტულ ფორმაში ავალდებულებენ სასამართლოს გაითვალისწინოს ეს დებულებები დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ხოლო, სასჯელის ინდივიდუალიზაცია სასამართლოში - ეს არის ზოგადი და განსაკუთრებულ ნაწილის დებულებების გამოყენება კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, დამნაშავის პიროვნების თავისებურებების და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას.⁵⁴⁶

პროფ. გ. ნაჭეებია მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, თუ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში არ გაითვალისწინებდა პასუხისმგებლობის დიფერენცირებულ ზომებს. ამდენად, პასუხისმგებლობის დიფერენცირებულია და ინდივიდუალიზაცია არსებითად ერთი პრინციპია, რომელიც მიმართულია კანონმდებელზე, ხოლო სასჯელის დანიშვნა, როგორც პრაქტიკული პროცესი, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად განხორციელდება.⁵⁴⁷

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის პიროვნების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით მკაცრად ინდივიდუალიზებული სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.⁵⁴⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში კანონმდებელმა კონკრეტული დანაშაულისათვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი სასჯელი. ხოლო შემდგომ, სასამართლომ კონკრეტული დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით დანიშნოს აღეკვატური სასჯელი. არ შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს ერთნაირი სასჯელები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი (განსაცდელში მიტოვება) და 129-ე მუხლი (დაუხმარებლობა) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. მაშინ, როდესაც განსაცდელში მიტოვება უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე დაუხმარებლობა. განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავეს აკისრია

⁵⁴⁵ იხ. გ. ლევანიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43),14 გვ. 27.

⁵⁴⁶ იხ. . . , , , , , 1961, .12.

⁵⁴⁷ იხ. გ. ნაჭეებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998, გვ. 139.

⁵⁴⁸ იხ. გ. ლევანიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიტერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 210.

სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, მაშინ როდესაც დაუხმარებლობის დროს ასეთი ვალდებულება არ არსებობს. ამდენად, არ შეიძლება ზემოაღნიშნული დანაშაულები ერთნაირი სასჯელით ისჯებოდეს. უფრო მეტიც, განსაცდელში მიტოვება თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ასევე ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ხოლო დაუხმარებლობა კი – გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. განსაცდელში მიტოვება უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე დაუხმარებლობა, ხოლო კანონმდებლობით კი სასჯელები პირიქით არის განსაზღვრული, რაც შესწორებას საჭიროებს.

გ. კრიზერი მიუთოთებს, რომ სასჯელის დანიშვნისას აუცილებელია, სასამართლომ განსაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და ხარისხს, აგრეთვე გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება.⁵⁴⁹

ამდენად, ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღზრდის პროცესება სწორად ვერ გადაწყვდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.⁵⁵⁰

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს განსასჯელისათვის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების შესაბამისი სამართლიანი სასჯელის დანიშვნას, ამასთან ისეთი სასჯელის დანიშვნას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.⁵⁵¹

როგორც ვხედავთ, სასჯელის დანიშვნის დროს ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი დამნაშავის პიროვნება. სასჯელის დანიშვნის დროს პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებაზე მართებულად მსჯელობს პროფ. **ირაკლი დვალიძე**.

სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, ბრალზე აგებული სისხლის სამართლის ფარგლებში, აუცილებელ წინაპირობად გულისხმობს დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის დეტალურ ანალიზს, რომელიც იძლევა პიროვნების შინაგანი სამყაროს შესახებ საერთო სურათს ანუ მის დირექულებით ორიენტაციებს, მიღრეკილებებს, ტემპერამენტს, ინტერესებს და მოტივაციის სხვა სუბიექტურ ფაქტორებს ნათელი ეფინება.⁵⁵²

თუკი დანაშაულის ჩადენამდე ადამიანი ყოფმანობდა, ეს შეიძლება მიუთითებდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში მის სუსტ

⁵⁴⁹ ob. . . , , 1962, . 27.

⁵⁵⁰ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭელია, ი. დაბადიძე), თბილისი, 2007, გვ. 30.

⁵⁵² ი. ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კალიფიკაციასა და სისხლისამართლებრივ პაციენტების მდგრადი დობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 132.

ნებისყოფაზე, რაც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის არც ისე უმნიშვნელოა საზოგადოების ზნეობრივი და სამართლებრივი დირექტულებანი. ამიტომ სასჯელიც შედარებით ლმობიერი უნდა დაინიშნოს.⁵⁵³

სასჯელის კონკრეტული ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ, კანონიერების პრინციპთან ერთად, უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით. სასამართლოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ კანონის მოთხოვნას სასჯელის დანიშვნისადმი მკაცრად ინდივიდუალური მიდგომის შესახებ, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის პიროვნებას. სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს დამნაშავის პიროვნება, მისი ინდივიდუალური თვისებები და თავისებურებანი, მორალური სახე, წარსული საქმიანობა.⁵⁵⁴

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, თითოეული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, დიფერენცირებულია სასჯელი. სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც წესი, თავიდანაა აცილებული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ხოლო, მთელ რიგ შემთხვევებში დაწესებულია სასჯელის მაქსიმუმი ამავე დანაშაულისათვის იქვე სასჯელის მინიმალური ზომის განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული სასამართლოს საშუალებას აძლევს შეარჩიოს არა მარტო სასჯელის ყველაზე ოპტიმალური სახე, არამედ კანონის ფარგლებში სასჯელის მინიმალური ზღვარიც განსაზღვროს⁵⁵⁵.

მაგალითად, თუ რომელიმე კონკრეტული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხ წლამდე ვადით, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს სასჯელი ექვსი თვიდან ოთხ წლამდე. ამ შემთხვევაში, სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს სასჯელს, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ზოგჯერ ირდვევა. ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლის (ცივი იარაღის ტარება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვის ვადით. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2006⁶ მუხლის (სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების ნიშნის მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ისჯება ექვს თვეში ვადით. მაშინ, როდესაც სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ერთმანეთს ემთხვევა (6 თვე). საყოველთაოდ ცნობილია, რომ

⁵⁵³ იხ. ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 136.

⁵⁵⁴ იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ავტორთა

კოდემპტივი, რედ. თ. წერეთელი, გ. ტექშელიაძე, თბილისი, 1976, გვ. 211-213.

⁵⁵⁵ იხ. გ. ნაჭელია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 99-100.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები მიუღებელია სისხლის სამართლისათვის, ვინაიდან აღნიშნული სანქციები წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალიზაცია სწორედ იმას გულისხმობს, რომ მოსამართლემ კანონით დადგენილი სასჯელის ფარგლებში ისეთი სახის სასჯელი უნდა შეარჩიოს, რომელიც შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადგნილ დანაშაულის სიმძიმეს. ზემოაღნიშნული მუხლების სანქციები კი ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. მაგალითად, ორმა ადამიანმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის მე-2006⁵⁵⁶ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (აღნიშნული სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). ერთის მიმართ არსებობს შემამსუბუქებელი, ხოლო მეორის მიმართ კი დამამძიმებელი გარემოებები. მოსამართლე იძულებულია ორივე დამნაშავეს ერთნაირი სასჯელი დაუნიშნოს, ვინაიდან კანონმდებლობა არ აძლევს სხვა საშუალებას. ვფიქრობ, მოსამართლეს უნდა პქონდეს სრული შესაძლებლობა სასჯელი დანიშნოს თავისი შეხედულებისამებრ.

პროფ. ი. დვალიძე მართებულად მიუთითებს, რომ წარმოუდგენელია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, თუ სისხლის სამართლის კანონი ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის მოსამართლეს საშუალებას არ მისცემს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სასჯელი. ბუნებრივია, აქ კანონმდებლის ნებას, ანუ მის მიერ დადგენილ ფარგლებს სასჯელის დანიშვნის საკითხები საბაზისო მნიშვნელობა ენიჭება.⁵⁵⁶

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის ფარგლებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. **დრერის, ბრუნსისა** და სხვათა მოსაზრებით სასჯელის ფარგლებში იგულისხმება საშუალო სასჯელი (არითმეტიკული განსაზღვრებით).⁵⁵⁷

საინტერესოა **გიდალის** შეხედულება დანაშაულისა და სასჯელის პროპორციის შესახებ. „სასჯელისა და დამნაშავის პასუხისმგებლობის პროპორციის დადგენის საქმე კანონმდებელმა, რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს დამნაშავის ხასიათი და პიროვნება, უნდა გადასცეს მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულად შეაფასოს დასჯადობის აღნიშნული საწყისები. მაშასადამე, აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ნება დართოს მოსამართლეს შეცვალოს სასჯელი ცალკეული დანაშაულისათვის. ამ მიზნით არის დაწესებული სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი, რომლის ფარგლებში მოსამართლეს შეუძლია იმოძრაოს და შეუფარდოს სასჯელი მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებულების შესაბამისად.“⁵⁵⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები

⁵⁵⁶ ი. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 72.

⁵⁵⁷ ი. ი. ი. Montenbruck, Strafrahmen und Strafzumessung, Berlin, 1983, S. 30.

⁵⁵⁸ ალ. ვაჩევშვილი, სასჯელი და ხოციალური დაცვის დონისმიერანი, თბილისი, 1960, გვ. 92.

სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი წინამდებარები მოდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. თუ მხარეებს შორის არ არის დადებული საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს არა აქვს უფლება დანიშნოს მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი. ვფიქრობ, რომ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელის დანიშნება შესაძლებელი არ უნდა იყოს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების დროს. აღნიშნული საკითხი, სასამართლომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

პროფ. გ. ტურავას აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ასუსტებს მოსამართლის პროცესუალურ-სამართლებრივ მდგომარეობას სასჯელის დანიშნის დროს და აძლიერებს პროკურორის პოზიციას სისხლის სამართლის პროცესში⁵⁵⁹.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები (ზოგიერთი გამონაკლისების გარდა, რაც შესწორებას მოითხოვს). უმრავლეს ნორმებში მოცემულია სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურ განხორციელებას. მაგალითად, ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა სხვადახვა სახის სასჯელი დანიშნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო დროს შესული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ერთგვარად შეიზღუდა მოსამართლის თავისუფლება სასჯელის ზომის განსაზღვრისას. აღნიშნული განპირობებულია, იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სანქციის მინიმალურმა ზღვარმა მაღლა აიწია, ხოლო მაქსიმალურმა ზღვარმა კი პირიქით, დაბლა დაიწია, რამაც მოსამართლე გარკვეულწილად შებოჭა სასჯელის ზომის განსაზღვრაში. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ასევე ისეთი ნორმებიც, სადაც სასჯელის მინიმალური ზღვარი იზრდება, ხოლო მაქსიმალური ზღვარი მცირდება უმნიშვნელოდ. მიმაჩნია, რომ აღნიშნულიც ხელს უშლის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებას.

მაგალითად, სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის (სსკ 116-ე მუხლის პირველი ნაწილი) სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით. 2006 წლის 28 აპრილს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის (სსკ 116-ე მუხლის პირველი ნაწილი) სასჯელის სახით გათვალისწინებული იქნა თავისუფლების აღკვეთა ორიდან ოთხ წლამდე. როგორც ვხედავთ სასჯელის მინიმალურმა ზღვარმა აიწია 6 თვიდან 2 წლამდე, ხოლო მაქსიმალურმა ზღვარმა დაიწია 5 დან 4 წლამდე. თუ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოსამართლეს უფლება ჰქონდა დაენიშნა ექვსი თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, დღეს მოქმედი კოდექსით მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს ორიდან

⁵⁵⁹ იხ. გ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 295.

ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. როგორც ვხედავთ სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი დაუახლოვდა ერთმანეთს. ვფიქრობ, აღნიშნული ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

მოსამართლის თავისუფლება შეზღუდა აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის შედგენილმა სახელმძღვანელო რეკომენდაციებმა და წინადაღებებმა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. მაგ. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი:

1) გასათვალისწინებელი გარემოებების გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლის ვადით. 2) ითანამშრომლა გამოძიებასთან ისჯება ჯარიმით 1000 ლარი და ა.შ.⁵⁶⁰

მიმაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სასჯელის მიზნები, მოსამართლეს უნდა მიეცეს ფართო არჩევანი სასჯელის დანიშვნის დროს. სასჯელის დანიშვნის დროს გამოიყენება შემდეგი პრინციპები: ინდივიდუალიზაციის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის პრინციპები და ა.შ სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ხორციელდება პირველ რიგში კანონმდებლობაში პასუხისმგებლობის დიფერენციაციის გზით, ხოლო შემდეგ სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნული რეკომენდაციები წინააღმდეგობაში მოდის ამ პრინციპთან, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს დამნაშავის პიროვნულ მახასიათებლებს. მაგალითად, ორი ერთი და იგივე სიმძიმის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მოსამართლემ შესაძლოა ერთნაირი სასჯელი დანიშნოს. მაშინ, როდესაც, თითოეული პიროვნების გათვალისწინებით, შესაძლოა განსხვავებული სასჯელი დაინიშნოს.

„ბრალზე ორიენტირებულობა“ მარტოოდენ არ ნიშნავს, რომ პიროვნებამ პასუხი ქმედების ბრალეულად ჩადენისათვის უნდა აგოს, არამედ, ასევე ნიშნავს, რომ სასჯელი უნდა განისაზღვროს ბრალის ხარისხის შესაბამისად. აღნიშნულისგან განსხვავებით, სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადაღებები („გაიდლაინები“) ორიენტირებულია მხოლოდ ობიექტურ გარემოებებზე. „გაიდლაინები“ სასჯელის შეფარდების დროს ითვალისწინებს მხოლოდ ქმედების უმართლობაზე ორიენტირებულ სასჯელს. „გაიდლაინების“ ერთ-ერთ ძირითად უარყოფით მხარეებ მიჩნეულია, რომ მასში სასჯელის განსაზღვრის მასშტაბებს მხოლოდ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება და არა პიროვნება და მისი ბრალის ხარისხი წარმოადგენს.⁵⁶¹

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო წინადაღებებსა და რეკომენდაციებს აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. აღნიშნული რეკომენდაციების დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი ხელს უწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, თუმცა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს ეწინააღმდეგება.

⁵⁶⁰ იხ. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადაღებები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 18.

⁵⁶¹ იხ. გ. თუმცანიშვილი, „გაიდლაინების“ მართლმსაჯულების სისტემაში გამოყენების საკითხისათვის, მართლმსაჯულება და კანონი, №3, 2010, გვ. 69-70.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი მიმართულია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ. იმისათვის, რომ ყველა მსჯავრდებულს მიესაჯოს სამართლიანი, ჰუმანური სასჯელი, მოსამართლემ უნდა შეარჩიოს არც ძალიან მკაცრი და არც ძალიან მსუბუქი სასჯელი, ვინაიდან არც ერთ შემთხვევაში სასჯელი ვერ მიაღწევს იმ მიზანს, რასაც ისახავს კანონმდებელი.⁵⁶²

სასჯელის ინდივიდუალიზაცია საქმაოდ მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის არსი განსაზღვრულია თვით სასჯელის მიზნებით. თუ სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაშინ, გასაგებია, რომ სასჯელისაგან უნდა მივიღოთ პრაქტიკული სარგებლიანობის მაქსიმუმი – აღვადგინოთ დარღვეული სამართლიანობა, მივაღწიოთ დანაშაულთა თავიდან აცილებას როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ, გამოვალვიძოთ ან აღვზარდოთ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული აღსდგეს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში და სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში.⁵⁶³

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი მართლაც, რომ უმნიშვნელოვანები პრინციპია სისხლის სამართალში. სასამართლომ სასჯელი უნდა დანიშნოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი არ იქნება სამართლიანი და სასჯელის მიზნებიც მიუღწეველი დარჩება.

⁵⁶² . . . , . . . , 1961, -21

⁵⁶³ იხ. გ. ნაჭეულია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 100-101.

თავი VIII.

სასჯელის აღსრულება და ეფექტურობა

§1. სასჯელის აღსრულების თავისებურებანი რესოციალიზაციასთან კავშირში

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულების პრობლემა. სასამართლომ შეიძლება დანიშნოს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სახის სასჯელი. რესოციალიზაციასთან მიმართებით შედარებით პრობლემურია თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების აღსრულების თავისებურებანი. ამიტომ, ძირითადად აღნიშნულ საკითხს შევეხებით.

პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, პუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის აღსრულება წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლისა და კონტროლის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია რესოციალიზაცია, რეციდივის თავიდან აცილება და საზოგადოების დაცვა.⁵⁶⁴

სასჯელის აღსრულებისას მნიშვნელოვანს როლს თამაშობს დანაშაულის სიმძიმე. რაც უფრო მძიმეა ქმედება, მით უფრო გვიან იწყება რესოციალიზაციის პროცესი.⁵⁶⁵

სასჯელის აღსრულებამ, პირველ რიგში დამნაშავეები უნდა გამოასწოროს. რაც ნიშნავს შრომისმოყვარეობის იძულებას, წესრიგისა და დისციპლინის დაცვას, რათა ისინი სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებისათვის საფრთხეს ადარ წარმოადგენდნენ.⁵⁶⁶

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის აღსრულების განსაკუთრებულ მიზნად მიიჩნია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.⁵⁶⁷

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის აღსრულების მთავარი მიზანია მსჯავრდებული დაბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობაში, ასევე გათავისუფლების შემდეგ წარმართოს თავისი ცხოვრება სასჯელის გარეშე.⁵⁶⁸

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთი

⁵⁶⁴ ი. S. Schmidt, Resozialisierung und Strafvollzug. Theoretische Überlegungen und empirische Untersuchung zu Sanktionseinstellungen in der Öffentlichkeit, 2007, S. 3

⁵⁶⁵ ი. N. Lange, Resozialisierung im Gefängnis, Hauptseminararbeit, Germany, 2000, S. 4.

⁵⁶⁶ ი. D. Schauz, Strafen als moralische Besserung. Eine Geschichte der Straffälligenfürsorge 1777-1933, München, 2008, S. 380

⁵⁶⁷ ი. J. Hillebrand, Organisation und Ausgestaltung der Gefangenearbeit in Deutschland, Godesberg, 2009, S. 18.

⁵⁶⁸ ი. G. Sakalauskas, Strafvollzug in Litauen. Kriminalpolitische Hintergründe, rechtliche Regelungen, Reformen, Praxis und Perspektiven, Godesberg, 2006, S. 136.

საშუალებაა სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად. პირველ რიგში აქ იგულისხმება, სასჯელის მოხდა განხორციელდეს ეროვნული, თუ საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. სასჯელის აღსრულებისას ზედმიწევნით უნდა შესრულდეს კანონმდებლობის მოთხოვნები, რათა განხორციელდეს სასჯელის უმთავრესი მიზანი – მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. უპირველეს ყოვლისა, დაცული უნდა იქნეს მსჯავრდებულთა უფლებები, რაც მათ კანონმდებლობით გააჩნიათ.

მითუმეტეს, სასჯელის აღსრულების პროცესში არ უნდა იქნას დაშვებული შეცდომები. იმისათვის, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული დაუბრუნდეს საზოგადოებას და მოხდეს მისი ხელახალი ჩართვა საზოგადოებაში, საჭიროა სასჯელის აღსრულება მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სასჯელის აღსრულება ნიშნავს არა მხოლოდ თავისუფლების ადგენტასა და ადამიანის ჩამწყვდევას საპყრობილები თუ სხვა სასჯელადსრულებით დაწესებულებაში, ასევე ის შეიძლება გამოიხატოს ზედამედველობაში, მსჯავრდებულის მეთვალყურეობაში, მის კონსულტირებაში და მისდამი მოპყრობაში.⁵⁶⁹

სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია მსჯავრდებულებთან არაჟუმანური და სასტიკი მოპყრობა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება.“ როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრძალავს ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას და მისი ღირსების დამცირებას. ფიზიკური სასჯელები საქართველოში აკრძალულია.

არანაირ ვითარებაში და არასოდეს შეიძლება გამართლდეს წამება, სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. აქ არ შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი.⁵⁷⁰

პროფ. გურამ ნაჭეუბია მართებულად მიუთითებს, რომ მართალია, სასჯელი მსჯავრდებულში იწვევს მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რაც სასჯელის ობიექტური ნიშანია და არა მისი მიზანი. დაუშვებელია დანაშაულის ჩამდენი პირის ღირსების დამცირება. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, ამორალური აქტიცაა და, მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირის მორალური ღირსება იმდენად შელახულია, რომ მას ზედ დაემატოს მისი ღირსების შემლახველი ქმედებანი. მართალია პრაქტიკაში იშვიათი არ არის უბორობესი დანაშაული, რომელიც ყველა ნორმალური ადამიანის უკიდურეს აღშფოთებას იწვევდეს, რის გამოც ძნელია თავის შეკავება და ამგვარი პირებისადმი პუმანური დამოკიდებულების შენარჩუნება. მაგრამ, როგორც თ. ღოსტოვესკი იტყოდა, ადამიანურ მოპყრობას შეუძლია შემოაბრუნოს

⁵⁶⁹ იხ. თ. ფარცენაძე, თავისუფლების ადგენტის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ. 61.

⁵⁷⁰ იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 36.

დგომის პირიდან გადავარდნილიც კი. ამ თვალსაზრისით ისიც შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს გამოუსწორებელი „დამნაშავე“, ყოველთვის უნდა დავიტოვოთ იმის იმედი, რომ მსჯავრდებული გამოსწორდება.⁵⁷¹

ამდენად, სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია ადამიანის ღირსების დამცირება და არაადამიანური მოპყრობა. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზნები და პრაქტიკაში რეალიზებულ იქნეს, ამისათვის სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია მსჯავრდებულის მიმართ არაჰუმანური მეთოდების გამოყენება.

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება.

თანამედროვე სასჯელაღსრულების რეჟიმის მიზანია მოახდინოს პატიმრის რეაბილიტაცია.

პატიმრობის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა, რომლის მიზანია:

ა) მსჯავრდებულში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;

ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა;

გ) მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება;

დ) მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის;

ე) სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას.

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, არასრულწლოვანი პატიმრების საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსება სირთულეს წარმოადგენს, რისი მიზეზიც არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებების სიმცირე წარმოადგენს. საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო დაწესებულება განკუთვნილი მსჯავრდებული არასრულწლოვანი ვაჟებისთვის (ქ. თბილისის №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, ლიმიტით 160 მსჯავრდებულზე). არასრულწლოვანი მსჯავრდებული გოგონები განთავსებული არიან ქ. რუსთავის №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოქმედ იზოლირებულ განყოფილებაში.⁵⁷²

1980-იან და 1990-იან წლებში ჩატარდა უამრავი მეტაანალიზი. მიღებული შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების გამოყენებით განმეორებითი

⁵⁷¹ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, ი. დვალიძე) თბილისი, 2007, გვ. 36.

⁵⁷² იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქაელეგ, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართლი, თბილისი, 2014, გვ. 352-353.

კანონსაწინააღმდეგო ქმედებების რისკი შესაძლებელია შემცირდეს 10-12%-მდე.⁵⁷³

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც უნდა დაეხმაროს პატიმრებს უსაფრთხო გათავისუფლებასა და მათი საკანში ყოფნის დროს პატიმრობის დროის საუკეთესოდ გამოყენებაში. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს სასჯელის შესრულების პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის ღონისძიებებს და მათი განხორციელების გეგმას.⁵⁷⁴

სასჯელის აღსრულებისას რესოციალიზაციის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მსჯავრდებულთა შრომა და განათლების მიღება. ჩვენ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა განათლებისა და დასაქმების მნიშვნელობაზე. ამიტომ აღნიშნულ საკითხს აღარ გავიძორებთ.

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისას მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობაზეც გავამახვილეთ ყურადღება. ამიტომ აღნიშნულ საკითხზეც ადარ შევჩერდებით.

თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მაჩვენებელთა მიხედვით, როგორებიცაა: სასჯელადსრულებითი დაწესებულების რეჟიმის განუხელი რეალიზაცია; მსჯავრდებულთა მიერ რეჟიმის მოთხოვნების დაცვა; მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზება; მათი შრომისადმი დამოკიდებულება; მსჯავრდებულთა განათლება; პროფესიული მომზადება და ა.შ.⁵⁷⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის აღსრულებას კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის მიზნების განხორციელებაში.

⁵⁷³ იხ. მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 182.

⁵⁷⁴ იქვე, გვ. 181-183.

⁵⁷⁵ იხ. ო. ფარეჯნაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ. 179.

§2. სასჯელის ეფექტურობა

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის ეფექტურობის საკითხი. სასჯელის ეფექტურობა ნიშნავს სასჯელის მიზნების რეალურ განხორციელებას.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ასპექტი არსებობს. ასე მაგალითად, პროფესორი **იაკოვლევი** წერდა სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობის შესახებ. **შარგოროდსკი**, სასჯელის გამოყენების ეფექტურობის შესახებ, ხოლო **ნატაშევი** და **სტრუჩკოვი** სწავლობდნენ დანაშაულთან ბრძოლაში, სისხლისსამართლებრივი ზომების გამოყენების ეფექტურობის პრობლემებს.⁵⁷⁶

პროფ. **შოთა ფაფიაშვილი** აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობასა და სასჯელის ეფექტურობას. **გავეროვის** აზრით: „სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობა - უფრო ფართო გაგებას გულისხმობს, ვიდრე სასჯელის ეფექტურობა.“ მეცნიერთა ნაწილის - **იაკოვლევის**, **შმაროვის**, **ნატაშევის** და სხვათა აზრით, სასჯელის ეფექტურობაში იგულისხმება საზოგადოების უსაფრთხოების რეალური უზრუნველყოფის ხარისხი, სასჯელის მიზნების რეალური განხორციელება. **შარგოროდსკის** აზრით, სასჯელის ეფექტურობა პირველ რიგში უნდა განისაზღვროს კანონმდებლობისა და საზოგადოების პროგრესული განვითარების ობიექტურ კანონზომიერებების შესაბამისობით და ერთადერთ რეალურ კრიტერიუმს სასჯელის ეფექტურობის შესაფასებლად წარმოადგენს დანაშაულის დინამიკას.⁵⁷⁷

სასჯელის ეფექტიანობის ცნება ნიშნავს მისი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტს, რომელიც გამომდინარეობს, კანონით გათვალისწინებული, სასჯელის მიზნების მიღწევის საერთო კოეფიციენტიდან.⁵⁷⁸

სასჯელის ეფექტურობა, პირველ რიგში, გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მისი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მომავალში დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას.⁵⁷⁹

პროფ. **შოთა ფაფიაშვილი** მიუთითებს, რომ სასჯელის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, მის პრაქტიკულ გამოყენებაში, მისი მიზნების მიღწევაში უნდა ვეძოოთ. კანონით დადგენილი სასჯელის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალურ, პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს იგი და როგორია მისი შედეგები დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ამასთან, სადაო არაა,

⁵⁷⁶ იბ. ო. ფარგენაძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათუმი, 1998, გვ. 59.

⁵⁷⁷ იბ. . , 1983, -27-28.

⁵⁷⁸ იბ. ო. ფარგენაძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათუმი, 1998, გვ. 60.

⁵⁷⁹ იბ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, აგზორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭელია, ნ. ორდუა, 2016, გვ. 456.

რომ კანონით დადგენილი ერთი და იგივე სასჯელი ერთი და იმავე სახის დანაშაულისათვის ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ იგი პრაქტიკაში სწორად, ობიექტურად გამოიყენება და შეესაბამება საზოგადოების პროგრესულ, კანონზომიერ განვითარებას. მეორე შემთხვევაში კი მან შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოახდინოს, როგორც თვით მსჯავრდებულის აღზრდაზე, ისე საზოგადოების დანარჩენ წევრებზე, თუკი სასამართლო დამნაშავე პირს არასწორად და დაუსაბუთებლად უზომოდ მკაცრად ან მეტად ლმობიერად დასჯის და არ დაიცავს სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.⁵⁸⁰

სასჯელის ეფექტურობაზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები:

1. სისხლის სამართლებრივი აქრძალვის შესაბამისობა იმ ობიექტურ კანონზომიერებებთან, რომლებიც საზოგადოებაში მოქმედებს;
2. სისხლისსამართლებრივი პრინციპის დაცვა; 3. სასჯელის გარდაუგალობა, რომელიც დანაშაულთა გახსნის ხარისხით, დანაშაულის ჩადენასა და სასჯელის დანიშვნას შორის უმოკლესი ვადის უზრუნველყოფით განისაზღვრება; 4. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სტაბილურობით, რაც, როგორც სისხლის სამართლებრივი კანონის, ასევე სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობაში მდგომარეობს;
5. სასამართლო პრაქტიკის საზოგადოებრივ აზრთან შესაბამისობა, რაც, პირველ რიგში, განაჩენის სამართლიანობაზე, საზოგადოებრივი აზრის განაჩენის შესახებ ინფორმირებულობაზეა დამოკიდებული.⁵⁸¹

სასჯელის ეფექტურობის განსაზღვრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია რეციდივის რისკის შეფასება. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ არ ფიქსირდება ყოფილი მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევები, სასჯელი ეფექტიანად უნდა ჩაითვალოს.

2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული მსჯავრდებულების და ყოფილი მსჯავრდებულების გამოკითხვის ანგარიშში მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის“ დოკუმენტში არ არსებობს ინფორმაცია დანაშაულის რეციდივის, ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. ამიტომ ერთადერთი წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, არის გამოკითხვის შედეგები. თუმცა შესაძლოა რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალიც იყოს. გამოკითხულთა 77,1% პირველად იხდიდა სასჯელს საპატიმროში, მეორედ და მეტჯერ საპატიმროში მოხვდა რესპონდენტების 22,9%.

გამოვლინდა კავშირი საპატიმროში ხელმეორედ დაბრუნებასა და დასაქმების სტატუსს შორის. მათ შორის ვინც განმეორებით მოხვდა საპატიმროში, თითქმის ორჯერ მეტი იყო დაუსაქმებელი, ვიდრე დასაქმებული. ცხადია დანაშაულის რეციდივზე სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებს, თუმცა დაუსაქმებლობის ფაქტორის გავლენაც ნათელია.⁵⁸²

⁵⁸⁰ იბ. შ. ფაფიაშვილი, სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, სამართალი, 1995, №3-4, გვ. 48.

⁵⁸¹ იბ. ზ. კორძაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, ალმანახი, №8, 1998

⁵⁸² იბ. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი,
ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 14-15

რეციდიულ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემებით შესაძლებელია გაკეთდეს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ სასჯელმა ვერ აარიდა, ვერ შეაკავა პიროვნება, რომელმაც ადრე მოიხადა სასჯელი, ახალი დანაშაულის ჩადენისაგან. დღესდღეობით ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის გამოყენება იყო არაეფექტური, რადგანაც კანონით განსაზღვრული სასჯელის ზოგიერთი მიზანი მიღწეულია. ასე მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის მოხდის დროს მიღწევა, კანონმორჩილ პირებისადმი, სასჯელის დამაშინებელი ზემოქმედების მიზანი და ამით მტკიცდება მისი გარდაუვალობის პრინციპი. საზოგადოების უშიშროება უზრუნველყოფილია იმ დროით მაინც, რა დროითაც დამნაშავე იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ე.ო. იზოლირებულია საზოგადოებისაგან.⁵⁸³

სასჯელის უფექტურობა საერთოდ სოციოლოგიური საკითხია და აღნიშნულ პრობლემაზე დეტალური მსჯელობა სცილდება დისერტაციის ფარგლებს.

⁵⁸³ ი.ო. ფარგენაძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათუმი, 1998, გვ. 60-61.

თავი IX.

არასრულწლოვნის სასჯელი

§1. არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან და სასჯელთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსი (2015 წლის 12 ივნისი), ზემოაღნიშნული საკითხები აღარ გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ისინი გადატანილი იქნა არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსში, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა არასრულწლოვნითა სასჯელის მიზნები. სანამ უშუალოდ არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებზე გავამახვილებ ყურადღებას, მინდა ზოგადად მიმოვისილო არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი.

არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვნი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

2008 წლიდან 2010 წლამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოქმედებდა ნორმა, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი დანაშაულისათვის განისაზღვრებოდა 12 წლის ასაკიდან. უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნი 14 დან 18 წლამდე და მითუმეტეს 12 წლის ბავშვი ბიოლოგიური, თუ ზნეობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, შესაბამისად 12 წლიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება და სასჯელის გამოყენება, განსაკუთრებით კი თავისუფლების აღკვეთის შერჩევა მიზანშეუწოდად უნდა ჩაითვალოს. ამდენად, აღნიშნული ნორმის გაუქმება დადებითად უნდა შეფასდეს.

არასრულწლოვნის ასაკი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ძალიან რთულია ზუსტად იმის დადგენა, თუ რა ასაკიდან შეუძლია მოზარდს გააცნობიეროს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ზოგიერთი 13 წლის მოზარდი შესაძლებელია ძალიან კარგად აცნობიერებდეს თავის ქმედებას, ხოლო ზოგიერთი 14 წლის კი ვერ აცნობიერებდეს. ამასთან, 17 წლის ახალგაზრდა შესაძლებელია იყოს ჩამოყალიბებული ბუნებრივი თუ ზნეობრივი თვალსაზრისით, ხოლო 18 წლის კი არ იყოს ასეთი. აღნიშნული ინდივიდუალურია და დამოკიდებულია პიროვნებაზე. თუმცა, კანონმდებელმა უნდა დაადგინოს ის პერიოდი (მინიმალური და მაქსიმალური ასაკი), რა დროსაც შეიძლება ჩაითვალოს მოზარდი არასრულწლოვნად. რაც გამორიცხავს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციას არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

დიდი ხანია ფსიქოლოგებმა და ექიმებმა შენიშნეს, რომ 18 წლის ასაკის სუბიექტი ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი. სრულასაკოვანი

პიროვნების ჩამოყალიბება ხდება ოცდაორი, ზოგჯერ ოცდახუთი წლისთვის. მოზრდილებისათვის განკუთვნილი სასჯელი უნდა განსხვავდებოდეს უფროსების სასჯელისაგან ან წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს არასრულწლოვანთა და უფროსების სასჯელებს შორის. ასე შეიქმნა კანონმდებლობაში მოზრდილის კონცეფცია. მაგალითად მოზრდილი საფრანგეთის, ნიდერლანდების, გერმანიის და ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, არის 18 დან 21 წლამდე ახალგაზრდა. პორტუგალიაში მიღებულია ზღვარი 16 დან 21 წლამდე, შვეიცარიაში 18 დან 25 წლამდე. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 77 პუნქტის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული სასჯელი შეუფარდოს მოზრდილს, თუ ეს გამართლებულია მისი პიროვნების გათვალისწინებით⁵⁸⁴. მიმართ, რომ ვინაიდან ადამიანის ჩამოყალიბება არ სრულდება 18 წლის ასაკში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მოზრდილის ცნება. მაგალითად, მოზრდილად შეიძლება ჩაითვალოს 18 დან 21 წლამდე პირი, რომელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავებული იქნება სრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული კი იქნება შეუალედური რგოლი არასრულწლოვნებსა და სრულწლოვნებს შორის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების მიმართ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით და ასევე განრიდების გამოყენებასთან მიმართებით.

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის თავისებურებანი განსხვავდება სრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან მთელი რიგი გარემოებებით. მაგალითად, თუ სრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, არასრულწლოვნისათვის აღნიშნული სასჯელის გამოყენება დაუმვებელია. არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 12 წელზე მეტი ვადით და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე პუნქტის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სასჯელის ზემოაღნიშნული მიზნები ეხებოდა როგორც სრულწლოვნებს, ისე არასრულწლოვნებს. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (ძირითადი ნაწილი), რომელმაც ახლებურად ჩამოაყალიბა არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე პუნქტის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.⁵⁸⁵

⁵⁸⁴ იხ. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 485.

⁵⁸⁵ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.

სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი (სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი), აღარ გვხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ვფიქრობ, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სამართლიანობის აღდგენა ხშირად გაიგივებულია სამაგიეროს მიზღვასთან. ხოლო სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება იყოს სასჯელის მიზანი, მითუმეტეს, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება. ამასთან, შეიცვალა სასჯელის მიზნების რიგითობაც. თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის პირველ მიზნად გათვალისწინებულია სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს დამნაშავის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან რესოციალიზაცია სასჯელის უმთავრესი მიზანია, როგორც არასრულწლოვნებთან, ისე სრულწლოვნებთან მიმართებით. თუ არ განხორციელდა მსჯავრდებულის (ეს იქნება სრულწლოვანი, თუ არასრულწლოვანი) რესოციალიზაცია, სასჯელის დანარჩენ მიზნებს აზრი ეკარგება. მაგალითად, თუ ყოფილმა მსჯავრდებულმა დანაშაული კვლავ ჩაიდინა, ანუ ვერ იქნა მიღწეული მისი გამოსწორება, შესაბამისად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების (სპეციალური პრევენცია) მიზანიც მიუღწეველი დარჩება.

1.1. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის უმთავრესი მიზანი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცნებას იძლევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი, რომლის თანახმადაც, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

განსხვავებით ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისგან, რომელიც მიმართულია როგორც არასრულწლოვანი მსჯავრდებულის, ისე სხვა არასრულწლოვნების მიმართ, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია კი მიმართულია მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ. რესოციალიზაციის პროცესი იწყება არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის დანიშვნის მოქმედიდან. მიმაჩნია, რომ სასჯელის აღნიშნული მიზანი უკელაზე მნიშვნელოვანია სასჯელის სხვა მიზნებთან შედარებით, განსაკუთრებით

არასრულწლოვნებთან მიმართებაში. არასრულწლოვნისათვის
დანიშნული სასჯელი ორიენტირებული უნდა იყოს მის
რესოციალიზაციაზე. თუ მიღწეული იქნება არასრულწლოვნის
რესოციალიზაცია, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენაც
გამოირიცხება. შესაბამისად, რესოციალიზაცია არასრულწლოვნის
სასჯელის უმთავრეს მიზნად უნდა ჩაითვალოს.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია,
რომ არასრულწლოვნისათვის სასჯელი პირველ რიგში ემსახურება არა
ბრალთან გათანაბრებას, არამედ აღზრდას. ამასთან, აღნიშნული
სასჯელი უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული.⁵⁸⁶

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა
არასრულწლოვნისათვის სისხლის სამართლში აღზრდის უპირატესობაზე.
გერმანულ სისხლის სამართლში საუბარია არასრულწლოვნის
აღზრდაზე, ხოლო ზრდასრულების – დასჯაზე.⁵⁸⁷

არასრულწლოვნისათვის სისხლის სამართლში აღზრდას გააჩნია
გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც ძირითადად პოზიტიური
სპეციალური პრევენციის იდენტურია.⁵⁸⁸

სასურველი იქნება აღზრდის მნიშვნელობაზე იყოს საუბარი
არასრულწლოვნისათვის მართლმსაჯულების კოდექსში რესოციალიზაცია-
რეაბილიტაციის განმარტებისას.

სამწუხაროდ, არასრულწლოვნისათვის მიმართ სასჯელის
დანიშვნისას ხშირად არ ექცევა ყურადღება ყველა იმ მნიშვნელოვან
პირობას, რომელიც შეჯერებულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ რეალურად
იყოს მიღწეული არასრულწლოვნისათვის რესოციალიზაციის მიზანი.
საერთოდ კი, არასრულწლოვნისათვის მიმართ განხორციელებული
პოლიტიკა უნდა ისახავდეს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის
შემდგომ შესუსტებას, მისი ამპლიტუდის თანდათანობით შემცირებას.⁵⁸⁹

პროფ. ლალი ფაფიაშვილი მიუთითებს, რომ მოსამართლეებს არ
აქვთ არასრულწლოვნისათვის დანაშაულებზე ინდივიდუალური მიღგომის
დისკრეციული უფლებამოსილება. საერთო პრაქტიკაში განათლებისა და
არასრულწლოვნის გამოსწორებისაკენ მიმართული საქმიანობა
შეზღუდულია, რაც სერიოზულად აბრკოლებს მომავალში მათი
რესოციალიზაციის პროცესს.⁵⁹⁰

მოსამართლის მიერ შერჩეული უნდა იყოს სასჯელის ისეთი
ზომა, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაციის უზრუნველყოფს.
სასჯელის ზომა ორიენტირებული უნდა იყოს აღზრდის მიღწევაზე.
სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას აღმზრდელობითი ხასიათი
უნდა ჰქონდეს. არასრულწლოვნისათვის მისჯილმა არაპროპორციულმა

⁵⁸⁶ ი. მ. Zieger, Verteidigung in Jugendstrafsachen, 6. Auflage, 2013, S. 44.

⁵⁸⁷ ი. მ. შალიკაშვილი, გ. მიქაელეგი, არასრულწლოვნისათვის მართლმსაჯულება
(სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი,
2016, გვ. 127.

⁵⁸⁸ ი. ა. Schönke, H. Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, Verlag C.H. Beck, München,
2010, S. 702.

⁵⁸⁹ ი. არასრულწლოვნისათვის სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი
დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 59.

⁵⁹⁰ ი. ლ. ფაფიაშვილი, არასრულწლოვნისათვის მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი,
საერთაშორისო სამართლის ურნალი, №1, 2008, გვ. 161.

სასჯელმა შეიძლება გამოიწვიოს მისი პატივისა და დირსების შელახვა.⁵⁹¹

არასრულწლოვნებს ენიშნებათ შედარებით მსუბუქი და სანმოკლე სასჯელები, ვიდრე სრულწლოვნებს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია შესაძლებელია დროის სანმოკლე პერიოდში. ხანგრძლივმა სასჯელმა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არასრულწლოვანზე შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. იმისათვის, რომ სასჯელი, რომელიც დაენიშნა არასრულწლოვანს იყოს ეფექტური და მიაღწიოს თავის მიზანს, ამისთვის საჭიროა მოსამართლის მიერ შეირჩეს ისეთი სასჯელი, რომელიც ადეკვატური იქნება არასრულწლოვანი მსჯავრდებული პიროვნებისა.

იმისათვის, რომ სასჯელის მიზნები მიღწეულ იქნას არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, მას უნდა შეეფარდოს ისეთი სასჯელი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.⁵⁹²

მიმართია, რომ მოსამართლემ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა უნდა დანიშნოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არასაპატიმრო სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზანს. მოსამართლემ არასრულწლოვანთა მიმართ უნდა გამოიყენოს ალტერნატიული სასჯელები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ხოლო თავისუფლების აღკვეთა - მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ვფიქრობ, რომ მკაცრი სასჯელი არასრულწლოვანს კი არ გამოასწორებს, არამედ ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციის პროცესს.

ძალიან როულია, განახორციელო და დაიცვა ბავშვის უველა უფლება მაშინ, როდესაც იგი თავისუფლებააღკვეთილია და მოთავსებულია დაკავების ცენტრში (იზოლატორში) ან ციხეში. გარდა ამისა, უკვე გარკვეული ხანია აღიარებულია, რომ ბავშვის დაკავების ცენტრში (იზოლატორში), ციხეში ან სხვა დახურულ დაწესებულებაში მოთავსებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი გავლენა იქნიოს ბავშვზე, რომელიც „ვერ დაბალანსდება შესაბამისი მოპყრობის მცდელობებით“. ინსტიტუციონალიზაციის ეფექტი, რომელიც მოიცავს ოჯახსა და საზოგადოებასთან დაშორებას, ხშირად მძიმდება ცუდი პირობებითა და რეინტეგრაციის დონისძიებებისა და პროგრამების შეზღუდული ხელმისაწვდომობით ან არარსებობით. ციხის ცხოვრებამ ასევე შესაძლებელია მგრძნობიარე ახალგაზრდა დამნაშავები დატოვოს ძალადობის კულტურის პირისპირ. ამ ტიპის გამოცდილება ახალგაზრდებს უფრო დაუცველებს ხდის ოჯახის დანგრევის, უსახლკარობის, დასაქმების სირთულეების, ფსიქიკური პრობლემებისა და გათავისუფლების შემდეგ რეციდივის მიმართ.⁵⁹³

⁵⁹¹ იბ. მ. შალიქაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, 2011, გვ. 81-82.

⁵⁹² იბ. . . , , 1961, .132.

⁵⁹³ იბ. რ. ვინცერი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ წიგნში: „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განახენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“, 2015, გვ. 230.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- 1) არასრულწლოვნის მაგნე მიღრეკილების გამო, რომელიც ქმედებაში გამოვლინდა, აღმზრდელობითი ღონისძიების ან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება არასაკმარისია ან
- 2) ბრალის სიმძიმის გამო სასჯელის გამოყენება აუცილებელია.⁵⁹⁴

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების აღმინისტრაციის თანამშრომლობა იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ზოგადად არასრულწლოვანთა საკითხებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე მუშაობენ (მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტის სამინისტრო, ბავშვის უფლებებზე მომუშავე და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ).⁵⁹⁵

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ საშუალებად უთითებს აღმზრდელობით მუშაობას არასრულწლოვანთა მიმართ. 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სასჯელის მიზანი იყო ხელახალი აღზრდა. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელის მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. მიმაჩნია, რომ ხელახალი აღზრდის სასჯელის მიზნად აღიარება გაუმართებელია სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში. როგორ შეიძლება აღზრდო ზრდასრული ადამიანი, მაგ. 30-35 წლის პიროვნება? მიმაჩნია, რომ შესაძლებელია ხელახლა აღზრდა გამართებულად ჩაითვალოს არასრულწლოვანთან მიმართებით. არასრულწლოვანი, რომელიც სასჯელს იხდის, ეს იქნება საპატიმრო, თუ არასაპატიმრო სახის სასჯელი, მასთან უნდა განხორციელდეს აღმზრდელობითი მუშაობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა აღზრდა ძალიან რთული პროცესია, აღნიშნული პროცესი პატარა ასაკიდან, ოჯახიდან უნდა მომდინარეობდეს.

გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებული
არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი დახმარებით – სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, - რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.⁵⁹⁶

სავალებულო საკოლო ასაკის ყოველ არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს საკუთარი მოთხოვნილებების და შესაძლებლობების შესაფერისი განათლება, რომელიც მიზნად ისახავს მის მომზადებას საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. აღნიშნულის

⁵⁹⁴ ი. H. Ostendorf, Jugendstrafrecht und jugendstrafverfahren (Stand März 2009), S. 39.

⁵⁹⁵ ი. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებულებანი, 2011, გვ. 146.

⁵⁹⁶ ი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის აღმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“).

მიზანია, გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვნებს შეეძლოთ განათლების მიღების გაგრძელება ყოველგვარი გართულებების გარეშე.⁵⁹⁷

მიმაჩნია, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებებში უნდა იყოს კარგი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულთათვის. განათლების მიღება მნიშვნელოვანია არა მარტო დასაქმებისათვის, არამედ არასრულწლოვნების ცხოვრებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვისაც. არასრულწლოვანი, რომელიც არანაირ განათლებას არ მიიღებს სასჯელის მოხდის პერიოდში, გათავისუფლების შემდეგ, მან შესაძლებელია დანაშაულებრივი ქმედებებით გააგრძელოს ცხოვრება. ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანია ასევე პროფესიული განათლების მიღება. მაგ. ხელობის სწავლა, რომელსაც გამოიყენებენ არასრულწლოვნები სასჯელის მოხდის შემდეგაც. ამდენად, არასრულწლოვნის რესოციალიზაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების მიღება.

არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აუცილებელია მუდმივ შტატზე მუშაობდეს ან ხელშეკრულებით იყოს აყვანილი ფსიქოლოგი, რომლის საქმიანობაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაციას.⁵⁹⁸

გამოკითხულ ფსიქოლოგთა აზრით, საერთო რეაბილიტაციისათვის უდიდესი როლი ენიჭება ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. აუცილებელია, დამნაშავემ პირადად გააცნობიეროს, რომ იგი პასუხისმგებელია საკუთარ დანაშაულზე და არ არის მსხვერპლი. თუმცა არც დამნაშავის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება იქნება მიზანშეწონილი. ფსიქოლოგებმა უნდა მოძებნონ შუალედური წერტილი და უზრუნველყონ ის, რომ დამნაშავეები თავად იყვნენ მზად საზოგადოებასთან ადაპტაციისათვის და პქონდეთ მასთან ინტეგრირების მოტივაცია.⁵⁹⁹

არასრულწლოვანი დამნაშავე შეიძლება დაუბრუნდეს ნორმალურ, ცხოვრებას, თუკი მას ნორმალურ პირობებს შევუქმნით. ეს პირობები მრავალ ფაქტორს მოიცავს: ჯანსაღ სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ზოგადი განათლებითა და პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფას.⁶⁰⁰

მიმაჩნია, რომ რელიგია განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს არასრულწლოვანთა შემდგომი რეაბილიტაციისათვის. არასრულწლოვნები, რომლებიც იხდიან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელებს, მჭიდრო ურთიერთობა უნდა პქონდეთ მოძღვართან, რომელიც დაეხმარება მათ სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში.

უახლესმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ რელიგიური რჩევა-დარიგება და ინსტრუქტაჟი ამცირებს ციხეში ძალადობას და მას თითქმის არა

⁵⁹⁷ იხ. გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის.

⁵⁹⁸ იხ. შ. შალიერშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, 2011, გვ. 146.

⁵⁹⁹ იხ. არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, 2004.

⁶⁰⁰ იქვე.

აქვს რეციდივი. ხშირად რელიგიური აქტიურობა, მრჩევლების და დამრიგებლების გამოყენებით, შეიძლება იყოს დამატებითი შესაძლებლობა, რათა დაკავშიროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული ატმოსფერო გარე საზოგადოებას და გააუმჯობესოს რეინტეგრაციისადმი მიმართული ძალისხმევა.⁶⁰¹

არასრულწლოვანთა ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მიჩნეულია რეაბილიტაციის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანების ელემენტად.⁶⁰²

არასრულწლოვანი, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უნდა პქონდეს ურთიერთობა ოჯახთან. არ უნდა პქონდეს ადგილი არასრულწლოვნის ოჯახთან გაუცხოებას. სასჯელის მოხდის პერიოდში მნიშვნელოვანია არა მარტო არასრულწლოვნის ოჯახთან ურთიერთობა, არამედ მის მეგობრებთან და საერთოდ საზოგადოებასთან, რათა საზოგადოებაში დაბრუნებისას თავი არ იგრძნოს მან გარიყელად.

ვფიქრობ ძალზედ მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ჩართულობა ისეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, როგორიცაა: ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი და ა.შ.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული მათა ხასიათს. მისი აზრით, იმისათვის, რომ დაიგეგმოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის გზები და მიმართულებები, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა შესწავლილ იქნეს, თუ რა მახასიათებლები აქვთ მათ, რა საერთო თვისებათა მატარებლები არიან. გამოკვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ისინი არიან ცვალებადი განწყობილების, არიან ემოციურები, იმპულსურები, ჩამოყალიბებული არ აქვთ ინტერესების სფერო, არიან სამართლიანები, არ უყვართ როცა მათ ატყუებენ, არიან გულჩათხრობილები, მნელად ისესებიან, ხშირად არიან ჯიუტები, არა აქვთ სიტუაციის გაანალიზების უნარი.⁶⁰³

იმისათვის, რომ მოხდეს არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია, საჭიროა მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინება. აღნიშნულის განხორციელება განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია დიდად არის დაკავშირებული მათ მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესოციალიზაციის პროცესი იწყება მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშნის მომენტიდან და გრძელდება სასჯელის აღსრულების პერიოდშიც და სასჯელის მოხდის შემდეგაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები განხილული იქნება ასევე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის აღსრულების საკითხზე მსჯელობისას.

⁶⁰¹ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, 2011, გვ. 149-150.

⁶⁰² იხ. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, ნიუ-იორკი და ქენევა 2005, გვ. 187.

⁶⁰³ იხ. მათა (ზორა) ხასიათ, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები. II ნაწილი, თბილისი, 2006, გვ. 37.

1.2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი მიზანი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. „თავიდან აცილების“ ტერმინთან ერთად იყენებენ ისეთებსაც, როგორიცაა: „პროფილაქტიკა“, „აღმოფხვრა“, „აღკვეთა“ და „პრევენცია“.⁶⁰⁴

არასრულწლოვანთა დანაშაული როგორც ფენომენია, მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიღების, სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალის სტატუსის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით:

ა) პირველადი/ადრეული პრევენცია მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; ბ) მეორე ღონის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე – რისკ ჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე; გ) მესამე ღონის პრევენცია გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, სამართალდამრღვევა არასრულწლოვანთა გამოსწორებაზე, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე.⁶⁰⁵

დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის ადსაკვეთად (შესამცირებლად) და რეპრესიული ღონისძიებებით დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილება.⁶⁰⁶

სისხლის სამართლის თეორიაში განიხილავნ პრევენციის ორ სახეს: ზოგადი (გენერალური) და სპეციალური (კერძო) პრევენცია.

სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნები გულისხმობს მათ შეგნებულ, გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას.⁶⁰⁷

სასჯელის ზოგადი, ანუ გენერალური პრევენცია მიმართულია ყველა ადამიანის (მათ შორის არასრულწლოვნების) მიმართაც, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული, ხოლო სასჯელის სპეციალური, ანუ კერძო პრევენცია მიმართულია კონკრეტული დამნაშავის (მათ შორის არასრულწლოვანი დამნაშავის) მიმართ, რათა მათ მხრიდან მომავალში გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა. სასჯელის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ, ვინაიდან აღნიშნულზე დეტალურად უკვე ვისაუბრეთ.

სისხლის სამართალში სადაოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა გენერალური პრევენცია არასრულწლოვნის

⁶⁰⁴ იხ. ზ. წელაია, კიომინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2003, გვ. 145.

⁶⁰⁵ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის ბრძანებულება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

⁶⁰⁶ იხ. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2010, გვ. 283.

⁶⁰⁷ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 30.

თავისუფლების აღკვეთის მიზანი. დოგმატიკოსთა ერთი ნაწილი და გერმანიის ფედერალური სასამართლო პოზიტიურ და ნეგატიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის მიზნად არ მიიჩნევს. დოგმატიკოსთა ნაწილი კი პოზიტიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის სასჯელის მიზნად აღიარებს და სასჯელის მიზნებიდან მხოლოდ ნეგატიურ გენერალურ პრევენციას (ანუ საზოგადოების დაშინებას არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნით) გამორიცხავს.⁶⁰⁸

არასრულწლოვნებისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია, რომლის მიზანია:

- 1) მოზარდი დამნაშავის ორგანიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი (პოზიტიური სპეციალური პრევენცია) და
- 2) მოზარდისათვის სასჯელის უკიდურესი ფორმა, თავისუფლების აღკვეთა, რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა დამნაშავისაგან და გულისხმობს მოზარდის გარკვეული პერიოდით იზოლირებას, რათა აღკვეთილ იქნეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა ახლო მომავალში (ნეგატიური სპეციალური პრევენცია).⁶⁰⁹ ვერ დაგეთანხმები ასეთ პოზიციას, ვინაიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მარტო სპეციალური პრევენციით არ შემოიფარგლება, მასში იგულისხმება ასევე ზოგადი, ანუ გენერალური პრევენციაც. სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს არა მხოლოდ არასრულწლოვნან დამნაშავეზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, არამედ სხვა არასრულწლოვნებზეც, რომლებიც მიდრეკილი არიან დანაშაულის ჩადენისაკენ. მაგალითად, როდესაც სასამართლო არასრულწლოვნას დაუნიშნავს სასჯელს, ამ შემთხვევაში ხორციელდება, როგორც სპეციალური პრევენცია, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ასევე ხორციელდება ზოგადი ანუ გენერალური პრევენცია სხვა არასრულწლოვნების მიმართ, რათა მათ თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაგან. ამდენად, სასჯელი დამაშინებელ ეფექტსაც შეიცავს.

ვფიქრობ დაშინების ფაქტორი დამოკიდებულია ინდივიდზე. შესაძლებელია სასჯელმა ზოგიერთი არასრულწლოვნისთვის დამაშინებელი ეფექტი მოახდინოს, ხოლო ზოგიერთი არასრულწლოვნისთვის – არა. აღნიშნულ საკითხობნის დაკავშირებით, ყურადსაღებ მოსაზრებას გვთავაზობს პროფესორი **მზია ლეკციების შეიღინების მიუთითებებს**, რომ „მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შიშის გამო კი არ იკავებს თავს დანაშაულის ჩადენისაგან, არამედ ზნეობრივი მრწამსითა და გონიერებით დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგია.“

მიმართია, რომ პოზიტიური გენერალური პრევენცია მოქმედებს ყველა არასრულწლოვნის მიმართ, რათა ისინი განიმსჭვალონ კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა ყველა არასრულწლოვნის მიმართ, არამედ მხოლოდ იმ არასრულწლოვნითა მიმართ, რომლებიც მიდრეკილი არიან

⁶⁰⁸ იხ. არასრულწლოვნითა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იმულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 246.

⁶⁰⁹ იხ. მ. შალიებაშვილი, გ. მიქაელე, არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი, 2011, გვ. 68.

დანაშაულის ჩადენისაკენ. ხოლო ის არასრულწლოვნები, რომლებიც საზოგადოების მერყევ ელემენტებს არ წარმოადგენენ, მათზე სასჯელი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს, ისინი ისედაც არ ჩაიდენენ დანაშაულს, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება მათ ბუნებას. ამრიგად, ვფიქრობ, რომ სასჯელის დამაშინებელი ეფექტი გავლენას ახდენს მხოლოდ დანაშაულისაკენ მიღრეკილ არასრულწლოვნებზე.

არასრულწლოვნების დანაშაულობის პრევენცია საზოგადოებაში დანაშაულის პრევენციის პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მართლზომიერ, სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვითა და საზოგადოების მიმართ ჰუმანისტური ორიენტაციისა და ცხოვრებაზე ასეთივე შეხედულების აღიარებით, მოზარდებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ არაკრიმინოგენური პოზიცია.⁶¹⁰

არასრულწლოვნებზე სასჯელის ზოგადპრევენციული ეფექტის საკითხი არ შეიძლება აბსოლუტურად იგივე ფარგლებში იქნეს განხილული, როგორც სრულწლოვან ადამიანებთან მიმართებაში. არასრულწლოვნების, რომლებსაც არ ჩაუდენიათ დანაშაული, თუმცა ასოციალურ ცხოვრებას ეწევიან უპრიანია არა დაშინების, არამედ ახსნა-განმარტების გამოყენება თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მათ დანაშაულს და რა სახის სირთულესთან არის დაკავშირებული სასჯელის მოხდა, რამდენად უარყოფითად შეიძლება აისახოს ის მათ ცხოვრებაზე.⁶¹¹ ამდენად, ზოგადი პრევენციის ფაქტორი არასრულწლოვნებთნ მიმართებაში კომპლექსურ მიღგომას მოითხოვს.

ერთადერთი სამთავრობო ორგანო, რომელიც მონაწილეობდა პრევენციულ სამუშაოში 2006 წლის ოქტომბერში, იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია „მცირეწლოვანთა ინსპექტორება“. ამ ორგანიზაციას აღრიცხული პყავდა ის ბავშვები, რომლებსაც უკვე ჩადენილი პქონდათ დანაშაული, ან შემჩნეულნი იყვნენ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, რაც გულისხმობს, ასევე სკოლის რეგულარულად გაცდებას. 14-18 წლის ბავშვების აღრიცხვა ხდებოდა სკოლებიდან, მეზობლებისგან, პოლიციის განყოფილებიდან და სახდახან მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა უმეტესად მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ხვდებოდნენ ბავშვებს და ატარებდნენ სამუშაოებს სკოლებში. 2006 წლის ნოემბერში ორგანიზაცია „მცირეწლოვანთა ინსპექტორება“ გაუქმდა და მისი საქმიანობა შეითავსა საპატრულო პოლიციამ. თუმცა საპატრულო პოლიცია არ არის დაკავებული ამგვარი ღონისძიებებით, საპატრულო პოლიციის განყოფილებაში არ არიან სპეციალისტები არასრულწლოვნებთან მუშაობის სფეროში.⁶¹²

არასრულწლოვნებია დამნაშავეობის პრევენციაში შედის სოციალური პოლიტიკის განხორციელება, მაგალითად მაღალი რისკის მატარებელი ოჯახებისათვის სოციალური და პედაგოგიური დახმარების

⁶¹⁰ იხ. გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვნებითა დანაშაულობის პრევენციის შესახებ (ერ-რიადის წესები).

⁶¹¹ იხ. არასრულწლოვნებითა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იმულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 88-89.

⁶¹² იხ. ქ. პამილტონი, არასრულწლოვნებითა მართლმხაჭულების სისტემის ანალიზი საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007.

გაწევა ან კრიმინალის ჩადენის პირას მუოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური ზედამხედველობა.⁶¹³

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულის ჩადენა იმ არასრულწლოვნების მხრიდან, რომლებიც მიღრეკილი არიან დანაშაულის ჩადენისაკენ, მათ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს პოლიციამ, სკოლამ და ოჯახმა.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ოჯახის ურთიერთობა კრიმინალური აზროვნების არასრულწლოვნების მიმართ. ის არასრულწლოვნები, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან და მშობლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მათ, მეტია დანაშაულის ჩადენის ალბათობა. მიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია ოჯახის მიერ არასრულწლოვნების მიმართ ზედამხედველობის განხორციელება.

მშობლები, რომლებიც შვილების თვალწინ ორპირობენ, სიტყვისა და პირობის დარღვევის მაგალითებს იძლევიან, ბავშვებში უპასუხისმგებლობის გრძნობას აყალიბებენ. ოჯახში აღზრდის საკითხებში დაშვებული შეცდომები კი მძიმე დაღს ასვამს მომავალში მათ მოღვაწეობას.⁶¹⁴

არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლის როლი დანაშაულის თავიდან აცილების პროცესში. მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება არასრულწლოვნების მიმართ, ასევე უნდა ჩააბან ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში. გაპგეთილების დროს ისინი უნდა იყვნენ დაკავებულები და არ უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენისათვის.

ძალზედ მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა ორგანოების როლი არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში. შინაგან საქმეთა ორგანოების ამოცანაა არა მარტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ იმ პირობების აცილება, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ცხოვრების ჩამოყალიბებას.

სპეციალური პრევენციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის თავიდან აცილება მოხდეს იმ არასრულწლოვნების მხრიდან, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული. იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ სპეციალური პრევენციის ორ სახეს: პოზიტიური სპეციალური პრევენცია, მაგ. არასრულწლოვნის გამოსწორება, რესოციალიზაცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია, მაგ. არასრულწლოვნის დაშინება და იზოლაცია საზოგადოებისგან. არასრულწლოვნის პოზიტიური სპეციალური პრევენცია უნდა გაიმიჯნოს არასრულწლოვნის რესოციალიზაციისგან. რესოციალიზაცია მოიცავს სპეციალურ პრევენციას, ხოლო სპეციალური პრევენცია რესოციალიზაციას არ ნიშნავს. თუ არასრულწლოვანი გამოსწორდა, მაშინ სპეციალური პრევენციაც მიღწეულია, ხოლო ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არ ნიშნავს არასრულწლოვნის გამოსწორებას. სპეციალურ პრევენციაზე აღარ შევჩერდები, ვინაიდან აღნიშნულზე დაწვრილებით უკვე ვისაუბრეთ.

⁶¹³ იხ. არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, 2004.

⁶¹⁴ იხ. მ. მოსულიშვილი, არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი სამართალი, 2000, №4-5, გვ. 86.

§2. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა სასჯელის მიზნებთან კავშირში

სასჯელის დანიშვნა სამოსამართლო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ითქმის მაშინ, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის სპეციფიკას. არასრულწლოვანი, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სასჯელის დანიშვნისას.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა განხილული იქნება მხოლოდ სასჯელის მიზნებთან კავშირში, ხოლო აღნიშნული საკითხის განხილვა ცალკე ურცელ მსჯელობას მოითხოვს.

არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არის არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. უნდა ადინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

თუ არასრულწლოვანს აქვს ცხოვრებისა და აღზრდის ცუდი პირობები, მშობლებს ერთმანეთში აქვთ არაჯანსაღი დამოკიდებულება ან თუ ობოლია და ზრდიან ნათესავები, ანდა მშობლებს მიტოვებული ჰყავთ მეთვალყურეობის გარეშე, გაძევებული ჰყავთ ოჯახიდან და ეწევა მაწანწალურ ცხოვრებას, თითოეული ეს გარემოება სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.⁶¹⁵

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და

⁶¹⁵ იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭეულია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 437.

მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

მიმაჩნია, რომ პირველ რიგში სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას ყურადღება უნდა გაამახვილოს არასრულწლოვნის პიროვნებაზე, მის ცხოვრების წესზე, წარსულ ცხოვრებაზე. ხოლო აღნიშნულის შემდეგ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის სიმძიმე.

ჩადენილ ქმედებაში იგულისხმება ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დამდგარი შედეგი, მოსალოდნელი საფრთხის ხარისხი, ბრალის ხარისხი და სხვა.⁶¹⁶

პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს „არამარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, ბავშვის მდგომარეობისა და საჭიროების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც.“ იმისათვის, რომ სასჯელი იყოს ბავშვის გარემოებების პროპორციული, სასჯელის შეფარდება ინდივიდუალიზებულად უნდა მოხდეს.⁶¹⁷

პროფ. მათ ივანიძის მოსაზრებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსამართლემ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ჯეროვნად უნდა შეისწავლოს არასრულწლოვნის პიროვნება და მისი ფსიქოემოციური ფაქტორები. არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასჯელის მიზნების გათვალისწინება.⁶¹⁸

მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ბავშვთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, ვალდებულია პედაგოგიური თვალსაზრისით გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მისჯა უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის გამოსწორებას (აღზრდას).⁶¹⁹

სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია, იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის.⁶²⁰

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არის ნამდვილი კრიმინალური სასჯელი, ამიტომ იგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში, როგორც ერთადერთი და უკიდურესი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე. მისი გამოყენება შეიძლება როგორც უკანასკნელი საშუალება – მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა აღმზრდელობითი ხასიათის დონისძიებებმა, რომელიც გატარდა არასრულწლოვნის მიმართ, რაიმე დადებითი შედეგი არ

⁶¹⁶ იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭერია, 6. ოდეჟა, 2016, გვ. 628.

⁶¹⁷ იხ. ქ. პამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 101.

⁶¹⁸ იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 173.

⁶¹⁹ იქვე, გვ. 136.

⁶²⁰ იხ. ქ. პამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 100.

გამოიდო და არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს დანაშაულის ჩადენას.⁶²¹

არასრულწლოვნისათვის საპატიმრო სასჯელის დანიშვნა გერმანიაში მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი მავნე ჩვევების არსებობისას ხდება.⁶²²

მიმაჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის შერჩევისას დიდი სიფრთხილე საჭირო. მოსამართლემ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არასაპატიმრო სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელების როლი არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას.

თუ არსებობს, თუნდაც სულ მცირე, ალბათობა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარეშეც გამოსწორდეს, ეს ალტერნატიული სასჯელი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ციხემ შეიძლება გამოუსწორებელი დაღი დაასვას არასრულწლოვანს.⁶²³

არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარდა შესაძლებელია დაენიშნოს ისეთი სახის სასჯელები, როგორიცაა: ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა და ა.შ.

არასრულწლოვნის მიმართ ჯარიმის დანიშვნამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი „აინაზდაუროს“ სხვა უფრო საშიში დანაშაულის ჩადენით. ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევებთან, რომლებიც მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.⁶²⁴

არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახეა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. მიმაჩნია, რომ როდესაც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას. აღნიშნული სასჯელის უპირატესობა ის არის, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში და არ არის იზოლირებული საზოგადოებისგან, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანია მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე ნოვაციაა ქართულ კანონმდებლობაში. ვფიქრობ, რომ შინაპატიმრობა თავისუფლების აღკვეთის საუკეთესო ალტერნატივაა. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

⁶²¹ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 151.

⁶²² იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის

ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 743.

⁶²³ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 159.

⁶²⁴ იხ. მ. შალიერაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებულებანი, 2011, გვ. 70

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით არასრულწლოვანი დ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების ადგვეთა. სსკის 88-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 თვით თავისუფლების ადგვეთა, რაც სსკის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 თვითა და 28 დღით.⁶²⁵ როგორც ვხედავთ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა არასრულწლოვნის მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებას. ისევე როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშნისას, შინაპატიმრობის გამოყენებისას, არასრულწლოვანი არ იმყოფება ციხეში და აქვს ურთიერთობა საზოგადოებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით აღსრულებას აქვს უარყოფითი მხარეებიც, თუმცა მისი განხილვა სცილდება საკითხის ფარგლებს.

მიმაჩნია, რომ სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული სასჯელები, ხოლო თავისუფლების ადგვეთა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა ცალკე გამოჰყოფს არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნის წესს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია. არასრულწლოვანს პირობით მსჯავრი შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაში, თუ: 1) მის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული; 2) არასრულწლოვანი წარსულში განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა. რას ნიშნავს წარსულში განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა? აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ იგი საერთოდ არ ყოფილა მსჯავრდებული, თუ შესაძლებელია იგი მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის, თუმცა აღნიშნული დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს? მაგალითად, 17 წლის

⁶²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმე №212აპ-16.

არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. იგი ადრე მსჯავრდებული იქნა განზრახი დანაშაულისათვის, თუმცა ამ დანაშალისათვის მას ნასამართლობა გაუქარწყლდა. შესაძლებელია თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გამოყენება? თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია, ვინაიდან არასრულწლოვანი წარსულში მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის. თუმცა მიმაჩნია, რომ ასეთი განმარტება არასწორია. მართალია ზემოაღნიშნულ ნორმაში არ არის მითითებული „ნასამართლები არ ყოფილა“, მითითებულია „მსჯავრდებული არ ყოფილა“, თუმცა მიმაჩნია, რომ „მსჯავრდებული არ ყოფილა“ მასში უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი საერთოდ არ ყოფილა მსჯავრდებული, არამედ ისეთი შემთხვევაც, როდესაც იგი ადრე მსჯავრდებული იყო, თუმცა ამ დანაშაულისათვის მას ნასამართლობა გაუქარწყლდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება. სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ზემოაღნიშნულ საკითხსაც, რათა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები არ იქნას დარღვეული. მიმაჩნია, რომ ნორმის არასრულწლოვნის საწინააღმდეგოდ განმარტება დაუშვებელია, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, ანუ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

როგორც უკვე აღინიშნა, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობითი მსჯავრად ჩაითვალოს. მაგალითად, არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ამასთან იგი ადრე მსჯავრდებული იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის (ნასამართლობა გაქარწყლებული არ ჰქონდა). ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია (ამკის 74-ე მუხლი). ავიღოთ იგივე შემთხვევა, ოღონდ სრულწლოვნებთან მიმართებით. სრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ამასთან იგი ადრე მსჯავრდებული იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია პირობითი მსჯავრის დანიშვნა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლები არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. გამოდის, რომ თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა და წარსულში მსჯავრდებული იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია, ხოლო თუ სრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა და წარსულში მსჯავრდებული იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელია. ასეთი მიდგომა

დაუშვებელია და ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუკი სრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელია, მით უფრო უნდა იყოს შესაძლებელი არასრულწლოვნის მიმართაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლი შესწორებას საჭიროებს. მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.“

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის თავისებურებანი. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება შეიძლება თუ: 1) ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; 2) არასრულწლოვანი თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს, მაგალითად დანიშნული ჰქონდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და უარს აცხადებს მის მოხდაზე და 3) არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იყო გამოტანილი. მაგალითად, არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. შესაძლებელია თუ არა არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებული იქნას ვადიანი თავისუფლების აღკვეთა? თუ ამკის 73-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, შესაძლებელია, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. ვფიქრობ, აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. უკეთესი იქნება, თუკი ამკის 73-ე მუხლის პირველ ნაწილში „წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი“ მის ნაცვლად მითითებული იქნება „წარსულში ნასამართლევი იყო“. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რაც არ იქნება სწორი სამართლებრივი თვალსაზრისით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს – 18 წელს მიუღწეველ პირს არ შეიძლება

დაენიშნოს 12 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა მოსამართლემ ჯერ დანიშნოს სასჯელი არასრულწლოვნის მიმართ და შემდეგ შეამციროს. აღნიშნული ნორმა გამოიყენება ყველა არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც დანაშაული 18 წლიდამდე ჩაიდინეს. მაგალითად, 17 წლის არასრულწლოვანს სასამართლომ დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. სასამართლო ვალდებულია დანიშნული სასჯელი შეამციროს ერთი მეოთხედით – 1 წლითა და 6 თვის ვადით, ვინაიდან მას არ შესრულებია 18 წელი. ამ შემთხვევაში სასამართლომ საბოლოოდ უნდა დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. მაგალითად, 15 წლის არასრულწლოვანმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, განზრახ მკელელობა ორი ან მეტი პირისა, აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თექვსმეტიდან ოც წლამდე, ან უვალო თავისუფლების აღკვეთას. როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ კონკრეტულ შემთხვევაში? აქვს თუ არა უფლება მოსამართლეს დანიშნოს სასჯელი აღნიშნული სანქციის ფარგლებში? არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანს საბოლოოდ არ შეიძლება დაენიშნოს ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია 16 წლიდან თავისუფლების აღკვეთა, სასამართლოს უფლება აქვს არასრულწლოვნის მიმართ დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით, მაგრამ არ უნდა დაარღვიოს ამკის 73-ე მუხლის მოთხოვნები. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა. სასამართლოს უფლება აქვს 15 წლის არასრულწლოვანს დაუნიშნოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, შემდეგ აღნიშნული შეამციროს ერთი მესამედით – 5 წლისა და 4 თვის ვადით და საბოლოოდ დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 8 თვის ვადით. ხოლო, ვინაიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ აღნიშნული სასჯელი უნდა შეამციროს 10 წლამდე, რათა არ იქნა დარღვეული ამკის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო შემცირებაზე მიუთითებდა 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლი.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები ზიგჯერ შეცდომას უშვებენ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას. ასე მაგალითად:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის განაჩენით გ. ს. ცხობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.⁶²⁶

⁶²⁶ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ხ. განაჩენის გამოტანის დროს იყო 17 წლის. განსახილველ შემთხვევაში გ. ხ-ს მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილი წესი (ძვ. რედაქცია) და მას დანიშნული სასჯელი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შემცირებოდა ერთი მეოთხედით ე.ი. 1 (ერთი) წლითა და 9 (ცხრა) თვის ვადით და საბოლოოდ განსაზღვროდა 5 წლითა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო სასამართლომ დანიშნული აღნიშნული სასჯელის მინიმუმი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლო ვალდებული იყო შეესრულებინა კანონის მოთხოვნა და დანიშნული სასჯელი შემცირებინა ერთი მეოთხედით. მართალია, სასამართლოს უფლება აქვს აღნიშნული დანაშაულისათვის დანიშნოს შვიდ წელზე ნაკლები სასჯელი თუ მხარეებს შორის დამტკიცებულია საპროცესო შეთანხმება, ხოლო სხვა შემთხვევაში ამის უფლება არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის სპეციალურ წესს უნდა მიანიჭოს უპირატესობა. აღნიშნული კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა. აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლეს მსჯავრდებულ გ. ხ-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში არ უმსჯელია დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მეოთხედით შემცირების თაობაზე. აღნიშნულმა კი მსჯავრდებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არსებითი ზიანი მიაყენა.

მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები მეტისმეტად მკაცრია. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის წესი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს (ნაცვლად ათი წლისა).“ ხოლო, „თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს (ნაცვლად თორმეტი წლისა).“ აღნიშნული კი ხელს შეუწყობს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის ზედა ზღვარი არასრულწლოვნებთან მიმართებაში არ უნდა იყოს 5 წელზე მეტი, ხოლო მოზრდილების სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ნაწილობრივ შესაძლებელია მოზარდოთა სასჯელი იყოს 15 წლამდე.⁶²⁷

მიმაჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არ ემსახურება სასჯელის მიზნებს.

სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ორიენტირებული უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე. თუ სასამართლომ არასრულწლოვანს მეტისმეტად მკაცრი სასჯელი დაუნიშნა, აღნიშნული ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციას. ამ მხრივ

⁶²⁷ იხ. Meier/Rössner/Schöch, Jugendstrafrecht, München, 2003, S. 234.

საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით გ. ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ გ. ზ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენით უცვლელად იქნა დატოვებული.⁶²⁸

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ზ-მ (არასრულწლოვანი) ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (გაუპატიურება), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვიდან რვა წლამდე. მიუხედავად ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სასამართლოს მიერ გ. ზ-სთვის დანიშნული სასჯელი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტად მკაცრია შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებული გ. ზ. წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნდა. ამასთან, რატომ მიიჩნია სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, რომ მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი იყო სამართლიანი, აღნიშნული დასაბუთებული არ არის. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ მშრალად მიუთითა შემდეგი: „არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.“ ვფიქრობ, არასარულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ნორმის ციტირებით და უნდა დაასაბუთოს კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით ნოვაციას წარმოადგენს ისიც, რომ მოსამართლეს უფლება აქვს არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მოსამართლეს აღნიშნულის უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის დამტკიცებული იყო საპროცესო შეთანხმება. რა თქმა უნდა აღნიშნული სიახლე მისასალმებელია და ამასთანავე წინგადადგმული ნაბიჯია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის

⁶²⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენი, №1ბ/311-16.

პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის მიზნების განხორციელება სასჯელის დანიშვნიდან იწყება. თუ სასამართლოს მიერ შეცდომა იქნება დაშვებული არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, სასჯელის მიზნები აზრს დაკარგავს. ამდენად, სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის მიზნები მიუღწეველი დარჩება.

§3. არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის აღსრულება რესოციალიზაციასთან მიმართებით

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულების პრობლემა. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემდეგ უნდა მოხდეს მისი აღსრულება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის ზედმიწევნით შესრულება, როდესაც საქმე არასრულწლოვნითა მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულების საკითხს ეხება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის მიზნები განხორციელებას იწყებს სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის მომენტიდან. სასჯელის აღსრულების დროს უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არასრულწლოვნითა სასჯელის აღსრულების მიზანი შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: 1) არასრულწლოვნითა სასჯელის აღსრულების მიზანი არის არასრულწლოვნის ცხოვრების წარმართვა დანაშაულის გარეშე; 2) მსჯავრდებულებმა ხელი უნდა შეუწყონ სასჯელის აღსრულების მიზნის მიღწევას.⁶²⁹

არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვნის შეიძლება დაენიშნოს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სახის სასჯელი. სასჯელის აღსრულების საკითხის განხილვისას ძირითადად ყურადღებას გავამახვილებ არასრულწლოვნითა მიმართ დანიშნული საპატიმრო სასჯელის აღსრულების პრობლემებზე, ვინაიდან აღნიშნული განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

არასრულწლოვნითა მართლმსაჯულების კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვნის სრულწლოვნითან ერთად მოთავსება. ეს განპირობებულია იმით, რომ სრულწლოვნითან შედარებით არასრულწლოვნების სასჯელის აღსრულება განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩება. არასრულწლოვნის პროცესის უგელა სტადიაზე უნდა ეპურობოდნენ განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი

⁶²⁹ ი. J. Goerdeler, P. Walkenhorst, Jugendstrafvollzug in Deutschland. Neue Gesetze, neue Strukturen, neue Praxis? Mönchengladbach, 2007, S. 112

ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის აღსრულების ეფექტურობისთვის, აუცილებელია მათი აღზრდა.⁶³⁰

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავისუფლების ადგვეთის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია და მის მიერ მომავალში საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულება.⁶³¹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

თავისუფლებადგვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის გაერთიანებული ერების წესების თანახმად, არასრულწლოვნებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ საკუთარი ტანსაცმლის გამოყენების უფლება, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს კლიმატის შესაფერისი და ჯანმრთელობის დასაცავად ადექვატური პირადი ტანსაცმელი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი. ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს დროის საკმარისი რაოდენობა ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე თავისუფალი ვარჯიშისათვის, სადაც ამინდი ამის საშუალებას იძლევა.⁶³²

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებით და სეირნობის უფლებით. ამ მიზნით მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობა და სივრცე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული საპატიმრო სახის სასჯელის აღსრულებისას არის არასრულწლოვანთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. არასრულწლოვანი, რომელიც დაიბადა და იზრდება საზოგადოებაში, ხოლო საპატიმრო სახის სასჯელმა გაიყვანა საზოგადოების გარეთ, როგორ უნდა დაუბრუნდეს იგი გამოსწორებული საზოგადოებას მასთან ურთიერთობის გარეშე? ამიტომ არასრულწლოვანს სათანადო კავშირი უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან, მის მეგობრებთან, ნათესავებთან, სასულიერო პირებთან და ა.შ, რათა არ მოხდეს მისი საზოგადოებასთან გაუცხოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან ურთიერთობა. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მათი რესოციალიზაციის პროცესს.

⁶³⁰ იხ. T. Kailer, Vermessung des Verbrechers, 2011, S. 152.

⁶³¹ იხ. ქ. ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 121.

⁶³² იხ. გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებადგვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-ე მუხლი.

პატიმრობაში ბავშვების მოთავსებისას ერთ-ერთი ყველაზე შემასფოთებელი საკითხია მათი ჩამოშორება თავიანთი სახლებიდან. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი არის ბავშვზე ზრუნვისა და მისი მხარდაჭერის ცენტრი. აუცილებელია, რომ თუ ბავშვი ჩამოშორებულია ოჯახს, მას ჰქონდეს უფლება, საპატიმრო დაწესებულებიდან შეინარჩუნოს ოჯახთან კავშირი.⁶³³

გარე სამყაროსთან (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან) რეგულარული კონტაქტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კავშირის უზრუნველყოფა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.⁶³⁴

პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს. ზოგადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კრძალავს არასრულწლოვანთა მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას.

არასრულწლოვანი პატიმრები საჭიროებენ ძალადობისა და უხეში მოპყრობისაგან დაცვას. ამასთან, არასრულწლოვნები უფრო მეტად ექცევიან დადებითი ზეგავლენის, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ქვეშ, ვიდრე ზრდასრულები.⁶³⁵

არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული საპატიმრო სახის სასჯელის აღსრულებისას ძალზედ მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმინისტრაციის როლი. დაწესებულების პერსონალი დიდ ყურადღებას უნდა იჩენდნენ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ. დაუშვებელია არასრულწლოვნებთან არაპუმანური და სასტიკი მოპყრობა, რომელიც ლახავს მათ უფლებებს, რადგან აღნიშნული კი არ გამოასწორებს არასრულწლოვანს, არამედ პირიქით გაბოროტებულს დააბრუნებს საზოგადოებაში. იმისათვის, რომ რეალურად განხორციელდეს არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები, არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის დროს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლება. ვფიქრობ, რაც უფრო მეტ წამახალისებელ დონისძიებებს გამოვიყენებთ არასრულწლოვანის მიმართ, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას.

⁶³³ იხ. ქ. პამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 125.

⁶³⁴ იხ. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებულებებისანი, 2011, გვ. 142.

⁶³⁵ იხ. გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაადგეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებულებებისანი, თბილისი 2008, გვ. 13.

და ბოლოს ყურადღება მინდა გავამახვილო არასრულწლოვნის ნასამართლობის საკითხზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედაგათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი პკლავ ჩაიდენს დანაშაულს. დანაშაულის კატეგორიის მიხედვით ამავე მუხლით დადგენილია ნასამართლობის გაქარწყლების ვადები სასჯელის მოხდიდან გარვეული დროის გასვლის შემდეგ.

ის, რომ არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, წინგადადგმული ნაბიჯია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არასრულწლოვანს იცავს სტიგმატიზაციისაგან და სტიმულს აძლევს, დაუბრუნდეს ჯანსაღ ცხოვრებას, აირჩიოს საქმიანობის სფერო. ამ გზაზე მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი არ იქნება მისი ნასამართლობა, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ იგი იურიდიულად ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება.⁶³⁶

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა სასჯელის აღსრულება ფაქტი მიღებომას მოითხოვს. თუ სასჯელის აღსრულების დროს (განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ) დაშვებული იქნება შეცდომები, ყველაფერი წყალში ჩაიყრება და სასჯელის მიზნებიც განუხორციელებელი დარჩება.

⁶³⁶ იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. ოოდუა, 2016, გვ. 632.

დ ა ს პ გ ნ ა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ სასჯელის პრობლემა. სასჯელი, როგორც სისხლის სამართლის უძირითადესი ცნება, ნაკლებადაა დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, ამიტომ შევვცადეთ გამოგვეკვლია სასჯელის იურიდიული ბუნება.

სისხლის სამართლის თეორიაში ძალზედ პრობლემატურია ის, თუ რა არის სასჯელის მიზანი, ვინაიდან ერთმანეთთანაა გაიგივებული სასჯელის ცნება და მისი მიზანი. მიზანი არის ის, რაც უნდა მომავალში განხორციელდეს. რაც შეეხება სასჯელის მიზანს, იგი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რის მიღწევასაც ცდილობს კანონმდებელი სასჯელის დაწესებით და სასამართლო სასჯელის დანიშნით. ხოლო რაც შეეხება დასჯას, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი სასჯელის მიზნად მიიჩნევს, იგი არის არა სასჯელის მიზანი, არამედ სასჯელის ნიშანია. დასჯა სასჯელის მიზანი ვერ იქნება, ვინაიდან სასჯელის მიზანი ორიენტირებულია მომავლისაკენ. პიროვნებას ვსჯით იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. ამდენად, დასჯა არ შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც სასჯელის ნიშანი, ისე მისი მიზანიც. მიმაჩნია, რომ დასჯა არის სასჯელის ნიშანი, ხოლო მიზანი მოთავსებულია შინაარსის ფარგლებს გარეთ.

სადისერტაციო ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა სასჯელის მიზნებზე, ხოლო სხვა საკითხები განხილული იქნა სასჯელის მიზნებთან კავშირში.

სასჯელის მიზანი - სამართლიანობის აღდგენა სამაგიეროს მიზღვას არ ნიშნავს. მართალია სასჯელი გარკვეულწილად სამაგიეროს მიზღვის ელემენტებს შეიცავს, მაგრამ სასჯელის შინაარსი სამაგიეროს მიზღვას არ წარმოადგენს. სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის მიზნად მიიჩნევენ სამაგიეროს მიზღვას. სამაგიეროს მიზღვა სასჯელის მიზანი ვერ იქნება, ვინაიდან როგორც უპვე აღვნიშნეთ, სასჯელის მიზანი მიმართულია მომავლისაკენ, ანუ იგი მომავალში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, სამაგიეროს მიზღვა სასჯელის მიზანი ვერ იქნება. პიროვნებას ვსჯით იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა. სამართლიანობის აღდგენა სასჯელის მიზანია, ხოლო დასჯა - სასჯელის შინაარსი, მისი ნიშანი.

სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნას მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმბიმის შესაბამისად. მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შეესაბამება პირველ რიგში მსჯავრდებულის პიროვნებას და შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმბიმეს. მიმაჩნია, რომ სასჯელის დანიშვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მსჯავრდებულის პიროვნებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. მასში იგულისხმება ზოგადი, ანუ გენერალური და კერძო, ანუ სპეციალური პრევენცია. სასჯელის ზოგადი,

ანუ გენერალური პრევენცია მოიცავს ორ სახეს: პოზიტიური გენერალური პრევენცია და ნეგატიური გენერალური პრევენცია. ხოლო სასჯელის სპეციალურ, ანუ კერძო პრევენციაში ასევე გამოიყოფა ორი კომპონენტი: პოზიტიური სპეციალური პრევენცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია.

მიმაჩნია, რომ სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია მოქმედებს **საზოგადოების უკელა წევრის მიმართ**, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელით (**კანონისადმი პატივისცემა**), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით (**სასჯელისადმი პატივისცემა**).

რაც შეეხება სასჯელის ნეგატიურ გენერალურ პრევენციას, იგი ზემოქმედებას ახდენს არა საზოგადოების უკელა წევრის მიმართ (განსხვავებით **პოზიტიური გენერალური პრევენციისგან**, რომელიც საზოგადოების უკელა წევრზე მოქმედებს), არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ. ვფიქრობ, რომ კანონმორჩილი მოქალაქე სასჯელის შიშით კი არ ჩადის დანაშაულს, არამედ იმიტომ, რომ აღნიშვნული მისთვის მიუდებელია. დანაშაულებრივი ქმედებები ეწინააღმდეგება მის შინაგან ბუნებას. კანონმორჩილი მოქალაქეების მიმართ, სასჯელი დამაშინებელ ზემოქმედებას კი არ ახდენს, არამედ ისინი განმსჭვალული არიან **კანონისადმი პატივისცემით**. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა საზოგადოების უკელა წევრის მიმართ, არამედ **საზოგადოების მერყევ ელემენტებზე**, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელის მუქარით (**კანონით დაშინება**), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით (**სასჯელით დაშინება**).

სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო კონკრეტული პირის მიმართ გამოიყენებს კონკრეტულ სასჯელს, არამედ უფრო ადრეული სტადიიდან - სისხლის სამართლის კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, როდესაც ესა თუ ის ქმედება გამოცხადდება დანაშაულად და სასჯელით აიკრძალება მისი ჩადენა. სწორედ ამ მომენტიდან ხორციელდება სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქცია. განსხვავებით, სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემთხვევისაგან, როდესაც დანაშაულია ჩადენილი, კანონით მუქარის დროს შესაძლებელია ჯერ კიდევ არ იყოს ჩადენილი დანაშაული, შესაბამისად, ახალ დანაშაულზეც ვერ ვისაუბრებთ. ამდენად, ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი დაზუსტებას საჭიროებს. აღნიშნულ მუხლში ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ნაცვლად უნდა იყოს „დანაშაულის თავიდან აცილება“, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელი ზოგადგამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს დანაშაულის ჩადენამდეც (კანონით მუქარა). შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი უნდა იყოს დანაშაულის თავიდან აცილება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მაგალითად, კონკრეტული

სასჯელით მუქარის შემთხვევაში, მას ზოგადპრევეცნიული ფუნქცია არ აქვს (სანამ დანაშაული არ იქნება ჩადენილი). სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. სასჯელი ზოგადპრევენციულ ამოცანას ასრულებს, როგორც კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას.

ზოგადი პრევენციისაგან განსხვავებით, სპეციალური პრევენცია ხორციელდება მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, როგორც სასჯელის დანიშვნის, ისე სასჯელის აღსრულების შემთხვევაში. თუკი ზოგადი პრევენცია (მხედველობაში გვაქვს **პოზიტიური გენერალური პრევენცია**) მიმართულია საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრის მიმართ, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული, კერძო, ანუ სპეციალური პრევენცია მიმართულია მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, რათა მისი მხრიდან გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. აღნიშნულ მუხლში გამოხატულია, როგორც სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია (სხვა პირზე ზემოქმედებით), ისე სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია (მსჯავრდებულზე ზემოქმედებით). მართალია სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს სასჯელის პოზიტიურ გენერალურ და სპეციალურ პრევენციას, რაც გულისხმობს, იმას, რომ სასჯელმა მსჯავრდებული და საზოგადოება უნდა განმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ ლონისძიებებს და სანქციებს, მასში გამოხატულია სასჯელის ნეგატიური გენერალური და სპეციალური პრევენცია, რომელიც მსჯავრდებულისა და საზოგადოების დაშინებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების თანახმად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელები მკვეთრად გაიზარდა. ამასთან, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, თუ მხარეებს შორის დადებული არ არის საპროცესო შეთანხმება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ასევე, სასამართლოს უფლება არა აქვს დანიშნოს მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის არ არის დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება და ა.შ.

სასჯელის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია. პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მიუთითებს მსჯავრდებული პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზეც. ვფიქრობ, ამ მიმართებით, პატიმრობის კოდექსი ადგენს მაღალ სტანდარტს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ სასჯელის მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მართალია მსჯავრდებული არღვევს ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის ფაქტები არ ფიქსირდება.

სადისერტაციო ნაშრომში რესოციალიზაციის პრობლემა დეტალურად იქნა განხილული, როგორც სასჯელადსრულების დაწესებულებებში, ასევე ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილში არასწორად არის მითითებული სიტყვა „დამნაშავე“, ვინაიდან დამნაშავე არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი საუბრობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემულ პირს კი არა დამნაშავე, არამედ ბრალდებული ეწოდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია ამნისტია ეხებოდეს იმ პირს, რომელსაც ჯერ კიდევ ბრალდებულის სტატუსი არ აქვს. ამ შემთხვევაში სასურველი იქნება თუ გამოყიუნებთ ტერმინს - „სავარაუდო დამნაშავე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „ამნისტიის აქტით ბრალდებული, ან სავარაუდო დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.“ აღნიშნული კი შესაბამისობაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამასთან, პირის სამართლებრივი სტატუსი არის ბრალდებული და მსჯავრდებული. ხოლო დამნაშავის სტატუსს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „დამნაშავე“ უადგილოდ არის გამოყენებული და აღნიშნული უნდა შესწორდეს.

ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ ასევე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემაზე. სამართლიანი სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციაა. თუ ქმედებას მიეცა არასწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება, აღნიშნული გავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე, რაც დასტურდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზით (ნაშრომში განხილული იქნა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან). უსამართლო სასჯელის დანიშვნით კი ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები: პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენა და შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის დანიშვნის საკითხი. ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც გამოკვეთილია საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები.

მიმაჩნია, რომ დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა უპირობო შთანთქმის წესი არღვევს სამართლიანობის პრინციპს. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ან ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ შეიკრიბება. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს.“ აღნიშნულით, მოსამართლეს უფლება ექნება გამოიყენოს როგორც შთანთქმის, ისე ნაწილობრივი შეკრების პრინციპი. დამნაშავის პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი დანიშნოს შთანთქმის პრინციპით, თუ ნაწილობრივი შეკრების გზით.

მიმაჩნია, რომ მოსამართლემ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა დანიშნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ალტერნატიულ სასჯელებს. ზოგადად ცნობილია, რომ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს.

ნაშრომში განხილული იქნა ალტერნატიული სასჯელების როლი და მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნისას. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია სასჯელის მიზნებთან.

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. თუ მხარეებს შორის არ არის დადგებული საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს არა აქვს უფლება დანიშნოს მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი. მინიმალურ სასჯელზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საკითხი, სასამართლომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო ხარვეზებზე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი (განსაცდელში მიტოვება) და 129-ე მუხლი (დაუხმარებლობა) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. მაშინ, როდესაც განსაცდელში მიტოვება უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე დაუხმარებლობა. განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავეს აკისრია სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, მაშინ როდესაც დაუხმარებლობის დროს ასეთი ვალდებულება არ არსებობს. ამდენად, არ შეიძლება ზემოაღნიშნული დანაშაულები ერთნაირი სასჯელით ისჯებოდეს. უფრო მეტიც, განსაცდელში მიტოვება თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ასევე ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ხოლო დაუხმარებლობა კი – გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. განსაცდელში მიტოვება უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე დაუხმარებლობა, ხოლო კანონმდებლობით კი სასჯელები პირიქით არის განსაზღვრული, რაც შესწორებას საჭიროებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო დროს შესული ცვლილებების შესაბამისად, სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი დაუახლოვდა ერთმანეთს (მაგ. 116-ე მუხლის პირველი ნაწილი). ვფიქრობ, აღნიშნული ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში გათვალისწინებული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები (238¹-ე მუხლის პირველი ნაწილი, მე-200⁶ მუხლის პირველი ნაწილი) ასევე ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. ვინაიდან, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ფართო არჩევანი სასჯელის დანიშვნისას. სასჯელის დანიშვნისას ამოსავალი წერტილი არის მსჯავრდებულის პიროვნება და შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. ამდენად, აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით მოსამართლე შებოჭილია კანონმდებლობით და იგი ვალდებულია ორ განსხვავებულ პიროვნებას ერთნაირი სიმძიმის სასჯელი დაუნიშნოს, რაც დაუშვებელია.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავად გამოვყავით არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები. ასევე ყურადღება გავამახვილეოთ არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის სპეციფიკაზე (სასჯელის მიზნებთან კავშირში). არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით განვიხილეთ კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები მეტისმეტად მკაცრია. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის წესი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს (ნაცვლად ათი წლისა).“ ხოლო, „თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს (ნაცვლად თორმეტი წლისა).“ აღნიშნული კი ხელს შეუწყობს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, ვინაიდან გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა არ ემსახურება არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებს.

სასჯელის მიზნები არა მარტო სისხლისსამართლებრივი საკითხია, არამედ ღრმა ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს. იგი მეტად აქტუალური საკითხია სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომ, სასჯელის მიზნების შესახებ მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ა. მახარაძე, სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2011.
2. ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005.
3. ადგილობრივი დემოკრატიის გზამკვლევი საქართველოსთვის, თბილისი, 2004.
4. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი 1, თბილისი, 1946.
5. ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის დონისძიებანი, თბილისი, 1960.
6. არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, 2004.
7. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი დონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011.
8. ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971.
9. გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009.
10. გ. გოლოშვილი, შრომის სამართალი, თბილისი, 2000.
11. გ. თუმანიშვილი, „გაიდლაინების“ მართლმსაჯულების სისტემაში გამოყენების საკითხისათვის, მართლმსაჯულება და კანონი, №3, 2010.
12. გ. თუმანიშვილი, სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, სამართალი, №1-2, 2003.
13. გ. ინწკირველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, თბილისი. ტ. 3, 1992.
14. გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაადგეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008.
15. გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,

ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. პ. კორკელია, თბილისი, 2012.

16. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005.
17. გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, სამართალი, №3-4, 1995 წ.
18. გ. ნაჭყებია, პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა, სახელმწიფო და სამართალი, №10, 1990 წ.
19. გ. ნაჭყებია, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015.
20. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო) თბილისი, 2011.
21. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006 წ.
22. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998.
23. გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002 წ.
24. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010.
25. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2000.
26. გ. ტყეშელიაძე, პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი, უურნალი საბჭოთა სამართალი, 1964, №5.
27. გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბეგაძე - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.
28. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004.
29. დ. წულაძა, მონანიება, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი, მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №3(38), 2013.
30. ქ. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან - სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007.
31. ქ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბილისი, 1983.

32. ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009.
33. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001.
34. ზ. კორძაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, ალმანახი, №8, 1998.
35. ზ. მუგანაძე, ო. მინდაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005.
36. ზ. ნანობაშვილი, ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, ალმანახი, ზ13, 2000.
37. ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2003.
38. ო. ბუაჩიძე, პეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, „მეცნიერება“, 1976.
39. ო. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007.
40. ო. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2003.
41. ო. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისეურტაციო ნაშრომი, 2008.
42. ო. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013.
43. ო. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953.
44. ო. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.
45. ო. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011.
46. ო. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, №2(29), 11.
47. ო. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984.
48. ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რედ. ა. ქიტიაშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010.

49. პ. კვირკველია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2004.
50. პ. კობერიძე, სასჯელაღსრულების დაწესებულების რეესტრის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, №11-12, თბილისი, 2002.
51. პ. წიქარიშვილი, სასჯელი, ალმანახი, №8, 1998.
52. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში, ავტორთა კოლექტივი.
53. ლ. იზორია, პ. კორკელია, პ. გუბლაშვილი, გ, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005.
54. ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი, 2013.
55. ლ. ფაფიაშვილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ურნალი, №1, 2008.
56. ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 2014.
57. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.
58. მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43), 14.
59. მ. მოსულიშვილი, არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი, ურნალი სამართალი, №4-5, 2000.
60. მ. პ. დგალიშვილი, სასჯელის მოხდის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2002.
61. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011.
62. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010.
63. მ. ქათამაძე, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, სამართალი, თბილისი, №11-12-13, 2000.
64. მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ალმანახი, №3, 2004.

65. გ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკციიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.
66. გ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
67. გ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი, 2011.
68. გ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, გ. ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი, 2014.
69. გ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013.
70. გ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2010.
71. გ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011.
72. გ. ხარებავა, ლ. ესებუა, გ. გალუაშვილი, ეს შენი უფლებაა, ინგალიდ ქალთა და ინგალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეა. თბილისი, 2009.
73. გ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი, 2008.
74. მ.(ზოია) ხასია, მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბილისი, 2006.
75. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, (შემდგენელი სამსონ ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე), თბილისი, 2004.
76. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი, ნოემბერი-დეკემბერი.
77. ნ. ჭეიშვილი, რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2014.
78. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005.
79. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013.
80. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ურნალი www.dgstz.de.
81. ო. მაჭარაშვილი, დანაშაულისა და სასჯელის პატეგორიები (შედარებითი ანალიზი), ალმანახი, №12, 1999.

82. ო. მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელალსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008.
83. ო. ფარტენაძე, თავისუფლების ადგენერის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009.
84. ო. ფარტენაძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათუმი, 1998.
85. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012.
86. პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003.
87. ქ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999.
88. რ. დრაიერი, რა არის სამართლიანობა, მართლმსაჯულების მაცნე, №2-3, თბილისი, 2003.
89. რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006.
90. საქართველოს სახალხო დამცველი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2014.
91. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში.
92. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2011.
93. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბილისი, 2012.
94. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976.
95. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადადებები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007.
96. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე,“ 2015.
97. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, 2016.

98. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ი. დგალიძე), თბილისი, 2007.
99. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016.
100. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2011.
101. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), ჟურნალი - ადგოკატი მეოხი, №1-2 (43-44), რედ. მ. ტურავა.
102. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (ეკონომიკური დანაშაული), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2004.
103. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2008.
104. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, (3 ტომად), შემდგ. ა. ელერდაშვილი, თბილისი, 2006.
105. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007.
106. ქ. პამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011.
107. ქ. პამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში, გაეროს ბაგშვია ფონდი, 2007.
108. ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბილისი, 2000.
109. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009.
110. შ. ფაფიაშვილი, სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, სამართალი, №3-4, 1995.
111. ჩ. ბეგარია, „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი. ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003.
112. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბილისი, 1962.

გერმანულენოვანი ლიტერატურა:

1. A. Montenbruck, Strafrechtsphilosophie (1995-2010), Vergeltung, Strafzeit, Sündenbock, Menschenrechtsstrafe, Naturrecht, 2. Erweiterte Auflage, Freie Universität Berlin, 2010.
2. B. Heinrich, Strafrecht, Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Stuttgart, 2005.
3. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, 4. Auflage, Springer, 2015.
4. B. Meier, Strafrechtliche Sanktionen, zweite Auflage, Springer, 2006.
5. Bundesministerium für Justiz, Republik Österreich, Strafvollzug in Österreich, 2013.
6. C. Roxin, G. Arzt, K. Tiedeman, Strafrecht und Strafprozessrecht, 6. Auflage, 2013.
7. C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006.
8. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012.
9. D. Kazushige, Wozu bestrafen wir Straftäter? Staat, Strafe und ich, 2011.
10. D. Schauz, Strafen als moralische Besserung, Eine Geschichte der Straffälligenfürsorge 1777-1933, München, 2008.
11. F. Brägger, Der offene Strafvollzug heute, Am Beispiel der Anstalten, Witzwil /Be, 2012.
12. F. Föhn, Bildung im Strafvollzug, Schweiz, Deutschland, Österreich – ein Vergleich, 2010.
13. F. J. Schmitz-Remberg, Verständigung und positive Generalprävention. Eine Untersuchung der Verständigung im Strafverfahren gemäß § 257 c StPO hinsichtlich ihrer Vereinbarkeit mit der positiven Generalprävention; zugleich ein Beitrag zu den Straftheorien und der Strafzumessung, 2014.
14. F. Welti, Behinderung und Rehabilitation im sozialen Rechtsstaat, Tübingen, 2005.
15. G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1993.
16. G. Radbruch, Gesamtausgabe Band 3, Rechtsphilosophie III, Heidelberg, 1990.
17. G. Sakalauskas, Strafvollzug in Litauen, Kriminalpolitische Hintergründe, rechtliche Regelungen, Reformen, Praxis und Perspektiven, Godesberg, 2006.
18. G. Schäfer, G. Sander, G. Gemmeren, Praxis der Strafzumessung, München, 2008.
19. G. Stratenwerth, Schweizerisches Strafrecht, Allgemeiner Teil II – Strafen und Massnahmen, 2006.
20. H. Blei, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983.
21. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, München, 2006.

22. H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1988.
23. H. Kury, Die Behandlung Straffälliger. Teilband 2: Ergebnisse einer empirischen Untersuchung zum Behandlungserfolg bei jugendlichen und heranwachsenden Untersuchungshäftlingen, Berlin, 1987.
24. H. Kyong Joo, Die positive Generalprävention im Straßenverkehr, Frankfurt, 2013.
25. H. Mayer, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1953.
26. H. Ostendorf, Einführung in das Strafrecht, 5. Auflage, 2007.
27. H. Ostendorf, Jugendstrafrecht und jugendstrafverfahren (Stand März 2009).
28. H. Tröndle, T. Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, München, 1999.
29. I. Hillebrand, Organisation und Ausgestaltung der Gefangenearbeit in Deutschland, Godesberg, 2009.
30. I. Goerdeler, P. Walkenhorst, Jugendstrafvollzug in Deutschland. Neue Gesetze, neue Strukturen, neue Praxis? Mönchengladbach, 2007.
31. J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995.
32. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007.
33. J. Bühler, Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007.
34. J. Gautschi, C. Rüegger, Vom Strafvollzug in die Freiheit. Risikoorientierung und Übergangsmanagement: aktuelle Entwicklungen in Bewährungshilfe und Sanktionenvollzug, Sozialaktuell, NR. 12 Dezember, 2009.
35. J. Milton Peralta, Positive Generalprävention als Achtung der Rechtsordnung, Zugleich eine analytische Unterscheidung möglicher Interpretationen des Begriffs der „positiven Generalprävention“, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2008.
36. K. Heinzl, Die lebenslängliche Freiheitsstrafe, 2003.
37. K. Laubenthal, Strafvollzug, 3. Auflage, Berlin, 2003.
38. K. Weber, Strafe und Ausgrenzung statt Hilfe und Integration? Möglichkeiten, Grenzen und Perspektiven der Sozialen Arbeit in der Resozialisierung. Utopie kreativ, H. 160 (Februar 2004).
39. Körner, B. Müller, Schuldbewusstsein und reale Schuld, Psychosozial-Verlag, 2010.
40. Legalbewährung nach strafrechtlichen Sanktionen. Eine bundesweite Rückfalluntersuchung, 2014.
41. M. Pawlik, Das Unrecht des Bürgers, Tübingen, 2012.
42. M. Zieger, Verteidigung in Jugendstrafsachen, 6. Auflage, 2013.
43. M. Baurmann, Strafe im Rechtsstaat, München, 1990.
44. M. Baurmann, Zweckrationalität und Strafrecht: Argumente für ein tatbezogenes Maßnahmerecht, Opladen, 1987.
45. M. Betzler, Eine gemischte Theorie der Rechtfertigung gesetzlicher Strafe, 2012.

46. M. Krismann, Sanktionierung von rauschmittelbeeinflusstem Fahren in Europa, 2011.
47. M. Pawlik, Strafe oder Gefahrenbekämpfung? Die Prinzipien des deutschen Internationalen Strafrechts vor dem Forum der Straftheorie, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Regensburg, 2006.
48. M. Scholz, Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003.
49. M. Thiem, Welchen Zweck hat Strafe? Ein Vergleich der Straftheorien, 2006.
50. Maurach, Gössel, Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 2, 2014.
51. Mayr, Integration von Haftentlassenen. Möglichkeiten und Grenzen im Rahmen betreuter Wohnformen, 2003.
52. Meier/Rössner/Schöch, Jugendstrafrecht, München, 2003.
53. Montenbruck, Strafrahmen und Strafzumessung, Berlin, 1983.
54. N. Lange, Resozialisierung im Gefängnis, Hauptseminararbeit, Germany, 2000.
55. Neubauer, Strafzumessung und Geschlecht – eine Untersuchung forensisch – psychiatrisch begutachteter Frauen, Dissertation, 2010.
56. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012.
57. R. Czupryniak, Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011.
58. R. Schmidt, Allgemeiner Teil, Grundlagen der Strafbarkeit, 2006.
59. R. Steffens, Wiedergutmachung und Täter-Opfer-Ausgleich im Jugend und Erwachsenenstrafrecht in den neuen Bundesländern, Godesberg, 1999.
60. S. Freudenthal, C. Licht, Zur Effektivität von Resozialisierungsmaßnahmen: Stimmt die These des „nothing works“? Norderstedt Germany, 2006.
61. S. Rüppel, Privatisierung des Strafvollzugs, Rechtliche und Praktische Problemstellungen als Chance zur normativen Entkriminalisierung, Frankfurt, 2010.
62. S. Schmidt, Resozialisierung und Strafvollzug. Theoretische Überlegungen und empirische Untersuchung zu Sanktionseinstellungen in der Öffentlichkeit, 2007.
63. S. Schulz, Organisationsformen der Arbeit im Gefängnis, 2004.
64. Schönke, H. Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, Verlag C.H. Beck, München, 2010.
65. Schünemann/von Hirsch/ Jarebog (Hrsg.), Positive Generalprävention, kritische Analysen im deutsch-englischen Dialog, 1996.
66. T. Brandner, Gottesbegegnungen im Gefängnis, Eine praktische Theologie der Gefangenenseelsorge, Frankfurt, 2009.
67. T. Hoffmann, Die Moral der Strafe, Deutscher Kongress für philosophie in München/Sektion: Rechts und Sozialphilosophie, 2011.
68. T. Hörnle, Straftheorien, Tübingen, 2011.

69. T. Kailer, *Vermessung des Verbrechers*, 2011.
70. T. Lüth, *Resozialisierung von Ausländern im Strafvollzug, Gesetzliche Grundlagen der Resozialisierung im Strafvollzug und deren Verwirklichung in der Praxis unter Berücksichtigung von ausländerrechtlichen Beschränkungen*, Diplomarbeit, 2009.
71. T. Mushoff, *Strafe-Maßregel-Sicherungsverwahrung*, Frankfurt, 2008.
72. T. Singelnstein, P. Stolle, *Die Sicherheitsgesellschaft, Soziale Kontrolle im 21. Jahrhundert*, 2012.
73. T. Spirlgath, *Zur Abschreckungswirkung des Strafrechts - Eine Metaanalyse Kriminalstatistischer Untersuchungen*, Berlin, 2013.
74. T. Walter, *Vergeltung als Strafzweck, Prävention und Resozialisierung als Pflichten der Kriminalpolitik*, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Regensburg, 2011.
75. Tluczkon, *Strafvollzug und Resozialisierungsmaßnahmen: Resozialisierung von Straftätern im Kontext sozialpädagogischer Ziele und Probleme sowie rechtlicher Fragen*, Hamburg, 2013.
76. U. Grasberger, *Verfassungsrechtliche problematiken der Höchststrafen in den USA und in den Bundesrepublik Deutschland, Todesstrafe und lebenslange Freiheitsstrafe*, Bonn, 1996.
77. Übergangsmanagement für junge Menschen zwischen Strafvollzug und Nachbetreuung. Handbuch für die Praxis, Köln/Halle, 2012.
78. V. Badura, Hegel, Hassemer, Jakobs und die Bestätigung der Normgeltung durch Strafe. Lex Talionis im Gewand der positiven Generalprävention?, 2009.
79. Vomberg, Hinter Schloss und Riegel, Gefangenenzzeitungen aus Nordhein-Westfalen und Brandenburg zwischen Anspruch und Wirklichkeit , Godesberg, 2000.
80. W. Gropp, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001.
81. W. Sauer, *Grundlagen des Strafrechts*, 1921.
82. Wirkungsvolle Strafen – weniger Kriminalität – mehr Sicherheit für die Gesellschaft. Bericht der norwegischen Regierung an das Storting zum Justizvollzug, 2008.
83. Y. Yamanaka, *Maßnahmen bei psychisch kranken Straftätern. Ein Vergleich zwischen Deutschland und Japan*, München, 2008.

რუსულენოვანი ლიტერატურა:

1. . . ,
. 1978.
 2. . . ,
. 1951.
 3. . . ,
. 1981.
 4. . . ,
. 2002.
 5. . . ,
. ., 1978.
 6. . . ,
. , 1962.
 7. . . ,
. 1979.
 8. . . ,
. , ,
. , 1973.
 9. . . ,
. ,
. , 1961.
 10. . . ,
. , 1962.
 11. .
2002. 2,
. , ,
 12. .
. , ,
. , 1985
 13. .
. ,
. , 1961. , 1958.
 14. M.
. ,
2002. , ,
 15. . . ,
. , 1963.
 16. . . ,
. , . 1948.
 17. . . ,
. , , 2,
. 2001.
 18. .
. , . 1958.
 19. .
. , , 1983.

ინგლისურენოვანი დიტერაცია:

F. Mcneill, K. Beyens, Offender Supervision in Europe, 2014.

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2000 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010 წ.
3. პატიმრობის კოდექსი, 2010 წ.
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

ქართულ ენაზე

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენები:

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის განაჩენი.
2. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ივნისის განაჩენი.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ივნისის განაჩენი.
4. ყვარლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენი.
5. სენაკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენი.
6. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენი.
7. ზეგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის განაჩენი.
8. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი.
9. ღმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ღეკემბრის განაჩენი.
10. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ღეკემბრის განაჩენი.
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენი.
12. ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაჩენი.
13. ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განაჩენი.
14. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განაჩენი.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 სექტემბრის განაჩენი.
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 იანვრის განაჩენი.
17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენი.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენები:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენი.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენი.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენი.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენი.
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენი, №1ბ/311-16.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2013, №01-6.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი, საქმე №392აპ-15.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განჩინება (საქმე №2კ-555აპ-15).
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება,
საქმე №212აპ-16.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება: №1/1/428,447,459.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივნისის №3/2/416 გადაწყვეტილება.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება.

გერმანულ ენაზე

1. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (**BverfGE 2258/09**).
2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (**BverfGE 45, 187 (229)**).
3. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (**BverfGE 35, 202**).

გებ-გერმანული მისამართები:

1. www.gtuc.ge/?p=1810, ალტერნატიული სასჯელი და უცხოური პრაქტიკა.
2. <www.freeuni.edu.ge/sites/default/files/aucilebeli%20mogerieba.pdf>.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი – „სასჯელის მიზნები“ პროფესორ მაია ივანიძის ხელმძღვანელობით შევასრულე დამოუკიდებლად და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

ჩემთვის ცნობილია იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი მონაცემების წარდგენას.

დოქტორანტი

იოსებ ვარძელაშვილი